

ველური მოღობაჲ

მესხური
პრობლემის
ანალიზი

ვალერი მოღვაძე

მესხური პრობლემის ანალიზი

მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის
რეპატრიაციისა და რეინტეგრაციის პრობლემები



გამომცემლობა „კალგოსანი“
თბილისი 2010

წიგნში განხილულია დეპორტირებული მესხი მოსახლეობის რეპატრიაციისა და ქართულ საზოგადოებაში რეინტეგრაციის პრობლემატიკა. ეს წიგნი არის ინტერდისციპლინარული ნაშრომი, რომელშიც ძირითადად აქცენტი გამახვილებულია დეპორტირებული მესხი ხალხის ისტორიაზე, თანამედროვე სიტუაციაზე, რეპატრიაციის პერსპექტივებზე და ინტეგრაციის პრობლემებზე. კვლევის დროს უხვად იქნა გამოყენებული პირველადი წყაროები და საარქივო დოკუმენტები, რომლებიც მრავალ საინტერესო ფაქტს შეიცავს მესხური პრობლემის შესახებ.

წიგნი განკუთვნილია როგორც საზოგადოების ფართო მასებისათვის, ასევე მესხური პრობლემით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის და უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

რეცენზენტები

სოციალურ მეცნ. დოქტორი, პროფ.

ნიკა ჩიტაძე

სოციალურ მეცნ. დოქტორი, პროფ.

ალექსანდრე კუხინიძე

რედაქტორი

სოციალურ მეცნ. დოქტორი, პროფ.

თამარ კიკნაძე

კორექტორი

მანანა გორგიშვილი

კომპიუტერული

უზრუნვ. და დიზაინი

ზაზა გულაშვილი

© ვალერი მოდებაძე, 2010

ISBN 978-9941-0-2906-6

მესხური პრობლემის ანალიზს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის. საქართველო არის მრავალეროვნული ქვეყანა და როგორც ავტორი აღნიშნავს “მისი ეთნიკური უმცირესობების მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტად არის ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში“. მათ რიცხვს მიეკუთვნება სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები და დეპორტირებული მესხი მოსახლეობა, რომელთა გადასახლება შუა აზიაში არალეგალურად განხორციელდა ნახევარი საუკუნის წინ.

ვალერი მოდებადის ნაშრომი ნოვატორულია, ვინაიდან ის დეტალურად ანალიზებს დეპორტირებული მესხი მოსახლეობის რეპატრაციისა და რეინტეგრაციის პრობლემებს საქართველოში და გვთავაზობს მესხური პრობლემის გადაჭრის გზებს. ავტორმა შეიმუშავა დეპორტირებული მესხი მოსახლეობის ინტეგრაციის მოდელი, რომელიც ოთხი საფეხურისაგან შედგება: ლინგვისტურ-კულტურული, სამოქალაქო, ლეგალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია.

ავტორის მიერ ახალი და საინტერესო ინფორმაცია იქნა მოპოვებული საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვებით, საქართველოს ცენტრალურ არქივში მოპოვებული მასალებითა და პირველხარისხოვანი წყაროებით. ასევე აღსანიშნავია ის, რომ მესხური პრობლემის ანალიზის დროს ავტორმა ინტერდისციპლინარული მეთოდი გამოიყენა. ნაშრომს არა მარტო დიდი თეორიული, არამედ ასევე პრაქტიკული ღირებულება აქვს. ის საინტერესო ინფორმაციას და რეკომენდაციებს აწვდის არა მარტო სამეცნიერო საზოგადოებას, არამედ ასევე სპეციალისტებს, განსაკუთრებით კი იმ ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს, რომლებიც რეპატრაციის პროცესით არიან დაკავებული.

*სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
სრული პროფესორი
ალექსანდრე კუნიანიძე*

„სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს, ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარ-ცმულმა, იცის პატივი სხვისი სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არა არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვდრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და დაჩაგრულნი - აქ, ჩვენში პოპულოდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა. არ გვაშინებს-მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმობთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდის ხნის განმორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორგული ქართველი“.

ნმინდა ილია მართალი ჭაჭავაძე,
„ოსმალოს ქართველი“, №1877 წ.

შესავალი

მრავალეროვნული ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა ეთნიკური უმცირესებების ინტეგრაცია და ერთიანი, ჰარმონიული საზოგადოების შექმნა. საქართველო გამოირჩევა ეთნიკური მრავალფეროვნებით, სადაც ეთნიკური უმცირესობების მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებიდან თავს გარიყულად გრძნობს.

სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საქართველოს სამხრეთ პროვინციებში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს. ქვეყნის სამხრეთი რეგიონები კომპაქტურად არის დასახლებული ეთნიკური უმცირესობებით, რომლებიც არ არიან ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში და თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან უფრო მჭიდრო კავშირი გააჩნიათ ვიდრე საქართველოსთან. განსაკუთრებით პრობლემატური რეგიონია სამცხე-ჯავახეთი, რომელიც პოტენციურ ცხელ წერტილად არის მიჩნეული ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებისა და ეთნიკური უმცირესობების დაბალი ინტეგრირებულობის გამო. სამცხე-ჯავახეთის 207.598 მაცხოვრებლიდან 117.603 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია.

ბოლო წლებში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საკითხი გახდა. საქართველო თანდათანობით უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ეროვნული უმცირესობების საკითხებს, რათა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად გადააქციოს. ევროსაბჭოს წინაშე აღებული ერთ-ერთი ვალდებულებაა დეპორტირებული მესხი მოსახლეობის რეპატრიაცია და ქართულ საზოგადოებაში რეინტეგრაცია. მესხური პრობლემა არის ძალიან მტკივნეული საკითხი საქართველოსთვის: ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობამ და მესხური პრობლემის იგნორირებამ, შეიძლება საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში მოაქციოს. საქართველომ შეძლება საერთაშორისო მხარდაჭერა დაკარგოს, თუ ის ვერ მოახერხებს ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას. ვალდებულებების შეუსრულებლობამ ასევე შეიძლება შეაფერხოს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურაში ინტეგრაცია. მეორეს მხრივ, დეპორტირებული მოსახლეობის მასიურმა და უკონტროლო მიგრაციამ საქართველო შეიძლება დიდად დააზარალოს. ამ პროცესმა შეიძლება რადიკალურად შეცვალოს დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

ამიტომაც, მესხური საკითხი მოითხოვს ძალიან ფრთხილ და კომპლექსურ მიდგომას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მესხური პრობლემის შესწავლას და გზების ძიებას ამ პრობლემის ცივილიზებულად გადაჭრისთვის.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია რეპატრიაციის პროცესის წინასწარი დაგეგმვა, ვინაიდან დიდი მასების დაურეგულირებელმა მიგრაციამ შეიძლება კატასტროფული შედეგი გამოიღოს და ბევრი პრობლემები შეუქმნას ქართულ სახელმწიფოს. დაურეგულირებელი და უკონტროლო მიგრაცია დიდი საფრთხეა ქვეყნისთვის, მაგრამ ამ საფრთხის განეიტრალება შეიძლება თუ მოხდება სწორი და გაწონასწო-

რებული პოლიტიკის გატარება. თუ მოხდება რეპატრიაციის პროცესის დარეგულირება. ეს საკითხი შეიძლება საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდეს.

დეპორტირებული მესხი მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში რეინტეგრაცია რთული პროცესია, ვინაიდან დიდი ხნის განმავლობაში ეს ხალხი იზოლირებული იყო ქართული სამყაროსგან და არ ჰქონდა საშუალება ქართველებთან ახლო ურთიერთობა დაემყარებინა. საუკუნეობრივმა იზოლაციამ და საქართველოსთან ურთიერთობის არქონამ ხელი შეუშალა მჭიდრო სოციალური კონტაქტების დამყარებას ქართველ ხალხთან და მნიშვნელოვნად შეამცირა მათი ქართული სამოქალაქო ცნობიერება. ინტეგრაცია არის დროში გაწელილი პროცესი, რომელიც მოითხოვს ხანგრძლივ და სისტემატურ ურთიერთობას ტიტულარულ ეთნიკურ ჯგუფთან. ასეთი ურთიერთობებისა და კონტაქტების არქონამ გამოიწვია დეპორტირებული მოსახლეობის დენაციონალიზაცია და ეს ხალხი დენაციონალიზებულ მასად აქცია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ინტეგრაციის პოლიტიკა განსხვავებული უნდა იყოს თითოეული ეთნიკური ჯგუფისათვის და ინტეგრაციის პოლიტიკის შექმნისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ისეთი ფაქტორები, როგორცაა ეთნიკური ჯგუფის ისტორია, კულტურა, ტრადიცია და ა.შ. ვინაიდან არ არსებობს ეთნიკური უმცირესობების პრობლემების გადაჭრის უნივერსალური მეთოდი, თითოეული ეთნიკური ჯგუფი ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავების დროს.

ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავება შეუძლებელია მოხდეს ინტეგრაციის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორების დეტექტირების გარეშე. ნაშრომი გამოყოფს რეპატრიაციის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორებს, როგორც არის, რეპატრიაციის მიმართ საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა,

ეთნოკონფლიქტები, სეპარატიზმისა და ირედენტიზმის საფრთხე და ა.შ.

ამ პრობლემების გამოაშკარავებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავებისათვის, რომელმაც შეიძლება უზრუნველყოს მესხური პრობლემის წარმატებით გადაჭრა.

ინტეგრაციის პოლიტიკის მიზანია ერთიანი და ჰარმონიული, მულტიკულტურული საზოგადოების შექმნა, სადაც ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად მისი რელიგიური და ეთნიკური კუთვნილებისა, შესაძლებლობა ექნება აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ეთნიკური მრავალფეროვნება შეიძლება იყოს როგორც კონფლიქტის, ასევე პროგრესის წყარო. ეთნიკური უმცირესობები შეიძლება გახდნენ პროგრესის წყარო თუ მოხდება მათი ეფექტური ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში.

ლიბერალური მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობის დროს უხვად იქნა გამოყენებული პირველადი წყაროები, საარქივო დოკუმენტები, მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ბრძანებულებები, კანონები, სტატისტიკური მონაცემები, ქართული და უცხოური ლიტერატურა.

მესხური პრობლემის შესახებ უხვად მოიპოვება პირველადი წყაროები, რაც ობიექტური და საფუძვლიანი კვლევის ჩატარებას შესაძლებელს ხდის. ქართველი და უცხოელი (ბერძენი, თურქი, გერმანელი, ფრანგი, რუსი) მკვლევარები, ისტორიკოსები, ეთნოგრაფები და მოგზაურები საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან ამ რეგიონის შესახებ.

მესხური პრობლემის ისტორიული მიმოხილვა

იმისათვის, რომ საშუალება მივცეთ მკითხველს უფრო სიღრმისეულად ჩაწვდეს დებორტირებული მესხი მოსახლეობის რეპატრაციისა და ქართულ საზოგადოებაში რეინტეგრაციის პრობლემებს, საჭიროა თავდაპირველად ყურადღება დავუთმოთ მესხური პრობლემის ისტორიულ მიმოხილვას.

არსებობს უამრავი ლიტერატურა მესხეთის ისტორიისა და დებორტირებულ მესხთა შესახებ. მესხეთის ისტორიის ანალიზი ყოველთვის იწყება ძველი ქართული ტომების აღწერით. ქართველი ხალხის წინაპრები მეშეხები, მუშქები, მოსხები ხშირადაა ნახსენები ანტიკურ ისტორიულ წყაროებში. პირველი ცნობები ძველი მესხური ტომების შესახებ გვხვდება ასირიულ ლურსმულ წყაროებში¹³. ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქართველმა ისტორიკოსებმა ნ. ხაზარაძემ, გ. გიორგაძემ, ნ. ასათიანმა, ივ. ჯავახიშვილმა, პ. მელიქიშვილმა უამრავი ნაშრომი მიუძღვნეს ამ საკითხს. ანტიკური ხანის ისტორიკოსები, მოგ-

ზაურები, ეთნოგრაფები ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან ძველი ქართველი ტომების შესახებ. ანტიკური ხანის ისტორიკოსების ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერძენი ისტორიკოსის, გეოგრაფისა და ფილოსოფოსის, სტრაბონის 17-ტომიანი ნაშრომი „გეოგრაფია“, რომელიც არის ნარატიული ისტორია სხვადასხვა ხალხისა და ტომების შესახებ⁴⁸. ავტორი დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის ქართულ ტომებსა და მესხეთის გეოგრაფიულ მდებარეობაზე. ის ასევე აღწერს კავკასიაში მიმდინარე ისტორიულ და პოლიტიკურ პროცესებს, სომხეთის ექსპანსიას და იბერიის სამხრეთ პროვინციების დაპყრობას სომხეთის მიერ.

ინფორმაცია მესხეთსა და მესხების შესახებ ასევე გვხვდება ძველ ქართულ წყაროებში, განსაკუთრებით კი „ქართლის ცხოვრება“-ში, რომელიც წარმოადგენს შუა საუკუნეების ისტორიული ტექსტების კოლექციას. ქართლის ცხოვრება შედგება სხვადასხვა ავტორების მიერ დაწერილი ისტორიული ნაწარმოებებისაგან, როგორც არის მაგალითად „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“. სუბმატ დავითის-ძე თავის ნაშრომში „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“-ში აღწერს ტაო-კლარჯეთს და მის მთავრებს, ბაგრატიონთა დინასტიას. ამ რეგიონმა და მისმა მთავრებმა, ბაგრატიონთა დინასტიამ გადამწყვეტი როლი ითამაშეს საქართველოს გაერთიანებაში.

მესხეთის ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ოსმალეთის ხელისუფლებამ ჩაატარა მოსახლეობის აღწერა მესხეთში და გამოსცა წიგნი, რომელსაც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ეწოდა („Defteri Mufassal Vilayeti Gürcüstan“). ეს დოკუმენტი არის პირველხარისხოვანი თურქული წყარო, რომელსაც დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს, განსაკუთრებით მკვლევართათვის. ის ფასდაუდებელ ინფორმაციას გვაწვდის მესხეთის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. ამ ხელნაწერიდან ჩვენ

ვგებულობთ, რომ მესხეთის მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ.

ევროპელი და თურქი მკვლევარები და მოგზაურებიც ადასტურებენ, რომ მესხეთი უმეტესწილად ქართველებით იყო დასახლებული. უცხოელმა მკვლევარებმა და მოგზაურებმა იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა, ფრედერიკ დიბუა დი მონპერემ, ევლია ჩელებიმ და სხვებმა დიდი დაინტერესება გამოავლინეს ამ რეგიონის მიმართ და შესაბამისად დიდი წვლილი შეიტანეს აქ მიმდინარე ისტორიული, პოლიტიკური და დემოგრაფიული პროცესების საფუძვლიან შესწავლაში. XVII საუკუნის თურქი მოგზაური ევლია ჩელები 40 წლის მანძილზე მოგზაურობდა ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეებში და მის მოსაზღვრე სახელმწიფოებში. მისი ათტომიანი ნაშრომი „მოგზაურობის წიგნი“ შეიცავს ფასდაუდებელ ინფორმაციას ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების შესახებ. მან ასევე იმოგზაურა ქართულ სამეფო-სამთავროებში. თავის წიგნში ის დეტალურად აღწერს ყოველ ქალაქს, დასახლებას, ციხე-სიმაგრეს და სხვადასხვა პროვინციის მაცხოვრებლებს. მისი წიგნიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ მესხეთის ყველა მაცხოვრებელი ქართულად ლაპარაკობდა. XVIII საუკუნის ეთნოგრაფმა და მკვლევარმა იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა დაწერა წიგნი „მოგზაურობა კავკასიაში“, რომელშიც ის ასევე აღწერს მესხეთის მოსახლეობას და მის ეთნიკურ შემადგენლობას. მისი აზრით, ქართველები დომინანტურ ეთნიკურ ჯგუფს შეადგენდნენ მესხეთში.

ცნობილმა თურქმა ისტორიკოსმა, იბრაჰიმ ფეჩევიმ (1572-1650) დაწერა ორტომიანი წიგნი „ფეჩევის ისტორია“, რომელიც შეიცავს ფასდაუდებელ ინფორმაციას თურქეთ-ირანის ომების შესახებ. თავის ნაშრომში ფეჩევი ასევე დეტალურად აღწერს ოსმალეთის სამხედრო ლაშქრობებს საქართველოში. ფეჩევი აღწერს ბრძოლის ეპიზოდებს, ოსმალთა სამხედრო ძალების მიერ საქართველოს პროვინ-

ციების დაპყრობას, თურქეთისა და ირანის ურთიერთობას საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებთან. განსაკუთრებით საინტერესოა ცნობები ოსმალთა სამხედრო ძალების მიერ მესხეთის დაპყრობის შესახებ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში უამრავი ნაშრომი მიეძღვნა მესხეთის ისტორიას. ამ რეგიონის მეცნიერული კვლევა უძველესი დროიდან იღებს დასაბამს. განსაკუთრებით ღირებულია დიდი ქართველი ისტორიკოსის, გეოგრაფის და კარტოგრაფის, ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც წარმოადგენს ქართველი ხალხისა და ქართული მხარეების დეტალურ ისტორიას და გეოგრაფიულ აღწერას. ამ ნაშრომის პირველ ტომში, „სამცხე“, ის აღწერს მესხეთის სხვადასხვა პროვინციას და ასევე გვაწვდის ფასდაუდებელ ინფორმაციას მესხეთის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. ამ ნაშრომიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ისლამიზაციის პროცესი XVIII საუკუნეში არ იყო დასრულებული მესხეთში და მოსახლეობის უმრავლესობა, განსაკუთრებით კი გლეხობა, ქრისტიანი რჩებოდა. მხოლოდ თავადაზნაურობამ და მოსახლეობის მცირე ნაწილმა მიიღო ისლამი.

XIX საუკუნეში გამაჰმადიანების პროცესი დასრულებულია მესხეთში და ამ რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა გამაჰმადიანებულია. თანამედროვე ქართველმა მკვლევარებმა და მეცნიერებმა შ. ლომსაძემ, თ. ჩიქოვანმა, დ. კოჟორიძემ, თოფჩიშვილმა, მ. ბერიძემ ასევე მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნეს მესხეთის და მესხი ხალხის ისტორიას. ჩვენთვის განსაკუთრებით ღირებულია ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, შოთა ლომსაძის ნაშრომები. მან მეტად ღირებული ნაშრომები დაწერა მესხეთის ისტორიის შესახებ, როგორც არის მაგალითად, „სამცხე-ჯავახეთი“, „მესხები, ახალციხური ქრონიკები“, „მესხეთი და მესხები“. ამ ნაშრომებში ის დეტალურად აღწერს მესხეთში მიმდინარე ისტორიულ, პოლიტიკურ და დემოგრაფი-

ულ პროცესებს უძველესი დროიდან საბჭოთა ოკუპაციამდე. შოთა ლომსაძე ჯავახეთში დაიბადა 1925 წელს, პირადად იცნობდა დეპორტირებულებს და ძალიან ობიექტური ინფორმაცია გააჩნდა მათ შესახებ.

როლანდ თოფჩიშვილი, თავის ნაშრომში „სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა“, იკვლევს რადიკალურ ცვლილებებს ჯავახეთის ეთნიკურ შემადგენლობაში. ავტორი ამტკიცებს, რომ შუა საუკუნეებში ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ, მაგრამ ამ მხარის ოსმალეთის იმპერიაში და მოგვიანებით რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ იწყება მის ეთნოკონფესიურ შემადგენლობაში ცვლილებები. სომხების ჩამოსახლებამ, ასევე ადგილობრივი ქართული მოსახლეობის თურქეთში და აღმოსავლეთ საქართველოში მიგრაციამ გამოიწვია რადიკალური ცვლილებები ამ რეგიონის ეთნო-კონფესიურ სტრუქტურაში და დააჩქარა მისი გასომხების პროცესი.

მერაბ ბერიძის ნაშრომი „ქართველთა გამუსლიმება და გვარის შეცვლა მესხეთში“ არის მამაკადიან მესხთა გვარების დეტალური ანალიზი. ავტორი ამტკიცებს, რომ ისლამის მიღება მესხეთის ადგილობრივი მოსახლეობის გათურქების ტოლფასი იყო. გამამაკადიანებას ხშირად თან სდევდა გვარის შეცვლა, რაც თანდათანობით იწვევდა ეროვნული ცნობიერების დაკარგვას და გათურქებას.

ქართველი ისტორიკოსების ნაშრომებიდან განსაკუთრებით ღირებულია ალექსანდრე ფრონელის, ზაქარია ჭიჭინაძის, სამსონ ფირცხალავას ნაშრომები. ისინი თვითმხილველები იყვნენ XIX და XX საუკუნეებში მესხეთში განვითარებული ისტორიული და პოლიტიკური მოვლენების. ალექსანდრე ფრონელი აღწერს მესხეთის დაკნინებას თავის ნაშრომში „დიდებული მესხეთი“, რომელიც გამოქვეყნდა 1910 წელს. ზაქარია ჭიჭინაძემ იმოგზაურა მესხეთში და შეაგროვა ცნობები ქართველი კათოლიკეებისა და მესხეთის ქრისტიანული მოსახლეობის შესახებ. ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომებიდან

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია „ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი-ემიგრაცია“, „ქართველი კათოლიკენი და საქართველოს დაკარგული სოფლები“. ამ ნაშრომებში ზაქარია ჭიჭინაძე აღწერს მაჰმადიანი მესხების მიგრაციას თურქეთში და ქართველი კათოლიკეების იძულებითი გასომხების პროცესს. სამსონ ფირცხალავაც განიხილავს მაჰმადიანი მესხების დეპორტაციას თურქეთში თავის ნაშრომში „სამაჰმადიანო საქართველო“. ის გვთავაზობს მესხეთის ისტორიის მოკლე მიმოხილვას და აღწერს ქართული საზოგადოების უუნარობას, გადაექცია მაჰმადიანი მესხები ქართველი ხალხის განუყოფელ ნაწილად.

წიგნი „ისტორიული რარიტეტები“ შეიცავს დიდი ქართველი მეცნიერის და ისტორიკოსის, ივანე ჯავახიშვილის ნაშრომს „საქართველოს საზღვრები“, რომელშიც ის აღწერს ისტორიული მესხეთის საზღვრებს, მესხეთში სომხების ჩამოსახლებას და ჯავახელი სომხების სეპარატისტულ მისწრაფებებს.

ქართული სამეფო-სამთავროების ისტორია მე-XVII, მე-XVIII და მე-XIX საუკუნეებში და ქართულ-რუსული ურთიერთობები ამ პერიოდში დეტალურადაა გაანალიზებული წიგნში „უამი ხსნისა“, რომელიც გამოსცა თემურ ქორიძემ 2009 წელს. ეს წიგნი შეიცავს ისტორიულ დოკუმენტებს და ფასდაუდებელ ინფორმაციას გვაწვდის მესხეთის განთავისუფლებისა და რუსეთის იმპერიაში შესვლის შესახებ.

ძალზედ მნიშვნელოვანია გეორგიევსკის ტრაქტატის გაანალიზება, ვინაიდან ის არის პირველხარისხოვანი წყარო, რომელიც შეიცავს ინფორმაციას რუსეთთან ალიანსში შესვლის მიზეზების შესახებ. ხელშეკრულების პირობების თანახმად რუსეთმა აიღო ვალდებულება, რომ დაეცვა საქართველო, ერეკლე მეორემ კი უარი თქვა ირანის ქვეშევრდომობაზე.

მესხეთის რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ დაიწყო ამ რეგიონის იძულებითი

ბითი გასომხების პროცესი. (სომხების ჯავახეთში დასახლება, ქართული ენის აკრძალვა ღვთისმსახურების დროს). ქართულ-სომხური ურთიერთობები დეტალურადაა გამოკვლეული გურამ მაისურაძის ნაშრომში „ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიოგრაფიიდან“, რომელშიც ის ასევე აღწერს ქართველი კათოლიკეების დისკრიმინაციას და ცარისტული რუსეთისა და სომხეთის მხრიდან ქართველების გასომხების მცდელობას.

უჩა ბლუაშვილის ნაშრომში, „მესხეთის სახელოვანი შვილები“ აღწერილია ცნობილი მესხი საზოგადო მოღვაწეების მცდელობა, რომ შეეჩერებინათ ქართველი კათოლიკეების იძულებითი გასომხების პროცესი. XIX საუკუნეში სომხები გამალებით ცდილობდნენ მესხეთის კათოლიკური მოსახლეობის გასომხებას და ამიტომაც დაჟინებით მოითხოვდნენ მათ სომხებად გამოცხადებას. მესხეთის ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, მიხეილ თამარაშვილმა მეცნიერულად დაამტკიცა, რომ კათოლიკე მესხები ეთნიკური ქართველები იყვნენ.

ცარისტული რუსეთის მიერ საქართველოს დენაციონალიზაციის მცდელობა აღწერილია საარქივო დოკუმენტში⁷⁹. ცარისტულმა რუსეთმა დაასახლა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი (თურქეთიდან დევნილი სომხები, გერმანელები, ბერძნები, რუსები) საქართველოს სამხრეთ რეგიონებში, რამაც გამოიწვია რადიკალური ცვლილებები საქართველოს სამხრეთ პროვინციების ეთნო-კონფესიურ სტრუქტურაში. ამ საარქივო დოკუმენტიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ცარისტული რუსეთის მიზანი იყო უცხო ელემენტის გაზრდა საქართველოში და ქვეყნის დენაციონალიზაციის დაჩქარება.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წელს, საბჭოთა კავშირმა და თურქეთმა მიაღწიეს შეთანხმებას მესხეთის ორად გაყოფის შესახებ. მესხეთის უდიდესი ნაწილი თურქეთს გადაეცა, ხოლო სამცხე-ჯავახეთი და აჭარა საქართველოს იურისდიქციაში დარჩა. ინფორმაცია მესხეთის

გაყოფის შესახებ არის ყარსის სამშვიდობო ხელშეკრულებაში, რომელსაც ხელი მოეწერა 1921 წელს⁸⁰. ამ ხელშეკრულების გაანალიზებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან მან დააწესა თანამედროვე საზღვრები თურქეთსა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის.

საქართველოს დაპყრობის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების საგანმანათლებლო პოლიტიკამ გამოიწვია მესხების დენაციონალიზაცია. საარქივო დოკუმენტებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ მაჰმადიან მესხებს არ ეძლეოდათ ქართულად განათლების მიღების შესაძლებლობა⁸¹. ისინი იძულებული იყვნენ არაქართულ სკოლებში მიეღოთ განათლება. სასკოლო სახელმძღვანელოები საქართველოში არ გამოიცემოდა და მათი შემოტანა აზერბაიჯანიდან ხდებოდა. არა მარტო სახელმძღვანელოები შემოჰქონდათ სხვა ქვეყნიდან, არამედ მასწავლებლებიც კი აზერბაიჯანიდან ჩამოჰყავდათ. ვანო ალიხანაშვილი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ახალციხის მაზრაში საგანმანათლებლო პირობების შესახებ. თავის მოხსენებაში „ახალციხის მაზრის მდგომარეობის შესახებ“ ის ამბობს, რომ მაჰმადიან მესხებს არ ეძლეოდათ ქართულად განათლების მიღების საშუალება⁸². კირვალდის მოხსენებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ მაჰმადიან მესხებს გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდათ საბჭოთა საგანმანათლებლო პოლიტიკის გამო⁸³.

ინფორმაცია მესხეთის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ მოპოვებულ იქნა ცარისტული რუსეთის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერებით, ასევე საქართველოს სახელმწიფო არქივში ნაპოვნი სტატისტიკური მონაცემების საშუალებით⁸¹. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ჩაატარა მოსახლეობის აღწერები მესხეთში. მოსახლეობის აღწერები, რომლებიც ცარისტულმა რუსეთმა ჩაატარა 1870 და 1916 წლებში, ინფორმაციის პირველადი წყაროა მესხეთის ეთნიკური შემადგენლობისა და დეპორტირებული მესხების ეთნიკური წარმომავლობის

შესახებ. 1870 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები გამოაქვეყნა კ. ლ. ზისერმანმა, „თბილისის გუბერნიის აღწერილობის მასალების კრებულში“. ამ დოკუმენტის თანახმად, სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის 90%-ზე მეტს შეადგენდნენ გამაჰმადიანებული ქართველები. 1916 წლის მოსახლეობის აღწერამაც მსგავსი შედეგები აჩვენა.

რადიკალური ცვლილებები მესხეთის ეთნო-კონფესიურ შემადგენლობაში მოხდა 1944 წელს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების ბრძანების თანახმად მესხეთის მაჰმადიანი მოსახლეობა გადაასახლეს ცენტრალურ აზიაში. მესხეთის ეთნო-კონფესიურ სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებები კარგად არის აღწერილი ვ. ლორთქიფანიძის, მ. ნათქელაძის, ა. თოთაძის, ლ. ჯანიაშვილის ნაშრომებში. ისინი გვაწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას მაჰმადიანი მესხების შუა აზიაში დეპორტაციის შესახებ. საქართველოს სახელმწიფო არქივში მოპოვებული სხვადასხვა დოკუმენტების, საილუმლო და სრულიად საილუმლო გადაწყვეტილებების საშუალებით მულავენდება მაჰმადიანი მესხების შუა აზიაში გადასახლების ნამდვილი მოტივები. საარქივო დოკუმენტიდან⁸³ ვგებულობთ, რომ საბჭოთა კავშირს ჰქონდა დეპორტაციის არა მარტო პოლიტიკური მოტივები (საბჭოთა სასაზღვრო ზონების უსაფრთხოება), არამედ ასევე ეკონომიკური მოტივებიც: საბჭოთა ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა გამოეყენებინა დეპორტირებული ხალხი საბჭოთა კავშირის ყველაზე ჩამორჩენილი რეგიონების განვითარებისათვის.

ქობულოვის⁸² სრულიად საილუმლო მოხსენებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ თავდაპირველად განზრახული ჰქონდათ მაჰმადიანი მესხების აღმოსავლეთ საქართველოში გადასახლება, მაგრამ შემდეგ საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა მათი შუა აზიაში გადასახლება.

საილუმლო საარქივო დოკუმენტის თანახმად³⁴, საბჭოთა ხელისუფლებამ ძალით ჩაასახლა ხალხი საქართველოს

მცირემიწიანი პროვინციებიდან იმ ცარიელ სოფლებში, სადაც ადრე მაჰმადიანი მესხები ცხოვრობდნენ. საიდუმლო მოხსენებიდან⁸⁴, რომელიც ბერიას გაეგზავნა 1945 წელს, ჩვენ ვგებულობთ, რომ ქრისტიანი ქართველების ჩასახლება მესხეთში იძულებითი პროცესი იყო და ბევრ ჩასახლებულს თავის პირვანდელ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება უნდოდა.

ბოლო წლებში სხვადასხვა ნაშრომი გამოქვეყნდა მესხი რეპატრიანტების მიერ, რომლებიც გვაწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას მაჰმადიანი მესხების უფლებების დარღვევებზე და გადასახლებების დროს განცდილ დისკრიმინაციაზე. დეპორტირებული მესხი რეპატრიანტების ნაშრომებიდან აღნიშვნის ღირსია ი. ვარსკნელიძის, მ. ბარათაშვილის, ლ. ბარათაშვილის, ნ. ვაჩნაძეს, ი. რაფატოვის ნაშრომები. ი. ვარსკნელიძე და ნ. ვაჩნაძე თვითმხილველები იყვნენ მაჰმადიანი მესხების შუა აზიაში გადასახლების და ამიტომაც მათი ნაშრომები ითვლება ინფორმაციის პირველად წყაროდ დეპორტაციის შესახებ.

დეპორტირებული ხალხის უფლებრივი მდგომარეობა და მესხური ორგანიზაციები

უამრავი მესხური ორგანიზაცია და ასოციაცია არსებობს, რომლებიც მოქმედებენ სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც დეპორტირებული ხალხი ცხოვრობს. სტატიაში „სოციალური დინამიკა და ლიდერობა თურქი მესხების თემებში“ ა. ოსიპოვი და ს. სვერდლოვი აღწერენ სხვადასხვა მესხურ ორგანიზაციებს, ასოციაციებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მოქმედებენ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ასევე თურქეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში¹³⁵. ამ ორგანიზაციებს ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნები და ამოცანები გააჩნიათ და ამიტომაც არ შეუძლიათ ერთად იბრძოლონ მესხების საქართველოში

დაბრუნებისათვის. ა. ოსიპოვისა და ს.სვერდლოვის აზრით, მესხურ ასოციაციებსა და ორგანიზაციებს აკლიათ ძლიერი ლიდერები და ერთიანი, ხელმძღვანელი ელიტა. არსებული ელიტა იდეოლოგიური ნიშნითაა დაყოფილი და განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ დეპორტირებული მესხი მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ.

ინფორმაციის მოპოვება მესხური ორგანიზაციებისა და ასოციაციების შესახებ შესაძლებელია ასევე ინტერნეტ-დან. ინტერნეტში გამოქვეყნებული სტატიებიდან აღნიშვნის ღირსია ო. პენტიკეინენის და ტ. ტრირის, ა. ც. ჰელტონის, გ. ნოდის, ა. აილინგუნის, ნ. სუმბადის გამოქვეყნებული სტატიები. სტატია „ინტეგრაცია თუ გადასახლება: თურქი მესხები“, რომლის ავტორები არიან ო. პენტიკეინენი და ტ. ტირი, აღწერს დეპორტირებული მესხების უფლებრივ მდგომარეობას და ცხოვრების პირობებს იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ცხოვრობენ და ასევე ცნობებს გვაწვდის მესხური ორგანიზაციების შესახებ. ყველაზე ცნობილი მესხური ორგანიზაციები „ვატანი“ და „ხსნა“, ისევე, როგორც თურქეთში მოქმედი მესხური ორგანიზაციები აღწერილია ამ სტატიაში და მათი მიზნები და ამოცანებიც დეტალურადაა განმარტებული.

ძალზედ ხშირია კონფლიქტები დეპორტირებულ მესხებს შორის მათი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. დ. ბრენანის აზრით, კამათი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ ასუსტებს რეპატრაციის მოძრაობას და აკნინებს მესხების საქართველოში დაბრუნების შესაძლებლობას⁹⁴.

ნანა სუმბადის სტატიაში „სამხრეთ საქართველოს მაჰმადიანი მოსახლეობის პრობლემა: დეპორტაციის პერსპექტივები და ადგილობრივი წინააღმდეგობა“ განხილულია დეპორტირებული მესხი მოსახლეობის ისტორია, მაჰმადიანი მესხების უფლებრივი მდგომარეობა და მესხური ორგანიზაციები. მისი აზრით, მესხური თემების დიდი გაფანტულობის გამო მათი პრობლემები და პრიორიტეტები განსხვავებულია.

დეპორტირებულ მესხ ხალხს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ სხვადასხვა საკითხებზე და არ შეუძლიათ ერთმანეთთან თანამშრომლობა. მათ შორის მთავარი საკამათო საკითხებია სამშობლოს ზუსტი განსაზღვრება და, შესაბამისად, ქვეყანა, სადაც უნდა განხორციელდეს მათი დაბრუნება. საკამათოა ასევე ეთნიკური იდენტობის საკითხი. უთანხმოებები ეთნიკური წარმომავლობისა და იდენტობის შესახებ ასუსტებს რეპატრაციის მოძრაობას.

ო. პენტიკენინი და ტ. ტრირი განიხილავენ ცხოვრების პირობებს და დეპორტირებულ ხალხის უფლებრივ მდგომარეობას სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც ისინი ცხოვრობენ: საქართველოში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, რუსეთში, უზბეკეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში და თურქეთში¹²⁶. დეპორტირებული მესხი ხალხის ცხოვრების პირობები ერთმანეთისაგან განსხვავდება მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. პრობლემები განსაკუთრებით დიდია რუსეთის ფედერაციის სამხრეთ რეგიონებში, განსაკუთრებით კი კრასნოდარის მხარეში. ინფორმაცია კრასნოდარის მხარეში დეპორტირებული მესხების უფლებების დარღვევებზე არის წიგნში „იძულებითი მიგრანტების უფლებების დარღვევა და ეთნიკური დისკრიმინაცია კრასნოდარის მხარეში: თურქი მესხების მდგომარეობა (Нарушение прав вынужденных мигрантов и этническая дискриминация в Краснодарском Крае: положение Месхетинских Турок)“, რომელიც გამოაქვეყნა ადამიანის უფლებების ცენტრმა „მემორიალმა“. ამ წიგნის ავტორები, ოსიპოვი და ჩერეპოვა დეტალურად აანალიზებენ მაჰმადიანი მესხების დისკრიმინაციას ცხოვრების ყველა სფეროში. მაჰმადიანი მესხების დისკრიმინაცია კრასნოდარის მხარეში კარგად არის აღწერილი ასევე მათიუ ჰუვერისა და პიტერ ფინის სტატიებში. ამ ავტორების აზრით, დეპორტირებულ მესხ ხალხს არ გააჩნდათ მოქალაქეობა კრასნოდარის მხარეში. ისინი იძულებული გახადეს თავშესაფარი ამერიკის შეერთებულ შტატებში ეძებნათ.

უფლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობა გაცილებით უკეთესია დეპორტირებული ხალხისათვის ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. ო. პენტიკეინენისა და ტ. ტრირის აზრით, უფლებრივი მდგომარეობა და ცხოვრების პირობები შესამჩნევად გაუმჯობესდა დეპორტირებული ხალხისათვის უზბეკეთში, ფერლანას ტრაგედიის შემდეგ¹²⁶. მესხებმა შეძლეს შუა აზიის რესპუბლიკების განსხვავებულ სოციო-პოლიტიკურ და გეოგრაფიულ პირობებთან შეგუება. ბლაკლოკის აზრით, დეპორტირებული ხალხის ცხოვრების პირობები არ განსხვავდება ყაზახეთისა და ყირგიზეთის ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობებისაგან. მესხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ასევე სტაბილურია აზერბაიჯანში, უკრაინაში, თურქეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მესხი რეპატრიანტების რაოდენობა საქართველოში ძალზედ შეზღუდულია (1000 კაცზე ნაკლები). ინფორმაცია საქართველოში მესხი რეპატრიანტების უფლებრივი მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების შესახებ გვხვდება მარატ ბარათაშვილის წიგნში „მესხ რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობა“ და ბროშურაში „მესხი რეპატრიანტების ინტეგრაცია საქართველოში“. მარატ ბარათაშვილი იკვლევს მესხი რეპატრიანტების უფლებრივ მდგომარეობას საქართველოში სხვადასხვა პერიოდის მიხედვით. ზემოთ ხსენებული წიგნი საინტერესო ინფორმაციას აწვდის მკითხველს იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მესხი რეპატრიანტების უფლებრივ მდგომარეობაზე და ცხოვრების პირობებზე. ინფორმაცია გარდამავალი პერიოდის დროს მესხი რეპატრიანტების უფლებრივ მდგომარეობაზე ასევე გვხვდება ხალილ უმაროვ-გოზალიშვილის წიგნში „მესხთა ტრაგედია“. ამ წიგნის ავტორი აღწერს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების მიერ მესხების გაძევებას საქართველოდან.

სხვადასხვა მთავრობის მიერ მიღებული კანონები, რეზოლუციები და ბრძანებულებები ყოველთვის გავლენას ახდენდა მესხი რეპატრიანტების უფლებრივ მდგომარეობაზე. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მიერ მიღებული კანონების, რეზოლუციებისა და ბრძანებულებების გაანალიზებას. ახალგაზრდა მესხთა საერთაშორისო კავშირმა – „მესხეთმა“ გამოსცა წიგნი სათაურით „სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მესხების ისტორიული დოკუმენტების კოლექცია (Сборник исторических документов для депортированных из южной Грузии Месхетинцев)“. ეს წიგნი შეიცავს ბერიასა და სტალინის სრულიად საიდუმლო გადაწყვეტილებებს, ასევე საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მიერ მიღებულ რეზოლუციებს, ბრძანებულებებს, კანონებს. 1940-იან წლებში საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული სრულიად-

საიდუმლო გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან დეპორტაციის პოლიტიკური მოტივების შესახებ. ეს წიგნი შეიცავს ასევე რეპატრიაციის პროცესის შესახებ შევარდნაძის რეჟიმის მიერ მიღებულ უამრავ რეზოლუციას, ბრძანებულებებს, რომლებიც არასოდეს არ სრულდებოდა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ახალმა რეჟიმმა უფრო მეტი ყურადღება დაუთმო რეპატრიაციის საკითხს და პოზიტიური ნაბიჯები გადადგა მესხური პრობლემის გადასაჭრელად. მთავრობის მიერ მიღებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კანონი არის კანონი რეპატრიაციის შესახებ, რომელსაც ოფიციალურად ეწოდა „საქართველოს კანონი ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“. ამ კანონის ანალიზი ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის ქმნის ლეგალურ მექანიზმებს დეპორტირებული მესხი მოსახლეობის დასაბრუნებლად.

დეტალური ინფორმაცია დეპორტირებული მესხების უფლებრივი მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების შესახებ

ასევე გვხვდება წიგნში „თურქი მესხები არჩევანის წინაშე: ინტეგრაცია, რეპატრიაცია და გადასახლება“. ეს წიგნი, რომელიც გამოიცა ტომ ტრირის და ანდრეი ხანუინის მიერ 2007 წელს, არის ევროპის ეროვნულ უძცირესობათა ცენტრის მიერ 2004-2006 წლებში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შედეგი. წიგნი მკითხველს სთავაზობს საინტერესო ცნობებს დეპორტირებული მესხი ხალხის შესახებ სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც ისინი ცხოვრობენ.

მესხური იდენტობის ცვალებადი ხასიათი და სამცხე-ჯავახეთის პოლიეთნიკურ საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემა

პოლიეთნიკური ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა მისი მრავალეროვნული მოსახლეობისათვის საერთო სამოქალაქო იდენტობის შექმნა. წიგნში „საერთაშორისო პოლიტიკა: მტკიცე ცნებები და თანამედროვე საკითხები“, რობერტ ართი და რობერტ ჯერვისი ხაზს უსვამენ საერთო სამოქალაქო იდენტობის ფორმირების მნიშვნელობას პოლიეთნიკური სახელმწიფოსათვის. ისინი ამტკიცებენ, რომ ეთნიკური კონფლიქტები და ომები შეიძლება თავიდან იქნას აცილებული ინკლუზიური იდენტობების განვითარების წახალისებით. მათი აზრით, მრავალეროვნული ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა დიდადაა დამოკიდებული მის უნარზე, შექმნას ზეეთნიკური იდენტობა მისი პოლიეთნიკური საზოგადოებისათვის.

წიგნში „შედარებითი პოლიტიკის ძირითადი საკითხები“ პატრიკ ჰ. ო'ნიელი იკვლევს თუ როგორ ახდენენ ადამიანები თვითიდენტიფიცირებას სხვადასხვა გზების საშუალებით და გვთავაზობს ეთნიკური იდენტობის, სამოქალაქო იდენტობის და ეროვნული იდენტობის ცნებების განმარტებებს. ის განმარტავს საერთო იდენტობის ფორმირების პრობლემებს

ეთნიკურად ჭრელ საზოგადოებებში. მისი აზრით, მაღალი დონის ეთნიკურმა ფრაგმენტაციამ შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტები და ომები. ეთნიკურობა განხილულია, როგორც საზოგადოების დამყოფი კონცეფცია. პატრიკ ჰ. ო'ნიელი მიიჩნევს ჰეტეროგენული საზოგადოების ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დაყოფას, როგორც საერთო ეროვნული იდენტობის ფორმირების მთავარ დამაბრკოლებელ ძალას.

გაბრიელ ალმონდი, გ. ბინგამ პაუელი, ჯ. რ. რუსელი, ჯ. დალტონი, კ. სტორმი ერ-სახელმწიფოს თვლიან პოლიტიკური სისტემის ორგანიზების ყველაზე სასურველ ფორმად. ზემოთ დასახელებულმა ავტორებმა გამოსცეს წიგნი „შედარებითი პოლიტიკა დღეისათვის. მსოფლმხედველობა“, რომელშიც ისინი განმარტავენ პრობლემებს, რომლებსაც აწყდებიან პოლიეთნიკური სახელმწიფოები ერი-სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. სახელმწიფოების უმრავლესობას არ გააჩნია ჰომოგენური მოსახლეობა და ამიტომაც საერთო სამოქალაქო იდენტობის შექმნა შეიძლება სერიოზული გამოწვევა იყოს მათთვის. ზემოთ დასახელებული ავტორების აზრით, პოლიეთნიკური სახელმწიფოების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა საერთო იდენტობისა და ერთობის განცდის შექმნა მათი მოქალაქეებისათვის.

პატრიკ ჰ. ო'ნიელი და რონალდ როგოვსკი აღწერენ პრობლემებს, რომლებსაც აწყდებიან მსოფლიოს განვითარებადი სახელმწიფოები, როდესაც ისინი ცდილობენ საერთო იდენტობის შექმნას მათი პოლიეთნიკური საზოგადოებისათვის. საერთო სიმბოლოების, ნორმებისა და ღირებულებების განვითარება ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთო იდენტობის შექმნისათვის. მაგრამ ბევრ პოლიეთნიკურ სახელმწიფოს ძალიან უძნელდება საერთო – სახალხო სიმბოლოების შექმნა¹²².

კაკასიაში საერთო იდენტობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი არის რუსეთის ჩარევა კაკასიის რესპუბლიკების საშინაო საქმეებში. რევაზ გაჩეჩილაძე თავის ნაშრომში „ახალი საქართველო: სივრცე, სა-

ზოგადობა და პოლიტიკა“, კარგად აღწერს რუსეთისა და საბჭოთა კავშირის მცდელობებს დაენაწევრებინათ საქართველოს პოლიეთნიკური საზოგადოება. ცარიტული რუსეთი და საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც ყველა დიდი იმპერია, „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით მოქმედებდა კავკასიაში.

მერაბ ბერიძე ამტკიცებს, რომ გარე ძალებმა გამოიწვიეს კონფლიქტი მესხეთის ქრისტიანულ და მაჰმადიანურ მოსახლეობას შორის. კონფლიქტი მესხებს შორის მოხდა რელიგიურ ნიადაგზე 1917 წელს, პირველი მსოფლიო ომის დასასრულს. ამ კონფლიქტმა სამუდამოდ დააშორა ერთი სისხლისა და წარმომავლობის ხალხი ერთმანეთს და ძალზედ გააფუჭა ურთიერთობა მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის.

მესხური იდენტობა ხშირად იცვლება სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობასთან ერთად. იმისათვის, რომ გავიგოთ მესხური იდენტობის ცვალებადი ხასიათი, საჭიროა განვიხილოთ ეთნიკურობის სხვადასხვა თეორიები. „ეროვნებათაშორისი ურთიერთობების მართვის“ ავტორები ჯანა ჯავახიშვილი და ნოდარ სარჯველაძე გამოყოფენ ეთნიკურობის გაგების ორ ურთიერთსაპირისპირო თეორიულ მიმდინარეობას: პრიმორდიალიზმს და კონსტრუქტივიზმს. პრიმორდიალიზმი ეთნიკურ იდენტობას განიხილავს, როგორც მუდმივ და სტატიკურ ფენომენს, ხოლო კონსტრუქტივიზმი ამტკიცებს, რომ ეთნიკური იდენტობა არის სოციალურად და პოლიტიკურად კონსტრუირებული.

დეპორტირებული მესხი ხალხის ეთნიკური წარმომავლობა და იდენტობა ხშირად იწვევს უთანხმოებას მეცნიერებს შორის. აიშეგულ აილინგუნი, ჩიგდემ ბალიმ ჰარდინგი, მათიუ ჰუვერი, იგორ კუზნეცოვი და სტივ სვერდლოვი განიხილავენ დეპორტირებული ხალხის წარმომავლობის საკითხს სტატიაში „თურქი მესხები: ისტორიის, კულტურისა და გადასახლების გამოცდილების გაცნობა“. ზემოთ დასახელებული ავტორების აზრით, ძირითადად დავა მიმდინა-

რეობს ერთი საკითხის გარშემო: ვინ არიან დეპორტირებულები, ეთნიკური თურქები თუ ეთნიკური ქართველები?

ისტორიკოსებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ მათი წარმომავლობის შესახებ. ლავრენტი ჯანიაშვილი განიხილავს დეპორტირებული მესხი მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის საკითხს თავის ნაშრომში „1944 წელს სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის“. ამ ნაშრომის ავტორის აზრით, დეპორტირებული ხალხის ეთნიკური წარმომავლობა საკამათო საკითხია მეცნიერებს შორის. მუდმივი დავაა ერთ საკითხზე: ეთნიკური ქართველები არიან ისინი თუ ეთნიკური თურქები.

თავის სტატიაში „დიდი კავკასიური შფოთვა: საქართველოში პროთურქულმა დემოგრაფიულმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სომხეთის უფრო დიდი იზოლაცია“ არის გაზიარებული ამტკიცებს, რომ დეპორტირებული მესხი მოსახლეობა არ წარმოადგენს ჰომოგენურ ეთნიკურ ჯგუფს და სინამდვილეში არის სხვადასხვა ტომებისა და ეთნიკური ჯგუფების ნარევი. მისი აზრით, სამი სხვადასხვა ენების ოჯახის წარმომადგენლებმა (კავკასიური, ალტაური, ინდოევროპული) ჩამოაყალიბეს ამ ეთნიკური ჯგუფის ბირთვი¹⁰⁶.

გიორგი ანჩაბაძეც იზიარებს აზრს, რომ დეპორტირებული მესხი მოსახლეობა არ არის ჰომოგენური ეთნიკური ჯგუფი, მაგრამ ის თვლის, რომ დეპორტირებული ხალხის 90% შედგება გათურქებული ქართველებისგან, ხოლო დანარჩენი 10% არიან ჰემშინები, თარაქამები და ქურთები³⁹.

მესხური იდენტობის ცვალებადი ხასიათი დეტალურადაა გაანალიზებული წიგნში „თურქი მესხები არჩევანის წინაშე: რეპატრირაცია, ინტეგრაცია თუ გადასახლება?“ იგორ კუზნეცოვი ამტკიცებს, რომ შუა აზიაში გადასახლებამდე ქართული იყო ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ენა მესხეთში. ამის ნათელი დასტურია ის დასახლებები, სადაც მაჰმადიანი მესხები ცხოვრობდნენ. დასახლებების უმეტესობას ქართული სახელები აქვს. მაჰმადიანი მესხე-

ბის უმეტესობა ქართულად ლაპარაკობდა დეპორტაციამდე. იგორ კუზნეცოვის აზრით, ბევრმა დეპორტირებულმა მესხმა თურქული სრულყოფილად მხოლოდ გადასახლების შემდეგ ისწავლა. შუა აზიაში ხანგრძლივმა ცხოვრებამ დააჩქარა მათი გათურქების პროცესი. იგორ კუზნეცოვი ამტკიცებს, რომ დეპორტირებული მესხი ხალხის ეთნიკური იდენტობა მჭიდრო კავშირშია ან ემთხვევა რელიგიურ იდენტობას (მაჰმადიანი = თურქი, ქრისტიანი = ქართველი) ან კიდევ ლინგვისტურ იდენტობას (რადგან თურქულად ლაპარაკობენ, მათი უძრავლესობა თვლის, რომ თურქები არიან)

დეპორტირებული მესხების რეპატრიაციის პრობლემები საფუძვლიანად არის გაანალიზებული გიორგი თარხან-მოურავის მიერ სტატიაში „საქართველოში მაჰმადიანი მესხების (თურქი მესხების) საკითხების ლეგალური და პოლიტიკური ასპექტები“¹³⁵. ამ სტატიაში ის აღწერს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეთნიკურ შემადგენლობას, ასევე მოსახლეობის დამოკიდებულებას რეპატრიაციის მიმართ. ის რეპატრიაციის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად საქართველოში არსებულ არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციას, საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას რეპატრიაციის საკითხის მიმართ და სამცხე-ჯავახეთის პოლიეთნიკურობას თვლის.

სამცხე-ჯავახეთის ეთნო-კონფესიური შემადგენლობა ასევე განხილულია წიგნში „პოლიეთნიკური საზოგადოების პრობლემები სამცხე-ჯავახეთში“. ეს წიგნი აღწერს დაძაბულობას ამ მხარეში ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე. სამცხე-ჯავახეთი არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეთნიკურად ჭრელი რეგიონი საქართველოში და ურთიერთობები სხვადასხვა ეთნო-კონფესიურ ჯგუფებს შორის დაძაბულია. სამცხე-ჯავახეთის პოლიეთნიკურ საზოგადოებაში არსებობს მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემა. სამცხე-ჯავახეთში არსებული დაძაბული ინტერ-ეთნიკური ურთიერთობები ართულებს მაჰმადიანი მესხების დაბრუნებას ამ რეგიონში.

მესხური იდენტობის ცვალებადი ხასიათი და სამცხე-ჯავახეთის პოლიეთნიკურ საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემა

ნეგატიური საზოგადოებრივი აზრი არის რეპატრიაციის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი. სოციოლოგიურმა გამოკვლევამ, რომელიც ჩატარდა სამცხე-ჯავახეთში 2009 წელს, დაადგინა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა რეპატრიაციის პროცესის წინააღმდეგია.

ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება რეპატრიაციის პროცესის მიმართ ასევე ასახულია ინტერნეტში გამოქვეყნებულ სტატიებში და სხვადასხვა ავტორის ნაშრომებში. მაგალითად, მონინსარი თავის სტატიაში „თბილისი-საქართველოს ისლამური ემირატები: აჭარა და მესხეთი, ფერეიდანი“ ამტკიცებს, რომ სამცხე-ჯავახეთი დღეისათვის არის ეთნიკურად და რელიგიურად ჭრელი რეგიონი და დეპორტირებული ხალხის დაბრუნება აუცილებლად გამოიწვევს პოლიტიკური დაძაბულობის გაზრდას ამ რეგიონში¹¹⁷. გოჩა ქიმაძე თავის ნაშრომში „ქართული სახელმწიფოებრიობა და თურქი-მესხების პრობლემა“, აღწერს კონფლიქტს მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს შორის, რომელიც მოხდა 1917-1919 წლებში. წარსულის ნეგატიური მოგონებები გავლენას ახდენს და აყალიბებს მოსახლეობის დამოკიდებულებას რეპატრიაციის პროცესის მიმართ.

დეპორტირებული მესხი მოსახლეობის საქართველოში რეპატრიაციისა და რეინტეგრაციის პრობლემები განხილულია ტომ ტრირის, ნანა სუმბაძის და მარატ ბარათაშვილის ნაშრომებში. ტომ ტრირისა და ანდრეი ხანჟინის მიერ გამოცემული წიგნი „თურქი მესხები არჩევანის წინაშე: რეპატრიაცია, ინტეგრაცია თუ გადასახლება?“, მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს დეპორტირებული მესხების ინტეგრაციის პრობლემების შესახებ იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ამჟამად ცხოვრობენ. განსაკუთრებით საინტერესოა ნანა სუმბაძის სტატია „კვლავ სამშობლოში: მაჰმადიანი მესხების

რეპატრიაცია და ინტეგრაცია საქართველოში“, რომელშიც ის აღწერს დეპორტირებული მესხების ისტორიას, მათ დასახლებებს საქართველოში, ინტეგრაციის პრობლემებს და მესხი რეპატრიანტების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, მათ ურთიერთობას ადგილობრივ მოსახლეობასთან, დეპორტირებული ხალხის რელიგიას, იდენტობას და რეპატრიაციის პრობლემებს¹³⁵. ამ სტატიის გარდა მან დაწერა უამრავი ნაშრომი მესხური პრობლემის შესახებ. ნანა სუმბაძის ნაშრომებიდან აღნიშვნის ღირსია სტატია „სამხრეთ საქართველოს მაჰმადიანი მოსახლეობა: რეპატრიაციის გამოწვევები“. სადაც ის განიხილავს რეპატრიაციის სხვადასხვა ასპექტებს. ის ასევე განმარტავს ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას რეპატრიაციის პროცესის მიმართ და გვთავაზობს მესხური პრობლემის გადაჭრის გზებს.


ქართველ რეპატრიანტთა კავშირმა¹¹⁹ გამოაქვეყნა ნაშრომი „მესხი რეპატრიანტების ინტეგრაცია საქართველოში“. ეს ნაშრომი არის მესხი რეპატრიანტების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის მოკლე ანალიზი, რომელიც განხორციელებულია მესხი რეპატრიანტების შესახებ არსებული კომპიუტერული მონაცემების საფუძველზე. ამიტომაც ის შეიცავს ძალზედ მნიშვნელოვან სტატისტიკურ მონაცემებს მესხი რეპატრიანტების შესახებ, როგორც არის, მაგალითად, მათი საცხოვრებელი ადგილი, დაბადების ადგილი, გენდერულ-ასაკობრივი სტრუქტურა, ოჯახური მდგომარეობა და ა.შ.

როგორც ზემოთ უკვე იყო ნახსენები, მესხური პრობლემის შესახებ ლიტერატურის სიმრავლის მიუხედავად, არ არსებობს დეპორტირებული მესხი მოსახლეობის საქართველოში რეპატრიაციისა და რეინტეგრაციის პრობლემების დეტალური და სიღრმისეული ანალიზი. ინფორმაცია რეპატრიაციისა და რეინტეგრაციის პრობლემების შესახებ უმეტესწილად მოპოვებულ იქნა ემპირიული კვლევის საშუალებით.

2. მესხური პრობლემის ისტორიული მიმოხილვა

2.1. ეთნო-ისტორიული პროცესები მესხეთში XIX საუკუნის დასაწყისამდე

მესხეთი საქართველოს ისტორიული პროვინციაა, რომელიც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. მესხეთი, როგორც სასაზღვრო ზონა, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ხშირად ექცეოდა მეზობელი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ, რაც იწვევდა მესხთა განსახლების არეალის თანდათანობით შევიწროებას. ეს რეგიონი თავდაპირველად დიდი იყო. ისტორიული მესხეთი შედგებოდა მდინარე მტკვრისა და ჭოროხის აუზში მდებარე შემდეგი პროვინციებისაგან: სამცხე, ჯავახეთი, კოლა, არტაანი, შავშეთი, ერუშეთი, კლარჯეთი, აჭარა, იმერხევი,



მესხეთი მე-XIII-XIV საუკუნეებში

ტაო, აბოცი, სპერი, თორთომი, ჭანეთი (ლაზეთი) და ბასიანი. მესხეთის საზღვრები გადაჭიმული იყო ბორჯომიდან ერზრუმამდე⁵⁸. მისი ტერიტორია მოიცავდა ფართობს – 34.230 კმ². აღნიშნული ტერიტორიიდან საქართველოს საზღვრებში ამჟამად შედის მხოლოდ მცირე ნაწილი – 7.115 კმ² (21%). მისი უდიდესი ნაწილი (79%), 27.115 კმ² თურქეთს ეკუთვნის.

მესხეთის აბორიგენი ხალხია მესხები, რომლებიც არიან უძველესი ქართველი ტომების მეშეხებისა (მოგვიანებით მკვიდრდება ტერმინი მოსხები) და მოსინიკების შთამომავალი (რომლებიც ასევე ცნობილი იყვნენ შემდეგი ტერმინებით Meshekhs/Mosokhs – ბიბლიაში მესხების აღმნიშვნელი სახელწოდება, Mushki – ასურულ ლურსმნულ წყაროებში მოხსენებული ტერმინი, Moschoi, Moskhs – ბერძნულ-რომაულ ტექსტებში გამოყენებული ტერმინი). ისინი არ მიეკუთვნებოდნენ ინდო-ევროპული და სემიტური ტომების ჯგუფს, მცირე აზიის მკვიდრ, აბორიგენ მოსახლეობას შეადგენდნენ და ცხოვრობდნენ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ძველი წელთაღრიცხვის II-I ათასწლეულში მესხურ ტომებს მალაღგანვითარებული კულტურა ჰქონდათ. ისინი რკინის მეტალურგიის ფუძემდებლებად არიან მიჩნეულნი. ასირიულ წყაროებში ხშირად მოიხსენიება მუშქების ძლიერი ტომი, რომლებიც მათ ჩრდილოეთიდან უქმნიდა საფრთხეს და ხშირად ეომებოდა⁵⁹.

ჩვ. წ-ალ-მდე II ათასწლეულიდან VIII საუკუნემდე მესხეთი შედიოდა ქართული სახელმწიფოს, დიაოხის შემადგენლობაში. მას ხშირი ბრძოლები უწევდა მეზობელი სახელმწიფოების – ურარტუსა და კოლხეთის წინააღმდეგ. ურარტუს ისტორიულ წყაროებში ქართველთა ეს გაერთიანება მოხსენიებულია, როგორც „დიაოხი“. შემდეგ ბერძნებმა მათ უწოდეს „ტაოხები“. საქართველოს ისტორიული პროვინციის სახელწოდება ტაო, ამ გაერთიანების, დიაოხის სახელიდანაა წარმოშობილი¹³. ჩვ. წ-ალ-მდე VIII საუკუნე-


ში ურარტუსა და კოლხეთის განუწყვეტელმა შემოსევებმა გაანადგურა დიაოხი. კოლხეთის სახელმწიფომ დაიკავა მისი ტერიტორია და დაუმეზობლდა ურარტუს, რის შემდეგაც გახშირდა ბრძოლები ამ ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის. ურარტუს წინააღმდეგ ბრძოლამ და კიმერიელების მომთაბარე ტომების შემოსევებმა ჩრდილოეთ კავკასიიდან, დაასუსტა ერთ დროს ძლიერი კოლხას სამეფო. ჩვ. წ-აღმდე IV საუკუნეში ის ქართული სამეფოს, იბერიის გავლენის ქვეშ მოექცა².

ჩვ. წ-აღმდე IV საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე მესხეთი შედიოდა იბერიის სამეფოს შემადგენლობაში. მესხური ტომების გარკვეული ნაწილის მიგრაცია მოხდა ქართლში. ამ პროცესმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართველი ერის ფორმირებაში და ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. მესხური ტომები თვით ძველი საქართველოს დედაქალაქის, მცხეთის დამაარსებლად არიან მიჩნეულნი, რაც ლიტერატურულად მესხთა ქალაქს ნიშნავს². მესხური ტომების გადამწყვეტი როლი ქართული ერის ფორმირებაში ეჭვს არ იწვევს. დაღესტნური ტომები დღემდე იყენებენ სახელწოდება „მესხებს“ მთელი ქართველი ერის აღსანიშნავად⁵⁶. ანტიკური ხანისა და თანამედროვე ისტორიკოსებიც თვლიან მუშქებს/მოსხებს ქართველი ხალხის წინაპრებად.

მესხეთი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ხშირად ექცეოდა მეზობელი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ. ჩვ. წ-აღმდე I და II საუკუნეებში, სომხური სახელმწიფოს ექსპანსიის შედეგად, ის დროებით სომხეთის შემადგენლობაში მოექცა. ბერძენი გეოგრაფისა და ისტორიკოსის, სტრაბონის ცნობით, ჩვ. წ-აღმდე II საუკუნეში სომხეთის სახელმწიფო საგრძნობლად გაძლიერდა და დაიწყო გაფართოება ქართული მიწების ხარჯზე. სომხეთმა დაიპყრო იბერიის ტერიტორიის ნახევარზე მეტი, ძირითადად სამხრეთი, სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინციები – პარიადრე, ხორზენე და

გოგარენე⁴⁸. ჩვ. წ-ალ-ის I-II საუკუნეებში, ქართული სამეფოს სიძლიერის დროს, ეს ტერიტორია განთავისუფლებულ იქნა სომხური ბატონობისგან და ისევ ქართული სახელმწიფოს იურისდიქციაში მოექცა. ქართული სამეფოს საზღვრების მოდიფიკაცია გაგრძელდა შემდეგ საუკუნეებშიც და საქართველოს სამხრეთ საზღვარი ხშირად იცვლებოდა სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს ცვალებადობასთან ერთად¹¹².

ქრისტიანული რელიგიის ქადაგების პროცესი საქართველოში დაიწყო I საუკუნეში. მესხეთი როგორც სასაზღვრო რეგიონი საქართველოს პირველი პროვინცია იყო, სადაც ქრისტიანული რელიგიის გავრცელება დაიწყო²⁵. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება IV საუკუნეში მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა იყო, რამაც სტიმული მისცა ქართველი ერის კონსოლიდირების პროცესს. ქრისტიანობამ გადაძვევები როლი ითამაშა საქართველოს გაერთიანებაში. მან ასევე დიდი გავლენა მოახდინა ქართული



იბერიის ტერიტორიები მიტაცებული მეზობელი სახელმწიფოების მიერ

კულტურის, ლიტერატურის და საზოგადოების განვითარებაში. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ უამრავი მონასტერი დაარსდა მესხეთში, რამაც ეს მხარე საქართველოს კულტურულ ცენტრად აქცია.

ქრისტიანობის გავრცელებამ კავკასიაში ირანის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რის გამოც გაძლიერდა ირანის აგრესია კავკასიელი ხალხის მიმართ. სპარსეთი დიდი ძალისხმევით ცდილობდა ქრისტიანობის აღმოფხვრას და საკუთარი რელიგიის, ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელებას კავკასიაში. IV, V და VI საუკუნის ბოლო წლებამდე, იბერია სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა სპარსეთის მმართველების ყველა მცდელობა ქრისტიანობის აღმოფხვრისა იბერიაში კრახით დასრულდა⁵⁰.

VII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო არაბებმა დაიპყრეს. არაბების ბატონობამ განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა მესხეთს. ქართული და უცხოური ისტორიული წყაროები ხშირად აღწერენ არაბების სისასტიკეს. არაბი სარდლის მურვან იბნ-მუჰამედის (ქართველმა ხალხმა დიდი სისასტიკის გამო მას ყრუ უწოდა) შემოსევებმა 735-737 წლებში სასტიკად დააზარალა მთელი საქართველო და ასევე მესხეთიც. არაბებმა დაანგრეს და მიწასთან გაასწორეს მესხეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ცენტრი, უძველესი ქალაქი ოძრხე⁵². XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის თქმით, მურვან ყრუს შემოსევების შემდეგ „არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა ყოვლადვე“⁵⁰. ამას დამატა შავი ჭირი, რომელიც საქართველოში საბერძნეთიდან გავრცელდა და მესხეთის მოსახლეობა მკვეთრად შეამცირა. VIII საუკუნის ბოლოს მესხეთი გაუკაცრიელებული რეგიონი იყო. როცა ცნობილი სასულიერო პირი, გრიგოლ ხანძთელი მესხეთში ჩავიდა, ამ რეგიონის უდიდესი ნაწილი დანგრეული, უდაბნოდ ქცეული და დაცარიელებული იყო. მიუხედავად ამისა მან შესძლო, რომ მესხეთი საქართველოს

კულტურულ ცენტრად ექცია და ამ მხარეში უამრავი ეკლესია-მონასტრები დააარსა. მერვე საუკუნეში ახალი მოსახლეები გადმოვიდნენ ქართლიდან და ხელახლა დაასახლეს ეს მხარე⁹.

ამავე პერიოდში, არაბებთან ბრძოლაში დამარცხდა აშოტ I ბაგრატიონი, რომელიც კლარჯეთში გაიქცა, სადაც მან დააარსა ტაო-კლარჯეთის სამთავრო. ეს სამთავრო თანდათანობით გაიზარდა, რომელიც მოიცავდა არა მარტო მესხეთის ისტორიულ პროვინციებს, არამედ ასევე ბიზანტიის ტერიტორიებს. აშოტ პირველმა ქალაქი არტანუჯი თავისი სამთავროს პოლიტიკურ ცენტრად და დედაქალაქად აქცია⁵⁰. პოლიტიკურმა ცენტრმა ქართლიდან ტაო-კლარჯეთში გადაინაცვლა. აშოტ პირველმა კლარჯეთიდან არაბების წინააღმდეგ გააგრძელა ბრძოლა ქართული მიწების გასანთავისუფლებლად. IX-XI საუკუნეებში მესხეთი, ასევე ცნობილი როგორც ტაო-კლარჯეთი, ბაგრატიონთა დინასტიის მიერ იმართებოდა²⁵. ბაგრატიონთა დინასტია წარმოიშვა ძველი მესხური ქალაქიდან სპერიდან (დღევანდელი ისპირი). ამ დინასტიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა 1008 წელს ქართული სამთავროების გაერთიანების და ერთიან ქართულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საქმეში²³. ბაგრატ III-ის მიერ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლის და აფხაზეთის) გაერთიანება ისტორიული მოვლენა იყო, რამაც კავკასიაში ქართული სახელმწიფოს ექსპანსიისთვის საჭირო ნიადაგი მოამზადა⁵⁰.

ბაგრატიონთა დინასტიამ საფუძველი ჩაუყარა ძლიერ და ერთიან საქართველოს, რომელიც დავით IV-ის მეფობის ხანაში გადაიქცა ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ. დავით აღმაშენებლის მემკვიდრეებმა საქართველოს საზღვრების გაფართოება გააგრძელეს მეზობელი სამთავროების და კავკასიელი ხალხის დამორჩილების ხარჯზე. საქართველოს ძლიერებამ თავის პიკს თამარ მეფის მეფობის ხანაში მიაღწია, როდესაც საქართველო მთელ ამიერკავ-

კასიას აკონტროლებდა. ამას გარდა, ჩრდილოეთ კავკასიელი ტომები და მეზობელი მუსულმანური სამთავროები საქართველოს გავლენის სფეროებად ითვლებოდა. ამიტომაც XII და XIII საუკუნეები საქართველოს ოქროს ხანად არის მიჩნეული¹³³.


ამრიგად, X-XV საუკუნეებში მესხეთი გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული რეგიონი იყო არა მარტო პოლიტიკური, არამედ ასევე კულტურული თვალსაზრისით. მესხეთმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართული კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებაში. მან ასევე ბევრი ცნობილი ადამიანი მისცა გაერთიანებულ საქართველოს. თამარ მეფის მეფობის ხანაში, როდესაც საქართველო იყო კავკასიის უძლიერესი სახელმწიფო, ცნობილი მესხი მწერლის, შოთა რუსთაველის მიერ დაიწერა მსოფლიო შედევრი „ვეფხისტყაოსანი“. XI-XIV საუკუნეებში მესხეთი



საქართველო მე-XIII საუკუნის დამდგმს

საქართველოს ყველაზე დიდი პროვინცია იყო და წამყვანი როლი ეკავა ქართულ პროვინციებს შორის⁵².

კავკასიაში თათარ-მონღოლების გამოჩენის შემდეგ, ოქროს ხანა მალე დასრულდა და სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. თათარ-მონღოლების შემოსევებმა XIII საუკუნეში და თემურ ლენგის ლაშქრობებმა XIV საუკუნეში გააჩანაგეს საქართველო და მისი სამხრეთი პროვინცია – მესხეთი. ამ შემოსევებმა გამოიწვიეს ქვეყნის სრული დეზინტეგრაცია. 1386-1403 წლებში საქართველომ გადაიტანა თემურ ლენგის რვა შემოსევა. ამ შემოსევებმა დიდი ზიანი მოუტანა განსაკუთრებით მესხეთს. მისი პროვინციები ჯავახეთი, კოლა-არტაანი, სამცხე და ტაო მიწასთან იყო გასწორებული. თემულ ლენგმა „აღაოხრა ქუეყანა და ამოსწყვიტა მრავალი სული“⁵¹. საქართველოს მოსახლეობა მეტისმეტად შემცირდა და ქვეყნის ეკონომიკა გაჩანაგდა შემოსევების შედეგად. 700-ზე მეტი სოფელი მთლიანად განადგურდა და გაუდაბურდა⁵⁵.



საქართველო მე-XV საუკუნის ბოლოს

მათი აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო პერმანენტული შემოსევებისა და ომების გამო. XV საუკუნიდან დაიწყო დასუსტებული და დაძაბუნებული ქვეყნის დაშლის პროცესი. მეფის ცენტრალური ხელისუფლება საგრძნობლად დასუსტდა და მეფე თავისი ტერიტორიების უმეტეს ნაწილს ვეღარ აკონტროლებდა. მეფის ძალაუფლების დასუსტებამ დააჩქარა საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად. ქართული პროვინციების სხვადასხვა მმართველებმა მოიპოვეს სრული დამოუკიდებლობა ცენტრალური ხელისუფლებისაგან და ქვეყნის დეზინტეგრაციას შეუწყვეს ხელი. გაერთიანებული საქართველოს ბოლო მეფემ, გიორგი მერვემ ვერ მოახერხა თავისი სამეფოს დეზინტეგრაციის პროცესის შეჩერება და ქვეყნის გაერთიანება, ვინაიდან ის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა ქართველი ფეოდალების მხრიდან, განსაკუთრებით სამცხე-საათაბაგოს მთავრისგან, ყვარყვარე ჯაყელისგან. საქართველოს გაერთიანების ყველა მცდელობა კრახით დამთავრდა და ქართული სახელმწიფო მალე დაიშალა სამეფო-სამთავროებად²³.

პატარა ქართული სამეფო-სამთავროები უცხო სახელმწიფოების შემოსევების მუდმივი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. საფრთხე განსაკუთრებით გაიზარდა სამცხე-საათაბაგოს პატარა სამთავროსთვის, ვინაიდან ის როგორც სასაზღვრო რეგიონი უფრო მეტ დარტყმებს განიცდიდა მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან. მას არ შეეძლო შეეჩერებინა მისი ძლიერი მეზობლების, თურქეთისა და ირანის ექსპანსია. XV საუკუნის შუა ხანებში ოსმალეთის იმპერიამ მოახერხა ტრაპიზონისა და ბიზანტიის იმპერიის შთანთქმა და საგრძნობლად გაძლიერდა. ირანი, რომელიც რვა საუკუნის განმავლობაში დაშლილი იყო, ასევე ძლიერი სახელმწიფო გახდა. როცა ირანი დაშლილი იყო, ის საქართველოსთვის სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენდა, მაგრამ XVI საუკუნის დასაწყისში (1502 წელს) ის კვლავ გაერთიანდა სეფიანთა დინასტიის მმართველობის პერიოდში და დაიწყო კავკასიისკენ ექსპანსია¹⁰⁵. როდესაც, ვენასთან

განცდილი მარცხის გამო, ოსმალეთის იმპერიის დასავლეთის მიმართულებით გაფართოება შეჩერდა 1529 წელს, თურქეთის სულთნებმა ყურადღება იმპერიის აღმოსავლეთით ექსპანსიაზე გადაიტანეს, რაც ნიშნავდა ირანთან კონფრონტაციას²⁶. XVI და XVII საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთის ეს ორი სუპერსახელმწიფო გამოდებით ეომებოდა ერთმანეთს კავკასიაში გავლენის მოსაპოვებლად. XVI საუკუნის დასასრულს სამხედრო უპირატესობა თურქეთის მხარეს იყო. 1555 წელს თურქეთმა და ირანმა ხელი მოაწერეს ამასიის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც დაადგინეს გავლენის სფეროები კავკასიაში. მეომარი მხარეები შეთანხმდნენ საქართველო შუაზე გაეყოთ. დასავლეთ საქართველო და მესხეთის დასავლეთი ნაწილი თურქეთის გავლენის სფერო გახდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო და სამცხე-ჯავახეთი ირანს ერგო⁵².

თურქეთი არ იყო კმაყოფილი ამასიის ზავით, ვინაიდან მას სურდა მთელი მესხეთისა და ამიერკავკასიის გაკონტროლება მცირე აზიის თურქულ ტომებთან კონტაქტის დასამყარებლად²⁵. ამიტომაც მან დაარღვია საზავო ხელშეკრულება და ირანს ომი გამოუცხადა. 1578 წელს ჩილდირთან ბრძოლაში თურქებმა დაამარცხეს სპარსელები. ოსმალეთის სამხედრო ძალებმა დაიკავეს ჩილდირის, თმოგვის, ხერთვისისა და ახალქალაქის ციხეები⁶⁶. 1590 წელს ირანმა სამშვიდობო ხელშეკრულება დადო თურქეთთან, რომლის მიხედვითაც მან მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია თურქეთს გადასცა. ამ ხელშეკრულების თანახმად მესხეთი თურქეთის შემადგენლობაში გადავიდა და ეს მხარე ოსმალეთის იმპერიის პროვინცია გახდა²³.

მესხეთი ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული გახდა, რომელსაც გურჯისტანის ვილაიეთი ეწოდა. ამ პერიოდიდან იწყება მესხების გამაჰმადიანების პროცესი. თურქული მომთაბარე ტომების შემოსვლას თან სდევდა ისლამის გავრცელება მესხეთში. ამასთანავე მიწათმფლობელობის ოსმალური წესის შემოღებამ დააჩქარა ამ

მხარის ისლამიზაცია. მიწათმფლობელობის ოსმალური წესის მიხედვით მხოლოდ მაჰმადიან სამხედრო მოსამსახურეს შეეძლო მიწის ფლობა⁷. ქართველ მიწათმფლობელს ორი არჩევანი ჰქონდა – ან გამაჰმადიანებულიყო, ემსახურა თურქეთის ჯარში და შეენარჩუნებინა საკუთრება, ან უარი ეთქვა საკუთარ მიწებზე და დაეტოვებინა მესხეთი. თავადაზნაურობის ნაწილმა მიიღო ისლამი, რათა შეენარჩუნებინა ქონება და იმავე პრივილეგიებით ესარგებლა, რითაც სარგებლობდა ოსმალეთის იმპერიის მაჰმადიანი მოსახლეობა. გამაჰმადიანება ზრდიდა ქართველი თავადაზნაურების დაწინაურების შანსს ოსმალეთის იმპერიაში. ამასთანავე გამაჰმადიანება ათავისუფლებდა მათ გადასახადებისაგან¹³⁴. ამრიგად, მიწათმფლობელობის ოსმალური წესის შემოღებამ ხელსაყრელი ნიადაგი მოამზადა ისლამის გასავრცელებლად მესხეთში. რადგან იმ დროს რელიგია ითვლებოდა ეთნიკური იდენტობის მთავარ ინდიკატორად, გამაჰმადიანების პროცესს თან სდევდა გათურქების პროცესი.

მესხეთის ბოლო ქრისტიანი მმართველი იყო მანუჩარ III (1614-1624), რომელმაც მარაბდის ბრძოლაში ქართველების მხარდამხარ იბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მან თურქეთის ქვეშევრდომობა აღიარა, მანუჩარი ქართულ ტრადიციებს არ ღალატობდა და მჭიდრო კავშირები ჰქონდა ქართულ სამეფო-სამთავროებთან⁵². ამის გამო ის თურქეთის სულთნის ლოიალურ ქვეშევრდომად არ ითვლებოდა. თურქებმა მანუჩარის თავიდან მოცილება გადაწყვიტეს. ამ პრობლემის გადაჭრა აღვილად მოახერხეს. ის მოწამლა საკუთარმა ბიძამ, ბექა ჯაყელმა, რომელიც სტამბოლში ჩავიდა, გამაჰმადიანდა და მესხეთის მთავარი გახდა. გამაჰმადიანების შემდეგ ბექა ჯაყელის შთამომავლები თითქმის უცვლელად ფლობდნენ ფაშას ტიტულს. ფაშას ტიტული მათ მემკვიდრეობით გადაეცემოდათ, ანუ იყვნენ თითქმის უცვლელი ფაშები 1829 წლამდე, ახალციხის საფაშოს გაუქმებამდე. მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმაც

მიიღო ისლამი¹³¹. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა კი ქვეყანა დატოვა და საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებს შეაფარა თავი, რათა თავიდან აეცილებინათ გამაჰმადიანება. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ხშირად მოიხსენიება მოსახლეობისაგან მიტოვებული სოფლები. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, სამცხე-საათაბაგოში სულ 1160 სოფელი იყო. ამ 1160 სოფლიდან, 368 მთლიანად დაცარიელებული ყოფილა მოსახლეობისაგან¹³⁴. მათ, ვინც მესხეთში დარჩენა გადაწყვიტა, შეძლო ქრისტიანობის შენარჩუნება, კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასვლის ხარჯზე. კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცეულები მოიხსენიებოდნენ როგორც „ფრანგები“, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ყველა დასავლელი ევროპელის აღმნიშვნელი საერთო სახელწოდება იყო. კათოლიკე მესხები, რომლებიც დღესაც არიან მესხეთში, ისევ „ფრანგებს“ უწოდებენ საკუთარ თავს¹⁰⁵.

თურქული მომთაბარე ტომების მიგრაციამ მესხეთში მნიშვნელოვნად ვერ შეცვალა ამ მხარის ეთნიკური სტრუქტურა. თურქეთის სულთნების ინიციატივით სამცხე-საათაბაგოში სახლდებოდნენ თურქული, თურქმენული და ქურთი მომთაბარე ტომები, რაც მიზნად ისახავდა მესხეთის გათურქების დაჩქარებას²⁶. ჩრდილოეთ კავკასიური ტომები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ მონებით ვაჭრობაში, ასევე სახლდებიან მესხეთში. მიუხედავად იმისა, რომ ხდებოდა ამ ტომების მიგრაცია მესხეთში, ქართველები მაინც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ და ჩამოსახლებული ტომები უმცირესობაში რჩებოდნენ⁶². თურქული ტომების მიგრაციას მესხეთში არ მიუღია მასიური ხასიათი და მესხეთის გათურქების პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობდა. მესხეთის ტოპონიმიკისა და მესხეთის ონომასტიკური ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ენა უფრო ფართოდ იყო გავრცელებული მესხეთის მოსახლეობაში, ვიდრე სხვა ენები. ქართული ენის უფრო დომინანტური პო-

ზიციის დამადასტურებელი საბუთია, ასევე, იმ დასახლებების სახელები, სადაც მაჰმადიანი მესხები შუა აზიაში გადასახლებამდე ცხოვრობდნენ. თითქმის ყველა დასახლებას, გარდა რამოდენიმე გამონაკლისისა, ქართული სახელი აქვს: კლდე, იდუმალა, ტყემლანა, ზეუბანი, ტატანისი, კიკინეთი, კოპაძე, ტობა, ანდრიაწმინდა, გიორგიწმინდა, მიქელწმინდა, მლაშე, წრე, წინუბანი, გორთუბანი, ციხისუბანი, საირმე, ზელუბანი და ა.შ.¹⁷. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ არ მოხდა ჩამოსახლებული ტომების მიერ სახელების დარქმევა საკუთარი დასახლებებისათვის, რაც ხშირად ხდება, როცა მიგრაციის შედეგად ერთი ენა იცვლება მეორეთი. მესხური ტოპონიმის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ქართულ ენას დომინანტური პოზიცია ეკავა მესხეთში და მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ¹³⁵. 1590 წელს, მესხეთის დაპყრობის შემდეგ, ამ მხარეში ოსმალეთის ხელისუფლებამ ჩაატარა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ამ აღწერის მონაცემებით მათ შექმნეს ხელნაწერი, რომელსაც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ უწოდეს („Defteri Mufassal Vilayeti Gürcüstan“). ეს დოკუმენტი შეიცავს ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის რაოდენობისა და ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. ამ დოკუმენტის ონომასტიკური ანალიზის შედეგად დგინდება, რომ სამცხე-საათაბაგო თითქმის მთლიანად დასახლებული ყოფილა ქართველებით⁶⁴. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, მესხეთის მოსახლეობა 12.738 კომლისაგან შედგებოდა, რომელთაგან 12.339 კომლი ეთნიკური ქართველი (მართლმადიდებელი ქრისტიანი) იყო⁴³. ამ დოკუმენტით ირკვევა, რომ მე-XVI საუკუნის ბოლოს მესხეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ და ჩამოსახლებული მოსახლეობა უმცირესობაში რჩებოდა. თურქებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ სამცხე-საათაბაგო ძირძველი ქართული მიწა იყო და ამიტომაც უწოდეს მას „გურჯისტანის ვილაიეთი“.

ცნობილი ოსმალთა მოგზაური, ევლია ჩელები ეწვია მესხეთს XVII საუკუნეში და თავის „მოგზაურობის წიგნში“ აღწერა ამ მხარის ციხეები და ხალხი. ევლია ჩელები ასევე განთქმულია იმით, რომ მოგზაურობის დროს იწერდა თითოეული მხარისათვის დამახასიათებელ მეტყველებების ნიმუშებს. მისი წიგნი შეიცავს ასევე ძველ ქართულ სიტყვებს და ფრაზებს, რომლებსაც მესხები იყენებდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში⁴¹. მისი აზრით, მესხეთის ყველა მცხოვრები ქართულად ლაპარაკობდა. მიუხედავად იმისა, რომ XVIII და XIX საუკუნეებში მდგომარეობა შეიცვალა და თურქული ტომების რიცხვმა იმატა მესხეთში, ქართველები მაინც მესხეთის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ. ამას ადასტურებენ ევროპელი მკვლევარები და მეცნიერები, რომლებმაც კავკასიაში იმოგზაურეს და საქართველოს მოსახლეობა და რეგიონები შეისწავლეს. მაგალითად, გერმანელმა მეცნიერმა, ეთნოგრაფმა და ისტორიკოსმა, იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა (1745-1781) ოთხნახევარი წელი დაჰყო საქართველოში და საფუძვლიანად შეისწავლა მისი ისტორია, ბუნებრივი რესურსები, ტოპონიმთა და მოსახლეობის წეს-ჩვეულებანი. მისი ნაშრომი, „მოგზაურობა კავკასიაში“ ითვლება უაღრესად ავტორიტეტულ გამოკვლევად, რომელიც ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის მესხეთის (ზემო ქართლის) ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. როგორც ის აცხადებს, მესხეთის (ზემო ქართლის) „მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველია და, რადგან თურქებმა მათ დაუტოვეს ეკლესიები, უმეტესობა ჯერ კიდევ ქრისტიანია. მცირე რაოდენობა გამაჰმადიანდა, მათ შორის ყველა თავადი და აზნაურთა უმეტესობა. ქართველთა შორის ბევრი თურქია, ამიტომ ლაპარაკობენ ქართულადაც და თათრულადაც, მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად ქართული ენა გამოიყენება“⁴¹. XVIII საუკუნეში ახალციხის მაზრის მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობას ქართული გვარები ჰქონდა²⁴. რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწე-

რებითაც ირკვევა, რომ ქართველები სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ თურქული მესხეთის ოფიციალურ ენად იქნა გამოცხადებული და თურქული წეს-ჩვეულებების გავრცელება ინტენსიურად ხდებოდა ამ მხარეში, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სახლში მაინც ქართულად ლაპარაკობდა, ქართული ტრადიციებისა და ქრისტიანული რელიგიის მიმდევარი მაინც რჩებოდა. ამის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1758): „მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი და გლეხნი ქრისტიანენი... ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. განა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თვისთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე. სამოსლით მოსილნი არიან წარჩინებულნი და მოჰმადიანნი, ვითარცა ოსმალნი და ქრისტიანენი, ვითარცა ბერძენნი...“⁴³. ქართული, როგორც სალაპარაკო ენა, დიდ ხანს იქნა შენარჩუნებული მესხეთში. თუმცა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის უმრავლესობა გამაჰმადიანდა და გათურქდა, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ორენოვანი რჩებოდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე¹⁰⁵. ისლამიზაციისა და გამაჰმადიანების პროცესი, რომელიც XVII საუკუნეში დაიწყო, საუკუნეები გრძელდებოდა მესხეთში და სრულყოფილად XVIII საუკუნეშიც კი არ იყო დასრულებული. უმეტესწილად თავადაზნაურობამ მიიღო ისლამი, ხოლო გლეხობა დიდი ხანი ქრისტიანულ სარწმუნოებას ინარჩუნებდა. XVIII საუკუნიდან იწყება გლეხობის გამაჰმადიანების პროცესი³⁷. XIX საუკუნეში მესხეთში ისლამიზაციის პროცესი დასრულებულია და მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გამაჰმადიანებულია. თურქულენოვანი მოსახლეობის გაზრდა ხდებოდა არა იმდენად თურქული ტომების მიგრაციის ხარჯზე, რამდენადაც ადგილობრივი ქართული მოსახლეობის გამაჰმადიანებისა და გათურქების შედეგად.

თუმცა მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ისლამი მიიღო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ამ მხარეში მცხოვრებმა ყველა გამაჰმადიანებულმა ქართველმა დაკარგა თავისი ეროვნება¹. თურქულმა ბატონობამ რადიკალურად შეცვალა მესხეთის რელიგიური შემადგენლობა, მაგრამ ამ პროცესმა ვერ შეძლო ქართული ეთნიკური ჯგუფის დომინანტური პოზიციის აღმოფხვრა მესხეთში, ვინაიდან მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა შეძლო ქართული ენის, ქართული გვარებისა და ქართული ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება. XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში ფრანგი მოგზაური დიბუა დე მონპერე აღნიშნავდა, რომ ახალციხის საფაშოში თურქებად მიჩნეული მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გამაჰმადიანებული ქართველი იყო და მათ შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული ენა, ქართული გვარები და ზნე-ჩვეულებანი⁴³.

მესხეთის განთავისუფლებაზე და მისი საქართველოს ფარგლებში დაბრუნებაზე ფიქრი ქართველ მეფეებს არასოდეს არ შეუწყვიტავთ. ერეკლე II აქტიურად მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომებში 1768-74 და 1787-92 წლებში და იმედოვნებდა, რომ მისი აქტიური მონაწილეობა ამ ომებში მას საშუალებას მისცემდა აღედგინა კონტროლი სამხრეთ საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებზე. ერეკლე II ხშირად მოუწოდებდა რუსეთის ხელისუფლებას, რომ გაენთავისუფლებინა მესხეთი თურქული უღლისგან. 1771 წელს ქართველი მეფე ეკატერინე მეორეს სწერდა: „არ დაშთეს დაუპყრობლად ქვეყანა ახალციხისა, რომელიც ჩვენი ადგილი იყო, და თუ შერიგება იქნება, მაშინაც თურქის სახელმწიფოდ არ დაშთეს, არამედ გამოერთვას, რადგან საქართველოს მიწა არის და მრავალნი ქრისტიანენი არიან მას შინა, და ყოველ წელიწადს მძლავრებით მახმადიანად მრავალს გარდაატყვევენ“⁴⁰. როდესაც ერეკლემ 1783 წელს ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს, ის იმედოვნებდა, რომ რუსეთთან ალიანსი დააჩქარებდა მესხეთის განთავისუფ-

ლების პროცესს. გეორგიევსკის ტრაქტატის მეოთხე მუხლის მიხედვით რუსეთის იმპერიამ აიღო ვალდებულება, რომ დაეხმარებოდა საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში⁴⁰. ამასთანავე რუსეთი პირობას იძლეოდა, რომ სამხედრო დახმარებას გაუწევდა საქართველოს. ერეკლე II-ს სწამდა, რომ რუსული პროტექციის წყალობით ის შეძლებდა საკუთარი მიზნის მიღწევას: გააერთიანებდა საქართველოს, მესხეთს კვლავ საქართველოს საზღვრებში მოაქცევდა და აღკვეთდა ლეკების თარეშს მის სამეფოში⁴⁰. მაგრამ სამხედრო დახმარების ვალდებულება რუსეთს არასოდეს შეუსრულებია. რუსეთი ხშირად არ ასრულებდა გეორგიევსკის ტრაქტატში ნაკისრ ვალდებულებებს. როდესაც 1787 წელს რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო, რუსეთმა გამოიყვანა თავისი ჯარი საქართველოდან და ერეკლეს სამეფო ფაქტიურად დაუცველი დატოვა. რუსეთმა არაფერი არ მოიმოქმედა საქართველოს დასახმარებლად 1795 წელს კრწანისის ბრძოლის დროსაც, როდესაც სპარსეთის შაჰმა ალა-მაჰმად ხანმა ააოხრა და მთლიანად დაანგრია საქართველოს დედაქალაქი თბილისი. გეორგიევსკის ტრაქტატმა არანაირი მოკლევადიანი სარგებელი არ მოუტანა საქართველოს, პირიქით მან გაამძაფრა მეზობელი მუსულმანი სახელმწიფოების აგრესია საქართველოს მიმართ. რუსეთ-საქართველოს ალიანსმა თურქეთის უკმაყოფილებაც გამოიწვია, ვინაიდან ამ ალიანსს ის საფრთხედ აღიქვამდა. ამის გამო თურქეთის სულთანმა გააძლიერა ჩრდილოეთ კავკასიელი ტომების თავდასხმები საქართველოზე²³. ჩრდილოეთ კავკასიელ ტომთათვის ახალციხის საფაშო გადაიქცა საქართველოზე თავდასხმის ბაზად. ლეკი მოროდორები და ყაჩაღები ინტენსიურად გამოიყენებოდნენ საქართველოს საძარცვავად. რუსეთმა არაფერი იღონა ლეკიანობის აღმოსაფხვრელად. ლეკთა თავდასხმები ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. თუმცა თავდასხმები მცირე მასშტაბის იყო, ლეკების წვრილ-წვრილი თავდასხმები ისე

ხშირად ხორციელდებოდა, რომ ის მაინც დიდ ზიანს აყენებდა ქვეყანას, განსაკუთრებით კი საზღვრისპირა დასახლებებს⁴⁶. ის ასევე იწვევდა დემოგრაფიულ კრიზისს ქვეყანაში. თუ თავდაპირველად თავდასხმები მცირე მასშტაბის იყო, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან წვრილ-წვრილი თავდასხმები კარგად ორგანიზებულმა, მსხვილი მასშტაბის შემოსევებმა შეცვალა. საქართველოში მყოფ რუსეთის მცირერიცხოვან არმიას არ შეეძლო ქვეყანა დაეცვა ამ თავდასხმებისაგან. 1785 და 1787 წელს ომარ ხანი ორჯერ თავს დაესხა კახეთს და გააჩანაგა საზღვრისპირა სოფლები. ომარ ხანის ლაშქარმა ასევე დაანგრია ახტალის მადნები. ერეკლე II იძულებული გახდა ომარ ხანისთვის ხარკი ეხადა⁴⁷. ერეკლე II-ის იმედები არ გამართლდა, რუსეთი არასაიმედო მოკავშირე აღმოჩნდა.

2.2. რუსული ბატონობის გავლენა მესხეთზე

თურქულმა ბატონობამ მესხეთში ორ საუკუნეზე მეტ ხანს გასტანა, რომელიც დასრულდა მხოლოდ კავკასიაში რუსების გამოჩენის შემდეგ. 1801 წელს რუსეთმა დაიწყო იმპერიის ტერიტორიების გაფართოება სამხრეთის მიმართულებით, რამაც თურქეთთან ომი გამოიწვია. 1828-1829 წლებში რუსეთმა მოახერხა თურქეთის დამარცხება და, ადრიანოპოლის სამშვიდობო ზავის თანახმად, მიიერთა მესხეთის ჩრდილოეთი ნაწილი, სამცხე-ჯავახეთი.

დიდი იყო იმედი იმისა, რომ მესხეთის განთავისუფლება თურქული ბატონობისაგან შეაჩერებდა ისლამის გავრცელებისა და გამაჰმადიანების პროცესს მესხეთში, მაგრამ სრულიად საპირისპირო რამ მოხდა. რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციამ ხელსაყრელი პირობები შექმნა მაჰმადიანი მესხების გათურქებისათვის: მან მესხეთის ადგილობრივი მოსახლეობისათვის გახსნა თურქული საერო და მუსულმანური სასულიერო სკოლები – მედრესეები⁴. მესხეთში

რუსების მოსვლის შემდეგ ქართულმა ენამ თავისი ფუნქცია დაკარგა. როგორც ალექსანდრე ფრონელი აღნიშნავს, ქართული „აღარაა ხმარებაში სკოლაში, სასამართლოსა და პოლიცია-ადმინისტრაციაში. ამიტომ ქართული ენა აღარავის ეპიტნავება, ვითარცა პატივამყრილი და გამოუსადეგარი ცხოვრებაში“⁴⁰. ქართველების გაკვირვებას იწვევდა ის ფაქტი, რომ რუსეთი ადგილობრივი მოსახლეობის მცდელობას, დაბრუნებოდა ქართულ ფესვებს, დიდ წინააღმდეგობას უწევდა. რუსეთის ხელისუფლება ყოველმხრივ უშლიდა ხელს გამაჰმადიანებული მესხების რეინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. მესხი თავად-აზნაურები მზად იყვნენ ისევ თავის საწმუნოებას დაბრუნებოდნენ და გაქრისტიანებულიყვნენ, თუ რუსეთის მეფე მათ იგივე უფლებებსა და პრივილეგიებს მიანიჭებდა, რაც დანარჩენ საქართველოს თავადაზნაურობას გააჩნდა. ნიკოლოზ I-მა მათ უარი განუცხადა გაქრისტიანებაზე⁷. საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას არ შეეძლო ამ პროცესში ჩარეულიყო და დახმარებოდა მესხებს დაბრუნებოდნენ თავიანთ ქართულ ფესვებს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა 1811 წელს, ხოლო რუსული ეკლესია ამ ხალხის მიმართ არანაირ ინტერესს არ იჩენდა. ქართული საზოგადოებაც ყურადღებას



რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი ქართული ტერიტორიები

ვერ უთმობდა მესხურ საკითხს, ვინაიდან ქართველები იმ პერიოდში რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას უფრო მეტ ენერგიას უთმობდნენ. ქართული საზოგადოების ძალისხმევა იმ პერიოდში მთლიანად იყო მიმართული იმისაკენ, რომ განთავისუფლებულიყო საქართველო რუსული უღლისაგან. რუსიფიკაციის (გარუსების) პოლიტიკა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ქართველ ხალხში, რის გამოც ქართველები ხშირად აწყობდნენ აჯანყებებს რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ (1802, 1804, 1812, 1819-20, 1832). ამიტომაც ქართული საზოგადოება მოუმზადებელი შეხვდა მესხეთის შემოერთებას. სამსონ ფირცხალავა გულისტკივილით აღნიშნავს: „ქართველობას, როგორც საზოგადოებას არა გაუკეთებია-რა მაჰმადიან მოძმეებისათვის: არც სკოლები და სამკითხველოები გაგვიხსნია, არც წიგნები მიგვიწოდებია, არც სიტყვიერი პროპაგანდა გაგვიწვეია, არც ნუგეში გვიცია, როგორც შეჰფერის გულშემატკივარს ძმას“³⁸. მისი აზრით, ქართველებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გათვითცნობიერებული ამ ძირძველი ქართული კუთხის განთავისუფლების მნიშვნელობა, ვინაიდან „ქართველი საზოგადოება მაშინ ძლიერ განუვითარებელი იყო, სუსტი ეროვნული შეგნება ჰქონდა და ვერ დააფასა სიდიადე ორი დაკარგული კუთხის დაბრუნებისა“³⁸.

მესხი ხალხის ბედი დიდად არ აღელვებდა რუსეთის ხელისუფლებას. რუსებს მხოლოდ მესხური მიწები აინტერესებდათ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე მოემორებინა თავიდან ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა²⁵. რუსეთი, ყველა იმპერიის მსგავსად, „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით მოქმედებდა კავკასიაში და ამიტომაც მაჰმადიანი მესხების ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში მის პოლიტიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. მესხეთის მაჰმადიან მოსახლეობას „თურქის“ იარლიყი მიაკერეს, რათა გაემართლებინათ მოსახლეობის დეპორტაცია თურქეთში. 75 ათასი ოჯახი იძულებული გახდა თავისი სამშობლო დაე-

ტოვებინა და თურქეთში გადასახლებულიყო. რუსები მათ არასანდო ხალხად მიიჩნევდნენ მუსულმანური რელიგიისა და ტრადიციების გამო. იმ პერიოდში რელიგია ეროვნული იდენტობის მთავარ ინდიკატორად ითვლებოდა. კათოლიკეები თავიანთ თავს „ფრანგებს“ უწოდებდნენ, ხოლო მართლმადიდებლები თავს ქართველებად თვლიდნენ მანამ, სანამ ისინი ინარჩუნებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას. მაგრამ თუ მოხდებოდა მათი გამაჰმადიანება, ისინი ქართველებად აღარ ითვლებოდნენ და მოიხსენიებოდნენ როგორც „თათრები“ ან „თურქები“. მაჰმადიანი და თურქი იმ პერიოდში სინონიმები იყო და არ ხდებოდა ქართველი მუსლიმების განსხვავება თურქი ხალხისგან. სინამდვილეში იმ ხალხის დიდი უმეტესობა, რომელიც „თურქად“ მოიხსენიებოდა ეთნიკური ქართველები იყვნენ. რუსებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ისინი ეთნიკური თურქები არ იყვნენ და მათ ქართულ წარმომავლობაზე მეტყველებს უამრავი ისტორიული წყარო, ასევე მოსახლეობის საყოველთაო აღწერები, რომლებიც რუსეთის იმპერიამ ჩაატარა XIX საუკუნეში. რუსეთის მიერ ჩატარებულ მოსახლეობის აღწერებში ეს ხალხი რეგისტრირებულია როგორც ქართველი სუნიტები. თურქებმაც შესანიშნავად იცოდნენ, რომ ისინი ეთნიკური თურქები არ იყვნენ და ამიტომაც მათ „გურჯი ოღლის“ ანუ „ქართველების შვილებს“ ეძახდნენ³⁷.

რუსეთმა თურქეთში გადასახლა „არასანდო“ მაჰმადიანი მესხები და მათ ნაცვლად მესხეთში დაასახლა „უფრო სანდო“ ქრისტიანი სომხები. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი თურქეთში იქნა გადასახლებული. მეფის რუსეთი არ ენდობოდა არც მაჰმადიან მესხს და არც ქრისტიან ქართველს და ცდილობდა ახლად დაპყრობილი ტერიტორიების ეთნიკური შემადგენლობა სომხების სასარგებლოდ შეეცვალა. რუსი გენერალი პასკევიჩი ფიქრობდა, რომ ქრისტიანი სომხებისა და რუსების ჩასახლებით მესხეთში რუსეთის იმპერიის საზღვრები უფრო დაცული იქნებოდა.

XIX-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან სამცხე-ჯავახეთში მასიურად სახლდებიან ოსმალეთის იმპერიიდან გამოდევნილი სომეხი ლტოლვილები. სომხების მიგრაცია მასიურად ხდებოდა საქართველოში საუკუნეების მანძილზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი დისკრიმინაციას განიცდიდნენ და მათ ფიზიკურ არსებობას საფრთხე ემუქრებოდა¹. საქართველო ყველაზე ახლო ქვეყანა იყო მათთვის და როცა მათ ავიწროებდნენ, თავშესაფარს საქართველოში ეძებდნენ, რათა ახლოს ყოფილიყვნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან. სომხების მიგრაციამ საქართველოში განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო XIX და XX საუკუნეებში. სომხების საქართველოში მასიურად ჩამოსახლებას განსაკუთრებით ხელს უწყობდა რუსეთის იმპერია. 1829-1831 წლებში გენერალმა პასკევიჩმა 30.000 სომეხი ჩამოსახლა ერზრუმიდან სამცხე-ჯავახეთში, ცარიელ სოფლებში, სადაც ადრე მაჰმადიანი მესხები ცხოვრობდნენ. სომხების ჩამოსახლების შემდეგ ქართული სოფლები პატარა კუნძულებს ჰგავდა, რომლებიც გარშემორტყმული იყო მასიური და კომპაქტური სომხური დასახლებებით²⁵.

რუსეთი აქტიურად აქეზებდა სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიან მოსახლეობას გადასახლებულიყვნენ თურქეთში, რის გამოც იზრდებოდა თურქეთში მიგრაციის ტალღა. 1829 წელს, ახალციხის აღებისას, რუსები განსაკუთრებული სისასტიკით მოეპყრნენ ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობას. მათ ბავშვები და ქალები დახოცეს და რუსული სისასტიკის თავიდან ასაცილებლად ბევრი მაჰმადიანი მესხი იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა სამცხე-ჯავახეთი. მაჰმადიანების დისკრიმინაცია ერთ მიზანს ემსახურებოდა, მას უნდა გამოეწვია მიგრაციული პროცესების გაზრდა თურქეთში⁶⁰. ეთნიკური წმენდის პოლიტიკამ თავის შედეგს მიაღწია, თურქეთში მაჰმადიანი მოსახლეობის მიგრაცია XIX და XX საუკუნეებში მუდმივ ხასიათს ატარებდა. რუსის ჯარის სომეხი გენერალი ბებუთოვიც ხელს უწყობდა ქართველი მაჰმადი-

ანების გადასახლებას, რათა შემდეგ მათ მიწებზე სომხები დაესახლებინა. მას ერზრუმისა და ვანის სომხების მასიური ჩამოსახლება ჰქონდა განზრახული მესხეთში⁵⁵. ანტიქართულმა პოლიტიკამ რადიკალურად შეცვალა დემოგრაფიული სურათი სამცხე-ჯავახეთში. სამცხე-ჯავახეთმა დაკარგა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. დეპორტაციების შემდეგ მისი მოსახლეობა 280.000 ათასიდან 40.000-მდე შემცირდა⁵⁶. მესხეთის ზოგიერთი მხარე, მათ შორის ჯავახეთი, თითქმის სრულიად დაცარიელდა ადგილობრივი მოსახლეობისგან⁵⁷. თუმცა თურქეთში მიგრაცია მუდმივად ხდებოდა და სისტემატურ ხასიათს ატარებდა, მაინც შეიძლება გამოვყოთ მიგრაციის სამი ყველაზე დიდი ტალღა. პირველი მიგრაციის ტალღა განხორციელდა რუსეთ-თურქეთის ომის დროს 1828-1829 წელს, რომელზეც უკვე ზემოთ იყო საუბარი; მიგრაციის მეორე ტალღა მოხდა 1877-1878 წელს, რომელიც მოიცავდა ემიგრანტებს საქართველოს ისტორიული პროვინციებიდან – ტაო-კლარჯეთი (ართვინი, არტაანი), აჭარა, სამცხე, ქვემო გურია. მიგრაციის ამ ტალღამ, რომელიც ისტორიაში ცნობილია როგორც „მუჰაჯირობა“, თითქმის მთლიანად დააცარიელა მოსახლეობისგან ზემოთ ხსენებული ქართული პროვინციები, სადაც დიდი რაოდენობით სახლობდნენ მაჰმადიანი ქართველები⁵⁸. მარტო არტაანიდან 22.743 ათასი მაჰმადიანი ქართველი გადასახლეს თურქეთში⁵⁹. მესამე საკმაოდ დიდი ტალღა მიგრაციისა იყო 1921 წელს, როცა თურქეთმა საბოლოოდ დაუთმო აჭარა საქართველოს და ხელი მოაწერა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებთან ყარსის ხელშეკრულებას. მიგრაციის ბოლო ტალღაში ასევე იყვნენ თურქულად მოლაპარაკე მაჰმადიანები, გათურქებული ქართველები ზემო აჭარიდან. მიგრაციის ამ ტალღებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს მაჰმადიანი ქართველების რიცხვი ოსმალეთის იმპერიაში. მათი შთამომავლები, რომელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ქართულად მოლაპარაკეა, ამჟამად თურქეთში ცხოვრობენ და


ძირითადად ორ რეგიონში არიან კონცენტრირებული: შავი ზღვის სანაპირო და ჩრდილო-დასავლეთ თურქეთი. ისინი თავიანთ თავს „ჩვენებურებს“ უწოდებენ¹⁶.

რუსეთმა დაპყრობილი ტერიტორიები დააცარიელა მისი ერთგული ბერძენი და სომეხი ახალმოსახლეებისათვის. ათასობით მაჰმადიანი ქართველი მუჰაჯირობის მსხვერპლი გახდა და რუსეთის მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდის წყალობით, XIX საუკუნის ბოლოს სომხები ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფად ითვლებოდნენ სამცხე-ჯავახეთში. სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური შემადგენლობა სომხების სასარგებლოდ შეიცვალა²⁶. რუსეთის მიერ 1897 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის თანახმად, სომხები ქართველებზე გაცილებით მეტი იყვნენ, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენდნენ.

რუსეთის ბატონობამ რადიკალურად შეცვალა სამცხე-ჯავახეთის ეთნოკონფესიური სტრუქტურა. რუსეთის აქტიური ხელშეწყობით მოხდა მესხეთის ზოგიერთი მხარის, განსაკუთრებით ჯავახეთის სრული გასომხება. იმ დროს ჯავახეთში გენერალ პასკევიჩის ლოზუნგი იყო გაკრული: „უშიშრად დაეუფლე ამ მიწას, რუსეთის არმია დაგიცავს შენ“. სომხების ჩამოსახლება ერთ მიზანს ემსახურებოდა: გენერალ პასკევიჩს, რომელიც იყო სომხების ჯავახეთში ჩამოსახლების ინიციატორი, სურდა, რომ სტრატეგიული მნიშვნელობის სამხრეთის სასაზღვრო რეგიონი დაესახლებინა ხალხით, რომელიც იქნებოდა რუსეთის იმპერიის მიმართ ლოიალურად განწყობილი. ცარისტული რუსეთი სომხეთს მის სტრატეგიულ მოკავშირედ თვლიდა და ამიტომაც ცდილობდა ახლად დაპყრობილი მიწების ეთნიკური შემადგენლობა სომხების სასარგებლოდ შეეცვალა⁵³.

სომხების მასიური ჩამოსახლება საქართველოში მე-XX საუკუნეშიც გაგრძელდა. რუსეთის ხელისუფლების დახმარებით სომხების დიდი რაოდენობა, 55.000 კაცი ჩამოსახლდა ოსმალეთის იმპერიიდან საქართველოში 1897 წელს.

დიაგრამა 2.1. სომხების რაოდენობა საქართველოში (ათასობით)



წყარო: თოთაძე, „საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი“, გვ. 225.

სომხების მიგრაციამ საქართველოში უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო 1915 წელს. თურქეთიდან და ირანიდან სომხების მასიური მიგრაციის შედეგად იქმნება სომხური მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის შემდეგი სურათი, რომელიც ნათლად არის ნაჩვენები (2.1) დიაგრამაში.

როგორც (2.1) დიაგრამაშია ნაჩვენები, 1800 წელს საქართველოში ცხოვრობდა 47.000 სომეხი. 1832 წელს მათი რიცხვი თითქმის გაორმაგდა და 84.000-ს მიაღწია. 1865 წელს სომეხთა საერთო რაოდენობა იყო 122.600, 1886 წელს – 172.900 და 1897 წელს მათმა რაოდენობამ მიაღწია 197.000-ს. 1926 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ გამოავლინა, რომ სომხების საერთო რაოდენობა იყო 307.018³¹. მარტო თბილისში სომხების რაოდენობა ორჯერ უფრო მეტად გაიზარდა. თუ თბილისში 1897 წელს 46.700 სომეხი ცხოვრობდა, 1910 წელს მათმა რიცხვმა 124.900-ს მიაღწია. საქართველოში სომხების მუდმივი მიგრაციების წყალობით, მათ დომინანტური ეთნიკური ჯგუფი შექმნეს თბილისში. 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების თანახმად, სომხები თბილისის მოსახლეობის 75%

შეადგენდნენ. ზემოთ ხსენებული მიგრაციული პროცესები ძალზედ მძიმე ტვირთად დააწვა საქართველოს, რადგან მან რადიკალურად შეცვალა საქართველოს სამხრეთ პროვინციების ეროვნული შემადგენლობა. სომხების რაოდენობის დინამიკური ზრდის პარალელურად ხდებოდა ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის სისტემატური შემცირება საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში¹⁰⁵. ეს პროცესი ქართული პროვინციების უომრად და მშვიდობიანად ანექსიის ტოლფასი იყო. ჩამოსახლებული სომხები პრივილეგიებული ეთნიკური ჯგუფი გახდა სამცხე-ჯავახეთში, მაშინ, როდესაც მაჰმადიანი მესხები დისკრიმინაციას განიცდიდნენ საკუთარ სამშობლოში.

რუსეთის იმპერია სომხებისათვის მარტო პრივილეგიების შექმნით არ შემოიფარგლებოდა და ძალდატანებით და მოტყუებით ატარებდა ადგილობრივი მოსახლეობის გასომხების პოლიტიკას. რუსეთის ხელისუფლება კათოლიკე ქართველებს განზრახ სომხებად წერდა. მაგალითად, 1886 წელს სოფელ ხიზაბავრაში მცხოვრები 1363 ქართველიდან 1356 კაცი სომეხად იყო ჩაწერილი⁴². რუსეთის სახელმწიფო მოხელეები განზრახ უცვლიდნენ ადგილობრივ მოსახლეობას ქართულ გვარებს სომხური გვარებით. გარდა ამისა, რუსეთის იმპერიამ აკრძალა ქართულ ენაზე საეკლესიო მსახურება და შემოიღო სომხური ენა ყველა კათოლიკურ ეკლესიაში. 1886 წელს, აიკრძალა კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენა⁷. 1899 წელს, მეფის ადმინისტრაციის ბრძანებით, ქართული ენა აიკრძალა სამცხე-ჯავახეთის ეკლესიებში და ღვთისმსახურება სრულდებოდა სომხურ და რუსულ ენებზე. ამ დისკრიმინატორულმა პოლიტიკამ ადგილობრივი მოსახლეობის გასომხებისათვის ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა. ქართველები სრულად გაასომხეს შემდეგ სოფლებში: ბაგრაში, ვარევანში, ალასტანში, ოჯმანაში, ტურცხში, ტორაში, კარტიკამში, ეშტიაში, ხულგუმოში, ჰურში, კულიკამში, კორძულში⁵⁴. ანტიქართული პოლიტიკის თვალ-

საჩინო მაგალითია სოფელ ველის კათოლიკე ქართველთა გასომხების ფაქტი. 1828-1830-იან წლებში არტაანის ოლქის სოფელ ველიდან კათოლიკე ქართველები ჩაასახლეს ახალქალაქის რაიონის სოფლებში: ბავრაში, ხულგუმოში, კარტიკაში, კულიკაში და ტურცხში. მათ ჩამოსახლებას დაემთხვა ერზრუმიდან სომხების ჩამოსვლა ჯავახეთში, რომლებიც ველელების გარშემო დასახლდნენ. სომხებმა ველელებს ეკლესიაში სომხური რიტი დაუკანონეს, ხოლო შემდეგ სომხური სასულიერო სასწავლებელი გაუხსნეს. ბევრი კათოლიკე ქართველი იძულებული შეიქმნა ამ სკოლებში მიეღო განათლება. გარდა ამისა, მათ ქართული გვარები სომხურით შეუცვალეს. ამ დისკრიმინატორულმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო ჯავახეთში მცხოვრები ბევრი ქართველის გასომხებას¹³⁴.

გასომხების პროცესი სათავეს შუა საუკუნეებიდან იღებს, როდესაც მესხეთი ოსმალეთის იმპერიამ შეიერთა. ქრისტიანობის შესანარჩუნებლად მოსახლეობა იღებდა გრიგორიანობას, კათოლიკობას, რაც ხშირად ასევე იწვევდა მათი ეთნიკური კუთვნილების შეცვლას. კათოლიკობის გავრცელებამ მესხეთში ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის გაკათოლიკება-გასომხებისათვის³⁹. კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენა მალე შეიცვალა სომხური ენით და ღვთისმსახურება სომხურ ენაზე ხდებოდა. ჟაკ ფრანსუა გამბას ცნობით, 1820-1824 წლებში ახალციხის მხარეში (უდე, ზიზაბავრა, აბასთუმანი, წყრუთი, სერთვისი, ივლიტა, არალი, ვალე) 500 კათოლიკე ოჯახი ცხოვრობდა. მათ ორი ეკლესია ჰქონდათ და ღვთისმსახურება ზემოთ ხსენებულ სოფლებში სომხურ ენაზე წარმოებდა¹⁰.

როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, ქართველების გასომხების პოლიტიკა კიდევ უფრო გამძაფრდა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ. მეფის რუსეთმა ყველანაირი პრივილეგია შეუქმნა სომხეთის ეკლესიას კავკასიაში. ნიკოლოზ პირველმა სომხური ეკლესიის პოპულარობის გასაზრდე-

ლად გაანთავისუფლა ის ყოველგვარი გადასახადებისაგან და უამრავი მიწები დაურიგა. საქართველო მოიფინა რუსული და სომხური ეკლესიებით. სომხეთი რუსეთის სტრატეგიულ მოკავშირედ ითვლებოდა და ამიტომაც რუსეთი ყოველმხრივ უწყობდა ხელს საქართველოში გრიგორიანული სარწმუნოების გავრცელებას. მეფის რუსეთის ინიციატივით ბევრმა ქართველმა კათოლიკემ იძულებით გრიგორიანული სარწმუნოება მიიღო და გასომხდა²⁸. საქართველოში გრიგორიანული სარწმუნოების გავრცელებამ გაზარდა სომეხი ნაციონალისტების ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ. ქართველების იძულებითი გასომხების პროცესი ხდებოდა არა მარტო მესხეთში, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. როდესაც სომეხი ვაჭრები საქართველოში მიწებს ყიდულობდნენ და მისი მეპატრონეები ხდებოდნენ, ისინი ამ მიწებზე მცხოვრებ ქართველებს აიძულებდნენ გრიგორიანულ ან სომხურ-კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასულიყვნენ, რაც მათი გასომხების ტოლფასი იყო. თბილისის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობას ძალით მიაღებინეს გრიგორიანული სარწმუნოება, ქართული გვარები სომხურით შეუცვალეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ არაფერი იცოდნენ სომხური ტრადიციების შესახებ და არ შეეძლოთ სომხურად საუბარი¹³⁴. სომეხი ვაჭრები ცდილობდნენ მათ მიერ ნაყიდ მიწებზე ყოველგვარი ქართული კვალის წაშლას და განადგურებას. ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდა ქართველობა, საკუთარ ეკლესიებს უბილწავდნენ და სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიებად უკეთებდნენ, რაღაც გაუგებარ ენაზე აწირვინებდნენ და ალოცვინებდნენ. ამ პოლიტიკამ ჯავახეთის ქართველებისაგან დაცლა და მისი სრული გასომხება გამოიწვია.

რუსეთის იმპერია ანტიქართულ დემოგრაფიულ პოლიტიკას ატარებდა მთელი ქვეყნის მასშტაბით და აქტიურად ცდილობდა საქართველოს დენაციონალიზაციას. მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან საქართველოში სხვადასხვა

ეთნიკური ჯგუფების მასიური ჩამოსახლება იწყება⁷⁹. ათასი ჯურის ხალხს ასახლებდნენ ქართულ მიწებზე. ამ ეთნიკური ჯგუფების უმეტესობა დაასახლეს საქართველოს სამხრეთ პროვინციებში, რამაც გამოიწვია რადიკალური ცვლილებები ამ პროვინციების ეთნოკონფესიურ შემადგენლობაში. არა მარტო სომხები, არამედ ასევე უამრავი სექტანტები ჩაასახლეს რუსეთის ცენტრალური რეგიონებიდან ჯავახეთში რუსეთის მეფის ინიციატივით. პირველი რუსული კომპაქტური დასახლებები ამ რეგიონში 1830 წელს შეიქმნა. ჯერ მოლოკანები ჩამოსახლეს საქართველოში 1836 წელს, ხოლო შემდეგ დუხობორები 1841 წელს. ისინი ძირითადად დასახლდნენ ნინოწმინდის რაიონში და შექმნეს სოფლები ეფრემოვკა, ორლოვკა, როდიონოვკა, სპასოვკა, ბოგდანოვკა და ა.შ.²⁰ მეფის რუსეთის ოპონენტები და ხალხი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ორგანიზებულ აჯანყებებში, ასევე ჩაასახლეს ჯავახეთში. ამ ხალხის ჩასახლებით ჯავახეთში მეფის რუსეთმა ორი კურდღელი ერთდროულად დაიჭირა: მან შეძლო თავიდან მოეშორებინა სხვადასხვა რელიგიური სექტის წარმომადგენელი, მისი ოპონენტები და ამავე დროს გაიფართოვა თავისი სოციალური ბაზა დაპყრობილ ტერიტორიებზე. კაკასიის კოლონიზაცია და რუსიფიკაცია მეფის რუსეთის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო, რისი მიღწევაც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ დაპყრობილ ტერიტორიებზე რუსული დასახლებების გაზრდით.

რუსეთის იმპერიამ დიდი სარგებელი ნახა ოსმალეთის იმპერიის დაკნინებით და რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად დიდ სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებებს მიაღწია. (მიუხედავად დიდი წარმატებებისა, ხანდხან ის მაინც მარცხდებოდა. მაგალითად, ყირიმის ომში მან დამარცხება იწვნია, რაც ბრიტანეთის და საფრანგეთის ომში მონაწილეობით იყო გამოწვეული). 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, რუსეთის იმპერიამ კაკასიაში ვრცელი ტე-

რიტორიები წაართვა ოსმალეთის იმპერიას. სან სტეფანოში დადებული საზავო ხელშეკრულების თანახმად, ოსმალეთის იმპერიამ რუსეთს დაუთმო უმეტესწილად ძველი ქართული პროვინციები (მათ შორის მესხეთის ორი მესამედი – აჭარა, ართვინი, კლარჯეთი, შავშეთი, ოლთისი). პირველი მსოფლიო ომის დროს ლენინმა ამ ტერიტორიების უმეტესობა თურქეთს დაუბრუნა⁹⁰. ახლად შექმნილ საბჭოთა იმპერიას მშვიდობა ესაჭიროებოდა და ომების თავიდან აცილება უნდოდა. ამიტომაც, ლენინი დათანხმდა გერმანიასა და თურქეთისთვის ვრცელი ტერიტორიები დაეთმო. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად, რუსეთმა ყველა ტერიტორია, რომლებიც ოსმალეთის იმპერიას რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878) დროს წაართვა, ისევ თურქეთს გადასცა¹². პირველ მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხებამ საშუალება მისცა დამოუკიდებელ საქართველოს, რომ კონტროლი აღედგინა დაკარგულ ტერიტორიებზე. მუდროსის ზავის თანახმად ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებული ძალები იძულებული იყვნენ კავკასიაში ყველა დაპყრობილი ტერიტორიები დაეტოვებინათ და 1877 წლის დროს არსებულ საზღვარს დაბრუნებოდნენ. მაგრამ თურქეთმა კავკასიიდან თავისი ძალების გამოყვანა ძალიან გააჭიანურა, რამაც მას საშუალება მისცა პროთურქული სახელმწიფო შეექმნა, რომელსაც ყარსის რესპუბლიკა უწოდა. ეს სახელმწიფო ისტორიაში ასევე ცნობილია სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის სახელმწიფოს სახელით. მან დიდხანს ვერ იარსება (მისმა არსებობამ მხოლოდ ოთხი თვე გასტანა). ქართულმა ჯარებმა მალე აღადგინეს კონტროლი ამ რეგიონზე⁷⁵. საქართველომ შეძლო ტაო-კლარჯეთის განთავისუფლება და ისტორიული სახელმწიფო საზღვრების აღდგენა. მიუხედავად ამ წარმატებისა, წითელი არმია თავს დაესხა საქართველოს 1921 წელს და მისი ანექსია მოახდინა. თურქეთმა ისარგებლა შექმნილი სიტუაციით და იმავდროულად მოახდინა საქართველოს სამხრეთ პროვინციების დაპყრობა. ეს ფაქტი შემდეგ მოსკო-

ვისა და ყარსის ხელშეკრულებებით იქნა აღიარებული და ამ ხელშეკრულებებით თურქეთმა მოახერხა დაპყრობილი მიწების დაკანონება. ყარსის სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს თურქეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებმა 1921 წელს. ამ ხელშეკრულებაში ლენინმა და ათათურქმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ მესხეთი ორ ნაწილად გაეყოთ. საბჭოთა მთავრობამ აიძულა საქართველო თურქეთისათვის დაეთმო ვრცელი ტერიტორია. მესხეთის უდიდესი ნაწილი თურქეთს ერგო, ხოლო საქართველოს დარჩა აჭარა და სამცხე-ჯავახეთი. ამ ხელშეკრულების თანახმად, საქართველომ თურქეთს არტაანის, ართვინისა და ოლთისის ოლქები გადასცა. მთლიანი ტერიტორიის ფართობი შეადგენდა 12.115 კვადრატულ კილომეტრს, რომელზეც 164.000 კაცი სახლობდა. თურქეთი დათანხმდა საბჭოთა კავშირისთვის დაეთმო აჭარა, იმ პირობით, რომ აჭარას ფართო ავტონომია მიენიჭებოდა, რათა იქ მცხოვრები ხალხის რელიგიური და კულტურული უფლებები დაცული ყოფილიყო. ამ შეთან-



რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა 1921 წელს

ხმების მიხედვით შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ამასთანავე, მესხეთის ტერიტორიის ნაწილი, სამცხე-ჯავახეთი, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1829 წლიდან შედიოდა, საბჭოთა კავშირის იურისდიქციაში დარჩა⁸⁰.

საბჭოთა მმართველობა მკაცრი გამოდგა და დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს: საქართველო აიძულეს ტერიტორიები დაეთმო მეზობელი სახელმწიფოებისათვის. 1920 წელს საქართველოს მთლიანი ფართობი 83.000 კვადრატული კილომეტრი იყო. საქართველომ დაკარგა ბევრი ტერიტორია, რომელიც ქართული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და მისი ფართობი 69.700 კმ²-მდე იქნა შემცირებული. გარდა ამისა, საბჭოთა მთავრობამ შექმნა ავტონომიური ერთეულები საქართველოში, რაც შემდეგ ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მთავარი წყარო გახდა. საბჭოთა კავშირი, როგორც მისი წინამორბედი რუსეთის იმპერია, „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით მოქმედებდა. საქართველოში რუსული ენის შემოღებამ გამოიწვია ქართული ენის მნიშვნელობის დაკნინება, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში⁸³. რუსული ენა გახდა ეთნიკურ ჯგუფებს შორის მთავარი საურთიერთობო ენა, რამაც ხელი შეუშალა ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში და გააძლიერა მოსახლეობის დაყოფა ეთნიკური ნიშნით. ამ პროცესმა ასევე ხელი შეუწყო მესხების დენაციონალიზაციას და ისინი დენაციონალიზებულ მასად აქცია. საბჭოთა კავშირმა, ისევე როგორც მეფის რუსეთმა, სხვადასხვა ეთნიკური იარაღი მიაკერა ამ ხალხს. მაჰმადიან მესხებს მოხსენიებდნენ როგორც „სუნიტ ქართველებს“, „თათრებს“, „თურქებს“ და „აზერბაიჯანელებს.“ მაჰმადიანი მესხების ეროვნული კუთვნილება „იქმნებოდა“ და იცვლებოდა ცარისტული რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ინტერესების შესაბამისად.

თავდაპირველად მაჰმადიან მესხებს, 1870 და 1916 წელს

ცარისტული რუსეთის მიერ ჩატარებულ მოსახლეობის აღწერებში, მოიხსენიებდნენ „სუნიტ ქართველებად“. რუსეთის მიერ ჩატარებული ზემოთხსენებული მოსახლეობის აღწერები გვეხმარება მესხეთის ეთნო-კონფესიური შემადგენლობის დადგენაში. ამ აღწერებით დგინდება, რომ თურქული და ქურთული ტომების რიცხვი ძალზედ შეზღუდული იყო მესხეთში. 1870 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, თურქული და ქურთული ტომები შეადგენდნენ ახალციხის მაზრის მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 6,32%-ს⁷⁰. ამ დოკუმენტით ჩვენ ვიგებთ, რომ ახალციხის მაზრა 322 დასახლებებისაგან შედგებოდა და მისი მთელი მოსახლეობა 63.322 სული იყო. ახალციხის მაზრის ეთნიკური შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

ტაბულა 2.1. ახალციხის მაზრის ეთნიკური შემადგენლობა 1870 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით.


| ეთნიკური ჯგუფი | რაოდენობა |
|---|-----------|
| სომხები (კათოლიკები და გრიგორიანები) | 28225 |
| ქართველები (მართლმადიდებლები, კათოლიკები და სუნიტი მუსლიმები) | 26799 |
| რუსები (მართლმადიდებლები და დუნობორები) | 4162 |
| თურქული ტომები (თარაქამები და თათრები) | 2935 |
| ქურთი ტომები | 1067 |
| ებრაელები | 134 |

წყარო: Зисерман К.Л., 1870, გვ. 1-34.

ახალციხის მაზრის ეთნიკური შემადგენლობა უფრო ნათლადაა ასახული 2.2 დიაგრამაში.

1870 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის თანახმად, სომხები მთელი მოსახლეობის 44%-ს შეადგენენ და ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფი იყო ახალციხის მაზრაში. ქართველები მეორე ადგილზე იყვნენ სომხების შემდეგ და

დიაგრამა 2.2. ახალციხის მაზრის ეთნიკური შემადგენლობა 1870 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით.



წყარო: Зисерман К.Л., 1870, გვ. 1-34.

მოსახლეობის 42%-ს შეადგენენ. მესამე ადგილი რუსებს ეკავათ 7%-ით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თურქული ტომების რიცხვი ძალზედ მცირე იყო. ამ აღწერის თანახმად 2.935 თურქი (4,64%) და 1067 ქურთი (1,68%) ცხოვრობდა ახალციხის მაზრაში. ამრიგად, 1870 წელს ქართველები თურქებს რიცხობრივად სჭარბობდნენ და სომხების შემდეგ, მეორე ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს ქმნიდნენ მესხეთში.

1916 წლის მოსახლეობის აღწერამ მსგავსი შედეგები აჩვენა, მხოლოდ ერთი განსხვავებით: თუ 1870 წელს სომხები სჭარბობდნენ ქართველებს, 1916 წელს ქართველები ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს შეადგენდნენ მესხეთში. 1916 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, ახალციხის რეგიონის მოსახლეობა სულ 72.000 სული იყო, რომელიც შემდეგი ეთნიკური ჯგუფებისაგან შედგებოდა:

ტაბულა 2.2. ახალციხის რეგიონის ეთნიკური შემადგენლობა 1916 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით.

| ეთნიკური ჯგუფი | რაოდენობა |
|----------------------------|-----------|
| მაჰმადიანი ქართველები | 52000 |
| მართლმადიდებელი ქართველები | 8000 |

| | |
|---------------------|-------|
| კათოლიკე ქართველები | 6000 |
| სულ ქართველები | 65000 |
| სომხები | 4000 |
| ქურთები | 2000 |

წყარო: ბარათაშვილი, „მესხ რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, გვ. 8.

ახალქალაქის რეგიონის მოსახლეობა სულ 100.000 კაცი იყო. მისი ეთნიკური შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

ტაბულა 2.3. ახალქალაქის რეგიონის ეთნიკური შემადგენლობა 1916 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით.

| ეთნიკური ჯგუფი | რაოდენობა |
|----------------------------|-----------|
| მაჰმადიანი ქართველები | 7000 |
| მართლმადიდებელი ქართველები | 8000 |
| კათოლიკე ქართველები | 7000 |
| სულ ქართველები | 22000 |
| სომხები | 76000 |
| ქურთები | 1000 |
| თარაქამები | 1000 |

წყარო: ბარათაშვილი, „მესხ რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, გვ. 8.

ზემოთ ნახსენები მეფის რუსეთის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერები უტყუარ ცნობებს გვაწვდიან სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. ეჭვს არ იწვევს ის, რომ მათი დიდი უმრავლესობა ეთნიკური ქართველები იყვნენ. ზემოთ ნახსენები მოსახლეობის აღწერების მიხედვით, სულ სამცხე-ჯავახეთში 59.000 მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა. ქართველების მთლიანი რაოდენობა კი 87.000-ს შეადგენდა. 1916 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, ქართველების

გარდა სამცხე-ჯავახეთში 80.000 სომხის, 3000 ქურთი და 1000 თარაქამა ცხოვრობდა. რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერები ნათელ სურათს იძლევა დეპორტირებული ხალხის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. მიუხედავად მათი ქართული წარმომავლობისა, საბჭოთა მთავრობამ მათ 1920-იან წლებში თურქების იარლიყი მიაკერა, ხოლო 1930-იან წლებში მოახდინა მათი „აზერბაიჯანელებად“ კლასიფიკაცია. 1940-იან წლებში მათ კვლავ თურქებად მოიხსენიებენ, რომელიც შემდეგ საბაბად გამოიყენეს მათი ცენტრალურ აზიაში დეპორტაციისთვის¹³⁵.

1929 წლის მოსახლეობის აღწერაში მესხები რეგისტრირებული არიან, როგორც „თურქები.“ ამ აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა სულ იყო 2.666.494 კაცი. საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

ტაბულა 2.4. საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა 1929 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით.

| ეთნიკური ჯგუფი | რაოდენობა | პროცენტი |
|--------------------------|------------------|--------------|
| ქართველები | 1.788.186 | 67,1 % |
| სომხები | 307.018 | 11,5 % |
| თურქები* | 137.921 | 5,2 % |
| აფხაზები | 56.847 | 2,1 % |
| ოსები | 113.298 | 4,2 % |
| რუსები | 110.441 | 4,1 % |
| ბერძნები | 54.051 | 2,0 % |
| ებრაელები | 30.594 | 1,1 % |
| გერმანელები | 12.074 | 0,5 % |
| სხვა ეროვნებები | 33.839 | 1,4 % |
| უცხო ქვეყნის მოქალაქეები | 22.285 | 0,8 % |
| სულ | 2.666.494 | 100 % |

წყარო: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №284, აღ №1, საქმე №3322, გვ. 62.

თურქები* – თურქები, აზერბაიჯანელები, ყაზანელი თათრები, სპარსელები, ოსმალელი თურქები, მაჰმადიანი ქართველები.

სხვადასხვა ეროვნების ხალხი (სპარსელები, აზერბაიჯანელები, თათრები, მაჰმადიანი ქართველები), რომლებიც ეთნიკური თურქები არ იყვნენ და არაფერი ჰქონდათ საერთო, თურქებად დაარეგისტრირეს. ეთნიკური კუთვნილებისა და იდენტობის ხშირმა ცვლამ დააჩქარა ამ ხალხის დენაციონალიზაცია და მაჰმადიანი მესხები დენაციონალიზებულ მასად აქცია.

ყველაზე დიდი ზიანი მესხების ეროვნულ ცნობიერებას მიაყენეს 1923 წელს, როცა მესხები „აზერბაიჯანულ ეროვნულ უმცირესობად“ გამოაცხადეს. საბჭოთა მთავრობამ მათ ბავშვებს აზერბაიჯანული სკოლები გაუხსნა, მაშინ, როცა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნას ქართული სკოლების გახსნის შესახებ, უყურადღებოდ ტოვებდნენ⁷⁸. მაჰმადიან მესხებს არაფერი ჰქონდათ საერთო აზერბაიჯანელებთან – არც ეთნიკურად და არც ტერიტორიულად და ამიტომაც ითხოვდნენ ქართული სკოლების გახსნას თავიანთი შვილებისათვის, რადგან მათ შვილებს აზერბაიჯანულის არაფერი გაეგებოდათ. საბჭოთა ხელისუფლებამ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა იმ მიზეზით, რომ ისინი „თათრები“ იყვნენ და მშობლიურ ენაზე უნდა ესწავლათ⁶⁸.

საქართველოს სახელმწიფო არქივში ინახება სხვადასხვა დოკუმენტი, სადაც ნათლად აღწერილია საბჭოთა ხელისუფლების დისკრიმინატორული პოლიტიკა მაჰმადიანი მესხების მიმართ და ხაზგასმულია ქართულად განათლების მიღების შესაძლებლობების ნაკლებობა მაჰმადიანი მოსახლეობისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა ვანო ალიხანაშვილის მოხსენება ახალციხის მაზრის მდგომარეობის შესახებ, რომელიც დაწერილია 1926 წელს. ამ მოხსენებაში ის ეხება ახალციხის მაზრაში არსებულ საგანმანათლებლო პრობლემებს და სინანულით აცხადებს: „უცოდინართა სალიკვიდაციო პუნქტის ცნობით, ყველაზე უმწეო მდგომარეობაში ახალციხის მაზრაა. მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა, მაჰმადიანი ქართველები უფრო ჩამორჩენილნი არიან ქრისტიან ქართველობაზე და



სომხობაზე. ეს გამოწვეულია იმით, რომ თვითმპყრობელობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მათ... ხალხი, რომელიც მოითხოვს ქართული ენის სწავლებასა და ქართველ მასწავლებელს, უარს ეუბნებიან და ურჩევენ ან მოცდას, სანამ აზერბაიჯანიდან მასწავლებელი მოვიდოდეს ან რუსულ ენაზე სწავლის დაწყებას...“³².

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ აზერბაიჯანული სკოლების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა საქართველოში. (თუ საქართველოს გასაბჭოებამდე 30 აზერბაიჯანული სკოლა არსებობდა ქვეყანაში, გასაბჭოების შემდეგ მათი რიცხვი 89-მდე გაიზარდა)⁸¹. არაქართული სკოლების რიცხვმა ასევე საგრძნობლად იმატა ახალციხის მაზრაში აზერბაიჯანული სკოლების ხარჯზე. აზერბაიჯანული სკოლების მკვეთრი ზრდა უფრო ნათლადაა ასახული (2.3) და (2.4) დიაგრამებში.

როგორც ამ დიაგრამებშია ნაჩვენები, გასაბჭოების შემდეგ სკოლების უმრავლესობა (55%) ახალციხის მაზრაში აზერბაიჯანული იყო.

დიაგრამა 2.3. სკოლები ახალციხის მაზრაში 1918-1921 წლებში.

დიაგრამა 2.4. სკოლები ახალციხის მაზრაში 1928-1929 წლებში.



წყარო: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №284, აღწერა №1, საქმე 3322, გვ. 64.

საბჭოთა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ხელი შეუწყო აზერბაიჯანული ენის კონსოლიდაციას მესხეთში და ხელი შეუშალა ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. სასკოლო წიგნები და სახელმძღვანელოები ეროვნული უმცირესობების სკოლებისათვის და ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობისათვის საქართველოში არ გამოიცემოდა, არამედ მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკებიდან – სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან შემოჰქონდათ. აზერბაიჯანული სკოლები მარაგდებოდა აზერბაიჯანში გამოცემული წიგნებით. ეს წიგნები ხშირად ძველი, ხმარებიდან ამოღებული იყო და აზერბაიჯანში აღარ გამოიყენებოდა. წიგნები არ იყო მორგებული საქართველოს განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ რეალობას და არ შეესაბამებოდა ადგილობრივ პირობებს. ამიტომაც ისინი მინიმალურ საგანმანათლებლო მოთხოვნასაც კი ვერ აკმაყოფილებდნენ, არ შეედლოთ წვლილი შეეტანათ ქართული ეროვნული ცნობიერების ფორმირებაში და საქართველოს მიმართ ლოიალური დამოკიდებულების გაზრდაში. არა მარტო წიგნები, არამედ მასწავლებლებიც კი აზერბაიჯანიდან ჩამოჰყავდათ⁸¹.

იმისათვის, რომ დაეჩქარებინათ მესხების იძულებითი დენაციონალიზაცია, მათ ქართული გვარის ტარების უფლება აუკრძალეს. ქართული გვარები აზერბაიჯანულით შეუცვალეს⁷⁷. 1936 წელს საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა მოეხდინა ყველა მაჰმადიანი მესხის „აზერბაიჯანელად“ კლასიფიცირება. ყველა მათგანი აზერბაიჯანელად ჩაწერეს და ამის შემდეგ ისინი ყველა სტატისტიკურ მონაცემებში „აზერბაიჯანელებად“ მოიხსენიებოდნენ, რის შედეგადაც მკვეთრად გაიზარდა აზერბაიჯანელების რიცხვი მესხეთში, რაც დადასტურდა 1939 წლის მოსახლეობის აღწერით³⁴.

მესხეთში აზერბაიჯანული კულტურული ავტონომია შეიქმნა. გაზეთები, ჟურნალები და წიგნები აზერბაიჯანულ ენაზე იბეჭდებოდა. ყველა დიდ თანამდებობაზე აზერბაიჯან-

ნული ეროვნების წარმომადგენელი ინიშნებოდა და ახალციხე და ახალქალაქი საქართველოს შემადგენლობაში მხოლოდ ფორმალურად შედიოდა. მაჰმადიან მესხებს ეკრძალებოდათ მშობლიურ ენაზე განათლების მიღება. (მხოლოდ დეპორტაციამდე რამოდენიმე წლით ადრე საბჭოთა ხელისუფლებამ ყურადღება მიაქცია ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნას და 1939 წელს დააკმაყოფილა მაჰმადიანი მესხების თხოვნა, ბევრი აზერბაიჯანული სკოლა ქართულად გადაკეთდა)³⁷.

კომუნისტური პარტიის ზოგიერთი მაღალჩინოსანი ეწინააღმდეგებოდა ამ ანტიქართულ პოლიტიკას. ისინი აღიარებდნენ იმ ფაქტს, რომ ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობას გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდა და ამიტომაც ცდილობდნენ, ეს ხალხი კვლავ ქართულ ფესვებს დაბრუნებოდა. 1944 წელს ახალციხის რაიკომის მდივანმა, კირვალიძემ მოხსენება გაუგზავნა ჩარკვიანს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს და ბაქრძეს, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელშიც ის აღიარებდა იმ ფაქტს, რომ მაჰმადიანი მესხების უმრავლესობა გამაჰმადიანებული ქართველი იყო და ბევრ მათგანს კვლავ ქართული გვარები ჰქონდა. მან მოუწოდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას, რომ გაეტარებინათ სასწრაფო ზომები ქართული ენის აღსადგენად მესხეთში და დაეჩქარებინათ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირება. ზემოთ ხსენებულ მოხსენებაში მან გააკრიტიკა საბჭოთა მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკა და მოითხოვა ქართული სკოლების გახსნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მან თავის მოხსენებას თან დაურთო გამაჰმადიანებული მესხების ქართული გვარები და აღნიშნა, რომ იმ პერიოდში ბევრი მათგანი კვლავ ატარებდა ქართულ გვარებს. თავის მოხსენებაში კირვალიძე განმარტავს 1939 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებს და აღწერს დემოგრაფიულ სიტუაციას სამცხე-ჯავახეთში. მისი აზრით, აზერბაიჯანელების რაო-

დენობის მკვეთრი ზრდა მესხეთში იყო გამაჰმადიანებული ქართველების „აზერბაიჯანელებად“ კლასიფიკაციის შედეგი. კირვალიძე ასევე აღნიშნავს თავის მოხსენებაში, რომ ახალციხის რაიონში 83 სოფელია. 1939 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, რაიონის მოსახლეობა შეადგენს 55.450 სულს. ეროვნების მიხედვით რაიონის მოსახლეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

ტაბულა 2.5. ახალციხის მაზრის ეთნიკური შემადგენლობა 1939 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით.

| ეროვნება | სოფლად | ქალაქად | სულ |
|-----------------|--------|---------|--------|
| ქართველები | 3.989 | 5.836 | 9.825 |
| აზერბაიჯანელები | 27.811 | 617 | 28.428 |
| სომხები | 9.301 | 7.153 | 16.454 |
| ქურთები | 1.407 | 16 | 1.423 |

წყარო: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №600, აღ №2, საქმე №600.

1939 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობას, 54%-ს ეთნიკური აზერბაიჯანელები შეადგენდნენ. კირვალიძე ხაზს უსვამს თავის მოხსენებაში, რომ ხალხი, რომელიც 1939 წლის მოსახლეობის აღწერაში ეთნიკურ აზერბაიჯანელებს მიათვალეს, სინამდვილეში ეთნიკური ქართველები იყვნენ. თავის მოხსენებაში კირვალიძე ასახელებს კონკრეტულ ზომებს, რომელთა განხორციელება საჭირო იყო სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის ინტეგრაციისათვის ქართულ საზოგადოებაში. მაგრამ არავინ მიაქცია ყურადღება მის მოხსენებას და ამ ხალხის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის ნაცვლად, ისინი ცენტრალურ აზიაში გადაასახლეს.

იმავე წელს, როცა კირვალიძემ ეს მოხსენება დაწერა (1944 წელი), ლავრენტი ბერიამ სრულიად საიდუმ-

ლო მოხსენება გაუგზავნა სტალინს, სადაც მან შესთავაზა სტალინს განეხორციელებინა მაჰმადიანი მოსახლეობის გადასახლება ახალციხიდან, ადიგენიდან, ასპინძიდან, ახალქალაქიდან, ბოგდანოვკადან და აჭარის ზოგიერთი სოფლიდან ცენტრალურ აზიაში, სახელდობრ, ყაზახეთში, უზბეკეთში და ყირგიზეთში. ბერია ამ მოხსენებაში ამ გადაწყვეტილების დასაბუთებაც სცადა: ის მაჰმადიან მესხებს თურქეთთან კავშირების გამო არ ენდობოდა. ბევრ ადგილობრივ მაჰმადიანს კავშირები ჰქონდა მესხეთის იმ პროვინციებთან, რომლებიც თურქეთის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა. ეს ფაქტი ბერიას ეჭვებს აღუძრავდა და ამ ხალხს თურქეთის პოტენციურ მოკავშირეებად თვლიდა. ბერია მიიჩნევდა, რომ მაჰმადიანი მესხების ცენტრალურ აზიაში დეპორტაცია გააძლიერებდა საბჭოთა კავშირის საზღვრის უსაფრთხოებას თურქეთთან⁷⁴.

2.3. 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან მოსახლეობის გადასახლება ცენტრალურ აზიაში

სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის გადასახლება ცენტრალურ აზიაში მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდეც კი იგეგმებოდა. ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა „არასანდო და საშიშ ხალხად“ ითვლებოდა, რის გამოც გადაწყვიტეს მათი სასაზღვრო რეგიონებიდან დეპორტაცია. 1937 წლის ივნისში გამოვიდა სტალინის ბრძანება, რომლის მიხედვითაც სასაზღვრო რეგიონებში სპეციალური საკონტროლო ზონები შეიქმნა, თურქეთის, ირანისა და ავღანეთის საზღვრების გასწვრივ. ხალხი, რომელიც ამ სასაზღვრო ზონებში ცხოვრობდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ „პოლიტიკურად არასაიმედო“ ხალხად მიიჩნეოდა, ამიტომაც ისინი ცენტრალურ აზიაში უნდა გადაესახლებინათ¹¹⁸.

საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცულ დოკუმენტებში, მაჰმადიანი მესხები, ასევე თურქეთის საზღვრის სი-

ახლოვეს მცხოვრები აჭარლები, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მოიხსენიებიან, როგორც „ანტისაბჭოური ელემენტები“⁸². თურქეთის საზღვრის მახლობლად მცხოვრებ მაჰმადიან მოსახლეობას სტალინი ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა, რადგან ეს ხალხი თურქეთის პოტენციურ მოკავშირეებად მიაჩნდა. მესხებს ბრალად ედებოდა თურქეთის მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობების შენარჩუნება. თურქეთის მოსახლეობასთან კავშირების ქონა არაფერი უჩვეულო და უცნაური არ იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მესხეთის მოსახლეობას ბევრი ნათესავი ჰყავდა თურქეთში, ვინაიდან მესხეთის უდიდესი ნაწილი თურქეთის იურისდიქციაში იყო მოქცეული. მესხები ყოველთვის ინარჩუნებდნენ კავშირებს თავის ნათესავებთან თურქეთში, რასაც ბერია და სტალინი ეჭვის თვალით უყურებდნენ. ამიტომაც, საბჭოთა ხელისუფლება მათ „ანტისაბჭოურ ელემენტებად“ და „არასანდო ხალხად“ თვლიდა. თურქეთთან თანამშრომლობის ბრალდება გამოიყენეს, როგორც საბაბი ამ ხალხის ცენტრალურ აზიაში დეპორტაციისათვის.


საბჭოთა მთავრობამ განახორციელა ეთნიკური წმენდის პოლიტიკა არა მხოლოდ მესხეთში, არამედ ასევე საბჭოთა კავშირის სხვა სასაზღვრო ზონებშიც, რათა გაესუფთავებინა ეგრეთ წოდებული „ანტისაბჭოური ელემენტებისაგან“ სასაზღვრო რეგიონები. 1938 წლის სექტემბერში, ქობულოვმა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ სრულიად საიდუმლო მოხსენება გაუგზავნა ბაქრაძეს, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, სადაც ის ხაზს უსვამდა 180 ოჯახის, მათ შორის 109 ოჯახის სამცხე-ჯავახეთის სასაზღვრო რეგიონებიდან და 72 ოჯახის აჭარის რაიონებიდან საქართველოს შიდა რეგიონებში გადასახლების აუცილებლობას⁸². ამ ღონისძიების განხორციელებას უნდა გაეძლიერებინა თურქეთთან საბჭოთა კავშირის საზღვრის უსაფრთხოება. თავდაპირველად გან-

ზრახული ჰქონდათ, რომ მესხები საქართველოს შიდა რეგიონებში გადაესახლებინათ, მაგრამ შემდეგ საბჭოთა მთავრობამ მათი შუა აზიაში დეპორტაცია გადაწყვიტა.

ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის ცენტრალურ აზიაში დეპორტაცია ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო, რამაც მესხეთის გასომხების პროცესი დააჩქარა. მაჰმადიანი მესხების შუა აზიაში დეპორტაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეთნოკონფესიური შემადგენლობა. სომხების რიცხობრივი უპირატესობა კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა ადგილობრივი მაჰმადიანების დეპორტაციის შემდეგ. ჯავახეთი თითქმის მთლიანად დაცარიელდა ეთნიკური ქართველებისაგან და წმინდა სომხურ რეგიონად გადაიქცა. საქართველოს სახელმწიფო არქივში არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით დგინდება, რომ გადასახლებამდე ქართველების საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობდა ჯავახეთში. ამ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1928-1929 წლებში ჯავახეთის მთლიანი მოსახლეობა იყო 79.937 სული. ამ რეგიონის ეთნიკური შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 7393 – ქართველი, 6919 – თურქი, 5223 – რუსი, 1117 – ქურთი, სომხები უმრავლესობას შეადგენდნენ და მათი რიცხვი 57.784 სულს აღწევდა⁸¹. ჯავახეთის ეთნიკური შემადგენლობა უკეთესად არის ილუსტრირებული (2.6) დიაგრამაში.

1929 წლის მოსახლეობის აღწერით დგინდება, რომ ჯავახეთის მოსახლეობის 9,3%-ს ქართველები შეადგენდნენ. სინამდვილეში ქართველების რიცხვი უფრო დიდი იყო (18%) თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მაჰმადიანი მესხები იმ პერიოდში „თურქებად“ იყვნენ ჩაწერილნი (სხვადასხვა ეროვნების ხალხს, მაჰმადიან მესხებს, ჰემშინებს, ყარაფაფახებს, ქურთებს „თურქებად“ წერდნენ). ქართველების სისტემატური შემცირებისა და რუსეთის მიერ გატარებული ანტიქართული პოლიტიკის წყალობით, მხოლოდ 3000 ქარ-

დიაგრამა 2.6. ჯავახეთის რეგიონის ეთნიკური შემადგენლობა 1929 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით.



წყარო: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №284, აღ №1, საქმე №3322, გვ. 72.

თველი ცხოვრობს დღესდღეობით ჯავახეთში.

მეორე მსოფლიო ომის დროს, სტალინის მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად, საბჭოთა იმპერიის შორეულ მხარეებში გადაასახლეს ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც მის მიერ აღიქმებოდა, როგორც საბჭოთა კავშირის პოტენციური მტრები. ამ ხალხის ძალით გადასახლება კიდევ ერთ მიზანს ემსახურებოდა, ამ პროცესს უნდა დაეჩქარებინა საბჭოთა კავშირის შორეული და ჩამორჩენილი რეგიონების განვითარება. საქართველოს ეროვნულ არქივში მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ 1920-იან წლებში საბჭოთა მთავრობას დაგეგმილი ჰქონდა გამოეყენებინა დეპორტირებული ხალხი მებაძღობის განვითარებისათვის, ასევე საბჭოთა კავშირის შორეულ რეგიონებში არსებული ბუნებრივი რესურსებისა და მინერალური სიმდიდრეების ექსპლუატაციისა და ათვისებისათვის⁸³. ამ სტრატეგიამ, რომელსაც სტალინი მუდმივად იყენებდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე, რადიკალურად შეცვალა საბჭოთა კავშირის ეთ-

ნიკური რუკა. ის ისეთი მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფის გადასახლების მომხრეც კი იყო, როგორც უკრაინელები არიან, მაგრამ ამ ეთნიკური ჯგუფის სიმრავლის გამო მან ვერ მოახერხა თავისი სასტიკი გეგმის განხორციელება. მხოლოდ ერთ წელიწადში, 1943-44 წლებში, 1,9 მილიონი კაცი გადაასახლეს ციმბირში და შუა აზიის რესპუბლიკებში, მათ შორის იყო საქართველოს სამხრეთ პროვინციებიდან დეპორტირებული მაჰმადიანი მოსახლეობა. 1944 წელს მასიური დეპორტაცია შეეხო ჩეჩნებს, ინგუშებს, ბალყარელებს, ყირიმელ თათრებს, ყირიმელ ბერძნებს, ვოლგის გერმანელებს, მაჰმადიან მესხებს, ქურთებს, ჰემშინებს, ყარაჩაელებს და ყალმუხებს.

შუა აზიაში იძულებით გადასახლებული მაჰმადიანი მესხების ზუსტი რაოდენობის დადგენა საკმაოდ რთულია. მ. ნათმელაძის აზრით, 69.869 ადამიანი გადაასახლეს სამხრეთ საქართველოდან 1944 წელს²⁹. ვაჟა ლორთქიფანიძე უფრო დიდ რიცხვს ასახელებს, 85 ათას კაცს²⁷. სხვადასხვა ავტორი განსხვავებულ ციფრს ასახელებს. რუსი ავტორებისა და რუსული ისტორიული წყაროების მიხედვით, დაახლოებით 90.000 კაცი გადაასახლეს საქართველოდან ცენტრალურ აზიაში⁶⁰. უფრო სავარაუდოა, რომ დეპორტირებულთა რიცხვი დაახლოებით 85.000-დან 90.000-მდე იყო. სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სრულიად საიდუმლო №6279 დადგენილების მიხედვით 86.000 კაცი გადაასახლეს შუა აზიაში. ეს სრულიად საიდუმლო დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერდა სტალინი, იუწყებოდა შემდეგს: „საქართველოს სსრ-ს სახელმწიფო საზღვრის დაცვის პირობების გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სსრ-ს სასაზღვრო ზონიდან – ახალციხიდან, ადიგენიდან, ასპინძიდან, ახალქალაქიდან, ბოგდანოვკიდან და აჭარის ასსრ-დან გადასახლებულ იქნას თურქების, ქურთების და ჰემშინების 16.700 ოჯახი 86.000 სულით:

ყაზახეთის სსრ-ში – 40. 000 კაცი

უზბეკეთის სსრ-ში – 30.000 კაცი

ყირგიზეთის სსრ-ში – 16.000 კაცი

გადასახლება დაეკისროს საბჭოთა კავშირის НКВД-ს.

საბჭოთა კავშირის НКВД-ს (ამხ. ბერიას) დაევალოს გადასახლების ორგანიზება 1944 წლის ნოემბერში⁷⁴.

სტალინის მოქმედებების და მის მიერ გატარებული ღონისძიებების მიზეზების ახსნა სრულად მაინც ჯერჯერობით ვერავინ ვერ მოახერხა. ზოგიერთი წყარო დეპორტაციის პოლიტიკურ მოტივებს უსვამს ხაზს, ხოლო ზოგი კი ეკონომიკურ მოტივებს ანიჭებს უპირატესობას. დეპორტაციის ორივე მოტივი (პოლიტიკური და ეკონომიკური) რეალურია და მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს. 1944 წლის დეპორტაციის პოლიტიკური განმარტება, რომელიც ყველაზე პოპულარული თეორიაა დეპორტირებულ მოსახლეობაში, ამტკიცებს, რომ სტალინს თურქეთის დაპყრობა ჰქონდა განზრახული და თურქეთთან კონფლიქტის შემთხვევაში ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის არალოიალურობის ეშინოდა¹²⁸. სტალინი მიიჩნევდა, რომ მისი პოლიტიკური და სამხედრო მიზნების განხორციელებას მაჰმადიანი მესხები ხელს შეუშლიდნენ, რადგან მათ პოტენციურ „მეხუთე კოლონად“ თვლიდა, რომელიც მის სამხედრო მიზნებს ჩაშლიდა. ის ფიქრობდა, რომ სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაცია თურქეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრის უსაფრთხოებას გააძლიერებდა⁸⁹.

რაც შეეხება დეპორტაციის ეკონომიკურ მოტივებს, უნდა აღინიშნოს კომუნისტური რეჟიმის სურვილი განევითარებინა საბჭოთა კავშირის ყველაზე ჩამორჩენილი მხარეები. გადასახლების ეკონომიკური განმარტებაც ძალზედ პოპულარულია და ხშირად ბჭობის საგანი დეპორტირებულ მესხებს შორის⁶⁹. დეპორტირებული მოსახლეობა ითვლებოდა ძალზედ ბეჯით და შრომისმოყვარე ხალხად, რომელთა გამოყენებაც შეიძლებოდა შუა აზიის ჩამორჩენილი და გა-

ნუკლითარებელი რეგიონების ასაყვავებლად. როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, საბჭოთა მთავრობას განზრახული ჰქონდა გამოეყენებინა გადასახლებული ხალხი მეტამბეობის განვითარებისთვის, ასევე საბჭოთა კავშირის შორეული მხარეების ბუნებრივი რესურსების ასათვისებლად⁸³.

მაჰმადიანი მესხები ცივ ზამთარში, საქონლის გადაძვევანი ვაკონებით, შუა აზიაში გადაასახლეს. ისინი შუა აზიის სამ რესპუბლიკაში მიმოფანტეს, ყაზახეთში, ყირგიზეთში და უზბეკეთში. 55.500 გადაასახლეს უზბეკეთში, 29,500 – ყაზახეთში და 11.000 ყირგიზეთში. ხანგრძლივი მოგზაურობისა (მგზავრობა თითქმის ერთი თვე გაგრძელდა) და შუა აზიაში არსებული პრიმიტიული პირობების გამო ბევრი დეპორტირებული გარდაიცვალა³⁷.

საბჭოთა მთავრობამ მესხეთში იძულებით ჩაასახლა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან, ძირითადად მთიანი რეგიონებიდან და მცირემიწიანი პროვინციებიდან 6339 ოჯახი, 27.000 სული. ამ 6339 ოჯახიდან 2359 ოჯახი ჩაასახლეს ახალციხის რაიონში, 3.025 – ადიგენის რაიონში და 955 – ასპინძის რაიონში⁸⁴. მთლიანი სოფლების ევაკუაცია მოახდინეს და ხალხი გადასახლებულთა სახლებში შეასახლეს. ქართველების ჩასახლება მესხეთში იძულებითი პროცესი იყო, ბევრ მათგანს არ უნდოდა მიეტოვებინა მისი საცხოვრებელი ადგილი და დასახლებულიყო მისთვის უცნობ მხარეში⁸⁴. ზოგიერთი ვერ შეეგუა ახალ გარემოს, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა მათი ყოფილი საცხოვრებელი ადგილებიდან. განსაკუთრებით ძნელი იყო ახალმოსახლეებისათვის დასავლეთ საქართველოდან, რომ შეგუებოდნენ ახალ საცხოვრებელ პირობებს, რადგან მესხური მიწები გამოუსადეგარი იყო მევენახეობისათვის და ახალმოსულებს არ ჰქონდათ არანაირი გამოცდილება თუ როგორ უნდა დაემუშავებინათ მესხეთის მიწები. საიდუმლო მოხსენების თანახმად „გადასახლებულთა კოლმეურნეობების მდგომარეობის შესახებ“, რომელიც კირვალდიემ და ჩარკვიანმა გაუგზავნეს

ბერიას 1945 წლის 19 ნოემბერს, ხალხი ჩაასახლეს დეპორტირებულთა ნახევრად დანგრეულ მიწურებში, რამაც ახალმოსახლეთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და რის გამოც ბევრმა თავის პირვანდელ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება არჩია, სადაც ცხოვრების პირობები გაცილებით უკეთესი იყო. საბჭოთა ხელისუფლება იძულებული შეიქმნა სასწრაფო ზომები მიეღო, რათა ახალმოსახლეებისათვის შესაფერისი ცხოვრების პირობები შეექმნა და სახლ-კარით უზრუნველყო⁸⁴.

სიტუაცია შუა აზიის რესპუბლიკებში დეპორტირებული მესხებისათვისაც ძალზედ რთული იყო. მაჰმადიანი მესხები გადასახლეს განსხვავებულ კლიმატურ ზონაში და შუა აზიის ყველაზე გაუჟაცრიელებულ ადგილებზე დაასახლეს. ისინი დაასახლეს ცარიელ სტეპებში, რომელსაც „მშიერ უდაბნოს“ ეძახდნენ, რადგანაც მასზე არაფერი არ ხარობდა. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები მზად არ იყვნენ, რომ მათთვის თავშესაფარი მიეცათ და ამიტომაც ახალმოსულები ნახევრად დანგრეულ სახლებში და ქოხებში შეასახლეს. ბევრი დეპორტირებულთაგანი ვერ ეგუებოდა საშინელი ცხოვრების პირობებს, შუა აზიის მკაცრ კლიმატს და ილუპებოდა. გადასახლებიდან ექვსი თვის შემდეგ ბევრი მათგანი დაიღუპა დაავადებების, სიცვიისა და შიმშილის გამო⁷⁸. ძნელია დალუპულთა ზუსტი რიცხვის დასახელება, რადგან სხვადასხვა ავტორები და წყაროები განსხვავებულ რიცხვებს ასახელებენ. კლარა ბარათაშვილის ცნობით, დეპორტირებულთა ერთი მესამედი, მათ შორის 17.000 ბავშვი დაიღუპა. ხალილ უმაროვ-გოზალიშვილის თანახმად, დალუპულთა რიცხვი 14.895-ს აღწევდა. ავტორების უმეტესობა თანხმდება, რომ დეპორტირებულთა 20% დაიღუპა შიმშილისა და ცენტრალური აზიის მკაცრ კლიმატთან ადაპტაციის უუნარობის გამო. საწყის ეტაპზე სიკვდილიანობა 11.5-ჯერ აღემატებოდა შობადობას. ბევრი გადასახლებული შიმშილობდა და იძულებული იყო ბალახით გამოეკვება თავი. ისინი, ვინც დეპორტაციას გადაურჩა, ყველგან დამცირებას და

დისკრიმინაციას განიცდიდა. ადგილობრივი მოსახლეობა მათ მიმართ მტრულად იყო განწყობილი, ვინაიდან მათ „ხალხის მტრებად“ თვლიდა. მიუხედავად ამისა, მესხებმა მაინც შეძლეს ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. სიტუაცია შეიცვალა 1950-იანი წლებიდან. ბევრმა მათგანმა სახლ-კარი შეიძინა და თანდათანობით ადგილობრივ მოსახლეობაზე უკეთესი ცხოვრების პირობები შეიქმნა¹³².

შუა აზიაში გადასახლების შემდეგ დეპორტირებულები „თურქებად“, „აზერბაიჯანელებად“, „მაჰმადიანებად“, „კავკასიელებად“ და „უზბეკებად“ ჩაწერეს, რამაც კიდევ უფრო გაართულა მათი იდენტიფიკაციის პრობლემა. ხშირად იყო შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ოჯახის წევრებს სხვადასხვა ეროვნებას აძლევდნენ. მაგალითად, ოთხ ძმა ზაუტაშვილს ოთხი სხვადასხვა ნაციონალობა მიანიჭეს⁹⁹. თუმცა გადასახლებულების უმრავლესობა ეთნიკური ქართველები იყვნენ, არც ერთი მათგანი „ქართველად“ არ ჩაწერეს. ყოველივე ეს განზრახ გააკეთეს, რათა დაემაღლათ მაჰმადიანი ქართველების შუა აზიაში გადასახლების ფაქტი და გაემართლებინათ მაჰმადიანი მესხების დეპორტაცია, რომელთა შორის ბევრი იყო ეთნიკური ქართველი. ყოველივე ზემოთ ხსენებულის გამო, გადასახლებულებს სხვა ეროვნების ხალხის იარლიყი მიაკერეს³⁷. მაჰმადიანი მესხები ძალას არ ზოგავდნენ, რომ შეეჩერებინათ უზბეკეთში, ყირგიზეთში, აზერბაიჯანში და სხვა რესპუბლიკებში მესხების იძულებითი ასიმილაციის პროცესი. მათ მოითხოვეს თავიანთი ქართული ეროვნებისა და ქართული გვარების აღდგენა, მაგრამ საქართველოს მთავრობა მათი მოთხოვნების იგნორირებას ახდენდა. იმ პერიოდში საქართველოს მთავრობა მოსკოვის ბრძანებებს ასრულებდა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება არ შეეძლო.

სტალინის სიკვდილის შემდეგ, ხრუშჩოვმა გააკრიტიკა სტალინის მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდის პოლიტიკა და დეპორტაციები. მან დეპორტირებული ხალხების

უმეტესობა კვლავ თავიანთ მიწაზე დააბრუნა და, ყირიმელი თათრების, მესხებისა და გერმანელების გარდა, ყველა დეპორტირებული ხალხის რეაბილიტაცია მოახდინა. 1991 წელს ყირიმელ თათრებს და გერმანელებს თავიანთ სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცეს. მხოლოდ მესხებს არ დართეს ნება საქართველოში ეცხოვრათ და არ მოხდინეს მათი რეაბილიტაცია. მიუხედავად იმისა, რომ ზრუმწოვმა დეპორტირებული ხალხების უმრავლესობას თავიანთ სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა, ისინი მაინც მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდებოდნენ რეაბილიტაციის შემდეგ და ეს პრობლემები დღესაც არსებობს.

სტალინის სიკვდილის შემდეგაც კი საბჭოთა ხელი-სუფლება კვლავ აგრძელებდა დეპორტირებული მესხების დისკრიმინაციას და აიძულებდა სპეციალური რეჟიმის პირობებში ეცხოვრათ, რაც მათ ელემენტარულ ადამიანის უფლებებს ულახავდა და გადაადგილების საშუალებას უზღუდავდა. მხოლოდ 1956 წელს გამოვიდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება №135/142, რომელმაც გააუქმა ეს რეჟიმი და მესხების გადაადგილებაზე შეზღუდვები მოიხსნა¹²⁷. ბრძანებულება შემდეგს იუწყებოდა:

„სპეცდასახლებებზე შეზღუდვების მოხსნის შესახებ: ყირიმელ თათრებზე, ბალყარელებზე, თურქებზე – საბჭოთა კავშირის მოქალაქეებზე, ქურთებზე, ჰემშინებზე და მათი ოჯახის წევრებზე, რომლებიც გადასახლეს დიდი სამამულო ომის დროს.

ითვალისწინებს რა იმ ფაქტს, რომ არსებული საკანონმდებლო შეზღუდვები სპეცდასახლებებში მყოფი ყირიმელი თათრებისთვის, ბალყარელებისათვის, თურქებისათვის-საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისათვის, ქურთებისათვის, ჰემშინებისათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც გადასახლეს 1943-1944 წლებში ჩრდილოეთ კავკასიიდან, საქართველოდან და ყირიმიდან, უკვე საჭირო აღარ არის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. სპეცდასახლებების აღრიცხვიდან მოიხსნან და საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული ზედამხედველობისაგან განთავისუფლდნენ ყირიმელი თათრები, ბალყარელები, თურქები – საბჭოთა კავშირის მოქალაქეები, ქურთები, ჰემშინები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც სპეცდასახლებებში ჩაასახლეს დიდი სამამულო ომის დროს.
2. ამ ბრძანებულების პირველ მუხლში დასახელებულ პირებზე შეზღუდვების მოხსნა არ გულისხმობს მათთვის ქონების დაბრუნებას, რომლის კონფისკაციაც მოხდა დეპორტაციის დროს და დეპორტირებულებს არ აქვთ უფლება დაბრუნდნენ იმ ადგილებში, საიდანაც ისინი გადაასახლეს⁷⁴.

ამ ბრძანებულების თანახმად, დეპორტირებულ მესხებს არ ჰქონდათ საქართველოში დაბრუნების უფლება. მიუხედავად ამ აკრძალვისა დეპორტირებულმა ხალხმა დაიწყო საქართველოში დაბრუნებისათვის ბრძოლა¹⁸. ისინი ძალისხმევას არ იშურებდნენ, რომ იმ ადგილებს დაბრუნებოდნენ, საიდანაც გაასახლეს. მათ შექმნეს მოძრაობა, რომელიც საქართველოში რეპატრაციისათვის მშვიდობიან აქციებს აწყობდა. ისინი თავიანთ პეტიციებს, წერილებს და მიმართვებს უგზავნიდნენ საბჭოთა მთავრობის მოხელეებს, მშვიდობიან დემონსტრაციებს აწყობდნენ, რათა დაერწმუნებინათ საბჭოთა მთავრობა, რომ დეპორტირებული ხალხი საქართველოში დაბრუნებინათ. მაგრამ, ერთადერთი რასაც მესხებმა მიაღწიეს, იყო აზერბაიჯანში გადასახლება. დაახლოებით 30.000 მაჰმადიანმა მესხმა მიატოვა შუა აზია და აზერბაიჯანში დასახლდა, იმ იმედით, რომ საქართველოსთან უფრო ახლოს იქნებოდა. აზერბაიჯანში ისინი აზერბაიჯანელებად ჩაწერეს და მესხების მცდელობა, რომ აღედგინათ თავიანთი ქართული ნაციონალობა, მთავრობის მხრიდან დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა³⁷. რეპრესიები იმ მესხების წინააღმდეგ, რომლებსაც საქართველოში დაბრუნება სურდათ, აზერბაი-

ჯანშიც გაგრძელდა. ნებისმიერი სახის პროვოკაციულ აქციებს, ღონისძიებებს აწყობდნენ იმისათვის, რომ არ დაეშვათ მესხების საქართველოში დაბრუნება. აზერბაიჯანის მთავრობა დეპორტირებული მესხების ასიმილაციას ისახავდა მიზნად და ამიტომაც მათი დაბრუნება საქართველოში მთავრობის პოლიტიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ბევრი მესხისათვის აზერბაიჯანში ცხოვრება საშიში შეიქმნა და ისინი იძულებული იყვნენ ყაბარდო-ბალყარეთში გადასახლებულიყვნენ³⁷.

საბჭოთა მთავრობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა მესხების საქართველოში დაბრუნების ნებისმიერ მცდელობას. მესხებს უფლება ჰქონდათ საბჭოთა კავშირის ნებისმიერ მხარეში ეცხოვრათ, საქართველოს გარდა, ვინაიდან ცივი ომის დროს სამცხე-ჯავახეთი საბჭოთა კავშირსა და ნატოს შორის სასაზღვრო რეგიონად იყო მიჩნეული. ამ რეგიონს მიანიჭეს სპეციალური „სასაზღვრო ზონის“ სტატუსი, რამაც კიდევ ერთი დაბრკოლება შეუქმნა ხალხს: არავის შეეძლო ამ რეგიონში შესვლა სპეციალური ნებართვის გარეშე. ამ ნებართვას კი დეპორტირებულ მესხებს არავინ მისცემდა¹²⁶. სასაზღვრო ზონის სტატუსი ვრცელდებოდა მთელ სამცხე-ჯავახეთზე, რის გამოც დეპორტირებული ხალხი თავის ყოფილ საცხოვრებელ ადგილებზე ვერ ბრუნდებოდა. საქართველოში დაბრუნების ნებისმიერი მცდელობა უშედეგო იყო, ვინაიდან პოლიცია საქართველოში ჩამოსულებს დევნიდა და ქვეყანაში შემოსვლის უფლებას არ აძლევდა. 1974 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა სპეციალური ბრძანებულება, რომელმაც მოუხსნა დეპორტირებულ ხალხებს მათ ყოფილ საცხოვრებელ ადგილებზე გადაადგილების შეზღუდვები. სინამდვილეში, საბჭოთა ხელისუფლება მათ დაბრუნებაში ხელს უშლიდა. საქართველოში დაბრუნების წარუმატებელი მცდელობების შემდეგ, მესხთა მცირე რაოდენობა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში ჩასახლდა, ხოლო მათი უდიდესი ნაწილი

შუა აზიის რესპუბლიკებში დარჩა 1989 წლამდე. 1969 წლამდე დაბრუნების ყველა მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა. გადასახლებულების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობამ მოახერხა საქართველოში დაბრუნება ქართული ინტელიგენციისა და დისიდენტების წყალობით. ისინი ჩაასახლეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში¹³².

ფერლანას ტრაგედიის შემდეგ ღებორტირებული მესხი მოსახლეობის მიგრაციული პროცესები საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში გაიზარდა და უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა 1989 წელს, როდესაც უზბეკეთში მოხდა მესხი მოსახლეობის დარბევა ფერლანას ხეობაში, რამაც 110 კაცის სიკვდილი გამოიწვია. შეტაკებების დროს 1032 კაცი დაჭრეს და 856 სახლი დაწვეს ან დაანგრიეს. ეს დანაშაული მაშინ მოხდა, როცა მესხები უკვე შეგუებული იყვნენ უზბეკეთში ცხოვრებას და მათ მოახერხეს ახალი ცხოვრების დაწყება ამ ქვეყანაში. ძალოვნმა სტრუქტურებმა არაფერი მოიმიქმედეს ამ დანაშაულის შესაჩერებლად. მიუხედავად იმისა, რომ ხალხი დახმარებას ითხოვდა, ამ დანაშაულის შეჩერება საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდა⁷⁸.

ფერლანას მოვლენების მრავალი ინტერპრეტაცია არსებობს. სხვადასხვა ავტორები ამ დანაშაულის სხვადასხვა ვერსიებს ასახელებენ, როგორცაა, მაგალითად, ეკონომიკური ვერსია, ნაციონალისტური ვერსია, „სამთავრობო შეთქმულების“ ვერსია, და ა.შ. ეკონომიკური ვერსიის თანახმად, უზბეკეთის მოსახლეობის უკმაყოფილებამ, რაც ცხოვრების პირობების გაუარესებით იყო გამოწვეული, გაზარდა აგრესია ეროვნული უმცირესობების მიმართ, რომლებიც მათზე უფრო მეტად პრივილეგირებულები იყვნენ ან მათ მიერ აღიქმებოდნენ, როგორც „უფრო მეტად პრივილეგირებულნი“. ამ ვერსიის თანახმად, სოციო-ეკონომიკური პირობების გაუარესებამ გამოიწვია ფერლანას ტრაგედია.

ნაციონალისტური ვერსია მოვლენების სხვანაირ ინტერ-

პრეტაციას გვთავაზობს: უზბეკეთში ნაციონალიზმისა და ნაციონალისტური იდეების გავრცელებამ გააუარესა ურთიერთობა ტიტულარულ ეთნიკურ ჯგუფსა და ეროვნულ უმცირესობებს შორის, რამაც ხელი შეუწყო ეთნიკური კონფლიქტების გაღვივებას უზბეკებსა და მესხებს შორის ფერღანაში.

„სამთავრობო შეთქმულების“ ვერსიის თანახმად, საბჭოთა ხელისუფლებამ ეს ტრაგედია წინასწარ დაგეგმა, რათა იაფფასიანი მუშახელი შუა აზიიდან ცენტრალურ რუსეთში გადაეყვანა¹³⁵. დანაშაულის ამ ვერსიას მხარს უჭერს დეპორტირებულთა დიდი უმრავლესობა. ამ ვერსიის თანახმად, საბჭოთა მთავრობამ მოახდინა ფერღანას მოვლენების პროვოცირება, რათა შემდეგი პრობლემები გადაეჭრა: 1. მუშახელით უზრუნველყო ცენტრალური რუსეთის რეგიონები; 2. უზბეკი ნაციონალისტების ყურადღება სლავური მოსახლეობიდან დეპორტირებულ მესხ ხალხზე გადაეტანა. 3. გამოეწვია ქაოსი კავკასიის ეროვნულ მოძრაობებში. ცენტრალური აზიიდან ათასობით ლტოლვილის მიგრაცია კავკასიაში დაძაბულობას გაზრდიდა და ამ რეგიონში არსებულ ისედაც რთულ სიტუაციას კიდევ უფრო დაძაბავდა⁶¹.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები ეჭვობდნენ, რომ ფერღანას ხეობაში მომხდარი დანაშაული გამიზნული იყო იმისათვის, რომ დაესაჯათ ქართველი ნაციონალისტები, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა ხელისუფლებას ყველაზე მეტად ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობების ემინოდა, ვინაიდან ისინი საბჭოთა იმპერიის არსებობას საფრთხეს უქმნიდნენ¹⁰⁵.

ფერღანას ხეობაში განხორციელებულმა მასიურმა მკვლევლობებმა აიძულა მესხები მიეტოვებინათ შუა აზია და კვლავ ლტოლვილები გამხდარიყვნენ. საბჭოთა არმიამ 17.000 მესხი ფერღანას პროვინციიდან გამოიყვანა და რუსეთის ცენტრალურ რეგიონებში გადაასახლა. შუა აზიაში დატრიალე-

ბულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გააძლიერა მესხების გადინება უზბეკეთიდან¹²⁶. 70.000 ათასზე მეტმა კაცმა მიატოვა უზბეკეთი და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში გადასახლდა, თუმცა ზოგიერთმა მაინც დარჩენა არჩია, განსაკუთრებით კი მათ, ვინც შუა აზიის რესპუბლიკებში (უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი) ასიმილაცია განიცადა. საბჭოთა არმია ისე სწრაფად მოქმედებდა და მესხების გადაყვანა რუსეთში ისე სწრაფად მოხდა, რომ ბევრმა ქონების გაყიდვა ვერ მოასწრო და სრულიად მოუძმადებელი შეხვდა გადასახლების პროცესს. ხალხი, რომელმაც უკვე მოახერხა უზბეკეთში დაფუძნება, იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა თავიანთი სახლები, ქონება და გადასახლებაში ყველაფერი თავიდან დაეწყო. ზოგიერთმა ისე დატოვა შუა აზია, რომ საკუთარი საბუთების წაღებაც კი ვერ მოასწრო, რამაც შემდეგ გაართულა მაჰმადიანი მესხების მდგომარეობა რუსეთში, განსაკუთრებით კი კრასნოდარის მხარეში. დოკუმენტებისა და საბუთების არქონის გამო ბევრი მათგანი მოქალაქეობის არმქონე პირი გახდა და კრასნოდარის მხარის ხელისუფლება მათ მოქალაქეობის მიცემაზე უარს ეუბნებოდა¹¹⁰.

ლტოლვილები ჩაასახლეს ცენტრალური რუსეთის სხვადასხვა რეგიონში. ზოგი კი აზერბაიჯანში, უკრაინაში და მეზობელ სახელმწიფოებში: უზბეკეთში, ყაზახეთში და ყირგიზეთში გადავიდა საცხოვრებლად. ბევრმა საქართველოში დაბრუნება მოითხოვა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. ფერლანას ტრაგიკული მოვლენების შემდეგ მხოლოდ მესხების უმნიშვნელო ნაწილმა შეძლო საქართველოში დაბრუნება, მაგრამ ისინი იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საქართველო 1989-1991 წლებში ანტიმესხური კამპანიისა და რეპატრიაციის მიმართ საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულების გამო. ყველა მესხი ლტოლვილი, ვინც საქართველოში დაბრუნდა ფერლანას ტრაგედიის შემდეგ საქართველოდან გააძევეს. ლტოლვილების გარდა, ორასი მესხი რეპატრიანტი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში, ასევე

იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო¹³⁶. მიუხედავად ამ ფაქტისა, კომპაქტური მესხური დასახლებები მაინც შემორჩა საქართველოს სხვადასხვა სოფლებში (იანეთი, ნასაკირალი, ნარუჯა).

ბოლო 60 წლის მანძილზე მესხები არაერთხელ იყვნენ დეპორტაციებისა და გადასახლებების მსხვერპლი. სტალინის მიერ დეპორტირებული სხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან განსხვავებით, დეპორტირებული მესხების რეაბილიტაცია არასოდეს არ მომხდარა და მათი დაბრუნების პერსპექტივებიც ჯერ ისევ გაურკვეველია.

თავი 3. დეპორტირებული ხალხის უზღებრივი მღვთმარეობა და მესხური პრობლემით დაკავებული ორგანიზაციები

3.1. მესხური ორგანიზაციები

როდესაც 1956 წელს საბჭოთა კავშირმა გამოსცა ბრძანებულება, რომელმაც მესხებს გადაადგილების შეზღუდვები მოუხსნა, მათ დაიწიეს მშვიდობიანი აქციების ორგანიზება და ჩამოაყალიბეს ეროვნული მოძრაობა, რომლის მიზანი იყო დეპორტირებული მესხების საქართველოში დაბრუნება. ყველა მათგანი გაერთიანებული იყო ამ მოძრაობაში და ერთი, მკაფიოდ გამოხატული მიზანი ჰქონდათ – საქართველოში დაბრუნება. ამ მოძრაობამ რაიმე კონკრეტულ შედეგს ვერ მიაღწია და მალე დაიშალა. მის ადგილზე აღმოცენდა სხვადასხვა ორგანიზაცია, განსხვავებული მიზნებითა და ორიენტაციებით.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, დეპორტირებული მესხები კომპაქტურად არ ცხოვრობენ ერთ ადგილზე, ისინი გაფანტული არიან ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნებში. ამ ხალხს ერთიანობა აკლია, რის გამოც მათი მიზნები და პრიორიტეტები განსხვავებულია. ამიტომ, მათი ინტერესების დაცვა ერთ მოძრაობას ან ორგანიზაციას არ შეუძლია. არსებობს უამრავი მესხური ორგანიზაცია, რომელთაც ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები და ეთნიკური ორიენტაცია გააჩნიათ. მათ არ შესწევთ უნარი მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმებას მიაღწიონ, არ შეუძლიათ ერთმანეთთან ითანამშრომლონ და ერთიანი ძალისხმევით იბრძოლონ რეპატრიაციისათვის. დეპორტირებულ მესხ ხალხს არ გააჩნია ერთობის განცდა და თავიანთ თავს არ აღიქვამენ, როგორც ერთი ეთნიკური ჯგუფის წევრებს. ამიტომაც მათ არ შეუძლიათ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმდნენ, როგორიც არის ეთნიკური იდენტობა, სამშობლოს ზუსტი

განსაზღვრება და შესაბამისად ვერ თანხმდებიან ქვეყანაზე, რომელშიც უნდა მოითხოვონ დაბრუნება¹¹⁹. რაც შეეხება ეთნიკურ იდენტობას, დეპორტირებული მესხების უმრავლესობა თვლის, რომ ისინი ეთნიკური თურქები არიან, მაგრამ მათ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ მათ სამშობლოზე. ზოგი მათგანი (განსაკუთრებით მოხუცები) თვლის, რომ მათი სამშობლო მესხეთია, ზოგი კი მიიჩნევს, რომ სამშობლო თურქეთია და თურქეთში დაბრუნების მომხრეა. დეპორტირებული მესხების მცირე რაოდენობა ამტკიცებს, რომ ქართველია და საქართველოს ნებისმიერ მხარეში მოითხოვს დაბრუნებას. დეპორტირებული მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეთნიკური იდენტობა, არ შეუძლია დანამდვილებით თქვას თუ რომელ ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნის და მათი ეთნიკური კუთვნილება ხშირად იცვლება პოლიტიკური სიტუაციის ცვალებადობასთან ერთად (16). 1960-იან წლებში ეს ხალხი თავის თავს ქართველებად თვლიდა. თავდაპირველად მესხების უმრავლესობას პროქართული ორიენტაცია ჰქონდა, მაგრამ როდესაც საქართველოში დაბრუნებისათვის ბრძოლამ არანაირი შედეგი არ გამოიღო და საბჭოთა ხელისუფლებამ მათ საქართველოში დაბრუნების საშუალება არ მისცა, მათ დაიწყეს ორიენტაციის შეცვლა. მაშასადამე, როდესაც მათ მთავარ მიზანს, საქართველოში დაბრუნებას ვერ მიაღწიეს, ორიენტაცია შეიცვალეს და თურქეთში გადასახლება მოითხოვეს. ამ მოძრაობამაც ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწია¹²⁹.

კგბ („კა-გე-ბე“) განსაკუთრებით მტრულად იყო განწყობილი პროქართული ორიენტაციის მესხი ლიდერების მიმართ და მათ ხშირად აიძულებდა ეთნიკური ორიენტაცია შეეცვალათ. მესხური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, ენვერ ოდაბაშევს თავდაპირველად ქართული ორიენტაცია ჰქონდა (მისი ნამდვილი გვარი იყო ხოზრევანიძე). ის ხშირად ხაზს უსვამდა მესხების ქართულ წარმომავლობას. მისი ნაწერები და გამოსვლები ყოველთვის პრო-ქართული ლოზუნგებით

გამოირჩეოდა. მაგრამ როდესაც ის დააკავეს მისი საქმიანობის გამო და ციხეში ჩასვეს, მან ორიენტაცია შეიცვალა და პროთურქული ფრთის ლიდერი გახდა. 1964 წელს მან განაცხადა, რომ დეპორტირებული მესხები ეთნიკური თურქები იყვნენ და ისინი საქართველოში უნდა დაებრუნებინათ როგორც თურქები. მაგრამ 1970-იან და 1980-იან წლებში მან კვლავ შეიცვალა თავისი აზრი და დეპორტირებული მესხების ქართული წარმომავლობის იდეის მიმართ სიმპათიების გამოძულავნება დაიწყო.

ასევე იყო შემთხვევები, როდესაც მესხების ლიდერები, რომლებიც (კვბ-ს გავლენის გამო) აქტიური პროთურქული ორიენტაციით გამოირჩეოდნენ, ყველასათვის მოულოდნელად ამტკიცებდნენ, რომ ქართველები იყვნენ და ქართველობაზე დებდნენ თავს. მევლუდ ბაირახტაროვი მესხების აზერბაიჯანულ საზოგადოებაში ასიმილაციის აქტიური მომხრე იყო. ის აქტიურად აქეზებდა მესხებს, რომ სამუდამოდ აზერბაიჯანში დარჩენილიყვნენ, აზერბაიჯანელებად გამოეცხადებინათ თავი და უარი ეთქვათ საქართველოში დაბრუნებაზე, მაგრამ 1973 წელს მან საქართველოს მთავრობას წერილი გაუგზავნა, სადაც ის თავის ქართულ წარმომავლობას უსვამდა ხაზს¹³⁵. იუსუფ სარვაროვი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო პროთურქული ორიენტაციის მესხების ლიდერი, 1970-იან წლებში ამტკიცებდა, რომ ის იყო ეთნიკური ქართველი და რომ მისი ნამდვილი გვარი იყო დიდებულიძე. მაგრამ შემდეგ კვბ-ს ზეგავლენით ორიენტაცია შეიცვალა და აქტიურად დაადგა პროთურქულ გზას. მან დეპორტირებულ ხალხში ქართული თვითშეგნების წაშლას და თურქოფილობის განმტკიცებას შეუწყო ხელი⁵³.

ბოლო წლების მანძილზე ბევრი მესხური ორგანიზაცია წარმოიშვა, რომელთაც ზემოთ ნახსენები სხვადასხვა ეთნიკური ორიენტაციებიდან ერთ-ერთი აქვთ არჩეული და დეპორტირებული ხალხის სამშობლოში დასაბრუნებლად იბრძვიან. უამრავი მესხური ორგანიზაცია აღმოცენდა,

რომელთაც ერთმანეთის საწინააღმდეგო მიზნები და ამოცანები ამოძრავებთ. ეს ორგანიზაციებია: „ვათანი“ (Vatan – თურქულად სამშობლოს ნიშნავს), „ხსნა“, ქართველ რეპატრიანტთა კავშირი, „უმიდი“ (Umid – თურქულად იმედს ნიშნავს), ყირგიზეთში მცხოვრები თურქების ასოციაცია (Association of Turks Residing in Kyrgyzstan), დსთ-ს ქვეყნების ახალციხელი თურქების საერთაშორისო ფედერაცია (International Federation of Akhiska Turks of CIS countries), ლტოლვილი ახალციხელი თურქების კულტურული და სოციალური დახმარების ასოციაცია (Ahiska Refugee Turks' Cultural and Social Assistance Association) და ა.შ. მესხური ორგანიზაციები ვრცლად არიან მიმოფანტული სხვადასხვა ქვეყნებში, ერთმანეთის საწინააღმდეგო ორიენტაციები გააჩნიათ და ერთობა აკლიათ⁹⁰.

ამ ორგანიზაციებიდან ყველაზე ცნობილია „ვათანი“ და „ხსნა“. „ვათანი“ დაარსდა 1990 წელს. ის იცავს პროთურქული ორიენტაციის მესხების ინტერესებს. მისი სათავე ოფისი მოსკოვში მდებარეობს. მას ასევე გააჩნია რეგიონალური ფილიალები რუსეთის სხვადასხვა პროვინციებში და აზერბაიჯანში. მესხურ ორგანიზაციებს შორის „ვათანი“ ყველაზე დიდ ორგანიზაციად ითვლება. „ვათანის“ ლიდერები თვლიან, რომ მათი ორგანიზაცია წარმოადგენს დეპორტირებული მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს. სინამდვილეში ის ხალხის ასეთი დიდი მასის წარმომადგენელი არ არის. მესხური თემების უმრავლესობამ არაფერი იცის ამ ორგანიზაციის არსებობის შესახებ და მისი მიმდევრების რიცხვიც შეზღუდულია. „ვათანს“ არ შეუძლია მესხი რეპატრიანტების პრობლემების გადაჭრა, რომლებსაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათ საცხოვრებელ ადგილებზე აწყდებიან და ამიტომაც ის თავისი ძალისხმევით კონცენტრირებას ახდენს მხოლოდ რეპატრიაციის პროცესზე. მისი გავლენა შეზღუდულია, ვინაიდან მას არ გააჩნია ფილიალები ყველა რეგიონში და ქვეყანაში, სადაც მესხები ცხოვრო-

ბენ. „ვათანის“ მიმდევრები თვლიან, რომ დეპორტირებული მესხები ეთნიკური თურქები არიან და განსხვავებული თურქული კულტურული იდენტობა გააჩნიათ. ამ ოგანიზაციას ორი მიზანი ამოძრავებს: აღიარება იმ ფაქტისა, რომ 1944 წელს განხორციელებული დეპორტაცია იყო არალეგალური აქტი და დეპორტირებული ხალხის უპირობო დაბრუნება მესხეთში¹⁰⁷. ისინი უარს ამბობენ დეპორტირებული მესხების საქართველოს სხვა რეგიონებში დაბრუნებაზე და მოითხოვენ მათ დაბრუნებას მხოლოდ მესხეთში. „ვათანი“ სამცხე-ჯავახეთში არსებული პოლიტიკური რეალობის იგნორირებას ახდენს, არ ითვალისწინებს ამ რეგიონში არსებულ დაძაბულ ვითარებას სხვადასხვა ეთნოკონფესიურ ჯგუფებს შორის და ჯიუტად მოითხოვს დეპორტირებული მესხების დაბრუნებას მხოლოდ ამ მხარეში. „ვათანი“ ასევე მოითხოვს მათთვის კულტურულ ავტონომიას, სპეციალურ კულტურულ უფლებებს, როგორც არის, მაგალითად, მშობლიურ ენაზე განათლების უფლება და მათი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

„ვათანის“ უუნარობამ ყოფილიყო მთელი დეპორტირებული მესხი ხალხის ინტერესების დამცველი (განსხვავებული მოსაზრებები ეთნიკურ წარმომავლობასა და სხვა საკითხების შესახებ ხშირად კვლავ იწვევს განხეთქილებას მესხებს შორის), გამოიწვია ალტერნატიული ორგანიზაციის შექმნა, რომელსაც სახელად ეწოდა „ხსნა“. იგი დაფუძნდა ყაბარდო-ბალყარეთში 1992 წელს და წარმოადგენდა პროქართული ორიენტაციის მესხების ინტერესებს. საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით „ხსნას“ საფუძველი ჩაუყარეს მესხთა რეპატრაციის მოძრაობის ლიდერებმა, ხალილ უმაროვ-გოზალიშვილმა და ისა ამრაფოვმა. ამ ორგანიზაციამ მჭიდრო კავშირები დაამყარა ქართველ ადამიანის უფლებების აქტივისტებთან, ვიქტორ რცხილაძესთან, ზვიად გამსახურდიასთან და მერაბ კოსტავასთან. „ხსნა“ მიიჩნევდა, რომ დეპორტირებული მესხები ეთნიკური ქართვე-

ლები არიან, რომლებმაც ისლამი მიიღეს, მას შემდეგ რაც ოსმალეთის იმპერიამ მოახდინა მესხეთის ანექსია. „ხსნა“ მესხების რეპატრიაციის მოხმრე იყო საქართველოს მიუღი ტერიტორიაზე და არ ითხოვდა მათ მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში დაბრუნებას. „ვათანისაგან“ განსხვავებით, „ხსნა“ არ მოითხოვდა კულტურულ ავტონომიას მესხებისათვის. „ხსნა“ ასევე დახმარებას უწევდა მესხებს საქართველოს უნივერსიტეტებში ჩაბარების დროს. 1999 წელს ხსნამ არსებობა შეწყვიტა და ეს ორგანიზაცია შეცვალა ქართველ რეპატრიანტთა კავშირმა. დღეისათვის ქართველ რეპატრიანტთა კავშირი მდებარეობს თბილისში და არის მთავარი მესხური ორგანიზაცია საქართველოში. საქართველოში ასევე არის სხვა მესხური ორგანიზაციებიც: ლატიფმაჰმად ბარათაშვილის ფონდი – „მესხეთი“, მაჰმადიანი მესხების ხალილ გოზალიშვილის სახელობის საერთაშორისო ასოციაცია – „გურჯისტანი“, „ახალგაზრდა დეპორტირებული მესხების საერთაშორისო კავშირი – მესხეთი“. ყველა მათგანი პროქართული ორიენტაციისაა და მოითხოვენ მესხების დაბრუნებას საქართველოში. ისინი ასევე დახმარებას უწევენ საქართველოში მცხოვრებ მესხ რეპატრიანტებს¹³².

„უმიდი“ (Umid – თურქულად იმედი) დაარსდა 1994 წელს აკრამ ბაირახტაროვის ინიციატივით, რომელიც კრიმსკში (კრასნოდარის მხარეში) ცხოვრობს. ეს ორგანიზაცია მხოლოდ კრიმსკში მოქმედებს. ორგანიზაციის პოზიციაა, რომ დეპორტირებული ხალხი ეთნიკური თურქებია და მისი მთავარი მიზანი დეპორტირებული მესხების თურქეთში გადასახლებაა.

სხვადასხვა მესხური ორგანიზაციები და ასოციაციები არსებობს ცენტრალურ აზიაში. დეპორტირებულმა მესხებმა ჩამოაყალიბეს კულტურული ცენტრი ტამკენტში, რომელსაც „ჰქეია თურქი მესხების კულტურული ცენტრი“. (Meskhetian Turks' Cultural Center). ყირგიზეთში მოქმედებს ორი მესხური ორგანიზაცია: ყირგიზეთში მცხოვრები თურქების

ასოციაცია (the Association of Turks Residing in Kyrgyzstan) და დსთ-ს ქვეყნების ახალციხელი თურქების საერთაშორისო ფედერაცია (International Federation of Akhiska Turks of CIS countries). ორივე ორგანიზაცია თვლის, რომ დეპორტირებულები ეთნიკური თურქები არიან და ორივე ორგანიზაცია მიზნად ისახავს დეპორტირებული მესხების თურქეთში დაბრუნებას.

თურქეთში მოქმედებს უამრავი მესხური ორგანიზაცია და ასოციაცია. ამ ორგანიზაციების უმრავლესობა მდებარეობს ქალაქ ბურსაში, სადაც ცხოვრობს თურქეთში მყოფი მესხების უმრავლესობა. მესხურ ორგანიზაციებს მართავენ ადგილობრივი მესხები, რომლებიც თურქეთის მოქალაქეები არიან და რომელთა წინაპრებიც თურქეთში 1944 წლამდე დასახლდნენ. ამ ორგანიზაციების პოზიციას, რომ დეპორტირებული მესხები ეთნიკური თურქები არიან. ორგანიზაციების მიმდევრები თვლიან, რომ „ნამდვილი თურქები“ არიან და რომ მათ მოახერხეს თავის სამშობლოში, თურქეთში დაბრუნება. მაგრამ ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ზოგიერთი ორგანიზაცია, მათ შორის არის ახალციხელი თურქების საგანმანათლებლო, კულტურული და სოციალური დახმარების ასოციაცია (Akhiska Turks' Educational, Cultural and Social Assistance Association), რომელიც მდებარეობს სტამბოლში და მიზნად ისახავს დეპორტირებული ხალხის სამცხე-ჯავახეთში დაბრუნებას. ამ ასოციაციის საქმიანობებში შედის: დეპორტირებულ მესხებზე ჟურნალებისა და ფილმების გამოცემა, ახალგაზრდა მესხებისთვის განათლების მიცემა, რათა ხელი შეუწყონ დეპორტირებულთა შორის პროთურქული ინტელიგენციის შექმნას, თურქეთში ახლადჩამოსული მესხებისათვის დახმარების გაწევა¹²⁶. თურქეთში მოქმედი მესხური ასოციაციები და ორგანიზაციები კარგად ორგანიზებულები არიან და მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ თურქეთში დაბრუნებულ მესხებს. ისინი ასევე აძლიერებენ მესხებს შორის პროთურქულ ორიენტაციას.

მიუხედავად მესხური ორგანიზაციების სიჭარბისა, ისინი დიდი ეფექტურობით არ გამოირჩევიან, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება მესხური პრობლემის გადაჭრას. მესხური ორგანიზაციების არაეფექტურობა გამოიხატება იმით, რომ მათ არ შეუძლიათ გაერთიანდნენ და ერთობლივად იბრძოლონ მესხების საქართველოში დასაბრუნებლად. მესხების ეთნიკური წარმოშობის შესახებ უთანხმოებების გამო მათ არ შესწევთ უნარი ერთიანი და ცენტრალიზებული ორგანიზაცია შექმნან, რომელსაც სტაბილური, მათი საერთო ინტერესების გამომხატველი ხელმძღვანელობა ეყოლება. როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ისინი დაყოფილნი არიან სხვადასხვა ორიენტაციის მიმდევრებად და ერთმანეთის საწინააღმდეგო მიზნები გააჩნიათ. ამ ორგანიზაციებს კონსენსუსის მიღწევა არ შეუძლიათ და ძალიან ცოტა აქვთ საერთო. საერთო ეთნიკური და ეროვნული ცნობიერების არარსებობის გამო (დეპორტირებული ხალხი საერთო ეთნიკური ჯგუფის წევრებად არ აღიქვამს თავიანთ თავს), მათ არ შეუძლიათ საერთო მოძრაობის შექმნა, რათა უფრო ეფექტურად გადაჭრან რეპატრიაციასთან დაკავშირებული საკითხები. მათ რომ გაერთიანების უნარი შესწევდეთ, უფრო ძლიერები იქნებოდნენ და უფრო მეტი გავლენაც ექნებოდათ პოლიტიკურ პროცესებზე.

მესხურ სოლიდარობას აკნინებს კონფლიქტები პროთურქული და პროქართული ორიენტაციის მესხებს შორის. მუდმივი კამათია იმასთან დაკავშირებით თუ რა სახელწოდებით უნდა მოიხსენიებოდეს დეპორტირებული ხალხი, გამაჰმადიანებულ ქართველებად თუ ეთნიკურ თურქებად. ეთნიკურობაზე კამათი და დეპორტირებული მოსახლეობის პროთურქულ და პროქართულ ძალებს შორის კონფლიქტი ხშირად იწვევს ისეთი ფუნდამენტალური საკითხების გადაფარვას და უკანა პლანზე დაყენებას, როგორცაა რეპატრიაცია და ადამიანის უფლებები. ელდარ ზეინალოვის, ბაქოში ადამიანის უფლებების დაცვის ცენტრის უფროსის აზრით,

მესხური ერთობა არის საჭირო იმისათვის, რომ საერთა-შორისო საზოგადოებამ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს რეპატრიაციის საკითხს. როგორც მან განაცხადა: „პროგრესის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი თვითონ მესხური თემიდან მომდინარეობს. ტერმინოლოგია და ეთნიკური იდენტობის საკითხი განხეთქილების ვაშლად იქცა, რომელსაც კარგად იყენებენ ის ძალები, რომელთაც მათი საქართველოში დაბრუნება არ უნდათ. იმ ფაქტმა, რომ ზოგი (მესხი) თავს ეთნიკურ თურქად თვლის და ზოგი კი – მაკმადიან ქართველად, მათ ყურადღება უფრო მნიშვნელოვანი საკითხებიდან მეორეხარისხოვან საკითხებზე გადაატანინა. მესხებს ეთნიკურობაზე კამათის ნაცვლად უფრო მეტი ორგანიზებულობა და ერთობა სჭირდებათ“⁹⁴. მაშასადამე, მესხებს შორის უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა, მათ შორის მტრობა და ურთიერთთანამშრომლობის არარსებობა სერიოზულად აკნინებს მათ მოძრაობას და რეპატრიაციის შესაძლებლობას.

3.2. დეპორტირებული ხალხის უფლებრივი მდგომარეობა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და თურქეთში

დეპორტირებული მესხების ზუსტი რაოდენობა უცნობია, რადგან არ არსებობს დეპორტირებული მოსახლეობის აღწერის სანდო მონაცემები. დსთ-ს სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკური ინსტიტუტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, სადაც დეპორტირებული მესხები ცხოვრობენ, ხშირად არასანდოა, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დაბეჭდვების არაეფექტური სისტემის არსებობის გამო. პრობლემას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მესხები განზრახ ჩაწერა როგორც სხვა ეროვნებების წარმომადგენლები, რათა დაეჩქარებინა მათი იძულებითი ასიმილაციის პროცესი. ბევრ მათგანს პასპორ-

ტში უწერია ეროვნება „უზბეკი“, „აზერბაიჯანელი“, „თურქი“, „კავკასიელი“ და ამიტომაც ძნელია დეპორტირებული მესხების ზუსტი რაოდენობის დადგენა. საერთაშორისო ისტორიულ-საგანმანათლებლო და ჰუმანიტარული საზოგადოების მემორიალის (The International Historical-Enlightenment and Humanitarian Society Memorial) მიერ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ცხოვრობს დაახლოებით 270.000-დან 345.000-მდე დეპორტირებული მესხი¹³⁷. სხვადასხვა ქვეყნებში, და ერთი და იმავე ქვეყნის რეგიონებშიც კი, დეპორტირებული ხალხის უფლებრივი მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ფერღანას ტრაგედიამ გამოიწვია მესხური თემების დიდი გაფანტულობა დსთ-ს სხვადასხვა ქვეყნებში. დეპორტირებული მესხების უმრავლესობამ რუსეთში ჩასახლება დაიწყო 1980-იან და 1990-იან წლებში. ისინი ძირითადად ცხოვრობენ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში (ვოლგოგრადის ოლქი, როსტოვის ოლქი, სტავროპოლის მხარე, კრასნოდარის მხარე, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ჩრდილო ოსეთი და ყალმუხეთი) და ცენტრალურ ნაწილში (ბელგოროდი, ვორონეჟი, კურსკის ოლქი, ორელი, სმოლენსკი, რიაზანი, ტულა)¹²⁵. დეპორტირებული მესხების დიდი უმრავლესობა, 95% ცხოვრობს რუსეთის სამხრეთ რეგიონებში და მხოლოდ მცირე რაოდენობა, 5% ცხოვრობს ცენტრალურ რუსეთში. დაახლოებით 50.000-დან 70.000-მდე დეპორტირებული მესხი ცხოვრობს რუსეთში.

რაც შეეხება მესხების უფლებრივ მდგომარეობას კრასნოდარის მხარეში, საჭიროა გამოვყოთ ორი პერიოდი: ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლებამდე პერიოდი და პერიოდი აშშ-ში გადასახლების შემდეგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლებამდე დეპორტირებულ მესხებს ძალზედ რთულ ვითარებაში უწევდათ ცხოვრება რუსეთის სამხრეთ პროვინციებში, სადაც მათ ჩამორთმეული

ჰქონდათ ყველა სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უფლებები. ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლებაამდე დაახლოებით 18.000 მესხი კომპაქტურად ცხოვრობდა კრასნოდარის მხარის სოფლებში. კრასნოდარის მხარე არ იყო ის რეგიონი, სადაც ისინი ჩაასახლეს ფერდანას ტრაგედიის შემდეგ. ისინი გადაიყვანეს უმეტესწილად რუსეთის სხვადასხვა ცენტრალურ რეგიონში, მაგრამ მათ გაუჭირდათ ცენტრალური რუსეთის ცივ კლიმატთან შეგუება და ამიტომაც გადავიდნენ საცხოვრებლად სამხრეთ რუსეთში, რადგანაც იქ მათთვის უფრო სასურველი, თბილი კლიმატი იყო. მეორე მიზეზი კრასნოდარის მხარეში გადასახლებისა იყო ის, რომ ეს მხარე საქართველოს ესაზღვრება და 1989-1990-იან წლებში მესხები იმედოვნებდნენ, რომ თავიანთ ყოფილ საცხოვრებელ ადგილებს დაუბრუნდებოდნენ. რუსული კანონმდებლობის თანახმად, რუსეთის მოქალაქეებს, მიუხედავად მათი ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა, უფლება აქვთ აირჩიონ მათი საცხოვრებელი ადგილი. მაგრამ მესხებს ეს უფლება წართმეული ჰქონდათ და დეპორტირებული მესხებისათვის აპარტიდის სისტემა მოქმედებდა კრასნოდარის მხარეში. მაშინ, როდესაც მოქალაქეობას ანიჭებდნენ მესხებს რუსეთის ყველა რეგიონში, სადაც ისინი ცხოვრობენ, კრასნოდარის მხარეში მათ უარს ეუბნებოდნენ მოქალაქეობაზე და მუდმივი ცხოვრების უფლებას არ აძლევდნენ. მათ მხოლოდ დროებითი ცხოვრების უფლების მოპოვება შეეძლოთ და ისე ეპყრობოდნენ, როგორც არალეგალურ ემიგრანტებს. ისინი განიცდიდნენ დისკრიმინატორულ და დამამცირებელ მოპყრობას ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, როგორც არის, მაგალითად, ცხოვრების უფლების მინიჭება და წართმევა. მათ ხშირად უწევდათ ყოველთვიური „ხელახალი რეგისტრაციის გადასახადის“ გადახდა კორუმპირებული ადგილობრივი ხელისუფლებისათვის. 1991 წლის მოქალაქეობის კანონის თანახმად, მესხებს ჰქონდათ უფლება გამხდარიყვნენ რუსეთის მოქალაქეები,

ვინაიდან ამ კანონის თანახმად ყველა საბჭოთა მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა რუსეთის ფედერაციაში, ავტომატურად ხდებოდა რუსეთის მოქალაქე. როდესაც ეს კანონი ძალაში შევიდა 1992 წელს, მესხები უკვე იყვნენ კრასნოდარის მხარეში, ისინი მუდმივად ცხოვრობდნენ იქ და ამიტომაც ჰქონდათ უფლება გამხდარიყვნენ რუსეთის მოქალაქეები. მაგრამ კრასნოდარის მხარის ადგილობრივმა ხელისუფლებამ უარი უთხრა მათ მუდმივი ცხოვრების უფლების მინიჭებაზე, რომელიც საჭირო იყო მოქალაქეობის მოპოვებისათვის და მათ მიმართ იყენებდა ტერმინს „რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე დროებით მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი“. ადგილობრივი ხელისუფლება ასევე ეწეოდა ანტიმესხურ საქმიანობას და დეპორტირებული ხალხის აქტიურ დისკრიმინაციას. კრასნოდარის მხარეში მცხოვრებ 7.000 დეპორტირებულ მესხს არ მისცეს მოქალაქეობის უფლება და არც ცხოვრების უფლება. რუსეთის სხვა რეგიონებში დეპორტირებულმა მოსახლეობამ მოიპოვა რუსული მოქალაქეობა, მაგრამ ეს არ მოხდა კრასნოდარის მხარეში, სადაც მათ უარი უთხრეს მოქალაქეობაზე და რის გამოც მათ შეუზღუდეს ყველა ძირითადი სამოქალაქო და ადამიანის უფლება. ამერიკაში გადასახლებამდე მათ ყველა უფლება შეზღუდული ჰქონდათ. დეპორტირებული მესხი მოსახლეობის მიმართ მტრული განწყობილება ისეთი გამოკვეთილი და აშკარა რუსეთის არც ერთ რეგიონში არ ყოფილა, როგორც ეს იყო კრასნოდარის მხარეში. რადგან მესხებს არ ჰქონდათ მოქალაქეობა და ცხოვრების უფლება, მათ არ შეეძლოთ კანონიერი სამუშაოს შოვნა, ქონების კანონიერი ფლობა და მისი შეძენისა და გაყიდვის დარეგისტრირება (მაგალითად: სახლის, მანქანის), მართვის მოწმობის აღება, ქორწინების დარეგისტრირება, რის გამოც მათი ქორწინება არ იყო კანონიერი; მათ ასევე არ შეეძლოთ ბავშვის დაბადების მოწმობის აღება და სოციალური მომსახურება მათთვის ხელმისაწვდომი არ იყო; მათ არ

შეედლოთ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარება, ადგილობრივი მოსახლეობიდან მიწის იჯარით აღება. ადგილობრივმა ხელისუფლებამ აიძულა მიწის მფლობელები, რომ გაეუქმებინათ მესხებთან დადებული ყველა საიჯარო ხელშეკრულება. ამან თავის მხრივ უდიდესი პრობლემები შეუქმნა მესხებს, ვინაიდან მათი უძრავი საფლობის სოფლის მეურნეობით ირჩენდა თავს და მრავალი ოჯახისთვის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა. მესხებს არ ჰქონდათ უფლება სასამართლოსთვის მიემართათ. ძალიან ხშირად იყო გავრცელებული შემთხვევები, როდესაც მესხებს თავიანთი საკუთარი სახლებიდან აძევებდნენ, ვინაიდან მათ არ გააჩნდათ (არც შეედლოთ, რომ მოეპოვებინათ) სახლის ფლობის დამდასტურებელი საბუთები. დამსაქმებლებს ეკრძალებოდათ სამუშაოზე მიეღოთ მესხები, ვინაიდან კაზაკები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები უკრძალავდნენ მათ მესხების დასაქმებას¹¹⁰. მესხი ბავშვების უფლებებიც ინტენსიურად ილახებოდა. აპარტიდის სისტემა სკოლაშიც მოქმედებდა და რუს და მესხ ბავშვებს სხვადასხვა ოთახებში უხდებოდათ სწავლა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი ძირითადი სამოქალაქო და ადამიანის უფლებები ილახებოდა: მოქალაქეობის ფლობის უფლება, საკუთრების ფლობის უფლება, დაოჯახების უფლება, დასაქმების უფლება, უმაღლესი განათლების მიღების უფლება და ა.შ. პასპორტებისა და საბუთების არქონის გამო, მესხები იძულებული იყვნენ თავიანთ სახლებში გამოკეტილიყვნენ, რადგან პოლიცია მათ თუ სადმე აღმოაჩენდა, აუცილებლად დააპატიმრებდა ან დააჯარიმებდა. როგორც რუსტამ ზაუტაძემ, კრასნოდარში მცხოვრებმა მესხმა განაცხადა: „კრასნოდარში ცხოვრება შეუძლებელია. კაზაკებმა და პოლიციამ რამოდენიმეჯერ მომაკითხეს სახლში და საბუთები მომთხოვეს, რომელიც ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გავაჩნია, რის გამოც ხშირად გვაჯარიმებენ. თუ ქუჩაში გამოგვიჭირეს, მაშინვე გვაპატიმრებენ. დაკავების ცენტრში რამოდენიმე კვირა მომიწია ყოფნა“¹¹⁰⁴.

თუმცა კაზაკები გამოირჩევიან კავკასიაში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულებით, ისინი მაინც ყველაზე სასტიკები დეპორტირებული მესხების მიმართ არიან. მესხების ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლებამდე, კაზაკები ხშირად უვარდებოდნენ მათ სახლებში და ხშირი იყო მათი ცემატყევის და დამცირების ფაქტები. დეპორტირებული მესხები ხდებოდნენ ასევე რუსი სკინჰედების სამიზნეები. კრასნოდარის ადგილობრივი ხელისუფლება ზომებს არ იღებდა ამ ბარბაროსული აქტების აღსაკვეთად. პირიქით, ისინი მესხების დისკრიმინაციისაკენ მოუწოდებდნენ კაზაკებს, რათა იძულებული გაეხადათ ისინი, რომ წასულიყვნენ ამ მხარიდან. კრასნოდარის მხარეში ყველგან იყო გახშირებული დეპორტირებული მესხების დისკრიმინაციის ფაქტები. კაზაკები კრასნოდარის მხარეს თავიანთ მიწად თვლიან, რომელიც მათ რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე დიდმა უბოძა რუსი მეფეების ერთგული სამსახურისათვის. ამის გამო კაზაკებმა არ მიიღეს მესხები კრასნოდარის მხარის მოქალაქეებად და მათ დისკრიმინაციას მიყვეს ხელი, მათ ისე ეპყრობოდნენ, როგორც არალეგალურ იმიგრანტებს¹¹⁰. კაზაკები და ადგილობრივი ხელისუფლების ჩინოვნიკები დაჟინებით აცხადებდნენ, რომ მესხები უცხოები იყვნენ, რომელთაც არ ჰქონდათ კრასნოდარის მხარეში ცხოვრებისა და მუშაობის უფლება და მათ ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც „არასასურველ სტუმრებს“. პასპორტებისა და საბუთების გარეშე მესხები კრასნოდარის მხარეში მოქალაქეობის არმქონე პირებად ითვლებოდნენ და ასპარეზზე არ ჩანდა არც ერთი სახელმწიფო, რომელიც მათ უფლებებს დაიცავდა¹⁰⁴.

მესხების დისკრიმინაცია აშკარა იყო ცხოვრების ყველა სფეროში: მათ შემოსავლის ყველა წყარო გადაკეტილი ჰქონდათ. რამაც დეპორტირებული მესხი მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია. მათ შიმშილობა გამოაცხადეს. ისინი მოითხოვდნენ: რუსულ მოქალაქეობას და რუსულ პასპორტებს;

ეთნიკური დისკრიმინაციის შეწყვეტას და მათი უფლებების პატივისცემას, რომელშიც შედიოდა უმაღლესი განათლების უფლება და ჯანმრთელობის დაცვა; მიწის იჯარით აღებაზე და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვაზე აკრძალვის მოხსნა; შიმშილობის აქციებმა და პროტესტმა არასამთავრობო ორგანიზაციების და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მესხების მუდმივი დევნისა და დისკრიმინაციის გამო ადამიანის უფლებების აქტივისტებმა დაარწმუნეს აშშ-ს მთავრობის წარმომადგენლები, რომ ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაესახლებინათ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ადამიანის უფლებების მოხსენებებში (State Department human rights reports) და ეუთოს შეხვედრებში დაგმო მესხების დევნა და დისკრიმინაცია, კრასნოდარის ხელისუფლების არაადამიანური საქციელი და კრასნოდარის მხარეში მცხოვრებ მესხებს ამერიკაში გადასახლება შესთავაზა¹⁰⁴. აშშ-ს მთავრობამ დაავალა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას – IOM-ს (International Organization for Migration – IOM) დაეწყო 2004 წელს გადასახლების პროგრამის შესრულება, რომელიც შეიქმნა იმ მესხებისათვის, რომლებიც დისკრიმინაციას განიცდიდნენ კრასნოდარის მხარეში¹³⁰. IOM-მა და ამერიკის საკონსულომ განახორციელეს ეს პროგრამა 2004 წლიდან 2007 წლამდე და გადასახლეს დაახლოებით 11.500 მესხი ამერიკაში. გადასახლებულ მესხებს აზილანტის სტატუსი (asylum status) მიანიჭეს, რაც მათ სამოქალაქო უფლებებს აძლევს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ, ყველა მესხმა მაინც ვერ მოახერხა წასვლა, რადგანაც გადასახლებისთვის გათვალისწინებულ პირობებს არ აკმაყოფილებდა. ზოგიერთ მათგანს კრასნოდარის მხარეში მოქალაქეობა ჰქონდა და ამიტომაც ლტოლვილის სტატუსის მოპოვება ვერ შეძლო¹¹⁰.

გადასახლების პროგრამის დასრულების შემდეგ დეპორტირებული მესხების უფლებრივი მდგომარეობა შესამჩნევად

გაუმჯობესდა კრასნოდარის მხარეში. ადამიანის უფლებების აქტივისტების მოხსენებების თანახმად, საგრძნობლად შემცირდა უმიზეზო დაჯარიმებები და სხვა ტიპის დისკრიმინაციის გამოვლინებები. კრასნოდარის მხარის ხელისუფლებამ შეარბილა მისი მკაცრი პოლიტიკა უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ და დროებითი ცხოვრების უფლების გაცემები გაზარდა. როგორც ყველასათვის ცნობილია, დროებითი ცხოვრების უფლების მიღება არის პირველი ნაბიჯი გადადგმული რუსეთის მოქალაქეობის მოსაპოვებლად. კრასნოდარის მხარის ფედერალური მიგრაციის სამსახურის უფროსმა ვ. ა. კარასევმა განაცხადა, რომ მის დეპარტამენტს განზრახული ჰქონდა მოქალაქეობის უფლების მინიჭება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისათვის (მესხებისათვის, ქურთებისა და იეზიდებისათვის). ლაპარაკია დაახლოებით 1000 კაცისათვის, მათ შორის 400 მესხისათვის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ. ადამიანის უფლებების აქტივისტები ასევე აფიქსირებენ პოლიციის მხრიდან მესხებისადმი დამოკიდებულების გაუმჯობესების ფაქტებს. პოლიცია ხშირად იცავს მესხებს რელიგიური დღესასწაულების დროს. მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს კრასნოდარის მხარეში ქსენოფობიის სრულ აღმოფხვრას, ვინაიდან კვლავ ხდება ეთნიკური ნიშნით ხალხის დისკრიმინაცია.

კრასნოდარის მხარესთან შედარებით ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში და სხვა ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში უეჭველად უკეთესი ეკონომიკური პირობები არსებობს დეპორტირებული მესხი მოსახლეობისათვის. მათი ზუსტი რაოდენობა უზბეკეთში უცნობია ოფიციალური სტატისტიკის არარსებობის გამო. გარდა ამისა, ბევრი ადგილობრივი მესხი ჩაწერილია როგორც აზერბაიჯანელი, უზბეკი ან თურქი, რაც საშუალებას არ იძლევა, რომ რესპუბლიკაში მათი ზუსტი რაოდენობა დადგინდეს. დაახლოებით 10.000-დან 15.000-მდე კაცი ცხოვრობს უზბეკეთში. 1989 წელს განხორციელებული რბევის შემდეგ სიტუაცია მესხებისათვის

უზბეკეთში თანდათანობით სტაბილური გახდა. მათ შეძლეს ეკონომიკური დანაკარგების აღდგენა და მძიმე შრომის წყალობით გაიუმჯობესეს ცხოვრების პირობები¹²⁶. მიუხედავად ამისა, მათ მაინც ემინიათ ეთნიკური კონფლიქტების ხელახალი გაღვივების და ფერღანას ტრაგედიის განმეორების. უზბეკეთის მთავრობა სპეციალურ პრევენციულ ზომებს მიმართავს, რომ არ მოხდეს ეთნოსთამორისი დაძაბულობის წარმოშობა და კონფლიქტების განმეორება. დეპორტირებული მესხები ძირითადად კონცენტრირებული არიან ქალაქებში და ზოგი მათგანი კი კვლავ სოფლებში ცხოვრობს. ისინი, ვინც ქალაქში ცხოვრობენ, შედარებით უფრო შეძლებულია სამეწარმეო საქმიანობის წყალობით, ხოლო ისინი, ვინც უმეტესწილად სოფლის მეურნეობით არიან დასაქმებული რთულ ეკონომიკურ პირობებში უწევთ არსებობა, ვინაიდან სოფლის მეურნეობა სავალალო მდგომარეობაშია უზბეკეთში, რის გამოც იმ მესხებს, რომლებიც სოფლის მეურნეობით ირჩენენ თავს სურთ უზბეკეთის მიტოვება. მეზობელი სახელმწიფოები, ყაზახეთი და ყირგიზეთი განსაკუთრებით მიმზიდველი ქვეყნებია მათთვის, ასევე რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და აზერბაიჯანი⁹³. მაგრამ მათ უჭირთ ქვეყნიდან წასვლა, რადგან სპეციალურად უქმნიან ბიუროკრატიულ და ფინანსურ ბარიერებს, როდესაც ცდილობენ ქვეყნის მიტოვებას და უარს ამბობენ უზბეკურ ნაციონალიზმზე. უზბეკეთის მთავრობა ახორციელებს მესხების ასიმილაციის პოლიტიკას, მას ასევე უნდა მესხების შენარჩუნება ეკონომიკური მიზეზების გამო, რადგან ისინი წარმატებული მეწარმეები არიან. ამიტომაც ეწინააღმდეგება მათი ქვეყნიდან წასვლის მცდელობას¹³². მესხები კარგად არიან ინტეგრირებული უზბეკეთში, ფლობენ უზბეკურ ენას და ნორმალური ურთიერთობა აქვთ ადგილობრივ მოსახლეობასთან. ბევრმა მათგანმა უზბეკურ საზოგადოებაში ასიმილაცია განიცადა ქორწინების საშუალებით.

ყირგიზეთში და ყაზახეთში მესხებს სტაბილური ცხოვ-

რების პირობები აქვთ და ავლილობრივ მოსახლეობაზე უკეთესად თუ არა, უარესად არ ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ზოგიერთი პრივილეგიებით სარგებლობს, როგორც არის მაგალითად მთავრობაში უფრო მეტი წარმომადგენლების ყოლა, მესხების ცხოვრების დონე მაინც არ ჩამოუვარდება ყაზახებისა და ყირგიზების ცხოვრების დონეს. 25.000-დან 30.000-მდე მესხი ცხოვრობს ყირგიზეთში და 90.000-დან 110.000-მდე ყაზახეთში. ყირგიზეთში მესხები კარგად არიან ინტეგრირებულები და კარგად ლაპარაკობენ ყირგიზულად. ყირგიზეთში ისინი აზერბაიჯანელებად არიან ჩაწერილი⁹³. ყირგიზეთში და ყაზახეთში მესხები ცხოვრობენ ძირითადად სოფლებში და სოფლის მეურნეობით არიან დასაქმებულები. ისინი თავს სოფლებში უფრო კომფორტულად გრძობენ, ვიდრე ქალაქში. მიუხედავად ამისა, მათი გარკვეული ნაწილი შეეგუა ქალაქურ ცხოვრებას და ქალაქში ცხოვრობს. მესხები ყაზახეთში კომპაქტურად ცხოვრობენ. კომპაქტურმა დასახლებებმა მათ საშუალება მისცა თავიანთი განსხვავებული ეთნიკური იდენტობა შეენარჩუნებინათ. უზბეკეთისაგან განსხვავებით, ყაზახეთში და ყირგიზეთში მესხებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის კონფლიქტები არ ყოფილა. ისინი არასოდეს არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას და იგივე პრივილეგიებით სარგებლობენ, რა პრივილეგიებითაც სარგებლობს ყირგიზეთისა და ყაზახეთის მოსახლეობა.

90.000-დან 110.000-მდე მესხი ცხოვრობს აზერბაიჯანში და ძირითადად კონცენტრირებულები არიან სოფლებში, სარბირაბადისა და საათლის რაიონებში. მესხების პირველი ნაკადი აზერბაიჯანში ჩავიდა 1957-სა და 1962 წლებს შორის, რათა უფრო ახლოს ყოფილიყვნენ საქართველოსთან. მესხების მეორე ნაკადი აზერბაიჯანში ჩამოვიდა 1989 წელს, ფერღანას ტრაგედიის შემდეგ. ლტოლვილების პირველი ნაკადი, მეორე ნაკადთან შედარებით უფრო კარგადაა ინტეგრირებული აზერბაიჯანულ საზოგადოებაში, რადგან მათ უფრო დიდხანს მოუწიათ აზერბაიჯანში ცხოვრება,

ახალ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოსთან შესაგუებლად უფრო მეტი დრო ჰქონდათ და ამიტომაც უფრო უკეთეს სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში უწევთ ცხოვრება. მესხთა ინტეგრაცია აზერბაიჯანულ საზოგადოებაში სწრაფი და ადვილი პროცესი იყო. ლინგვისტური და კულტურული მსგავსების გამო ისინი აზერბაიჯანის ადგილობრივ მოსახლეობას კარგად შეეგუენ და მათთან ერთად ჰარმონიულად ცხოვრობენ¹²⁶. მათ კარგ პირობებში უწევთ ცხოვრება და ბევრი მათგანისათვის აზერბაიჯანი მშობლიურ მხარედ გადაიქცა. 55.000-დან 70.000-მდე დეპორტირებული მესხი აზერბაიჯანულ მოქალაქეობას ფლობს, მათ შორის 40.000 „აზერბაიჯანელად“ არის ჩაწერილი, ხოლო 30.000 „თურქად“¹¹⁹. 1998 წელს აზერბაიჯანის მთავრობამ მიიღო „მოქალაქეობის კანონი“, რომელმაც გაამარტივა აზერბაიჯანული მოქალაქეობის მიღების პროცედურა ლტოლვილის სტატუსის მქონე მესხებისათვის. ამ კანონის თანახმად, მათ ჰქონდათ უფლება მიეღოთ აზერბაიჯანის მოქალაქეობა. მაგრამ ბევრმა ლტოლვილმა მესხმა უარი თქვა აზერბაიჯანულ მოქალაქეობაზე, რის გამოც ისინი არ სარგებლობენ უფასო სოციალური მომსახურებით, უფასო ჯანდაცვითა და განათლებით¹²⁶. უზბეკეთის მსგავსად, აზერბაიჯანის მთავრობა ახორციელებს მესხი მოსახლეობის ასიმილაციის პოლიტიკას, რის გამოც ბევრი მესხი აწყდება პრობლემას, როდესაც ისინი უარს ამბობენ აზერბაიჯანის მოქალაქეობაზე.

5.000-დან 10.000-მდე დეპორტირებული მესხი ცხოვრობს უკრაინაში. მათი უმრავლესობა უკრაინაში ჩავიდა ფერღანას ტრაგედიის შემდეგ. ისინი უმეტესწილად კონცენტრირებულები არიან უკრაინის სამხრეთ პროვინციებში და ძირითადად სოფლებში ცხოვრობენ. ისინი უმთავრესად სოფლის მეურნეობით არიან დასაქმებული და ფლობენ საკუთარ მიწებს უკრაინაში. მათი ცხოვრების პირობები თანდათანობით გაუმჯობესდა 1997 წლიდან. მათ უმრავლესობას უკრაინის მოქალაქეობა აქვს და უკრაინის ადგილობრივ მო-

სახლეობასთან ერთად მშვიდობიანად ცხოვრობს. დეპორტირებულ მესხებს სტაბილური ცხოვრების პირობები აქვთ და უკრაინის ადგილობრივ მოსახლეობას მათ მიმართ მტრული დამოკიდებულება არ გააჩნია. მათი უმრავლესობა კმაყოფილია უკრაინაში არსებული ცხოვრების პირობებით⁹³.

ძნელია დეპორტირებული მესხების ზუსტი რაოდენობის დადგენა თურქეთში, რადგან ბევრი მათგანი არალეგალურად ცხოვრობს ამ ქვეყანაში, რაც შეუძლებელს ხდის მესხების საერთო რაოდენობის განსაზღვრას. დაახლოებით 30.000 მესხი ცხოვრობს თურქეთში. თუმცა მესხები თურქეთის სხვადასხვა პროვინციებში ცხოვრობენ, მათი უმრავლესობა დიდ ქალაქებშია კონცენტრირებული, ბურსაში, ანტალიაში და სტამბოლში. მესხების უმრავლესობა თურქეთში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ხოლო ზოგი მათგანი ფარულად გადავიდა თურქეთში საცხოვრებლად დეპორტაციამდე, 1917 წლიდან 1944 წლამდე. კულტურული და ლინგვისტური მსგავსების გამო მათი ინტეგრაცია თურქულ საზოგადოებაში წარმატებით განხორციელდა. მაგრამ ზოგიერთმა მაინც ვერ შეძლო ახალ გარემოსთან შეგუება სხვადასხვა მიზეზების გამო და ამიტომაც გადაწყვიტა იმ ქვეყანაში დაბრუნებულიყო, სადაც თურქეთში ჩასვლამდე ცხოვრობდა. მესხური თემის მთავარი პრობლემა თურქეთში უმუშევრობაა. მათთვის ძალიან ძნელია სამუშაოს შოვნა, რადგან საბჭოთა დიპლომებს და საგანმანათლებლო მიღწევებს თურქეთში არ აღიარებენ. გარდა ამისა, ბევრ მათგანს არ აქვს მოქალაქეობა, მუშაობის უფლება და იძულებული არიან ფარულად იმუშაონ. მოქალაქეობისა და სამუშაო უფლების არქონის გამო, დამსაქმებლები მათ ხშირად ექსპლუატაციას უწევენ. ისინი ხშირად არალეგალურად მუშაობენ და დაბალ ანაზღაურებას იღებენ. ბევრი მათგანი საერთოდ ვერ ახერხებს სამუშაოს შოვნას, რის გამოც ბევრმა თურქეთი დატოვა და თავის ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება ამჯობინა. მეორეს მხრივ, იმ მესხებმა, რომლებ-

მაც მოახერხეს ახალ საცხოვრებელ გარემოსთან შეგუება, აფასებენ თურქეთის სტაბილური ცხოვრების პირობებს და თანამედროვე ცხოვრების სტილს¹²⁶.

1992 წელს თურქეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელმაც უფლება მისცა 500 მესხ ოჯახს, რომ გადასახლებულიყვნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან თურქეთში. მაგრამ, 1993-94 წლებში, მხოლოდ 179 ოჯახს დართეს ნება გადასულიყვნენ რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიის რესპუბლიკებიდან თურქეთში საცხოვრებლად. პროექტის მეორე ეტაპი კი აღარ განუხორციელებიათ¹²⁵. გადასახლების პროგრამა მალე გააუქმეს, ვინაიდან თურქეთის მთავრობა შიშობდა, რომ ქვეყანა შუა აზიიდან ჩამოსული ლტოლვილებით გაივსებოდა. თურქეთის მოქალაქეობა მიანიჭეს დეპორტირებული მესხი მოსახლეობის 50%-ს, ხოლო ისინი, ვინც არაღლეგალურად ცხოვრობს თურქეთში, ქვეყნიდან არ გაუძევებიათ⁹³. თურქეთის მოსახლეობა კეთილგანწყობილია არაღლეგალური მესხი მიგრანტების მიმართ. თურქული კანონმდებლობის თანახმად, დეპორტირებულ მესხებს თურქეთში „ეროვნული ლტოლვილების“ სტატუსი აქვთ მინიჭებული. თურქეთის მთავრობის პოზიციას, რომ დეპორტირებული მესხი მოსახლეობა საქართველოში უნდა დაბრუნდეს.


3.3. მესხი რეპატრიანტების უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

მესხების მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს საქართველოში. 1000-ზე ნაკლებმა კაცმა მოახერხა საქართველოში დაბრუნება და დღეისათვის ცხოვრობენ ახალციხეში, ხაშურში, ხელვაჩაურში, ქობულეთში, ოზურგეთში, სამტრედიისში, თბილისში, ბათუმში, ჭიათურაში, ბოლნისში და ლანჩხუთში. რეპატრიანტთა პირველი ნაკადი ჩამოვიდა 1960-იან წლებში. მეორე ნაკადმა ჩამოსვლა დაიწყო 1980-იან წლებში და ეს პროცესი გაგრძელდა 1990-იან წლებამდე. სულ 1.270 მესხი ჩამოსახლდა საქართველოში 1982 წლიდან 1990 წლამდე. ბევრი მათგანი იძულებული გახდა საქართველოდან წასულიყო 1990-1992 წლებში ეკონომიკური პრობლემებისა და მათ მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის ანტაგონისტური დამოკიდებულების გამო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მესხების მიგრაცია საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა. 1991-2005 წლებში საქართველოში მხოლოდ 113 მესხი ჩამოვიდა¹³⁵. მიგრაციების შემცირება შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში დაიწყო ეთნოკონფლიქტები და ომები, რის გამოც ის ერთ-ერთ ყველაზე არასტაბილურ ქვეყნად გადაიქცა. 2005 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში დარეგისტრირებულია 755 მესხი რეპატრიანტი, მაგრამ სინამდვილეში სინამდვილეში მათი რიცხვი უფრო ცოტაა. მხოლოდ 592 მესხი ცხოვრობს საქართველოში. დანარჩენმა 163 კაცმა მოიპოვა საქართველოს მოქალაქეობა და ეკონომიკური კრიზისისა და უმუშევრობის გამო დროებით დატოვა ქვეყანა. სიღარიბემ და უმუშევრობის მაღალმა დონემ აიძულა ისინი მიეტოვებინათ ქვეყანა და საზღვარგარეთ წასულიყვნენ სამუშაოდ¹³⁶.

მესხები საქართველოს ერთ რომელიმე კონკრეტულ რაიონში არ ცხოვრობენ და გაფანტულები არიან ქვეყნის

სხვადასხვა მხარეში. მესხების დიდი უმრავლესობა, 76% ცხოვრობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთში, გურიაში და აჭარაში. ქვემოთ ილუსტრირებულ დიაგრამაში ნაჩვენებია მესხი მოსახლეობის განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დიაგრამა 3.1. მესხი რეპატრიანტების განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით



წყარო: Union of Georgian Repatriates, 2005, გვ. 5.

როგორც ამ დიაგრამაშია ნაჩვენები, ყველაზე დიდი რაოდენობით მესხები გურიაში არიან. მესხი რეპატრიანტების 34% (200 კაცი) გურიაში ცხოვრობს. მეორე ადგილზეა იმერეთის რეგიონი, სადაც მათი 30% (180 კაცი) ცხოვრობს, თბილისი 14%-ით (82 კაცი) მესამე ადგილზეა. შემდეგ მოდის აჭარის რეგიონი 12%-ით. 8% (50 კაცი) ცხოვრობს მესხეთში. ყველაზე ბოლო ადგილზე ქართლის რეგიონია, სადაც მხოლოდ მათი 2% ცხოვრობს¹³⁶.

მესხი რეპატრიანტების უფლებრივ მდგომარეობაზე და ცხოვრების პირობებზე გავლენა მოახდინა საქართველოში დატრიალებულმა მოვლენებმა და მთავრობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა. ამიტომაც, როცა საუბარია მესხი

რეპატრიანტების უფლებრივ მდგომარეობაზე უნდა გამოვყოთ სამი პერიოდი: უფლებრივი მდგომარეობა გარდამავალი პერიოდის დროს, უფლებრივი მდგომარეობა შევარდნაძის რეჟიმის დროს და უფლებრივი მდგომარეობა ვარდების რევოლუციის შემდეგ.

მესხი რეპატრიანტების უფლებრივი მდგომარეობა გარდამავალი პერიოდის დროს (1987-1991)

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკა დეპორტირებული მესხების მიმართ გარკვეული არათანმიმდევრობით ხასიათდებოდა. საქართველოს მთავრობამ, საბჭოთა პერიოდის დროს, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ სტაბილურ ქვეყნად ითვლებოდა, 1979 წელს, საქართველოს საზოგადო მოღვაწეების თხოვნით, მიიღო გადაწყვეტილება დეპორტირებული მესხების საქართველოში დაბრუნების შესახებ. ამ გადაწყვეტილების წყალობით ბევრმა რეპატრიანტმა მოახერხა საქართველოში დაბრუნება 1989 წლამდე. სახელმწიფო ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ახალ გარემოსთან მესხი რეპატრიანტების ადაპტაციისათვის. ის სთავაზობდა რეპატრიანტებს სახლ-კარს, სამუშაოს და ქართული ენის კურსებს. მესხები საქართველოში დაბრუნდნენ 1960-იან და 1980-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

სიტუაცია მალე შეიცვალა გარდამავალი პერიოდის დროს, როდესაც საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია დაიძაბა. საბჭოთა კავშირის დაშლას თან სდევდა ცხოვრების პირობების მკვეთრი გაუარესება, ასევე სრული ქაოსი და უწესრიგობა. ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, რამაც კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში სიტუაციის სრული დესტაბილიზაცია გამოიწვია. ეს პერიოდი იყო ყველაზე რთული პერიოდი, როგორც მესხი რეპატრიანტებისათვის, ასევე ქართული საზოგადოებისათვის. პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის

გამო და რეპატრიაციის მიმართ საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულების გამო, ბევრმა მათგანმა ვერ შეძლო ქვეყანაში დარჩენა.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე და ახალი რეჟიმის დამყარებამდე მოსახლეობას პოზიტიური დამოკიდებულება გააჩნდა რეპატრიაციის მიმართ, რაც ასახული იყო მასმედიაში. ქართული საზოგადოება და ინტელიგენცია დეპორტირებული მესხების საქართველოში დაბრუნების მომხრე იყო. გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებში დაფიქსირებული იყო პოზიტიური დამოკიდებულება რეპატრიაციის მიმართ და იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ საზოგადოება მზად იყო მესხი რეპატრიანტების მისაღებად. დადებითი საზოგადოებრივი აზრი რეპატრიაციის მიმართ ასახული იყო ასევე იმ დროს მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და რეზოლუციებში. სინამდვილეში საბჭოთა ხელისუფლებას ინდიფერენტული დამოკიდებულება ჰქონდა მესხური პრობლემის მიმართ, აქტიურად ეწინააღმდეგებოდა მათ საქართველოში დაბრუნებას და ამიტომაც მიღებული გადაწყვეტილებები არასოდეს არ სრულდებოდა. მაგალითად, 1987 წლის 8 დეკემბერს საქართველოს მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება (რეზოლუცია) №600, რომლის მიზანი იყო, რომ დაეწყოთ დეპორტირებული მესხების ჩამოსახლება საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან საქართველოს სსრ-ში. ამ რეზოლუციის თანახმად, ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩამოესახლებინა 300 მესხი ოჯახი. მთავრობა ასევე პირობას იძლეოდა, რომ ფინანსურ დახმარებას აღმოუჩინდა და სამუშაო ადგილებით დააკმაყოფილებდა მესხ რეპატრიანტებს⁷⁴. მესხების ჩამოსახლება გადაწყვეტილი ჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. მესხ ლიდერებს დაევალიათ რეპატრიაციის პროცესის ორგანიზება, მაგრამ დეპორტირებულმა მოსახლეობამ მოითხოვა მათი დაბრუნება მხოლოდ მესხეთში და უარი თქვა საქართველოს სხვა რეგიონებში

ჩასახლებაზე, რის გამოც მიღებული რეზოლუციის შესრულება ვერ მოხერხდა და ის ქალაქში დარჩა⁶⁰.

1989 წელს ფერდანას ხეობაში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, ქართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა საჯაროდ განაცხადეს მათი მზადყოფნა მესხი ლტოლვილების საქართველოში მისაღებად. მაგრამ მათ რადიკალურად შეცვალეს თავიანთი პოზიცია რეპატრიაციის მიმართ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ დეპორტირებულ მესხთა უმრავლესობას პროქართული ორიენტაცია არ ჰქონდა და ქართული ენა არ იცოდა. დაბრუნების მიმართ მათი დაინტერესება სწრაფად შეიცვალა. დეპორტირებული მოსახლეობის დაბრუნების ერთ-ერთი მოწინააღმდეგე იყო განთქმული საზოგადო მოღვაწე და მწერალი აკაკი ბაქრაძე. მან ტელევიზიით მიმართა ქართულ საზოგადოებას და მოუწოდა, რომ არ მიეცათ საქართველოში დაბრუნების უფლება არც ერთი დეპორტირებულისათვის. მან განაცხადა, რომ ერთი დეპორტირებული მესხიც კი თუ დაბრუნდებოდა საქართველოში, ეს საქართველოს ისტორიის დასასრული იქნებოდა. ამ პერიოდიდან იწყება ანტიმესხური კამპანია, რომელიც თანდათანობით უფრო აგრესიულ ფორმას იძენს⁹².

ძალე საქართველო სისხლისმღვრელ კონფლიქტებში ჩაბმული აღმოჩნდა, რამაც გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის ყურადღების გადატანა რეპატრიაციის საკითხიდან ადგილობრივ პრობლემებზე. საბჭოთა კავშირის ტიტულარულ ერებსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის ურთიერთობები დაიძაბა და საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად უჭერდა მხარს კავკასიაში სეპარატისტულ ძალებს, რამაც ეთნოკონფლიქტები და ომები გამოიწვია. კონფლიქტების გამო საქართველო ნაკლებ ყურადღებას უთმობდა მესხურ პრობლემას და რეპატრიაციის საკითხის გადაწყვეტაც გაურკვეველი დროით გადაიდო. ქვეყანაში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა, რუსეთთან ომმა, ქვეყნის ეკონომიკური

პოტენციალის მკვეთრმა დაქვეითებამ, სახელმწიფო გადატ-
რიალებამ, ქვეყანაში სრული ქაოსი გამოიწვია. ყველა ამ
მოვლენამ საგრძნობლად გააუარესა, როგორც მესხი რეპატ-
რიანტების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების
პირობები საქართველოში. ომმა და კონფლიქტებმა გაზარდა
უკანონობა და ხელსაყრელი პირობები შექმნა დანაშაულისა
და არალეგალური საქმიანობის აღმოცენებისათვის. მესხი
რეპატრიანტები, ისევე როგორც საქართველოს მთელი მო-
სახლეობა, ნაკლებად დაცული აღმოჩნდა კრიმინალებისა და
განგსტერების თავდასხმებისაგან. მკვეთრად გაიზარდა და-
ნაშაულობებისა და ყაჩაღობის ფაქტები მთელს ქვეყანაში.
ყველაფერ ამას ემატებოდა მოსახლეობის მტრული დამოკი-
დებულება ახალმოსულთა მიმართ. მესხი რეპატრიანტების
დისკრიმინაციისა და შევიწროების ფაქტები იმ პერიოდში
ფართოდ იყო გავრცელებული⁴. ფერღანაში დატრიალებულ-
მა ტრაგედიამ გაზარდა მესხი ლტოლვილების რაოდენობა
საქართველოში. ბევრი ლტოლვილი ჩამოვიდა საქართველო-
ში თავის ნათესავებთან. ისინი უსაფრთხო და სტაბილურ
გარემოს ეძებდნენ, სადაც მათი ოჯახების უსაფრთხოება
გარანტირებული იქნებოდა, მაგრამ რეპატრიაციის მიმართ
მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულების გამო მათ ვერ
შეძლეს ქვეყანაში დარჩენა. როგორც ზემოთ იყო ნახსენე-
ბი, ყველა ლტოლვილი ფერღანადან, ასევე საქართველოში
მუდმივად მცხოვრები ბევრი მესხი რეპატრიანტი იძულე-
ბული გახდა მიეტოვებინა ქვეყანა. იმდროინდელი ხელი-
სუფლების ქსენოფობიურმა პოლიტიკამ გამოიწვია მესხების
იძულებითი მიგრაცია საქართველოდან 1990-იან წლებში.
ქართველი ხალხი მზად არ აღმოჩნდა ამ ხალხის ქართულ
საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის. ხელისუფლებამ მათი
დატერორება და საქართველოდან გაძევება დაიწყო. მაგალი-
თად, შეიძლება მოვიყვანოთ დვალიძეების 10 ოჯახის საქარ-
თველოდან გაძევება.

ქართული ინტელიგენციის დახმარებით დვალიძეების 10

ოჯახი დაბრუნდა საქართველოში ფერლანას ტრაგედიის შემდეგ. ისინი ქარელის რაიონში, სოფელ ბრეთაში დაასახლეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ მესხეთში ცხოვრების უფლება არ მისცეს, დვალძეები კმაყოფილი იყვნენ იმით, რომ თავის ისტორიულ სამშობლოში, საქართველოში დაბრუნება მოახერხეს. ხელისუფლებამ ამ ხალხისგან ქრისტიანობის მიღება მოითხოვა და როდესაც მათგან უარი მიიღო, მათი ოჯახების შევიწროება დაიწყო. ხელისუფლება მესხი ოჯახების დისკრიმინაციისაკენ აქეზებდა ადგილობრივ მოსახლეობას. დვალძეების 10 ოჯახი ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ანტიმესხური კამპანიის სამიზნე გახდა. ქვებითა და ნაჯახებით შეიარაღებული ბრბო თავს დაესხა მათ სახლებს, ოჯახის წევრები სცემეს და აიძულეს ისინი საქართველოდან წასულიყვნენ. დვალძეების ოჯახის ყველა წევრი ქართულს კარგად ფლობდა, მაგრამ ხელმეორედ გახდნენ დეპორტაციის მსხვერპლი იმის გამო, რომ ისინი მაჰმადიანები იყვნენ და უარი თქვეს გაქრისტიანებაზე³⁷.

ხელისუფლებამ ულტიმატუმი წაუყენა მესხ რეპატრიანტებს: გაქრისტიანება ან საქართველოდან გაძევება. როგორც უკვე ითქვა, არა მარტო ფერლანას ტრაგედიის ლტოლვილები, არამედ ასევე საქართველოში მუდმივად მცხოვრები მესხი რეპატრიანტები გააძევეს საქართველოდან. კერძოდ, ხონის რაიონის სოფელ ახალშენიდან – 35 ოჯახი, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეიდან – 51 ოჯახი, გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძადან – 12 ოჯახი, ზუგდიდის რაიონიდან – 50 ოჯახი, ხაშურის რაიონის სოფელ წრომიდან – 5 ოჯახი და ა.შ.³⁷ საქართველოში მუდმივად მცხოვრები მესხი რეპატრიანტების 200 ოჯახზე მეტი გააძევეს ქვეყნიდან. მხოლოდ 60 ოჯახმა მოახერხა საქართველოში დარჩენა³⁷.

რეპატრიაციის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი ახალი რეჟიმი იყო, რომელიც აქტიურად ეწინააღმდეგებოდა მესხების დაბრუნების ნებისმიერ მცდელობას საქართვე-

ლოში. როცა ქართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები ადამიანის უფლებების აქტივისტები იყვნენ, ისინი რეპატრაციას აქტიურად უჭერდნენ მხარს, მაგრამ მათი ურთიერთობა მესხებთან გაფუჭდა 1988 წელს. თავდაპირველად ისინი რეპატრაციის მომხრეები იყვნენ, რადგან მხოლოდ იმ მესხ ლიდერებს იცნობდნენ, რომელთაც ნათლად გამოხატული პროქართული ორიენტაცია ჰქონდათ, მაგრამ როცა დეპორტირებულმა ხალხმა გაფიცვებისა და დემონსტრაციების ორგანიზება დაიწყო მოსკოვში, სადაც ხშირად გაისმოდა პროთურქული ლოზუნგები, ისინი დარწმუნდნენ, რომ დეპორტირებული მესხი მოსახლეობის უმრავლესობას პროთურქული ორიენტაცია ჰქონდა. 1988 წელს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს შეხვედრა ჰქონდათ მესხ ლიდერებთან. მათ განაცხადეს, რომ თუ მესხებს საქართველოში დაბრუნება სურდათ, უნდა გაქრისტიანებულყვნენ. ეს კი ყოვლად მიუღებელი იყო მესხების ლიდერებისათვის, რის გამოც მათ ქართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებთან ურთიერთობა გაუფუჭდათ.

თუმცა, თავდაპირველად ქართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები მხარს უჭერდნენ მესხების დაბრუნებას საქართველოში, ძალაუფლებაში მოსვლის შემდეგ მათი პოზიციის შეცვლა შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობეს: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია დაიძაბა. ავტონომიური რესპუბლიკებიდან წამოსული ლტოლვილების დიდმა რაოდენობამ ხელისუფლება დაარწმუნა, რომ მათ მესხებისათვის თავშესაფრის მიცემა არ შეეძლოთ. რეპატრაციის წინააღმდეგ კიდევ ერთი არგუმენტი იყო – ის, რომ ამ ხალხის ჩამოსახლება საქართველოში ახალ ეთნოკონფლიქტებს გამოიწვევდა¹³². ამ მიზეზთა გამო ქართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა დაიწყეს ანტიმესხური კამპანია საქართველოში. მათ მნიშვნელოვანი როლი

ითამაშეს რეპატრიაციის პროცესის მიმართ საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულების გამძაფრებაში, რის გამოც საქართველოს მოსახლეობა კვლავ დეპორტირებული მოსახლეობის დაბრუნების წინააღმდეგა⁷⁸.

მესხი რეპატრიანტების უფლებრივი მდგომარეობა ელჟარდ შევარდნაძის რეჟიმის დროს

შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მესხ რეპატრიანტთა მდგომარეობამ თანდათანობით გაუმჯობესება დაიწყო. რეპატრიაციის საკითხთან დაკავშირებით პოზიტიური ნაბიჯები იქნა გადადგმული. ხელისუფლებამ მესხ რეპატრიანტებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის უფლება მისცა. 1993 წლის მაისში სახელმწიფოს მეთაურმა გამოსცა ბრძანებულება №106, რომელიც მოიცავდა კონკრეტულ ზომებს მესხი რეპატრიანტების უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებად, როგორც არის, მაგალითად, ქართული ენისა და ისტორიის კურსების შემოღება, ადაპტაციის ცენტრისა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის შექმნა. გარდა ამისა, სპეციალური კვოტები შემოიღეს უნივერსიტეტებში მესხი რეპატრიანტებისათვის. მოსამზადებელი კურსები და ადაპტაციის ცენტრი განკუთვნილი იყო მესხი სტუდენტების უნივერსიტეტებში ჩასარიცხად: მათ საშუალება ეძლეოდათ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების დაწყებამდე გაეუმჯობესებინათ ქართული ენის ცოდნა.

მეორე დადებითი ნაბიჯი იყო სახელმწიფო კომისიის შექმნა, რომელიც სპეციალურად მესხური საკითხებით დაკავდებოდა. 1992 წელს, შევარდნაძის მიერ მიღებული №58 რეზოლუციის თანახმად, შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომლის მიზანი იყო სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის პრობლემების შესწავლა. დელეგაციამ, რომელიც ამ სახელმწიფო კომისიას წარმოადგენდა რეპატრიაციის პროცესის დაწყების მიზნით მოლაპარაკება დაიწყო

კრასნოდარის მხარის ხელისუფლებასთან. 1992 წელს, ამ მოლაპარაკებების შედეგად, შეიქმნა „1944 წელს მესხეთისა და ჯავახეთის რეგიონებიდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის შესახებ კონცეპტუალური გეგმა“, რომელსაც ორივე მხარემ მოაწერა ხელი. ამ კონცეპტუალური გეგმის ტექსტი არ შეიცავდა რეპატრიაციის დაწყების კონკრეტულ თარიღებს, მისი რეალიზაციის კონკრეტულ გზებს და მხარეების კონკრეტულ ვალდებულებებს. მასში მხოლოდ აღნიშნული იყო, რომ „1992 წლის მეორე ნახევრიდან დეპორტირებული მოსახლეობის ნაწილისათვის მომზადდებოდა პირობები საქართველოში დასაბრუნებლად“. ამ კონცეპტუალურ გეგმას შესრულება არ ეწერა⁷⁶.

შევარდნადის მთავრობამ მესხურ საკითხთან დაკავშირებით დიდი რაოდენობით გადაწყვეტილებები და რეზოლუციები მიიღო. მიღებული რეზოლუციების თანახმად, ხელისუფლებას უნდა დაეწყო მესხების ეტაპობრივი დაბრუნება საქართველოში. საჭიროა იმ პერიოდში მიღებულ ზოგიერთ გადაწყვეტილებაზე შევაჩეროთ ყურადღება: მაგალითად, 1993 წელს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის მიერ მიღებული განკარგულება №106 „დეპორტირებულ მესხთა ზოგიერთი სოციალური პრობლემის მოგვარების შესახებ“, 1994 წელს მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული დადგენილება №589 „სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის შესახებ“, პრეზიდენტ შევარდნადის ბრძანებულება №802 „დეპორტირებული და საქართველოში რეპატრირებული მესხებისათვის სამართლებრივი და სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის სახელმწიფო პროგრამის მიღების შესახებ“. განკარგულება №106 „დეპორტირებულ მესხთა ზოგიერთი სოციალური პრობლემის მოგვარების შესახებ“, მიზნად ისახავდა 1989-91 წლებში საქართველოდან გაძევებული მესხების უკან დაბრუნებას. ის ასევე ავალდებდა ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტს შეემუშავებინა კრასნოდარის მხარის სამხარეო ადმინისტრაცია-

ციასთან 1992 წელს მიღწეული შეთანხმების რეალიზაციის პროგრამა. ეს განკარგულება ასევე ავალდებულებდა სხვადასხვა სახელმწიფო დეპარტამენტებსა და სამინისტროებს შეექმნათ სოციალური ადაპტაციის ცენტრი მესხი ახალგაზრდებისათვის, სოციალური ადაპტაციის პროგრამა მესხი რეპატრიანტებისათვის, სისტემატური დახმარება გაეწიათ მესხთა ოჯახებისათვის და ა.შ. დადგენილება №589 „სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრირაციის შესახებ“ ემხრობოდა მესხების ეტაპობრივ დაბრუნებას საქართველოში და მინისტრთა კაბინეტს ავალდებდა, განესაზღვრა პირველი ეტაპის სარეპატრირაციო პირთა სია. ამ სიაში უპირატესობა უნდა მიენიჭებინათ იმ ოჯახებისათვის, რომლებიც 1989-91 წლებში იძულებული შეიქმნენ დაეტოვებინათ საქართველო. ამ დადგენილების მეორე მუხლი ავალდებულებდა სხვადასხვა სამინისტროებსა და სახელმწიფო დეპარტამენტებს მოემზადებინათ კანონპროექტი რეპატრირაციის შესახებ. დადგენილების მიხედვით, ხელისუფლება ასევე კისრულობდა ვალდებულებას უზრუნველყო რეპატრიანტები თავშესაფრით, სამუშაოთი, ფინანსური დახმარებით, სოციალური დახმარებით, განათლებით, კომპენსაციებით და ა.შ.⁷⁴ ბრძანებულება №802 „დეპორტირებული და საქართველოში რეპატრირებული მესხებისათვის სამართლებრივი და სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის სახელმწიფო პროგრამის მიღების შესახებ“ 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რეაბილიტაციას ისახავდა მიზნად. სახელმწიფო პროგრამის მიზანი უნდა ყოფილიყო რეპატრირაციის პროცესის მენეჯმენტი, კონტროლი და კოორდინაცია. ამ პროგრამის თანახმად, დეპორტირებული მესხების რეაბილიტაცია შემდეგ ზომებს მოიცავდა: მათთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება, ნაციონალობისა და გვარების აღდგენა, ეკონომიკური პრივილეგიებისა და სოციალური დახმარების უზრუნველყოფა, ადაპტაციისა და რეინტეგრაციის პროცესის

ხელშეწყობა. რეპატრიაცია ეტაპობრივად და ნებაყოფლობით უნდა განხორციელებულიყო. რეპატრიაციის პირველი ეტაპი მოიცავდა 1997-2000 წლის პერიოდს და ითვალისწინებდა 5.000 მესხის რეპატრიაციას. პროგრამა ასევე მოიცავდა ისეთ ზომებს, როგორცაა რეპატრიანტების უსაფრთხოება, რეპატრიაციის პროცესისათვის საზოგადოებრივი აზრის მომზადება, სახლების აშენება, რეპატრიანტთათვის სოციალური შეღავათების დაწესება, პენსიების დარიგება და ა.შ. მაგრამ ხელისუფლების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ქაღალდზე დარჩა და არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია.

1994 წელს შევარდნადის მთავრობამ მესხების რეპატრიაციის საკითხთან დაკავშირებით რუსეთის მთავრობასთან შეთანხმების მიღწევა სცადა და რუსეთის მთავრობას გადასცა პროექტი „შეთანხმება რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობებს შორის დეპორტირებული ხალხისა და მათი შთამომავლების უფლებების აღდგენასთან დაკავშირებით“⁷⁶. მაგრამ ამ შეთანხმებაზე მხარეებს ხელი არასოდეს არ მოუწერიათ და შეთანხმების ხელმოწერა განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. შევარდნადის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ძალიან უმნიშვნელო პროგრესი იქნა მიღწეული მესხური საკითხის გადასაჭრელად და თითქმის არაფერი გაკეთებულა რეპატრიაციის პროცესისათვის ნიადაგის მოსამზადებლად. რუსეთთან გამუდმებული ომები და კონფლიქტები რეპატრიაციის პროცესის სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორი იყო. ლტოლვილების დიდი რაოდენობის გამო ხელისუფლებას არ შეეძლო მესხური პრობლემის გადაჭრა და მესხებისათვის თავშესაფრის მიცემა. ომებითა და კონფლიქტებით დასუსტებულ ქვეყანას მესხური პრობლემის გადაჭრის უნარი არ შესწევდა. შევარდნადის რეჟიმი სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აღმოჩნდა ჩაბმული, რის გამოც გაჩნდა საფუძვლიანი შიში იმისა, რომ ავტონომიის მოსაპოვებლად, ან დამოუკიდებლო-

ბის მისაღწევად კიდევ ერთ რეგიონს არ წამოეწყო ბრძოლა. ხელისუფლების უნარი, რომ გამკლავებოდა რეპატრიაციის საკითხს ძალზედ შეზღუდული იყო ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის გამო, ასევე რეპატრიაციის მიმართ საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულებისა და რადიკალური ოპოზიციური პარტიების მხრიდან ზეწოლის გამო⁷⁶.

ამ პრობლემების მიუხედავად, როდესაც 1999 წელს საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, საქართველოს ხელისუფლებამ ევროსაბჭოს წინაშე აიღო ვალდებულება, რომ დააბრუნებდა დეპორტირებულ მესხ მოსახლეობას საქართველოში. საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებში შედიოდა: ევროსაბჭოში გაწევრიანებიდან ორი წლის მანძილზე რეპატრიაციის პროცესის დასაწყებად სამართლებრივი სისტემის შექმნა; გაწევრიანებიდან სამი წლის განმავლობაში რეპატრიაციის პროცესის დაწყება და ამ პროცესის დასრულება გაწევრიანებიდან თორმეტი წლის განმავლობაში¹³². მამასადაძე, საქართველომ თორმეტწლიანი ვადა აიღო რეპატრიაციის პროცესის დასასრულებლად. ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, რეპატრიაციის პროცესი უნდა დასრულდეს 2011 წელს. ამ ვალდებულებების თანახმად, რეპატრიაციის შესახებ კანონი უნდა მიეღოთ 2001 წელს.

ვალდებულებების აღების მიუხედავად, შევარდნაძის რეჟიმმა თითქმის არაფერი არ გააკეთა ამ საკითხების მოსაგვარებლად. ერთადერთი პოზიტიური ნაბიჯი იყო სახელმწიფო კომისიის შექმნა, რომელსაც ევალებოდა რეპატრიაციის პროცესის დასაწყებად საკანონმდებლო ბაზის შექმნა. თუმცა, ამ კომისიამ შეიმუშავა კანონპროექტი, რომლის მიზანი იყო დეპორტირებული მესხი მოსახლეობის რეაბილიტაცია, კანონი რეპატრიაციის შესახებ არასოდეს მიუღიათ შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნის დროს. გარდა ამისა, მესხური საკითხი შევარდნაძის დროს გახდა პოპულისტური პოლიტი-

კოსების საყვარელი სამიზნე, რამაც გაზარდა მოსახლეობის წინააღმდეგობა დეპორტირებული მოსახლეობის დაბრუნების საკითხის მიმართ. შევარდნაძე დილემის წინაშე აღმოჩნდა: დაეწყო რეპატრიაციის პროცესი ხელისუფლების რეპუტაციის შელახვის ხარჯზე ან გაეჭიანურებინა ეს პროცესი, რის გამოც მას ევროსაბჭო სანქციებს დააკისრებდა⁹¹. შევარდნაძე ყოფილი კომუნისტური რეჟიმის ტაქტიკითა და სტრატეგიით მოქმედებდა. მისი წინამორბედი ხელისუფლების მსგავსად მან აირჩია რეპატრიაციის პროცესის გაჭიანურების და იგნორირების სტრატეგია. როგორც გურამ მამულიამ განაცხადა: „საქართველომ აიღო ვალდებულება, რომლის შესრულებასაც ის არ აპირებდა“.

მესხი რეპატრიანტების უფლებრივი მდგომარეობა ვარდების რევოლუციის შემდეგ

ვარდების რევოლუციის შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ უფრო მეტი ყურადღება დაუთმო ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას. ახალი პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი მიზანია საქართველოს ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში, რომლის მიღწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ. ვალდებულებების შეუსრულებლობა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს ინტეგრაციას ნატოში და ევროკავშირში. გარდა ამისა, ვალდებულებების იგნორირებამ შეიძლება საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში მოაქციოს. ამიტომაც ხელისუფლების ინტერესებშია ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

უკანასკნელი წლების განმავლობაში შესამჩნევი პროგრესი შეინიშნება რეპატრიაციის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ხელისუფლება დაეხმარა ექვს მესხ ოჯახს, რომ დაბრუნებულიყვნენ აზერბაიჯანიდან საქართველოში. ეს ოჯახები იძულებული შეიქმნენ დაეტოვებინათ საქართვე-

ლო 1989-1990-იან წლებში. ისინი აზერბაიჯანში, საათ-ლის რაიონში ცხოვრობდნენ. ამ ექვსი ოჯახის საქართველოში დაბრუნება ახალი პოლიტიკური ელიტის ინიციატივა იყო. მთავრობამ ამ ოჯახების სახლების შესაძენად თანხა გამოყო. სახელმწიფო მინისტრმა, გიორგი ხაინდრავამ ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობის პოზიცია დააფიქსირა: „სახლები უკვე შერჩეულია. ჩვენ მივესალმებით მესხების დაბრუნებას საქართველოში. ისინი მიეკუთვნებიან ერთ-ერთ უძველეს ქართულ თემს, ხოლო მესხეთი არის ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი“⁸⁸.

რეპატრიაციის შესახებ კანონის მიღება იყო კიდევ ერთი პოზიტიური ნაბიჯი გადადგმული დეპორტირებული მესხი მოსახლეობის დასაბრუნებლად საქართველოში. რეპატრიაციის შესახებ კანონი, რომელსაც ოფიციალურად ეწოდა „საქართველოს კანონი ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“, საბოლოოდ მიღებულ იქნა 2007 წლის 11 ივლისს. ამ კანონის მთავარი მიზანია დეპორტირებული მესხების დასაბრუნებლად სამართლებრივი მექანიზმების შექმნა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენა. რეპატრიაციის პროცესი დაფუძნებული იქნება ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების პრინციპზე¹⁴.

ეს კანონი დეპორტირებულ მესხ მოსახლეობას და მათ შთამომავლებს აძლევს უფლებას მოითხოვონ საქართველოში დაბრუნება. თავდაპირველად განცხადებების ჩაბარების ვადა იყო ერთი წელი. ჩაბარების ვადა ამოიწურა 2009 წლის 1 იანვარს, მაგრამ შემდეგ გადაწყდა ჩაბარების ვადის გახანგრძლივება 2010 წლის 1 იანვრამდე. კანონი ითვალისწინებს რეპატრიანტების ეტაპობრივ დაბრუნებას.

კანონი რეპატრიაციის შესახებ ეხება არა მარტო დეპორტირებულ მესხ მოსახლეობას, არამედ ასევე სხვა ეთ-

ნიკურ ჯგუფებს, რომლებიც გადაასახლეს აჭარიდან და სამცხე-ჯავახეთიდან 1944 წელს. ეს ეთნიკური ჯგუფებია: ჰემშინები, ყარაფაფახები, თარაქამები, ქურთები, თურქები და ბოშები. ამ კანონის მესამე მუხლის მიხედვით, რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების უფლება აქვს: იძულებით გადასახლებულ პირს და მის შთამომავლებს, ასევე ამ პირის მეუღლეს და არასრულწლოვან შვილებს. მათ აქვთ უფლება რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად განაცხადი დატოვონ საქართველოს საელჩოში/საკონსულოში ან საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში¹¹⁴. ყირგიზეთის გარდა, საქართველოს საკონსულოები გააჩნია თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც დეპორტირებული მესხი მოსახლეობა ცხოვრობს. რეპატრიაციის კანდიდატები ყირგიზეთიდან იძულებული არიან განაცხადი და დოკუმენტები ჩააბარონ ყაზახეთში და უზბეკეთში. კანდიდატს შეიძლება ფინანსური პრობლემები წარმოემთვას ისეთ დიდ ქვეყნებში, როგორც არის რუსეთის ფედერაცია და ყაზახეთი, სადაც მანძილი რეპატრიაციის კანდიდატის საცხოვრებელ ადგილსა და საქართველოს საკონსულოს შორის შეიძლება ძალზე დიდი იყოს⁷².

რეპატრიაციის კანონის თანახმად, ხელისუფლება არ არის ვალდებული, რომ რეპატრიანტებს ფინანსური დახმარება ან კომპენსაციები შესთავაზოს. რეპატრიანტებმა რეპატრიაციის ხარჯები თვითონ უნდა დაფარონ. მათ უნდა მოძებნონ საცხოვრებელი ადგილი და სამუშაო და თვითონ უნდა დაფარონ ყველა ფინანსური ხარჯები. საქართველოს ასეთი პოზიცია გასაგებია საერთაშორისო საზოგადოებისათვის, ვინაიდან ქვეყანას არ შესწევს უნარი ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს რეპატრიანტთა დიდ ნაკადს. საქართველოს უკვე ჰყავს ლტოლვილების დიდი რაოდენობა კონფლიქტური ზონებიდან.

რეპატრიაციის კანდიდატმა უნდა წარადგინოს განაცხადი და შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც მითითებულია

კანონის მეოთხე მუხლში. ის ვალდებულია წარადგინოს დიდი რაოდენობით დოკუმენტები: ა) იძულებითი გადასახლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, ბ) მოქალაქეობრივი კუთვნილების, მუდმივი ბინადრობის ასევე პირადობის დამადასტურებელი მოქმედი დოკუმენტები, გ) დაბადების მოწმობა, დ) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ე) ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ვ) ოჯახური მდგომარეობის ან/და ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტები, ზ) ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ა.შ.¹¹⁴.

განმცხადებელს უფლება აქვს, განაცხადს დაურთოს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც მითითებული არ არის კანონში, თუ ის თვლის, რომ ამ დამატებითი დოკუმენტების საშუალებით ის შეძლებს რეპატრიანტის სტატუსის მოპოვებას. თუ განმცხადებელი ვერ ახერხებს კანონით გათვალისწინებული რომელიმე დოკუმენტის მოპოვებას, მან სანდო წყაროებზე დაყრდნობით უნდა დაამტკიცოს, რომ მან, მისგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზების გამო, ვერ მოახერხა დოკუმენტის ან დოკუმენტების წარდგენა. განმცხადებელმა ყველა დოკუმენტი უნდა წარადგინოს ინგლისურ ან ქართულ ენაზე. თუ დოკუმენტი სხვა ენაზეა დაწერილი, მაგალითად, რუსულ ენაზე, მაშინ განმცხადებელმა ამ დოკუმენტს უნდა დაურთოს ოფიციალურად დამოწმებული თარგმანი. თარგმანი უნდა დამოწმდეს იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც განმცხადებელი ცხოვრობს, ან იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც განმცხადებელი აპირებს განაცხადს რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად¹¹⁴. თითოეულმა პიროვნებამ უნდა შეავსოს ცალკე განაცხადის ფორმა და ასევე ცალკე განაცხადი უნდა შეივსოს მისი მეუღლისათვის და არასრულწლოვანი შვილებისათვის.

განსაკუთრებით რთული იქნება რეპატრიაციის კანდიდატებისათვის იძულებით გადასახლების დამადასტურებელი

ლოკუმენტის ან ლოკუმენტების მოპოვება (მეოთხე მუხლი, 2ა პუნქტი). ეს ნიშნავს იმას, რომ მათ უნდა წარადგინონ დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მათი წინაპრები გადასახლეს სამხრეთ საქართველოდან, რომლის დამტკიცებაც ძალიან რთულია, რადგან დეპორტაცია იყო სრულიად საიდუმლო გადაწყვეტილება და დეპორტირებული ხალხისათვის დეპორტაციის დამადასტურებელი საბუთები ან ლოკუმენტები არ მიუციათ. რადგან დეპორტაცია იყო სრულიად საიდუმლო გადაწყვეტილება, ინფორმაცია და ლოკუმენტები დეპორტირებულთა შესახებ არც საქართველოს ეროვნულ არქივში შეუნახავთ. გარდა ამისა, ბევრი მათგანი მრავალჯერ გადასახლეს. ბევრი იძულებული შეიქმნა სწრაფად, ლოკუმენტების გარეშე დაეტოვებინა უზბეკეთი, რათა დროულად გასცლოდა ფერღანას ხეობაში დატრიალებულ ტრაგედიას. მიუხედავად ამ პრობლემებისა, რეპატრიაციის კანდიდატებს მაინც აქვთ შანსი ჩააბარონ სამხრეთ საქართველოდან გადასახლების დამადასტურებელი ლოკუმენტები. მაგალითად, მათ შეუძლიათ მოიპოვონ 1944 წელს მათი შუა აზიაში ჩასახლების დამადასტურებელი საბუთები, ლოკუმენტები. მათ ასევე შეუძლიათ ჩააბარონ რაიმე მტკიცებულება ან დამამტკიცებელი საბუთი, რომ მათი წინაპრები ცხოვრობდნენ საქართველოში დეპორტაციამდე. მათ შეუძლიათ მოიპოვონ ლოკუმენტები ან ინფორმაცია წინაპრების შესახებ შუა აზიის რესპუბლიკების ეროვნული არქივებიდან.

რეპატრიაციის კანდიდატებისათვის კიდევ ერთი პრობლემატური საკითხი წამოიჭრება რეპატრიაციის კანონის მეოთხე მუხლის, 2ბ პუნქტიდან. კანონი რეპატრიაციის შესახებ (მეოთხე მუხლი, 2ბ პუნქტი) მოითხოვს განმცხადებლისაგან მუდმივი ბინადრობის დამადასტურებელი საბუთის ან მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენას. ზოგიერთ რეპატრიაციის კანდიდატს არ შეუძლია ამ ლოკუმენტების წარდგენა, ვინაიდან მათ ან მოქალაქეობა არ გააჩნიათ ან კიდევ არ შეუძლიათ მუდმივი საცხოვრებელი

ადგილის დამადასტურებელი საბუთის მოპოვება. მაგალითად, კრასნოდარის მხარეში მცხოვრებმა პიროვნებამ შეიძლება ვერ შეძლოს მუდმივი ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვება ან კიდევ საერთოდ არ ჰქონდეს მოქალაქეობა. ასეთ შემთხვევაში რეპატრიაციის კანდიდატებმა უნდა ახსნან საკუთარი მდგომარეობა განაცხადის ფორმაში და დაურთონ დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებს, რომ მათ არ გააჩნიათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი⁷².

თუ განაცხადში და თანდართულ დოკუმენტებში ხარვეზები არ აღმოჩნდება, განმცხადებელს დაარეგისტრირებენ, როგორც რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელ პიროვნებას. თუ ხარვეზები აღმოჩნდება განაცხადში და თანდართულ დოკუმენტებში, განმცხადებელს აცნობებენ ამის შესახებ. მას აქვს უფლება ეს ხარვეზები აღმოფხვრას სამი თვის განმავლობაში. თუ სამი თვის გასვლის შემდეგ ეს ხარვეზები არ გამოსწორდება და განმცხადებელი არ წარადგენს შევსებულ განაცხადს და დოკუმენტებს, მას დაუბრუნდება ჩაბარებული დოკუმენტები. მიუხედავად ამისა, მას აქვს უფლება განმეორებით წარადგინოს ახალი განაცხადი რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად. განცხადებების ჩაბარების ვადის გასვლის შემდეგ მას არ შეეძლება განაცხადის წარდგენა.

საელჩოები და საკონსულოები უგზავნი ყველა წარდგენილ განცხადებას და საბუთებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, სადაც შემოსული განცხადებები და თანდართული დოკუმენტები ინახება ერთიან მონაცემთა ბაზაში. რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად შემოსული განაცხადების განხილვა დაიწყება განაცხადების მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ. რეპატრიაციის კანონის მეექვსე მუხლის, 3 პუნქტის თანახმად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ცალ-ცალკე უნდა განიხილოს რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელი პი-

რის თითოეული აპლიკაცია. მაგრამ, ამავე დროს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს ოჯახის ერთიანობის პრინციპი და ერთად განიხილოს ერთი ოჯახის წევრების განცხადებები¹⁴.

დოკუმენტების განხილვის შემდეგ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო არეგისტრირებს ამ დოკუმენტებს და, შესწავლის მიზნით, მათ უგზავნის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საჭიროების შემთხვევაში სხვა სააგენტოებს, რომლებმაც მათი კომპეტენციის ფარგლებში უნდა გამოთქვან საფუძვლიანი მოსაზრება რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელი პირისათვის რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების რაციონალურობის შესახებ. კანონის მეშვიდე მუხლი ადგენს განაცხადის განხილვის დამატებით პროცედურებს. ამ მუხლის მიხედვით საქართველოს ხელისუფლებას უფლება აქვს რეპატრიანტის სტატუსის მისანიჭებლად შემოიღოს დამატებითი მოთხოვნები. რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების საკითხის გადასაწყვეტად შეიძლება შემოღებულ იქნას გასაუბრების პროცედურა. გარდა ამისა, რეპატრიაციის კანდიდატს შეიძლება მოუწიოს სხვადასხვა სახის ტესტირების გავლა. რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის დროს უპირატესობა მიენიჭებათ იმ კანდიდატებს, რომლებიც ქართულად ლაპარაკობენ¹⁴.

თუ განმცხადებელი განზრახ წარადგენს ყალბ ინფორმაციას, განაცხადი აღარ განიხილება. განცხადებების/თანდართული დოკუმენტებისა და შესაბამისი უწყებებიდან და სამინისტროებიდან შემოსული ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ უნდა ჩამოაყალიბოს დასკვნა რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელი პირისათვის რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების ან მასზე უარის თქმის თაობაზე, რის საფუძველზეც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო გამოსცემს ბრძანებას პირისათვის რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების

ან მასზე უარის თქმის თაობაზე¹¹⁴.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ბრძანების გამოცემიდან 20 დღის ვადაში რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელ პირს უნდა ეცნობოს მინიჭეს თუ არა მას რეპატრიანტის სტატუსი. რეპატრიანტის სტატუსზე უარის თქმის შემთხვევაში რეპატრიაციის შესახებ კანონი კრძალავს აპელაციის უფლებას. (მერვე მუხლი, 3 პუნქტი) თუ რეპატრიანტის სტატუსი მიენიჭება აპლიკანტს, ერთი თვის განმავლობაში ის მიიღებს რეპატრიანტის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს. რეპატრიანტის სტატუსი პირს ანიჭებს უფლებას მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა. საქართველოს მოქალაქეობის მოსაპოვებლად მან უარი უნდა თქვას სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე. კანონის მეცხრე მუხლის თანახმად, რეპატრიანტის სტატუსის მინიჭებიდან ექვსი თვის ვადაში პირმა უნდა წარუდგინოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მან უარი თქვა იმ ქვეყნის მოქალაქეობაზე, რომლის მოქალაქეც იყო რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების მომენტში¹¹⁴.

რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებას უფლება აქვს რეპატრიანტის სტატუსი გააუქმოს, თუ პირი, რომელმაც რეპატრიანტის სტატუსი მოიპოვა, ჩაიდენს დანაშაულს. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ღებულობს გადაწყვეტილებას რეპატრიანტის სტატუსის გაუქმების შესახებ. კანონის მეათე მუხლი, მე-2 პუნქტი აღწერს სხვა შემთხვევებსაც, როდესაც შეიძლება რეპატრიანტს რეპატრიანტის სტატუსი შეუწყდეს:

- ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;
- ბ) მის მიერ საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში;
- გ) თუ მან რეპატრიანტის სტატუსის მინიჭებიდან 6 თვის ვადაში არ დატოვა სხვა ქვეყნის მოქალაქეობა ან რეპატრიანტის სტატუსის მინიჭებიდან 1 წლის ვადაში არ

შეასრულა საქართველოს მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

დ) თუ რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შემდეგ გამოვლინდა გარემოება, რომელიც ამ სტატუსის მინიჭების დამაბრკოლებელი გარემოებაა;

ე) თუ რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შემდეგ გამოვლინდა, რომ პირმა შეგნებულად წარადგინა არასწორი ან არასრული ინფორმაცია რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად;

ვ) მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში;

ზ) სასამართლოს მიერ მისი უგზოუკვლოდ, დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაში;

თ) მისი გარდაცვალების შემთხვევაში.

კანონში არ არის მითითებული ვადა, როდის შეუძლია რეპატრიაციის კანდიდატს მოიპოვოს ინფორმაცია რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების ან მასზე უარის თქმის შესახებ. ეს დამოკიდებული იქნება განაცხადების რაოდენობაზე. 2010 წლის 10 აპრილის მონაცემების მიხედვით, 5527 განაცხადი მიიღო ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ. თითოეული განაცხადი დაახლოებით მოიცავს 1.6 ინდივიდს, ამიტომაც ვარაუდობენ, რომ რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელთა საერთო რაოდენობა იქნება დაახლოებით 12.000-13.000 კაცი. ის კანდიდატები, რომლებიც შეძლებენ რეპატრიანტის სტატუსის მოპოვებას, საქართველოს მოქალაქეობას გამარტივებული პროცედურით მიიღებენ. 2010 წლის 1 იანვარს საქართველოს მთავრობამ გამოსცა ბრძანებულება „რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული პროცედურით მინიჭების შესახებ“.

ზოგიერთი დეპორტირებული მესხის უკმაყოფილებას იწვევს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა საქართველოს

მოქალაქეობის მოსაპოვებლად სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის თქმის თაობაზე. ზოგიერთ მათგანს არ უნდა სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის თქმა, რათა მოიპოვონ საქართველოს მოქალაქეობა. ისინი ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის ნაკლებ ინტერესს ამჟღავნებენ. მათ უნდათ საქართველოში დაბრუნდნენ, როგორც სხვა ქვეყნის მოქალაქეები და საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკას აღიქვამენ, როგორც დეპორტირებული მოსახლეობის ასიმილაციის მცდელობას. დეპორტირებულმა მესხმა, რუსტემ მურსეროღლიმ თურქულ გაზეთს „Turkish Daily news“-ს განუცხადა: „მე აზერბაიჯანის და თურქეთის მოქალაქე ვარ. რატომ უნდა ვთქვა უარი თურქულ ნაციონალიზმზე? ისე გამოდის, თითქოს საქართველოს ხელისუფლება ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობით გვაჯილდოვებდეს. ამ პოლიტიკის მიზანია ჩვენი ასიმილაცია“¹²³. მურსეროღლისა და სხვა დეპორტირებული ხალხის არგუმენტი, რომ საქართველოს ხელისუფლებას დეპორტირებული მესხების ასიმილაცია სურს, სრულიად უსაფუძვლოა. შუა აზიაში დეპორტაციამდე მესხები საქართველოს მოქალაქეები იყვნენ, ამიტომაც თუ მათ სურთ საქართველოში დაბრუნება, მათ ქართული მოქალაქეობა უნდა მიიღონ.

ბევრი დამაბრკოლებელი ფაქტორი არსებობს, რაც აფერხებს მესხების სწრაფ რეპატრაციას და მათ რეინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში, როგორც არის, მაგალითად, რუსეთთან დამაბრკოლებელი ურთიერთობა, კონფლიქტური ზონებიდან ლტოლვილების დიდი რაოდენობა, ეთნიკური კონფლიქტების ახალი კერების გაჩენის შიში, საზოგადოების წინააღმდეგობა რეპატრაციის პროცესის მიმართ, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში. პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა აფერხებს მესხების დასაბრუნებლად საჭირო ღონისძიებების გატარებას. სიტუაცია გართულებულია რუსეთთან კონფლიქტებისა და დამაბრკოლებელი ურთიერთობის გამო. საქართველოს ხელისუფლება ევროსაბჭოს წინაშე

ადებული ვალდებულებების შესრულებას უკავშირებს დეპორტირებული ხალხის დასაბრუნებლად საჭირო პირობების შექმნას ქვეყანაში¹³⁷.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო აღმოჩნდა რუსეთთან პერმანენტულ ომებში ჩაბმული, რის გამოც ქვეყანას სურს თავიდან აიცილოს ახალი კონფლიქტების კერები. ავტონომიის მოპოვების სურვილი, რომელიც რამოდენიმეჯერ დეკლარირებულ იქნა მესხური ორგანიზაციების მიერ, ასევე ჯავახეთში მცხოვრები სომხების მიდრეკილება სეპარატიზმისაკენ, აძლიერებს ეთნოკონფლიქტების შიშს. ეთნიკური და კონფესიური მრავალფეროვნების გამო სამცხე-ჯავახეთი მიჩნეულია პოტენციურ ცხელ წერტილად და ეთნიკური კონფლიქტების პოტენციურ ზონად. განსაკუთრებით პრობლემატურია ჯავახეთის რეგიონი, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ სომხები, რომლებიც ქართული სახელმწიფოს მიმართ დიდი ლოიალურობით არ გამოირჩევიან. ჯავახეთის მოსახლეობის 90%-ზე მეტი ეთნიკური სომხებია, რომლებიც XIX და XX საუკუნეებში თურქეთიდან ჩამოსახლდნენ საქართველოში. თბილისელ სომხებთან შედარებით, ჯავახეთში მცხოვრები სომხების უფრო დაბალი ინტეგრირებულობის დონე შეიძლება იმ ფაქტით აიხსნას, რომ ეს რეგიონი, თურქეთის საზღვართან სიახლოვის გამო, დიდი ხნის განმავლობაში განზრახ იყო იზოლაციაში მოქცეული. სამცხე-ჯავახეთი ითვლებოდა სპეციალურ სასაზღვრო ზონად ნატოსა და საბჭოთა კავშირს შორის, ამ რეგიონში შესვლა აკრძალული იყო და არავის შეეძლო იქ სპეციალური ნებართვის გარეშე შეღწევა. გეორაფიულმა და კულტურულმა იზოლაციამ, რასაც დაემატა ეკონომიკური პრობლემები, უმუშევრობის მაღალი დონე და უკიდურესი სიღარიბე, ხელსაყრელი პირობები შექმნა სეპარატიზმისა და ირედენტისმის აღმოცენებისათვის. ცუდმა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურამ დააბრკოლა სავაჭრო ურთიერთობებისა და კომერციული საქმიანობების განვითარება საქართველოს

სხვა რეგიონებთან. მან ასევე ხელი შეუშალა მჭიდრო კავშირების დამყარებას საქართველოს დანარჩენ კუთხეებთან. თუმცა ბევრი პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა დაძაბულობის შესამცირებლად, ეროვნული უმცირესობებისათვის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად და ამ რეგიონის დასაკავშირებლად საქართველოს სხვა პროვინციებთან, მას ჯერჯერობით კვლავ უფრო მჭიდრო ურთიერთობები აქვს ერევანთან, ვიდრე თბილისთან. ცენტრალური ხელისუფლება კვლავ მინიმალურად აკონტროლებს ჯავახეთს. თუმცა, სომხეთის ხელისუფლება ოფიციალურად პრეტენზიას არ აცხადებს ჯავახეთზე, ზოგიერთი სომხური პოლიტიკური პარტია მხარს უჭერს ჯავახეთის სომხეთთან მიერთებას. მთიანი ყარაბახის კონფლიქტში სომხეთის გამარჯვებამ გაზარდა სეპარატიზმისაკენ მისწრაფება ჯავახეთში მცხოვრებ სომხებში. ბევრმა მათგანმა მიიღო მონაწილეობა ამ ომში და ომის შემდეგ გახშირდა მათი მოთხოვნები ავტონომიაზე სამცხე-ჯავახეთში¹²⁰. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც სომხეთი უარს ამბობს ოფიციალურად მხარი დაუჭიროს სეპარატიზტულ ძალებს, არის ტოტალური ბლოკადის შიში. სომხეთს უნდა თავიდან აიცილოს ორ ფრონტზე ომი და კარგად აქვს გათვითცნობიერებული რომ თუ საქართველოსთან ომს დაიწყებს, სრულ იზოლაციაში მოექცევა და მტრული ძალებით იქნება გარშემორტყმული ყველა მხრიდან. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა ხელს უწყობს ძალთა ბალანსის სისტემის ფორმირებას და საქართველოს საშუალებას აძლევს სტაბილურობის გარანტი იყოს კავკასიის რეგიონში. ჯავახეთში მცხოვრებ სომხებს კარგად აქვთ გათვითცნობიერებული, რომ თუ მოახდენენ რეგიონში კონფლიქტის პროვოცირებას, საქართველო აზერბაიჯანთან შევა ალიანსში საერთო მტერთან უფრო ეფექტურად საბრძოლველად. აზერბაიჯანმაც იცის, რომ საქართველოსთან კონფრონტაცია გამოიწვევს სომხეთ-საქართველოს ალიანსის შექმნას⁸. მტრული ძალების გაერთი-

ანების შიში რეგიონში წონასწორობის შენარჩუნებას და ძალთა ბალანსის სისტემის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მაგრამ ასეთი წონასწორობა ყოველთვის მყიფეა, რომელიც ვერ იქნება ხანგრძლივი სტაბილურობის გარანტი კავკასიის რეგიონში.

აზერბაიჯანთან და თურქეთთან დაძაბული ურთიერთობის გამო სომხეთი იძულებულია საქართველოსთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს. საქართველოზე ძლიერი დამოკიდებულება აიძულებს სომხეთს თავი შეიკავოს ტერიტორიული პრეტენზიებისაგან. თუმცა, საქართველოს ხელისუფლებამ მოახერხა ჯავახეთის სომხების სეპარატისტული მისწრაფებების მოთოკვა სეპარატისტული ძალების ლიდერებისათვის სარფიანი თანამდებობების შეთავაზების ხარჯზე, სიტუაცია ჯავახეთში მაინც დაძაბულია და მშვიდობა ამ რეგიონში, სამწუხაროდ, მყიფეა. ჯავახეთის სომხების სეპარატისტული მისწრაფებები და ზოგიერთი მაჰმადიანი მესხის მოთხოვნა, საქართველოს სამხრეთ რეგიონში ავტონომიის შექმნის შესახებ, აღძრავს საქართველოს ხელისუფლებაში მოსული ნებისმიერი ძალის ეჭვებს და ამ ხალხის მიმართ უნდობლობას აძლიერებს. ამიტომაც, საქართველოს ხელისუფლებას უნდა თავიდან აიცილოს სამცხე-ჯავახეთში დეპორტირებული მესხების კომპაქტური დასახლებების ფორმირება, რომელიც შეიძლება კიდევ ერთი ეთნიკური კონფლიქტის წარმომშობი ფაქტორი გახდეს. ეთნოსთაშორისი დაძაბულობების თავიდან ასაცილებლად ის მხარს უჭერს დეპორტირებული ხალხის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩასახლებას. თუმცა, საქართველოს კონსტიტუცია თავისუფლად გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებას იძლევა, ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ ამით ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას რაიმე ზიანი მიადგება. კონსტიტუციის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფა-

ლი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება, მაგრამ ამ მუხლის მე-3 პუნქტმა შეიძლება შეზღუდოს გადაადგილების თავისუფლების უფლება და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება ქვეყანაში სტაბილურობისა და წესრიგის შენარჩუნების მიზნით. მე-3 პუნქტის თანახმად, ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით⁹⁶. მასასადა-მე, ხელისუფლებას უფლება აქვს შეარჩიოს საცხოვრებელი ადგილები რეპატრიანტთათვის, შეზღუდოს საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზნით და ქვეყანაში წესრიგისა და მშვიდობის შენარჩუნების მიზნით.

რეპატრიაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი არის ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი რაოდენობა სეპარატისტული რეგიონებიდან. რეპატრიაცია მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყანას, მაშინ როცა მას ასეთი დიდი რაოდენობის ლტოლვილების მოვლა უწევს. პოლიტიკური არასტაბილურობა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ასევე კონფლიქტური ზონებიდან ლტოლვილების დიდი რაოდენობა აფერხებს და აჭიანურებს დეპორტირებული ხალხის რეპატრიაციას და რეინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში.

საქართველოს ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი, რომ დაიწყოს ასეთი ძვირიანი პროექტის განხორციელება. ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის დროს, როდესაც საქართველოს ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი გარკვეული ფინანსური სახსრები, საქართველოს ხელისუფლება აქტიურ დახმარებას უწევდა მესხ რეპატრიანტებს: უფასოდ ურიგებდა საცხოვრებელ სახლებს, ყველას უზრუნველყოფდა სამუ-

შაო ადგილებით, რეპატრიანტების შვილებს უხსნიდა სკოლებს, ქმნიდა სპეციალურ საინტეგრაციო კურსებს და ა.შ. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ქვეყანაში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების გამო, საქართველოს აღარ შეუძლია არათუ დეპორტირებულების დახმარება, არამედ აფხაზეთიდან და ოსეთიდან გამოდევნილი ხალხის მოვლა-პატრონობა⁴³. საქართველოს არ გააჩნია რესურსები რეპატრიაციის პროცესის დასაფინანსებლად. ამიტომაც დიდი დრო და ძალისხმევა იქნება საჭირო მესხების ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისთვის და რეპატრიაციის პროცესის უმტკივნეულოდ განხორციელებისათვის.

თავი 4. მესხური იდენტობის ცვალებადი ხასიათი და სამსხე-ჯავახეთის პოლიეთნიკურ საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემა

4.1. საერთო იდენტობის ფორმირების პრობლემები

ადამიანები თვითიდენტიფიკაციას სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე ახდენენ. სანამ საერთო იდენტობის ფორმირების მნიშვნელობაზე დავიწყებდეთ საუბარს, ჩვენ შევეცდებით ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ორი სხვადასხვა ტიპის იდენტობა: ეთნიკური იდენტობა და სამოქალაქო იდენტობა. თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთი ფორმაა ეთნიკურობა¹²¹. ბოლო ათწლეულებში მკვეთრად გაიზარდა საზოგადოების დაინტერესება ეთნიკურობისა და ეთნიკური იდენტობის ცნებების მიმართ. ეთნიკური წარმომავლობისა და ეთნიკურობის მიმართ გაზრდილი დაინტერესება შეიძლება აიხსნას ინდივიდის ინსტინქტური სურვილით, იყოს რომელიმე საზოგადოების ან სოციალური ჯგუფის წევრი. ეთნიკური იდენტობა ძალიან მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ფუნქციას ასრულებს: ის ანიჭებს ინდივიდს გარკვეულ ჯგუფთან „კუთვნილების გრძნობას“ ან გარკვეულ ადგილთან, გეოგრაფიულ სივრცესთან „მიკუთვნების გრძნობას“¹⁰⁹. ვინაიდან ადამიანები „სოციალური არსებები“ არიან, ყველა ინდივიდს აქვს თანდაყოლილი სურვილი, მიეკუთვნებოდეს რომელიმე ჯგუფს.

ტერმინები „ეთნიკურობა“ და „ეთნიკური იდენტობა“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ეთნოს“, რაც ქართულად ხალხს ან ტომს ნიშნავს. ეთნიკური ჯგუფები ხშირად განისაზღვრება, როგორც ხალხის გარკვეული ჯგუფი, რომელთაც აქვთ საერთო ენა, ისტორია, კულტურა და რწმენა საერთო წარმომავლობის შესახებ. მაგრამ საერთო ეთნიკური ჯგუფის შესაქმნელად არ არის აუცილებელი, რომ ხალხი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებს იზიარებდეს.

ეთნიკურობა და ეთნიკური იდენტობა ფსიქოლოგიურ-პოლიტიკური კონსტრუქციაა. ის, რაც განასხვავებს ეთნიკურ ჯგუფს ყველა სხვა დანარჩენი ჯგუფებისაგან არის ის, რომ მისი წევრები თვლიან თავს ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებად. გერმანელმა სოციოლოგმა მაქს ვებერმა ეთნიკური ჯგუფი განსაზღვრა, როგორც „იმ ინდივიდების ერთობლიობა, რომელთაც გააჩნიათ სუბიექტური რწმენა საერთო წარმომავლობის შესახებ ფიზიკური მსგავსებების, ან ტრადიციების მსგავსებების გამო, ან კოლონიზაციისა და მიგრაციის მოგონებების გამო... არ აქვს არავითარი მნიშვნელობა არსებობს თუ არა მათ შორის სისხლით ნათესაური კავშირი...“⁸⁶. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმისათვის, რომ ადამიანებმა აღიქვან თავი საერთო ეთნიკური ჯგუფის წევრებად, არ არის აუცილებელი, რომ ისინი იზიარებდნენ საერთო ენას, ისტორიას, ჩვევებს, ტრადიციებს და საერთო წარმომავლობას. ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულმა ინდივიდთა ჯგუფებმა, ან ჯგუფებმა, რომელთაც ძალიან ცოტა რამ აქვთ საერთო, შეიძლება ჩათვალონ, რომ ისინი საერთო წინაპრების შთამომავლები არიან და ამიტომაც აღიქვან თავი ერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებად. მაგალითად, სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის დიდი უმრავლესობა არის ეთნიკური მესხი. მათ ძალიან ცოტა რამ აქვთ საერთო დანარჩენ დეპორტირებულ ეთნიკურ ჯგუფებთან (ჰემშინები, ლეკები, ყარაფაფახები, ქურთები, თურქები და ა.შ.), მიუხედავად ამისა, მათ ხშირად ერთ ეთნიკურ ჯგუფად მოიხსენიებენ. თუმცა, ეს ხალხი ერთ ეთნიკურ ჯგუფს არ მიეკუთვნება და სინამდვილეში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ჰიბრიდს წარმოადგენს, მათი უმრავლესობა თავს მაინც ეთნიკურ თურქად აღიქვამს და საერთაშორისო საზოგადოებაც მათ ერთ ეთნიკურ ჯგუფად აღიარებს. ამ შემთხვევაში რელიგია არის ეთნიკური კუთვნილების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. ასევე შეიძლება მოხდეს მსგავსი, მაგრამ სრულიად საპირისპირო რამ:

ინდივიდთა ჯგუფებმა, რომლებიც ფიზიკურად ძალიან გვანან ერთმანეთს და ბევრი რამ აქვთ საერთო, შეიძლება არ გააიგივონ თავი საერთო ეთნიკური ჯგუფის წევრებად, რადგან შეიძლება ფიქრობდნენ, რომ მათ საერთო წინაპრები არ ჰყოლიათ და სხვადასხვა წინაპრების შთამომავლები არიან. მაგალითად, სერბები, ხორვატები, მაჰმადიანი ბოსნიელები ერთ ენაზე ლაპარაკობენ და ბევრ რამეში ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ მიუხედავად დიდი მსგავსებისა, ისინი თვლიან, რომ სრულიად განსხვავებული ეთნიკური ჯგუფები არიან⁸⁶. ამ შემთხვევაშიც, დეპორტირებული მესხი მოსახლეობის მსგავსად, ყოფილი იუგოსლავიის ხალხი იყენებს რელიგიას, როგორც ეთნიკური იდენტობის მთავარ ინდიკატორს: ხორვატთა უმრავლესობა კათოლიკეა, სერბები მართლმადიდებლები არიან, ხოლო ბოსნიელები – მაჰმადიანები.

ეთნიკურობისაგან განსხვავებით, რომელიც დაბადებით გადაეცემა ადამიანს, მოქალაქეობა არის წმინდა პოლიტიკური იდენტობა, რომელიც არ არის აუცილებელი, რომ ყოველთვის დაბადებით გადაეცეს ადამიანს (დაბადება ხშირად მოქალაქეობის გარანტიას არ იძლევა, ვინაიდან სახელმწიფომ შეიძლება მოქალაქეობა არ მიანიჭოს ყველას, ვინც მის ტერიტორიაზე დაიბადება). ეთნიკურ იდენტობასთან შედარებით სამოქალაქო იდენტობა უფრო ადვილად ცვალებადია. ეთნიკური იდენტობის შეცვლა უფრო ძნელია, ვინაიდან ის ყალიბდება საერთო ენის, კულტურის, რელიგიის, ჩვევების საფუძველზე, რომლებიც ძნელად ექვემდებარება ცვლილებებს. ინდივიდებს ადვილად შეუძლიათ ერთი სახელმწიფოს მოქალაქეობის შეცვლა სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობით, ისინი ასევე შეიძლება ფლობდნენ ორმაგ მოქალაქეობას ან შეიძლება საერთოდ არ ფლობდნენ მოქალაქეობას, მიუკუთვნებოდნენ მოქალაქეობის არმქონე პირთა ჯგუფს. ეთნიკურობისა და ეთნიკური იდენტობისაგან განსხვავებით, მოქალაქეობა წმინდა პოლიტიკური ცნებაა, რომელიც სახელმწიფოების მიერ არის შექმნილი და რომლის ფლობაზეც

თანხმობას ან უარს აცხადებენ ინდივიდები. მოქალაქეობა და სამოქალაქო იდენტობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ინდივიდის ან ჯგუფის დამოკიდებულება სახელმწიფოსთან. ისინი, ვინც სახელმწიფოს მოქალაქეები ხდებიან, ერთგულების ფიცს დებენ ამ სახელმწიფოს წინაშე და სახელმწიფო თავის მხრივ ვალდებულია უზრუნველყოს ეს ინდივიდები გარკვეული უფლებებით¹²¹.

სამოქალაქო იდენტობისაგან განსხვავებით, ეთნიკური იდენტობა ხშირად აღიქმება, როგორც საზოგადოების დამყოფი ცნება. ეთნიკური კონფლიქტები ხშირად წარმოიშობა ექსკლუზიური იდენტობების განვითარების ხელშეწყობით. კონფლიქტებს ხშირად ხელოვნურად ქმნიან ერთიანი საზოგადოების სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებად დაყოფით. ეთნიკური კონფლიქტები და ომები შეიძლება თავიდან იქნას აცილებული ინდივიდების წახალისებით შექმნან საერთო, უფრო ინკლუზიური იდენტობები⁸⁷. სტაბილურობისა და წესრიგის შექმნის მიზნით, პოლიეთნიკური ქვეყნები უნდა შეეცადონ შექმნან ზეეთნიკური იდენტობები.

მრავალეროვანი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული მის უნარზე შექმნას საერთო სამოქალაქო იდენტობა მისი პოლიეთნიკური მოსახლეობისათვის. ზოგიერთი ქვეყანა სხვებთან შედარებით უფრო წარმატებით ახერხებს საერთო სამოქალაქო იდენტობის შექმნას. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, მიუხედავად მისი მრავალეთნიკურობისა, წარმატებით ახერხებს საერთო იდენტობის ფორმირებას სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხისათვის. აშშ-ს ხშირად კულტურების „საღნოპ ქვაბს“ (melting pot of cultures) უწოდებენ. ეს ტერმინი გამოგონებულ იქნა იმ პროცესის აღსაწერად, როდესაც ჰეტეროგენული საზოგადოება თანდათანობით ჰომოგენური ხდება და ერთ მთლიან ორგანიზმად ყალიბდება. აშშ-მა უამრავი ემიგრანტი მიიღო სხვადასხვა ქვეყნიდან და წარმატებით მოახერხა მათი

ინტეგრაცია ამერიკულ საზოგადოებაში. ამერიკისაგან განსხვავებით საქართველოში მწვავედ დგას ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხი. რეპატრიაციის პროცესის წარმატებით განხორციელება დიდწილად იქნება დამოკიდებული ქართული საზოგადოების უნარზე, შექმნას „ერთობის განცდა“ საქართველოს პოლიეთნიკური მოსახლეობისათვის, მათ შორის იგულისხმება ასევე სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული ხალხი.

რატომ ახერხებს ზოგიერთი ქვეყანა წარმატებით საერთო იდენტობის კონსტრუირებას მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში განსხვავება ეთნიკურ წარმომავლობაში და იდენტობაში სისხლისმღვრელ კონფლიქტებს იწვევს? საკუთარი თავის ეროვნებისა და ეთნიკურობის მიხედვით დეფინიციის პროცესი გამორიცხავს საზოგადოების გარკვეულ ნაწილს და იწვევს საზოგადოების დაყოფას ეთნიკური ნიშნით. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა ქვეყნებისათვის არის მოქალაქეებს შორის საერთო იდენტობისა და საერთო კუთვნილების გრძნობის კონსტრუირება. სახელმწიფოს უუნარობას, რომ შექმნას საერთო იდენტობა მისი მოქალაქეებისათვის, შეიძლება მძიმე პოლიტიკური შედეგები მოჰყვეს⁸⁶. მან შეიძლება გამოიწვიოს ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები. თუმცა, საერთო იდენტობის კონსტრუირება ძალიან რთული პროცესია, ზოგიერთი ქვეყანა სხვებთან შედარებით მაინც უკეთეს პირობებში იმყოფება. მონოეთნიკური ქვეყნებისათვის გაცილებით უფრო ადვილია მის მოქალაქეებს შორის საერთო იდენტობისა და საერთო კუთვნილების გრძნობის კონსტრუირება, ვიდრე პოლიეთნიკური სახელმწიფოებისათვის. მაგალითად, იტალიას ეთნიკურად ჰომოგენური მოსახლეობა ჰყავს და იტალიელი ხალხი მკვეთრად არ არის დაყოფილი რელიგიური ნიშნით. მსოფლიოში სახელმწიფოების უმრავლესობას არ ჰყავს ჰომოგენური მოსახლეობა. მოსახლეობისათვის საერთო იდენტობის თავს მოხვევა წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას პოლიეთნი-

კური და მრავალკონფესიური სახელმწიფოებისათვის. იტალიისაგან განსხვავებით საქართველო არის მრავალეროვნული, მრავალკონფესიური და მრავალენოვანი ქვეყანა და მისი მოსახლეობა მკვეთრად არის დაყოფილი რელიგიური ნიშნით. 100-ზე მეტი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს საქართველოში, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. პოლიეთნიკურობა არის სერიოზული დაბრკოლება ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში. თავისთავად ცხადია საერთო იდენტობის კონსტრუირება და პოლიტიკური ერთობის შექმნა უფრო რთულია საქართველოსთვის, ვიდრე მონოეთნიკური ევროპული სახელმწიფოებისათვის. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა მოახერხეს ერი-სახელმწიფოებად ჩამოყალიბება და ერი-სახელმწიფოები დღეისათვის ითვლება პოლიტიკური სისტემის ორგანიზების ყველაზე სასურველ ფორმად. ევროპის გარდაქმნა მონოეთნიკურ ერი-სახელმწიფოებად შემთხვევით არ მომხდარა და სინამდვილეში ეს იყო ევროპული მთავრობების გააზრებული ძალისხმევა. მათ შემოიღეს საერთო ეროვნული იდენტობა იმ ხალხისათვის, რომლებსაც ისინი აკონტროლებდნენ. მიზნის მისაღწევად ისინი ხშირად ახორციელებდნენ უამრავ რეფორმებს და იძულებით ზომებსაც ღებულობდნენ საერთო ენის, საერთო განათლების სისტემისა და საერთო ეროვნული კულტურის შექმნისათვის. ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი ხშირად დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მან წარმოშვა შედარებით სტაბილური ევროპა, სადაც უმეტესი ქვეყნების მაცხოვრებლებს ერთობის ძლიერი გრძნობა აკავშირებთ⁸⁶.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა მსგავს გამოწვევებს უმკლავდება. ერთიანი საზოგადოების და საერთო იდენტობის შექმნა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა მსოფლიოს განვითარებადი სახელმწიფოებისათვის. სახელმწიფოების უმრავლესობას არ შესწევს უნარი შექმნას საერთო სიმბოლოები და საერთო ღირებულებები და ნორმები,

რათა გაზარდოს მოქალაქეების ლოიალური დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ¹²². მოქალაქეები უპირატესობას ანიჭებენ აღიქვან თავი ეთნიკური ჯგუფის, რელიგიური ჯგუფის ან მათი ისტორიული სამშობლოს წარმომადგენლებად და არა იმ სახელმწიფოს მოქალაქეებად, სადაც ცხოვრობენ. საქართველოც მსგავს გამოწვევებს უძველესად დაიცავდა. საქართველოს მოქალაქეებისათვის საერთო იდენტობის შექმნა ძალზედ რთული და ძნელი პროცესია, ვინაიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ინტეგრირებულობის დაბალი დონით გამოირჩევიან. საქართველოს მოსახლეობა დაყოფილია ლინგვისტური, ეთნიკური და რელიგიური ნიშნის საფუძველზე. საზოგადოებები, რომლებიც დაყოფილი არიან ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე, უფრო ნაკლები შანსი აქვთ, რომ წარმატებით ითანამშრომლონ ერთმანეთთან და ჰარმონიულად იცხოვრონ საერთო პოლიტიკურ გაერთიანებაში. ეთნიკური და რელიგიური ფრაგმენტაცია და ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დაყოფა ხშირად ომებისა და კონფლიქტების მთავარი მიზეზი ხდება. ეთნიკური ნაციონალიზმი ფართოდაა გავრცელებული ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში, მაშინ როდესაც დასავლეთში დომინირებს სამოქალაქო ნაციონალიზმი. ეთნიკური ნაციონალიზმის შეცვლა უფრო ცივილიზებული ფორმის ნაციონალიზმით (სამოქალაქო ნაციონალიზმით) ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ადამიანებს აქვთ სამოქალაქო იდენტოფიკაციის ძალიან დაბალი დონე და ურჩევნიათ თავიანთი თავი აღიქვან ეთნიკური ჯგუფისა და ისტორიული სამშობლოს წარმომადგენლებად. დასავლეთის ქვეყნებში ნაციონალიზმი გულისხმობს მოქალაქეობას (სამოქალაქო იდენტობას), მაშინ, როდესაც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ნაციონალიზმი განისაზღვრება ადამიანის ეთნიკური კუთვნილების მიხედვით. მაშასადამე, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ნაციონალიზმი უფრო ინკლუზიური ფენომენია, მაშინ როდესაც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ის უფრო

ექსკლუზიურია და საზოგადოებები ამ რესპუბლიკებში და-
ყოფილი არიან ეთნიკური ნიშნის საფუძველზე. მაგალითად,
საქართველოში მცხოვრები ადამიანი, რომლის მშობლიური
ენა ქურთულია, შეიძლება ფლობდეს საქართველოს მოქა-
ლაქეობას, მაგრამ ის ჩაითვლება ქურთი ეროვნების წარმო-
მადგენლად. იგივე პიროვნება დასავლეთში რომ დაბადებუ-
ლიყო და გაზრდილიყო, დავუშვათ დიდ ბრიტანეთში, მისი
ნაციონალობა (ეროვნება) იქნებოდა ბრიტანელი. ქართული
საზოგადოება მიზანმიმართულად უნდა შეეცადოს, რომ შექ-
მნას „ერთობის განცდა“ ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის,
მიუხედავად მათი ეთნიკური და რელიგიური კუთვნილები-
სა და გააერთიანოს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის
ადამიანი საერთო პოლიტიკურ გაერთიანებაში. უპირატესო-
ბა უნდა მიენიჭოს ზე-ეთნიკური იდენტობის განვითარებას.
ამ მიზნის მისაღწევად ეთნიკურობა უნდა შეიცვალოს უფრო
ფართო მნიშვნელობის მქონე იდენტობით და ხალხი უნდა
გაერთიანდეს პოლიტიკური იდენტიფიკაციის საფუძველზე,
როგორც არის, მაგალითად, სამოქალაქო იდენტობა. საერთო
მითების, სიმბოლოების, ნორმების, ღირებულებების შექმნა
დიდ როლს თამაშობს ხალხის საერთო პოლიტიკურ სა-
ზოგადოებად გაერთიანებაში. ამ სიმბოლოების და საზიარო
ნორმებისა და ღირებულებების გამოგონებას პოლიტიკური
მიზანი აქვს – ერთობის შექმნა. ყველა ცივილიზებული
სახელმწიფო თავისი ინტეგრაციის პოლიტიკით ცდილობს
სამოქალაქო იდენტობის განვითარებას. სამოქალაქო იდენ-
ტობის ფორმირება არ ნიშნავს ეთნიკური პლურალიზმის
აღმოფხვრას. ხალხს შეუძლია შეინარჩუნოს განსხვავებული
ეთნიკური იდენტობა და ამავე დროს განავითაროს სამო-
ქალაქო ცნობიერება და ქართული სახელმწიფოს მიმართ
ერთგულება. იდენტობები არ არის ურთიერთგამომრიცხა-
ვი ცნებები. პიროვნება შეიძლება ფლობდეს იდენტობების
სხვადასხვა კომბინაციას (ეთნიკური იდენტობა, რელიგი-
ური იდენტობა, სამოქალაქო იდენტობა და ა.შ.). მაგალი-

თად, მრავალი ადამიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში ეთნიკური წარმომავლობით არის მექსიკელი (ეთნიკური იდენტობა), კათოლიკე (რელიგიური იდენტობა), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ამაყად აცხადებენ, რომ არიან ამერიკელები, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეები (სამოქალაქო იდენტობა). საერთო იდენტობის გრძნობა აერთიანებს ეთნიკურად განსხვავებულ ხალხებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მიუხედავად ეთნიკური, რასობრივი, ლინგვისტური და რელიგიური განსხვავებულობისა, ისინი საერთო იდენტობას ფლობენ და სამოქალაქო იდენტიფიკაციის მაღალი დონე გააჩნიათ და ყველა მათგანი თავს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქედ თვლის. დიდი ეთნიკური მრავალფეროვნების მიუხედავად, რადიკალურად განსხვავებული ხალხი გაერთიანებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში და საერთო პოლიტიკურ საზოგადოებას ქმნის. ამრიგად, საერთო იდენტობის შექმნა შესაძლებელია ეთნიკურად ჭრელ ქვეყნებშიც კი, სადაც დომინანტური ეთნიკური ჯგუფი არ არსებობს.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც აფერხებს საერთო იდენტობის განვითარებას ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, არის ეთნოკონფლიქტები და ომები და ასევე გარე ძალების ჩარევა კავკასიის სახელმწიფოების შინაგან საქმეებში. რუსეთის „დაყავი და იბატონე“-ს პოლიტიკა აუარესებს სიტუაციას და ხელს უწყობს კონფლიქტების წარმოშობას სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის. კავკასიის ექსტრემორდინალური მრავალფეროვნება, რომელიც დასახლებულია უამრავი ეთნიკური ჯგუფებითა და ერებით, გარე ძალებს უქმნის ეთნიკური შუღლის გასაღვივებლად ხელსაყრელ ნიადაგს. საერთო იდენტობის რეკონსტრუირება შეუძლებელია გამუდმებული კონფლიქტების პირობებში, ვინაიდან თუ კი მოხდება ეთნიკური ჯგუფების ომისათვის მობილიზება, მათ უკვე შექმნილი ექნებათ და გააგრძელებენ ისეთი სოციალური ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც გააძლიერებენ

მათ განსხვავებულ ეთნიკურ იდენტობას⁸⁷. ძალადობა ზრდის მტრულ დამოკიდებულებას დომინანტ ეთნოსსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის. კონფლიქტით გამოწვეული საშინელებები სამუდამოდ ტოვებს კვალს ადამიანის მეხსიერებაში, იწვევს შიშის, უნდობლობის, სიძულვილის წარმოშობას, რაც სამუდამოდ კეტავს ხალხს საკუთარი იდენტობის ნაჭუჭში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ომი აძლიერებს ეთნიკურ იდენტობას, იწვევს საზოგადოების დაყოფას ეთნიკური ნიშნით და ხელს უშლის საერთო სამოქალაქო იდენტობის განვითარებას. ეთნიკური კონფლიქტები და ომები ხშირად იწვევს ექსკლუზიური იდენტობების განვითარების წახალისებით. გარე ძალები, განსაკუთრებით იმპერიები, ხშირად ხელს უწყობდნენ და კვლავაც ხელს უწყობენ ექსკლუზიური იდენტობების განვითარებას, ვინაიდან დაყოფილი საზოგადოების მართვა, ერთიან და ძლიერ პოლიტიკურ გაერთიანებებთან შედარებით, გაცილებით უფრო ადვილია. სახელმწიფოთა უმრავლესობა სხვადასხვა ეთნიკური და სუბეთნიკური ჯგუფების ნარევია. ამიტომაც სეპარატიზმის მხარდაჭერა ხშირად იწვევს სისხლისმღვრელი კონფლიქტების წარმოშობას და პოლიტიკური გაერთიანების დაშლას. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ ინდოეთის დაყოფა და 1947 წელს დამოუკიდებელი ისლამური სახელმწიფოს, პაკისტანის წარმოშობა. ამის კიდევ ერთი მაგალითია ცარისტული რუსეთის მცდელობა გამოეყენებინა ქართველ ერში არსებული სუბეთნიკური განსხვავებები ქართული სახელმწიფოს დასაშლელად. მიზნის მისაღწევად მათ გამოიგონეს მეგრული ანბანი და შეეცადნენ დაწყებით სკოლებში სწავლა შემოეღოთ მეგრულ და სვანურ ენებზე. ამ გეგმამ მიზანს ვერ მიაღწია ქართული ინტელიგენციის დიდი წინააღმდეგობის გამო, რომელიც ამ სუბეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნებოდა. ინტელიგენციის წარმომადგენლები მიხვდნენ, რომ ამ გეგმის განხორციელება ქართული სახელმწიფოს სრულ დეზინტეგრაციას გამოიწვევდა¹⁰⁵. მსგავსმა გეგმამ უფრო მეტ

წარმატებებს მიაღწია მესხეთში, სადაც მაჰმადიანი მესხების თაობები არაქართულ სკოლებში იზრდებოდნენ. რუსეთის მზაკვრულმა გეგმამ გამოიწვია მაჰმადიანი ქართველების სრული გაუცხოება ქართველი ერისაგან, რომელთანაც მას საერთო ისტორიული მემკვიდრეობა აკავშირებდა. რომ არა რუსეთის მიზანმიმართული ჩარევა საქართველოს შიდა საქმეებში, სავსებით შესაძლებელი იქნებოდა საერთო იდენტობის კონსტრუირება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დეპორტაციამდე მაჰმადიანი მესხების უმრავლესობა კარგად ფლობდა ქართულ ენას და ქართულ ტრადიციებსა და ჩვევებს საუკუნეების განმავლობაში ინახავდა. მაგრამ მოხდა ქართული ენის განზრახ დაკნინება მესხეთში. მაჰმადიანი მესხების თაობები ათწლეულების განმავლობაში აზერბაიჯანულ სკოლებში იზრდებოდნენ. გარე ძალების ხელშეწყობით მოხდა დაპირისპირება მესხეთის მაჰმადიან და ქრისტიან მოსახლეობას შორის⁶. რელიგიური ნიშნით დაყოფილი მესხი ხალხი დიდი იმპერიების გეოპოლიტიკური ინტერესების მსხვერპლი გახდა. 1917-1919 წლებში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა საბოლოოდ გააფუჭა ურთიერთობა ქრისტიან და მაჰმადიან მესხებს შორის და ერთი სისხლის მქონე ხალხი ერთმანეთს სამუდამოდ დააშორა. საბჭოთა იმპერია აგრძელებდა მისი წინამორბედის, რუსეთის იმპერიის ანტიქართულ საქმიანობას და საქართველოში ეთნოკონფლიქტებისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა. საბჭოთა პოლიტიკის მიზანი იყო ეთნიკური და რელიგიური განსხვავებულობის სტიმულირება საქართველოში. საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის საბჭოთა ხელისუფლება ხელს უწყობდა პოლიტიკური და ეთნიკური განსხვავებულობის განვითარებას. ამ პოლიტიკამ მკვეთრად გააუარესა ეთნოსთამორისი ურთიერთობები საქართველოში. მან ასევე ხელი შეუშალა სამოქალაქო იდენტობის განვითარებას, საერთო პოლიტიკური გაერთიანების შექმნას და საქართველო სუსტ, დანაწევრებულ სახელმწიფოდ აქცია.

საქართველოს სისუსტე არის მისი პოლიეთნიკურობის, მრავალკონფესიურობის და მრავალენოვნების შედეგი და მისი უუნარობის შედეგი შექმნას საერთო სამოქალაქო იდენტობა პოლიეთნიკური საზოგადოებისათვის. თუმცა, პოლიეთნიკურობა სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია ერი-სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, ის ყოველთვის არ იწვევს ეთნიკურ კონფლიქტებსა და ომებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს „ერთობის განცდა“ აკავშირებთ და თუ ისინი ალიანსში შედიან ერთმანეთთან ზე-ეთნიკური იდენტობის საფუძველზე. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ამერიკის შეერთებული შტატები, არგენტინა ან ავსტრალია, რომლებიც უამრავი ეთნიკური ჯგუფებისა და ეროვნებებისაგან შედგება, მაგრამ მიუხედავად მათი პოლიეთნიკურობისა ეს ქვეყნები ერთიან და ძლიერ პოლიტიკურ გაერთიანებად ჩამოყალიბდნენ. ამრიგად, ეთნიკური კონფლიქტებისა და ომების საფრთხე შეიძლება შემცირდეს, თუ ინდივიდები და ეთნიკური ჯგუფები შეიძლება საერთო სამოქალაქო იდენტობის განვითარებას.

პოლიტიკურ ელიტას და ლიდერებს შეუძლიათ მიზანმიმართულად იმუშაონ, რომ მოხდეს ხალხის გაერთიანება უფრო ფართო იდენტობის საფუძველზე, რომელიც სცილდება ეთნიკურ ჩარჩოებს, როგორც არის, მაგალითად, იდეოლოგია, კლასი, მოქალაქეობრივი ლოიალობა ერი-სახელმწიფოს მიმართ. ხანგრძლივი მშვიდობა და სტაბილურობა შეიძლება მიღწეულ იქნას და ეთნიკური ანტაგონიზმი შეიძლება აღმოიფხვრას, თუ მოხერხდება ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებაში მყოფი ეთნიკური ჯგუფების გაერთიანება საერთო პოლიტიკურ საზოგადოებაში⁸⁷. ეთნიკური დაძაბულობა შეიძლება აღმოიფხვრას თუ ქართული საზოგადოება გაერთიანდება საერთო სამოქალაქო იდენტობის საფუძველზე.

4.2. მესხური იდენტობის ცვალებადი ხასიათი – ეთნიკური იდენტობის კრიზისის მთავარი ნიშანი

სხვადასხვა ეთნიკურობის თეორიების მომხრე მკვლევარები და მეცნიერები ვერ თანხმდებიან იმის შესახებ, ეთნიკურობა არის მუდმივი თუ ცვალებადი ფენომენი. ეთნიკურობის გაგების ორი ურთიერთსაპირისპირო თეორიული მიმდინარეობა შეიძლება გამოვყოთ: პრიმორდიალიზმი და კონსტრუქტივიზმი.

პრიმორდიალიზმი ამტკიცებს, რომ ეთნიკურობა და ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენენ სტატიკურად არსებულ ერთეულებს, რომელთა შეცვლა შეუძლებელია. პრიმორდიალისტების აზრით, ეთნიკურობა კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის არსებობდა და თანამედროვე ეთნიკური ჯგუფები უხსოვარი დროიდან იღებენ დასაბამს¹⁴.

პრიმორდიალიზმის საპირისპირო მიმართულებას წარმოადგენს კონსტრუქტივიზმი, რომელიც მიიჩნევს, რომ ეთნიკური ჯგუფები არ არიან დასაბამიდან არსებული ერთეულები, არამედ სინამდვილეში სოციალურად და პოლიტიკურად არიან კონსტრუირებული. კონსტრუქტივისტები ამტკიცებენ, რომ ეთნიკური იდენტობა არ არის მუდმივი და უცვლელი ფენომენი. სინამდვილეში ის არის ცვალებადი და სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებთან ადაპტირების უნარი გააჩნია. ეთნიკური იდენტობის ცვალებადი ხასიათი კარად არის აღწერილი ნიკო ბერძენიშვილის წიგნში: „საქართველოს ისტორიის საკითხები“. მისი აზრით, ეთნიკური განვითარება საზოგადოებრივი განვითარების შესაფერისი მოვლენაა. ის აღწერს ქართული ეთნიკური იდენტობის განვითარებას: თავდაპირველად ტერმინი „ქართველი“ იყო „ქართლის რეგიონის მცხოვრების“ აღმნიშვნელი სახელწოდება. მას შემდეგ, რაც ქართლის სამეფოს საზღვრები გაფართოვდა და მან მოახერხა მეზობელი ქართველური და არაქართველური მოდემის ტომების დამორჩილება, ტერმინი „ქართველის“

მნიშვნელობა შეიცვალა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართლის სამეფოს ექსპანსიის შემდეგ, სიტყვა „ქართველი“ გადაიქცა მთელი ქართველი ერის ეთნიკურ სახელწოდებად, რომელიც მოიცავდა, როგორც ქართული, ასევე არაქართული მოდემის ტომებს. ქართლი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე მისი მეზობელი ქვეყნები და ტომები და მან ითამაშა გადამწყვეტი როლი ახალი ეთნიკური იდენტობის ფორმირებაში. გაერთიანებულ ქართულ სახელმწიფოში ქართველების გარდა შედიოდნენ ასევე არაქართული მოდემის ტომები. ქართიზაციის პროცესის მეშვეობით არაქართული მოდემის ტომები მალე ქართული ეთნოსის განუყოფელი ნაწილი გახდნენ. ამრიგად, ეთნიკურ ჯგუფებს, ისევე როგორც საზოგადოებებს, ცვალებად სოციო-პოლიტიკურ გარემოსთან ადაპტირების უნარი აქვთ. გარდა ამისა, კონსტრუქტივისტები თვლიან, რომ ეთნიკურობა და ეთნიკური იდენტობა არის ადვილად მართვადი და მანიპულირებადი პოლიტიკური ელიტის მიერ. ამდენად, კონსტრუქტივიზმი აღიქვამს ეთნიკურობას და ეთნიკურ იდენტობას, როგორც ადამიანის მიერ შექმნილ პროდუქტს, რომელიც განიცდის ცვლილებებს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობასთან ერთად⁵⁷. ადამიანებმა შეიძლება შეიცვალონ იდენტობა, ერთი ეთნიკური ჯგუფის წევრობას ამჯობინონ სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრობა. ასეთი ფაქტები უფრო ხშირად ხდება სასაზღვრო რეგიონებში, სადაც ინდივიდებს უამრავი ეთნიკური არჩევანი გააჩნიათ და სადაც სავსებით შესაძლებელია, რომ ინდივიდებმა ეთნიკურობა შეიცვალონ და სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრები გახდნენ. ეთნიკურობის კონსტრუქტივისტული ინტერპრეტაცია გვეხმარება უკეთესად გავიგოთ მესხური იდენტობის ცვალებადი ხასიათი. მესხეთი, როგორც სასაზღვრო ზონა ხშირად ხდებოდა მისი უფრო ძლიერი მეზობლების მსხვერპლი და ამიტომაც მისი მოსახლეობის ეთნიკური იდენტობა ხშირად იცვლებოდა. სასაზღვრო რეგიონები და საზღვრები, როგორც ცნობილია

ეთნიკური ცვლილებების პოტენციური ზონებია.

ამიტომაც დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობა სადავო საკითხია. მკვლევარები ვერ შეთანხმებულან ეთნიკური თურქები არიან ისინი თუ ეთნიკური ქართველები. ამ ჯგუფის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინები გამოიყენება. მკვლევარების მიერ გამოყენებული ტერმინოლოგია, იმ ხალხის აღსანიშნავად, რომელიც საქართველოს ისტორიულ პროვინციაში, მესხეთში ცხოვრობდა შუა აზიაში დეპორტაციამდე, ძალზედ ცვალებადი და მერყევია. მათ ხშირად უწოდებენ „თურქ მესხებს“, „ახისკელ თურქებს“, „მაჰმადიან ქართველებს“, „მაჰმადიან მესხებს“, „კავკასიელ თურქებს“ ან უბრალოდ „მესხებს“. ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ტერმინია „თურქი მესხები“. ამ ტერმინის სისწორე საეჭვო საკითხია, რადგან ისტორიკოსებს შორის არსებობს უთანხმოება დეპორტირებული ხალხის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ და საკითხი მათი ზუსტი ეთნიკური იდენტობის შესახებ მწვავე დებატებს იწვევს. ერთის მხრივ ქართული, რუსული და საბჭოთა ისტორიული წყაროები ამტკიცებენ, რომ დეპორტირებული მესხები ეთნიკური ქართველები არიან, რომლებიც გაამაჰმადიანეს და გაათურქეს მაშინ, როდესაც ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, სამცხე-საათაბაგო. მეორეს მხრივ, თურქი და აზერბაიჯანელი მკვლევარები უარყოფენ გაამაჰმადიანებული ქართველების ჰოპოთეზას და ამტკიცებენ, რომ სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული ხალხი ეთნიკური თურქები არიან. მათი აზრით, ისინი არიან იმ თურქი ტომების შთამომავლები, რომლებიც ქართულ მიწებზე გადავიდნენ საცხოვრებლად და მესხეთში დასახლდნენ ოსმალეთის იმპერიის ექსპანსიის დროს⁹⁰. მაგრამ სიმართლე დეპორტირებული ხალხის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ ამ ორი სხვადასხვა შეხედულების სადღაც შუაში მდებარეობს და უფრო სავარაუდოა, რომ ისინი იყვნენ ადგილობრივი ქართველი ხალხის –

მესხებისა და თურქული ტომების ნარევი. სხვა ტომებმაც ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი დეპორტირებული ხალხის განსხვავებული იდენტობის ფორმირებაში, ესენია: ქურთების მომთაბარე ტომები, ჰემშინები (თურქულად მოლაპარაკე გამაჰმადიანებული სომხები), ყარაფაფახები (ასევე ცნობილი, როგორც თარაქამები), ლეკები და ჩრდილოეთ კავკასიელი ტომები. სამი სხვადასხვა ენების ოჯახის წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს ამ ეთნიკური ჯგუფის ბირთვი:

კავკასიური – მესხები (ქართველები), ლეკები და ჩრდილოეთ კავკასიელი ტომები.

ალტაური – თურქული მომთაბარე ტომები, ყარაფაფახები (ასევე ცნობილი, როგორც თარაქამები).

ინდო-ევროპული – სომხები, ჰემშინები (თურქულად მოლაპარაკე გამაჰმადიანებული სომხები)¹⁰⁶.

ამრიგად, დეპორტირებული მოსახლეობა არ არის ჰომოგენური ეთნიკური ჯგუფი და, როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ის სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხისაგან შედგება, მათი ნაწილი გამაჰმადიანებული ქართველებია, ნაწილი – თურქები, ქურთები, ჰემშინები, ლეკები, თარაქამები და ა.შ. ამდენად, დეპორტირებული ხალხი სინამდვილეში არის ჰეტეროგენული ეთნიკური ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ეროვნებისა და ეთნიკური ჯგუფების კონგლომერატს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც იწვევს უთანხმოებას ექსპერტებსა და მკვლევარებს შორის, არის რაოდენობა ეთნიკური ქართველებისა და ეთნიკური თურქების ამ ეთნიკურად შერეულ ჯგუფში. ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ დეპორტირებულ ხალხში ჭარბობენ ეთნიკური ქართველები, ხოლო ზოგი კი ამტკიცებს, რომ ეთნიკური თურქები შეადგენენ დეპორტირებული ხალხის უმრავლესობას. ასევე არიან ექსპერტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეთნიკური თურქებისა და ქართველების შეფარდება თანაბარია³⁹. ყველაზე უფრო დამაჯერებლად ჟღერს არგუმენტი, რომ

დეპორტირებული ხალხის უმრავლესობას ეთნიკური ქართველები შეადგენენ თუ გავითვალისწინებთ ცარიელ რუსეთის მიერ ჩატარებულ მოსახლეობის აღწერებს. ცარიელ რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერები მთავარი მტკიცებულებაა მათი ქართული წარმომავლობის შესახებ. უცხოელი მოგზაურები და მკვლევარები იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, დიბუა დი მონპერე, ვეიდენბაუმი, ევლია ჩელები და სხვები ასევე ადასტურებენ, რომ ამ ხალხის უმრავლესობა ეთნიკური ქართველები იყვნენ.

დეპორტირებული ხალხის კულტურაში მრავლადაა თურქული ელემენტები, ასევე ივრძნობა ძლიერი ქართული ლინგვისტური და კულტურული გავლენა. აჭარლებისაგან განსხვავებით, რომლებიც ასევე გამაჰმადიანდნენ, მაგრამ მოახერხეს მშობლიური ენის შენარჩუნება, მესხების უმრავლესობამ ვერ მოახერხა მშობლიური ენის შენარჩუნება. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაართულა მათი გარჩევა „ნამდვილი თურქებისაგან“. მიუხედავად ამისა, ეთნოგრაფები და ლინგვისტები ხშირად პოულობენ ქართული გავლენის უამრავ ნაკვალევს მათ ჩვევებში და ტრადიციულ სახალხო კულტურაში. დეპორტირებული მესხი მოსახლეობა საუბრის დროს იყენებს სიტყვებს და თანხმოვნებს, რომლებიც თურქულ ენაში არ არსებობს⁶⁷. დეპორტირებული მესხები მაჰმადიანი სუნიტები არიან, მაგრამ მათი უმრავლესობა ძალიან რელიგიური არ არის. ისინი ოღუზურ-თურქულად ლაპარაკობენ, მაგრამ მათი ენა შეიცავს ასევე ქართულ და ლაზურ სიტყვებს. აჭარლებისაგან განსხვავებით, მესხების უნარი, რომ გათურქების პროცესისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ უფრო შეზღუდული იყო, რადგან ქალაქ ახალციხეში, როგორც ახალციხის საფაშოს ადმინისტრაციულ ცენტრში, უფრო დიდი რაოდენობით იყო თურქული არმია, თურქული ადმინისტრაციული და რელიგიური ინსტიტუტები, ვიდრე მთიან აჭარაში. შესაბამისად, გათურქების და გამაჰმადიანე-

ბის პროცესი მესხეთში უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა, ვიდრე კონსერვატიულ და მთიან აჭარაში⁵⁹.

თუმცა, ბევრმა მესხმა შეიცვალა ქართული გვარი, როცა მესხეთი შედიოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მაინც მოახერხა ქართული გვარების შენარჩუნება. მათ თავიანთ გვარებს დაამატეს თურქული დაბოლოება „ოღლი“, როგორც ამას თურქული ადმინისტრაცია ითხოვდა. ამგვარად მათ მოახერხეს ქართული გვარების შენარჩუნება. დაახლოებით მესხების 40%-ს ჰქონდა ქართული გვარები შუა აზიაში გადასახლებამდე. გადასახლებულთა ყველაზე დიდი ნაწილი ორენოვანი იყო (თურქულ-ქართული) და გათურქებული ქართველების შთამომავლები იყვნენ, ხოლო გადასახლებულთა უმცირესობას შეადგენდნენ თურქები, რომლებიც ქართულ მიწებზე დასახლდნენ მესხეთის ანექსიისა და ოსმალეთის იმპერიაში ინკორპორაციის შემდეგ¹⁰³. დეპორტირებული მოსახლეობის უმრავლესობა (ორი-მესამედი) ქართულად ლაპარაკობდა და საკმაოდ კარგად იყო ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში. ისინი თავიანთ თავს „Gurcu oğlu“-ს, „ქართველების შვილებს“ ეძახდნენ ან „Gurcu donme“-ს რაც ქართულად გამაჰმადიანებულ ქართველს ნიშნავს ან „Yerly“-ს, „ადგილობრივს“, რათა ხაზი გაესვათ იმ ფაქტისათვის, რომ აბორიგენ მოსახლეობას მიეკუთვნებოდნენ. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა დეპორტაციის შემდეგ და დღეისათვის მხოლოდ მათი მცირე ნაწილი ლაპარაკობს ქართულად და მხოლოდ 5%-ს აქვს ქართული გვარები. ცენტრალურ აზიაში სამოცწლიანი ცხოვრების შემდეგ ქართული ენა დავიწყებას მიეცა და მისი ადგილი თურქულმა ენამ დაიკავა. დეპორტირებულთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომლებმაც თურქული ენა სრულყოფილად მხოლოდ გადასახლების შემდეგ ისწავლეს. მაჰმადიანი მესხების დასახლებების მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახლებამდე მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობდა. მაგალითად, მაჰმადიანი მესხები შემდეგი სოფლებიდან: ტა-

ტანისი, სვირი, გურკელი, გიორგიწმინდა, მულარეთი, საყუნეთი, შურდო, ზიკლია, წოთხევი, ნესა, ჩოხთა, ვალი, ბოგი, უდე, ინდუსა, ტობა, ახაშენი, ჭობარეთი, თოკა, ქილდო და სხვა, გადასახლებამდე მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ³⁷. სიტუაცია შეიცვალა შუა აზიის თურქულენოვან გარემოში ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ¹³⁵. დეპორტაციის შემდეგ ბევრი მათგანი აიძულეს ქართული გვარი რუსული მაჰმადიანური გვარებით შეეცვალათ, რომლებსაც „-OV“ დაბოლოება ჰქონდათ. შუა აზიაში თურქულენოვან მოსახლეობასთან ხანგრძლივმა ურთიერთობამ, ასევე საქართველოსთან ურთიერთობის ნაკლებობამ, მნიშვნელოვნად დააკნინა მათი ქართული იდენტობა და გაზარდა მათში პროთურქული ორიენტაცია. ბევრ მათგანს ჩამოუყალიბდა ძლიერი თურქული იდენტობა. დეპორტირებული მოსახლეობის დიდი ნაწილი საქართველოს თავის სამშობლოდ აღარ თვლის და ამტკიცებს, რომ მათი სამშობლო თურქეთია¹¹⁵. შუა აზიის პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და რელიგიური გარემო რადიკალურად განსხვავდება ქართული სოციალური და კულტურული გარემოსაგან და ამიტომაც შუა აზიაში მესხების დეპორტაციამ დააჩქარა დეპორტირებული ხალხის გათურქების პროცესი. ამრიგად, სოციალური და კულტურული გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეთნიკურობის და ეთნიკური იდენტობის ფორმირებაში. სოციალური და პოლიტიკური გარემოს ხშირმა შეცვლამ შეიძლება ეთნიკურობის დამახასიათებელი ყველა ნიშანი შეცვალოს.

ქართული იდენტობის დაკარგვა და მესხების გათურქება შეიძლება აიხსნას ეთნიკურობის კონსტრუქტივისტული ინტერპრეტაციის საფუძველზე: როგორც ზემოთ იყო ნახსენები ეთნიკურობა და ეთნიკური იდენტობა არ არის მუდმივი და სტატიკური ფენომენი, არამედ სოციალურად არის კონსტრუირებული, რომელიც სოციალურ-კულტურული გარემოს ცვალებადობასთან ერთად თვითონაც განიცდის ცვლილებებს. ბენედიქტ ანდერსონის აზრით, ერები არსე-

ბობენ, როგორც წარმოსახვითი საზოგადოებები, რომლებიც ჩვენთვის არის კონსტრუირებული განათლების, მასმედიის და პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესის საშუალებით. ის თვლის, რომ ერი არის სოციალურად კონსტრუირებული საზოგადოება და „წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება“. ბენედიქტ ანდერსონი ამტკიცებს, რომ „ბეჭდვითმა კაპიტალიზმმა“ შესაძლებელი გახადა ეროვნული ცნობიერების განვითარება და „წარმოსახვითი საზოგადოების“ წარმოშობა¹⁴. წიგნებმა, ჟურნალებმა, ეროვნულმა გაზეთებმა, რადიომ და სატელევიზიო არხებმა გაავრცელეს საერთო ეროვნული სიმბოლოები, ნორმები, ღირებულებები და ხელი შეუწყვეს ეროვნული ცნობიერების განვითარებას. „ბეჭდვითი კაპიტალიზმის“ წარმოშობა ნიშნავდა იმას, რომ ადამიანებს, რომლებიც ვერასოდეს ვერ შეხვდებოდნენ ერთმანეთს ცხოვრებაში, შეეძლოთ ჰქონოდათ საერთო ისტორია, ტრადიცია, კულტურა და შეეძლოთ თავიანთი თავი გაეგივებინათ საერთო „წარმოსახვითი საზოგადოების“ წარმომადგენლებად. ბეჭდვითი კაპიტალიზმის განვითარების წყალობით „წარმოსახვითი საზოგადოების“ წევრებს გააჩნიათ წარმოდგენა, „მენტალური იმიჯი“ საერთო წარმომავლობის შესახებ. ერიკ ჰობსბაუმი ამტკიცებდა, რომ ერი არის „გამოგონილი ტრადიცია“. მისი აზრით, ეროვნული ცნობიერება ახლად გამოგონილი ფენომენია. მეცხრამეტე საუკუნემდე ეთნიკური იდენტობის ცნება არ არსებობდა, ხალხის უმრავლესობა გაუნათლებელი და სრულიად უწიგნური იყო. მათ არ შეეძლოთ მშობლიურ ენაზე წერა, ლაპარაკობდნენ კუთხურ ენაზე, დიალექტზე, რომელსაც ძალიან ცოტა რამ ჰქონდა საერთო განათლებული ელიტის ენასთან. იერარქიული დაყოფა უფრო მნიშვნელოვანი იყო მათთვის, ვიდრე ეთნიკური კუთვნილება და გლეხები თვლიდნენ, რომ არაფერი საერთო არ გააჩნდათ მემამულეებთან, მიწისმფლობელებთან. გარდა ამისა, მათ გააჩნდათ რეგიონული იდენტიფიკაცია და არ ჰქონდათ საერთო ეთნიკური იდენტობის განცდა: უკ-

რანელი გლეხები თავს აღიქვამდნენ არა როგორც უკრაინელები, არამედ როგორც გალიციელები, ბუკოვინელები, ლემკოელები და ა.შ. ანალოგიურად ქართველებიც აიგივებდნენ თავს იმ პროვინციასთან, საიდანაც ისინი წარმოშობით იყვნენ. ხალხმა მას შემდეგ გაიგო საკუთარი ეთნიკური კუთვნილების შესახებ, როცა მათთვის ხელმისაწვდომი გახდა განათლება და მასმედია. ჰობსბაუმის აზრით, ეთნიკური ცნობიერება განვითარებას იწყებს, „როდესაც პირველად სახელმძღვანელოები და გაზეთები გამოიცემა ეროვნულ ენაზე, ან როდესაც ხდება ენის პირველად გამოყენება ოფიციალური მიზნებისათვის“¹²². ეთნიკური ცნობიერების განვითარება არ მომხდარა XIX საუკუნემდე, რომლის ფორმირებაც, სავარაუდოდ, მოხდა საერთო სიმბოლოების (ეროვნული დროშები, ეროვნული ჰიმნები, და ა.შ.), ნორმების და ღირებულებების და ერთიანი საგანმანათლებლო სისტემისა და მასმედიის განვითარებით.

წარმოსახვითი საზოგადოების შექმნას შესაძლებელს ხდის ბეჭვდითი პრესის გამოგონება კაპიტალიზმის ეპოქაში და ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის განვითარება. ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის შექმნამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ერის კონსოლიდირებაში და ხალხის გაერთიანებაში, რომელიც სხვადასხვა ეთნიკური და სუბეთნიკური ჯგუფებისაგან შედგებოდა. გარდა ამისა, ინდუსტრიალიზაციის პროცესმა ერთმანეთს დააკავშირა სხვადასხვა სუბეთნიკური ჯგუფები და ხელი შეუწყო ეროვნული ცნობიერების წარმოშობას.

ზემოთ ნახსენები ავტორები ხაზს უსვამენ მასმედიისა და საგანმანათლებლო ინსტიტუტების მნიშვნელობას საერთო პოლიტიკური საზოგადოებისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში. საერთო საგანმანათლებლო სისტემისა და მასმედიის განვითარებამდე, ისეთი ლოკალური იდენტობები, როგორიცაა ნათესაობა, სოფელი, კლასი და რელიგია, იყო იდენტობების ყველაზე უფრო გავრცელებუ-

ლი ფორმა. ეროვნულმა ცნობიერებამ მხოლოდ დაწყებითი განათლების გავრცელების შემდეგ დაიწყო ფორმირება. შუა აზიაში დეპორტაციამდე სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის უმრავლესობას ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა თავისი ეროვნული ცნობიერების შესახებ. თუმცა, მათი დიდი უმრავლესობა, როგორც ზემოთ იყო ნახსენები „Gurcu oglu“-ს ან „Gurcu donme“-ს უწოდებდა საკუთარ თავს და მათი ორი-მესამედი ქართულად ლაპარაკობდა, საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა საქართველოს მხრიდან არ ყოფილა მიზანმიმართული ძალისხმევა გაემლიერებინათ მათი ეროვნული იდენტობა. პირიქით, საბჭოთა საგანმანათლებლო პოლიტიკამ (აზერბაიჯანული სკოლების დაარსებით) ეს ხალხი დენაციონალიზებულ მასად აქცია. გათურქების პროცესი დაჩქარდა გადასახლების და შუა აზიაში ცხოვრების პერიოდში. ამრიგად, შუა აზიაში გადასახლებამ და საბჭოთა საგანმანათლებლო პოლიტიკამ გამოიწვია განსხვავებული ეთნიკური იდენტობის (თურქული იდენტობის) წარმოშობა. რუსულმა და საბჭოთა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ხელი შეუწყო მუსლიმანური და თურქული იდენტობის გაძლიერებას და ხელი შეუშალა მაჰმადიანი მესხების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას. ამრიგად, რუსული და საბჭოთა ოკუპაცია ქართული ეროვნული ცნობიერების განვითარების სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორი გამოდგა. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეთნიკურობა და ეთნიკური იდენტობა ადამიანის მიერ შექმნილი პროდუქტია. სინამდვილეში ის არის სოციალურად და პოლიტიკურად კონსტრუირებული ტერმინი და არ წარმოადგენს დასაბამიდან არსებულ და უცვლელ ფენომენს. ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის შექმნით, რომლის საშუალებითაც მოხდა საერთო ღირებულებების გავრცელება, სახელმწიფოებმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი ეროვნული კულტურისა და ეროვნული ცნობიერების ფორმირებაში. როდესაც ლაპარაკია ეთნიკური იდენტობის ცნებაზე, მისი

მუდმივად ცვალებადი მნიშვნელობა უნდა იქნას მხედველობაში მიღებული.

საერთო იდენტობის ცნების შენარჩუნებისათვის პირის-პირ ურთიერთობები აუცილებელია. იდენტობის კონსტრუირება ხდება იმ ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში, რომლებიც იზიარებენ საერთო კულტურას, ტრადიციებს და ადათ-წესებს. ასეთი ურთიერთქმედებების და ისტორიულ სამშობლოსთან ურთიერთობის ნაკლებობამ შეიძლება ეროვნული იდენტობის სრული დაკარგვა გამოიწვიოს. ერი ყალიბდება ხანგრძლივი და სისტემატური ურთიერთობების საფუძველზე, ხალხის საუკუნეების განმავლობაში ერთად თანაცხოვრების შედეგად. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დეპორტირებული მესხი მოსახლეობა დიდი ხნის განმავლობაში განზრახ იყო იზოლაციაში მოქცეული და მოკლებული იყო ურთიერთობას ქართველ ერთან (ხშირი დეპორტაციები) და არც ქართულ საგანმანათლებლო სისტემაზე მიუწვდებოდა ხელი, ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, თუ როგორ მოხდა ხალხის დენაციონალიზაცია და რატომაც განიცდიან ისინი ეროვნული იდენტობის კრიზისს. ვინაიდან დეპორტირებულ ხალხს არ გააჩნდა კონტაქტები საქართველოსთან და ისინი ფართოდ იყვნენ გაფანტულები სხვადასხვა ქვეყნებში, ისინი თავიანთ თავს არ აღიქვამენ საერთო ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებად. არ არსებობს მათ შორის თანხმობა საერთო იდენტობის შესახებ. დეპორტირებულთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ეთნიკური თურქია, მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ეთნიკური ქართველია, დეპორტირებული მესხების მნიშვნელოვან რაოდენობას კი არ გააჩნია მკაფიოდ გამოხატული ეთნიკური იდენტობა და მათი ეთნიკური იდენტობა ხშირად იცვლება სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობასთან ერთად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ხალხი, რომელთა განზრახ დენაციონალიზაცია მოხდა და იდენტობის სერიოზულ კრიზისს განიცდის. საბჭოთა კავშირის დაშლამდე

დეპორტირებული ხალხი თავიანთ თავს აიგივებდა საბჭოთა კავშირთან და თვლიდა, რომ ისინი „საბჭოთა მოქალაქეები“ იყვნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეროვნული იდენტობის კრიზისი კიდევ უფრო მკაფიო გახდა. ეროვნული იდენტობის კრიზისი არის ასევე ეთნიკური იდენტობის, რელიგიური და ლინგვისტური იდენტობისაგან განსხვავების უუნარობის შედეგი. დეპორტირებული მესხი მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის ეთნიკური იდენტობა მჭიდროდ იყო და კვლავ არის დაკავშირებული რელიგიურ იდენტობასთან და ლინგვისტურ იდენტობასთან. დეპორტირებულთა დიდი უმრავლესობა თავიანთ თავს ეთნიკურ თურქად აღიქვამს, რადგან ისინი მაჰმადიანები არიან. ისინი თავს ეთნიკურ ქართველებად არ აღიქვამენ, რადგან ქართველობა ხშირად არის გაიგივებული ქრისტიანულ რელიგიასთან. ამ შემთხვევაში რელიგია არის ეთნიკური იდენტობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. ეთნიკური იდენტობის ასეთ აღქმას ისტორიული ფესვები გააჩნია და შუა საუკუნეებიდან იღებს დასაბამს. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეებში, როდესაც ისლამმა დაიწყო გავრცელება მესხეთში, რელიგიური კუთვნილების სოციალური მნიშვნელობა უფრო დიდი იყო, ვიდრე ეთნიკური კუთვნილებისა. საუკუნეების განმავლობაში მესხები თავიანთ თავს აღიქვამდნენ იმ რელიგიის მიხედვით, რომელთა მიმდევრებიც ისინი იყვნენ. ისლამის მიღება მესხებისათვის გათურქების ტოლფასი იყო. ადამიანი აღიქმებოდა ეთნიკურ ქართველად, სანამ ის ინარჩუნებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას და მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგული რჩებოდა. მაგრამ თუ ის გამაჰმადიანდებოდა და ისლამს მიიღებდა, მაშინ ის მოიხსენიებოდა, როგორც „თათარი“ ან როგორც „თურქი“. ბევრი ქართულად მოლაპარაკე მუსლიმი მოიხსენიებოდა „თურქად“ მესხეთში მათი მაჰმადიანური იდენტობის გამო. (მაჰმადიანი = თურქი, ქრისტიანი = ქართველი). ამრიგად, ისლამის მიღება ეთნიკური იდენტობის ცვლილების ტოლფასი იყო.

თვითიდენტიფიკაცია ისევ მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიასთან. ხშირად ვლინდება, რომ ეთნიკური იდენტობა მჭიდრო კავშირშია და ემთხვევა რელიგიურ იდენტობას ან ლინგვისტურ იდენტობას. ზოგიერთ დეპორტირებულ მესხს ლოკალური იდენტობა განუვითარდა: მათ ურჩევნიათ თვითიდენტიფიციკრება მოახდინონ იმ სოფელთან ან დასახლება-სთან, სადაც დეპორტაციამდე ცხოვრობდნენ. როდესაც ეკითხებიან მათი ეთნიკური იდენტობის შესახებ, ხალხი ასახელებს მათი სოფლის სახელს საქართველოში¹³⁵.

ეროვნული იდენტობის კრიზისი აისახება ასევე იმ მრავალრიცხოვან ტერმინებში, რომლებსაც იყენებენ მეცნიერები დეპორტირებული ხალხის აღსანიშნავად. ეროვნული იდენტობის კრიზისი აშკარა ხდება, როდესაც სახელმწიფო კარგავს ეროვნული იდენტობის დეფინიციის მონოპოლიას და საზოგადოება ვერ თანხმდება ეროვნული იდენტობის სათანადო განსაზღვრების შესახებ, რის გამოც ხალხს სხვადასხვა ინტერპრეტაცია და უამრავი დეფინიცია გააჩნია ეროვნული იდენტობის შესახებ. ეროვნული იდენტობა სახელმწიფოს მიერ არის თავსმოხვეული ხალხზე და, როდესაც სახელმწიფო კარგავს ამ უნარს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილების გამო, ხდება იდენტობის კრიზისის წარმოშობა. რამოდენიმე ათწლეულის შემდეგ ეს კრიზისი შეიძლება კიდევ უფრო გაღრმავდეს. დეპორტირებულ მესხებს მათი იდენტობის სრული დაკარგვის სერიოზული საფრთხე ემუქრებათ, რაც გამოწვეულია სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულობით და განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში ცხოვრებით. მათი ქართული იდენტობა კიდევ უფრო დაკნინდება, თურქულ იდენტობასაც გადაგვარება ემუქრება იმ ქვეყნებში, სადაც მესხები კომპაქტურად არ ცხოვრობენ და თურქულენოვანი მოსახლეობა არ არის. ეთნიკურ იდენტობაზე დიდი გავლენა მოახდინა იმ სახელმწიფოების პოლიტიკამ, რომლებიც მესხებს მართავდნენ დიდი ხნის განმავლობაში. რუსული და თურქული იმპერიები

ახორციელებდნენ მესხების გათურქების პოლიტიკას. ორივე იმპერიას ასეთი პოლიტიკის გატარების სხვადასხვა მიზეზები ჰქონდა. ამ პოლიტიკამ მესხებში თურქული იდენტობის გაძლიერებას შეუწყო ხელი. საბჭოთა ეროვნულმა პოლიტიკამაც დიდი გავლენა მოახდინა მაჰმადიანი მესხების თვითაღქმაზე. საბჭოთა ეროვნულმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო მესხების დენაციონალიზაციას და ამ პოლიტიკის შედეგად არ არსებობს სახელმწიფო, რომელიც მესხებს თავისი ერის ნაწილად აღიქვამს. ხშირი გადასახლებები და დეპორტაციები სერიოზული დაბრკოლება იყო საერთო იდენტობის ფორმირებისათვის, რამაც ხელი შეუშალა ამ ხალხის ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. ამ პოლიტიკის შედეგად დეპორტირებული ხალხი თავიანთ თავს ერთიან ეთნიკურ ჯგუფად არ აღიქვამს და მათი თვითაღქმა ცვალებადი და მერყევიანია. დეპორტირებული ხალხი არ არის ჰომოგონური ეთნიკური ჯგუფი და ეს ფაქტორი არის სერიოზული დაბრკოლება საერთო იდენტობის ფორმირებისათვის.

ზემოთ დასახელებული დაბრკოლებების და საერთო ეთნიკური წარმომავლობის არარსებობის მიუხედავად, საერთო ისტორიული ბედი და დეპორტაციით გამოწვეული უბედურების განცდა აერთიანებს დეპორტირებულ ხალხს. ხშირი დეპორტაციები და დეპორტაციებით გამოწვეული უბედურების განცდა არის მნიშვნელოვანი გამაერთიანებელი ფაქტორი. ბევრი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, რამაც დეპორტირებული ხალხის იდენტობის ფორმირებას შეუწყო ხელი, იყო თვით დეპორტაცია, რომელსაც ძლიერი ტრანსფორმაციული ეფექტი ჰქონდა დეპორტირებული ხალხის ეთნიკურობაზე. მრავალეთნიკური ხალხის კონსოლიდაციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა და „დაზარალებული ხალხის“ ცნების განვითარებას ხელი შეუწყო დისკრიმინაციის განცდამ და საერთო ნეგატიურმა მოგონებებმა, როგორც არის, მაგალითად, საქართველოდან გადასახლება, ფერდანას ტრაგედია,

მათი უფლებების ხშირი დარღვევები და კრასნოდარის მხარეში განცდილი დამცირებები¹³⁵. საერთო რელიგიამ ასევე ითამაშა გამაერთიანებლის როლი და ის გახდა ძირითადი ფაქტორი კოლექტიური იდენტობის კონსტრუირების დროს. რელიგია არის სინამდვილეში მთავარი შემაკავშირებელი ძალა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხს. ისლამის მიღებამ საფუძველი ჩაუყარა განსხვავებულ ისლამურ იდენტობას, რაც გახდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების გამაერთიანებელი ძალა. მან საფუძველი ჩაუყარა საერთო კულტურულ ნორმებსა და ღირებულებებს დებორტირებული ხალხისათვის. ამრიგად, რელიგიამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი განსხვავებული იდენტობის ფორმირებაში. მიუხედავად საერთო ისლამური იდენტობის არსებობისა, წარსულში ბევრი მაჰმადიანი მესხი მოიხსენიებდა საკუთარ თავს როგორც „Gurcu donme“, ან, როგორც „Yerly Musliman“ (ქართულად ადგილობრივ მუსლიმს ნიშნავს), რათა ხაზი გაესვა მისი ადგილობრივი წარმომავლობისათვის და განსხვავებისათვის, რაც მათსა და დანარჩენ მაჰმადიანებს, ჩამოსახლებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებობდა.

მიუხედავად იმისა, რომ თურქები პატივს სცემენ სამხრეთ საქართველოდან დებორტირებულ ხალხს, ისინი მათ არ აღიქვამენ თანამედროვე თურქი ერის ნაწილად. დებორტირებული ხალხიც გრძნობს, რომ მათი კულტურა შორსაა ოცდამეერთე საუკუნის თურქეთის კულტურისაგან. 1829 წლიდან მოყოლებული მათ თურქეთის საზღვრებს მიღმა მოუწიათ ცხოვრება. მათი კულტურა განსხვავებულია, რომელსაც ქართული კულტურის და ასევე იმ ქვეყნების ძლიერი გავლენა ეტყობა, სადაც მათ უწევთ ცხოვრება. თურქეთის მოქალაქეებისაგან განსხვავებით, დებორტირებული მესხები აუთსაიდერები იყვნენ თურქული ერი-სახელმწიფოს ფორმირების დროს. ყველა გათურქებული ეთნიკური ჯგუფი, რომელიც ადრე ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიებზე

ცხოვრობდა, მაგრამ შემდეგ თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებს მიღმა აღმოჩნდა, შეიძლება თავს ეთნიკურ თურქად ასაღებდეს, მაგრამ ისინი თურქების მიერ არ აღიქმებიან, როგორც „ნამდვილი“ თურქები და თურქი ერის წევრები. თურქები თვლიან, რომ ისინი არიან თურქული სამყაროს ნაწილი და მონათესავე ერებს მიეკუთვნებიან, მაგრამ მათ არ აღიქვამენ როგორც „ნამდვილ“ თურქებს⁷¹.

დეპორტირებული ხალხის რაოდენობა შეადგენს 300-350 ათას კაცს, რომელიც ფართოდ არის გაფანტული საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნებში: უზბეკეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, საქართველოში და თურქეთში.

დეპორტირებულ ხალხს არასოდეს არ უთქვამს უარი საქართველოში დაბრუნებაზე, მათ ყოველთვის საქართველოში დაბრუნების დიდ სურვილი ჰქონდათ. მაგრამ მესხებს შორის უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა, კონფლიქტები ეთნიკური წარმომავლობის შესახებ სერიოზულად აკნინებს მათ მოძრაობას და რეპატრიაციის შესაძლებლობას. ამასთანავე დეპორტირებული ხალხის თვითიდენტიფიკაციის პრობლემები და ეთნიკური კუთვნილების გაურკვეველობა ყოველთვის აძლიერებდა და აძლიერებს საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებას რეპატრიაციის პროცესის მიმართ. დეპორტირებული ხალხის მიმართ მტრულმა განწყობამ სერიოზულად დააბრკოლა მათი სამცხე-ჯავახეთში დაბრუნება. საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებას რეპატრიაციის მიმართ ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია. რადგან დაბრუნების მსურველთა დიდი რაოდენობა სამცხე-ჯავახეთში დაბრუნებას მოითხოვს, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამცხე-ჯავახეთის რეგიონისა და ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლას რეპატრიაციის მიმართ.

4.3. სამცხე-ჯავახეთის ეთნო-კონფესიური შემადგენლობა

სამცხე-ჯავახეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რეგიონია, ვინაიდან ეს არის ადგილი, საიდანაც მაჰმადიანი მესხების უმრავლესობა გადაასახლეს. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამცხე-ჯავახეთის ეთნოკონფესიური შემადგენლობის შესწავლას და იმის გაგებას, თუ როგორ ხდება სხვადასხვა ეთნო-კონფესიური ჯგუფების თანაცხოვრება ამ რეგიონში, ვინაიდან ეს ის რეგიონია, სადაც დეპორტირებული ხალხის უმრავლესობას სურს დაბრუნება. ამიტომაც საჭიროა სამცხე-ჯავახეთში არსებული სიტუაციის შესწავლა და ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა რეპატრიაციის პროცესის მიმართ, ვინაიდან საერთაშორისო საზოგადოება, ასევე დეპორტირებული მოსახლეობის უმრავლესობა მოითხოვს ამ რეგიონში დაბრუნებას. ამიტომაც რეპატრიაციის საკითხი მოითხოვს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის და სხვადასხვა ეთნო-კონფესიურ ჯგუფებს შორის არსებული უთიერთობების კომპლექსურ ანალიზს.

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს სამხრეთ პროვინციაა, რომლის ფართობი შეადგენს 6.413 კმ²-ს. ის საქართველოს მთელი ტერიტორიის 11%-ს შეადგენს და 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით მისი მოსახლეობა 208.000 კაცია, რაც ქვეყნის მოსახლეობის 4,7%-ია. სამცხე-ჯავახეთი ექვსი ადმინისტრაციული ერთეულისაგან შედგება, ესენია: ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ბორჯომი, ახალქალაქი და ნინოწმინდა. მას ჩრდილოეთით ესაზღვრება გურია და იმერეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით – ქართლი, სამხრეთით – სომხეთი და თურქეთი, დასავლეთით – აჭარა. ის, რაც განასხვავებს სამცხე-ჯავახეთს დანარჩენი საქართველოს პროვინციებისაგან, არის მისი გეოგრაფიული პირობები. მკაცრი კლიმატის გამო, მას ხშირად „საქართველოს ციმბირს“ უწოდებენ. სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ეთნიკურად ჰეტეროგენული რეგიონია.

სამცხე-ჯავახეთი დიდად არ განსხვავდება დანარჩენი საქართველოსაგან, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ის ძალიან ჰგავს საქართველოს სხვა რეგიონებს. მიუხედავად ამისა, არსებობს ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორები, როგორც არის მისი მოსახლეობის ეთნო-კონფესიური შემადგენლობა და საქართველოს სხვა რეგიონებისაგან გეოგრაფიული იზოლაცია. ის, რაც განასხვავებს მას საქართველოს დანარჩენი შემადგენელი ნაწილებისაგან არის მისი რთული ისტორია, საუკუნეობრივი იზოლაცია და პოლიეთნიკურობა. ამ მხარის ეთნო-კონფესიურმა შემადგენლობამ რადიკალური ცვლილებები განიცადა რუსული და თურქული ბატონობის გამო, რამაც უეჭველად გავლენა იქონია მის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. ევროპის ქვეყნებმაც სცადეს ამ რეგიონში მათი გავლენის გაზრდა რელიგიური ექსპანსიონიზმისა და კათოლიკური რელიგიის გავრცელების ხარჯზე. გარდა ამისა, სამცხე-ჯავახეთი მდებარეობდა ევროპასა და აზიას შორის გამავალ მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე, რაც ხელს უწყობდა სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მიგრაციას ამ რეგიონში. ამ მხარის ეთნიკური სტრუქტურისთვის დამახასიათებელია ძალიან მკაფიოდ გამოკვეთილი ეთნიკური საზღვრები და ეთნიკური ჯგუფების იზოლაცია. შერეული დასახლებები იშვიათი მოვლენაა ამ მხარეში და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები თვითიზოლაციაში არიან მოქცეულნი. ერთადერთი ჭეშმარიტად შერეული რაიონი სამცხე-ჯავახეთის პროვინციაში არის მისი დედაქალაქი ახალციხე¹³⁵. ახალციხეში მცხოვრები სომხები, ჯავახი სომხებისაგან განსხვავებით, უკეთ არიან ინტეგრირებულები ქართულ საზოგადოებაში. მათ უფრო ხშირი კონტაქტები აქვთ ქართულ მოსახლეობასთან და ამიტომაც ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია უფრო გაადვილებულია. სიტუაცია სრულიად განსხვავებულია ამ მხარის სხვა შემადგენელ ნაწილებში. შერეული დასახლებების ნაკლებობის გამო ინტეგრაციის პროცესი ნელი

და გართულებულია, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთის იმ ადგილებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად ცხოვრობენ. განსაკუთრებული სასაზღვრო ზონის სტატუსმა ასევე დიდად შეუწყო ხელი სხვადასხვა ეთნო-კონფესიური ჯგუფების იზოლაციას, არ მისცა მათ საშუალება დაემყარებინათ მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირები საქართველოს სხვა რეგიონებთან და ხელი შეუშალა მათ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას. საბჭოთა კავშირის პერიოდში ამ რეგიონმა, განსაკუთრებით კი ჯავახეთის სომხებით დასახლებულმა რაიონებმა, განიცადა ინფორმაციული, პოლიტიკური, კომუნიკაციური და ეკონომიური იზოლაცია საქართველოს დანარჩენი რეგიონებისაგან. ასეთი ნეგატიური ისტორიული მოვლენების გამო ეთნიკური უმცირესობები თვითიზოლირებულები რჩებიან და განიცდიან ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისაგან სრულ გაუცხოებას. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია არის ყველაზე დიდი პრობლემა ამ რეგიონისათვის.

სამცხე-ჯავახეთი არის სასაზღვრო ზონა, რის გამოც ის არის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პოლიეთნიკური და მრავალკონფესიური რეგიონი. ამ მხარის ზოგიერთი აქტუალური პრობლემა მისი პოლიეთნიკურობითა და მრავალფეროვნებით არის გამოწვეული. როგორც ზემოთ იყო ნახსენები, სასაზღვრო რეგიონი არის ეთნიკური ცვლილებების პოტენციური ზონა, ვინაიდან ადამიანებს, რომლებიც ამ სასაზღვრო ზონაში ცხოვრობენ დიდი ეთნიკური არჩევანი გააჩნიათ და მათი ეთნიკური იდენტობა ხშირად ცვლილებებს განიცდის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ხშირი ცვალებადობის გამო. ამრიგად, ამ რეგიონის დივერსიფიცირებული ეთნო-კონფესიური სტრუქტურა არის მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და გეოგრაფიული ფაქტორების შედეგი. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ეს რეგიონი, როგორც სასაზღვრო ზონა ხშირად ექცეოდა მეზობელი სახელმწიფოების გავლენის სფეროში, რაც მის ეთნოკონ-

ფესიურ სტრუქტურაში ხშირად რადიკალურ ცვლილებებს იწვევდა. დემოგრაფიული პროცესები ხშირად მეზობელი სახელმწიფოების კონტროლის ქვეშ ექცეოდა, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ამ მხარის ეთნო-კონფესიურ შემადგენლობაზე. ამ პროცესების გამო სამცხე-ჯავახეთი დიდი ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, ამ რეგიონის ეთნო-კონფესიური შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

ტაბულა 4.1. სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური შემადგენლობა 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით

| | ადიგენი | ასპინძა | ახალქ. | ახალც. | ბორჯ. | ნინოწმ. | სულ |
|-------------|---------|---------|--------|--------|--------|---------|---------|
| მოსახლეობა | 20.750 | 13.010 | 60.975 | 46.134 | 32.422 | 34.305 | 207.598 |
| ქართველები | 19.860 | 10.671 | 3.214 | 28.473 | 27.301 | 476 | 89.995 |
| სომხები | 698 | 2.273 | 57.516 | 16.879 | 3.124 | 32.857 | 113.347 |
| რუსები | 101 | 34 | 157 | 410 | 585 | 943 | 2.230 |
| ოსები | 28 | 9 | 10 | 52 | 719 | 4 | 822 |
| აფხაზები | 13 | 4 | 3 | 12 | 10 | – | 42 |
| აზერბაიჯან. | 17 | – | 3 | 13 | 24 | 2 | 59 |
| უკრაინელები | 20 | 5 | 14 | 42 | 75 | 6 | 162 |
| ბერძნები | 7 | 8 | 51 | 129 | 540 | 5 | 740 |

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი, 2002.

ამ აღწერის მიხედვით, სომხები მთელი მოსახლეობის 54,6%-ს და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. ამრიგად, მოსახლეობის ნახევარზე მეტი სომეხია, ისინი ჭარბობენ ქართველებს, რომლებიც ისტორიულად ამ რეგიონის დომინანტურ ეთნიკურ ჯგუფად ითვლებოდა. ქართველები მეორე ადგილს იკავებენ სომხების მერე და მთელი მოსახლეობის 43,4% პროცენტს შეადგენენ. აშკარად შეიმჩნევა რუსი მოსახლეობის შემცირება, რომელიც


სამცხე-ჯავახეთის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 1,1%-ია. რუსული მოსახლეობის შემცირება შეიძლება აიხსნას ჯავახეთში რუსული სამხედრო ბაზის გაუქმებით და საბჭოთა კავშირის დაშლით. სხვა ეროვნებათა რიცხვი (აზერბაიჯანელები, უკრაინელები, ბერძნები, იეზიდები, ოსები, აფხაზები) უმნიშვნელოა და ისინი მხოლოდ მთელი მოსახლეობის 0,9%-ს შეადგენენ. ამრიგად ორ ეთნიკურ ჯგუფს, სომხებს და ქართველებს უკავია დომინანტური პოზიცია სამცხე-ჯავახეთში, ხოლო დანარჩენი ეთნიკური ჯგუფები მოსახლეობის მხოლოდ 2%-ია.

სამცხე-ჯავახეთი გამოირჩევა ასევე რელიგიური მრავალფეროვნებით. საუკუნეების განმავლობაში ეს მხარე იყო უამრავი რელიგიებისა და კონფესიების სამშობლო და სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები დიდი ხნის განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ ამ რეგიონში. თურქულმა ბატონობამ რადიკალურად შეცვალა მისი კონფესიური სტრუქტურა და ხელი შეუწყო ისლამის გავრცელებას. მან ასევე ხელსაყრელი ნიადაგი მოამზადა კათოლიკური რელიგიის გასავრცელებლად მესხეთში. რუსულმა ბატონობამაც ასევე დიდი დადი დაასვა მის ეთნო-კონფესიურ შემადგენლობას. სხვადასხვა სექტის წარმომადგენლებს ასახლებდნენ რუსეთის მეფის ბრძანებით ამ მხარეში. რის გამოც სამცხე-ჯავახეთი არის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოლიეთნიკური და მრავალკონფესიური რეგიონი საქართველოში.

ამ მხარის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ქართველი მართლმადიდებლები, ქართველი კათოლიკები, მაჰმადიანი ქართველები (აჭარლები), სომეხი გრიგორიანელები, სომეხი კათოლიკები, სომეხი მართლმადიდებლები, ებრაელები, რუსი დუხობორები. სამცხე-ჯავახეთის რელიგიური შემადგენლობა ნაჩვენებია (4.1) დიაგრამაში.

სომეხი გრიგორიანელები უმრავლესობაში არიან და მოსახლეობის 42%-ს შეადგენენ. მეორე ადგილზე არიან მართლმადიდებლები 41%-ით. კათოლიკეები მესამე ადგილს

დიაგრამა 4.1. სამცხე-ჯავახეთის რელიგიური შემადგენლობა



წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი, 2002.
(Department of Statistics, 2002)

იკავებენ 13%-ით. როგორც ზემოთ იყო ნახსენები, სომხი მოსახლეობა სამცხე-ჯავახეთში დასახლდა 1829-30 წლებში. ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში, ასევე მესხეთის სხვა მხარეებშიც. სომხური მოსახლეობა სამ რელიგიურ ჯგუფად იყოფა: კათოლიკეები, გრიგორიანელები და მართლმადიდებელი სომხები. ქართული მოსახლეობაც სამ რელიგიურ ჯგუფად იყოფა: მართლმადიდებელი ქრისტიანები, კათოლიკეები და მაჰმადიანები. კათოლიკური რელიგიის გავრცელება მესხეთში XVI საუკუნეში დაიწყო. კათოლიკურმა ეკლესიამ დიდად შეუწყო ხელი ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებას მესხეთში. ბევრმა მესხმა მოახერხა ქრისტიანად დარჩენა კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცევის ხარჯზე. კათოლიკების რაოდენობა არის 27871. მაჰმადიანი მოსახლეობის რაოდენობა ძალზედ შეზღუდულია და შეადგენს დაახლოებით მოსახლეობის მხოლოდ 3%-ს. რადიკალური ცვლილება რეგიონის რელიგიურ შემადგენლობაში მოხდა 1944 წელს, როდესაც

სტალინმა გადაასახლა მაჰმადიანი მესხები შუა აზიაში და მათ ადგილას დაასახლა საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჩამოსახლებული მართლმადიდებელი ქართველები. მაჰმადიანი მესხების შუა აზიაში გადასახლებამდე, მაჰმადიანები შეადგენდნენ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობას. სიტუაცია შეიცვალა მათი დეპორტაციის შემდეგ და მათი რიცხვი დღეისათვის ძალზედ შეზღუდულია. სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიან მოსახლეობას მიეკუთვნებიან ძირითადად მხოლოდ მაჰმადიანი აჭარლები. მათი უმრავლესობა სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლდა, როგორც „ეკო-მიგრანტი“ აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურებების შემდეგ. მეწყერით დაზარალებული მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობა ჩაასახლეს ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში. აჭარლების ჩამოსახლება მოხდა საბჭოთა პერიოდში 1950-იან და 1980-იან წლებში.

ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებისა და ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებულობის დაბალი დონის გამო, სამცხე-ჯავახეთი პოტენციურ ცხელ წერტილად ითვლება და მას ეთნიკური კონფლიქტების დიდი პოტენციალი გააჩნია. ურთიერთობები სხვადასხვა რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაძაბულია და შეიძლება გახდეს ეთნიკური კონფლიქტების წყარო, თუ შესაბამისი ყურადღება არ მიექცევა უმცირესობების საკითხებს ამ რეგიონში. მიუხედავად ქართული საზოგადოების მცდელობისა, რომ დაერეგულირებინა სიტუაცია სამცხე-ჯავახეთში, ეს რეგიონი კვლავ არასტაბილური რჩება. ამ მხარეში ფართოდაა გავრცელებული ანტაგონიზმი არა მარტო ეთნიკურ ნიადაგზე, არამედ ასევე რელიგიურ ნიადაგზე. რელიგიური შეუწყნარებლობა თითქმის რეგიონის ყველა მხარეში გვხვდება და დაძაბულობა იგრძნობა მართლმადიდებელ ქართველებს, კათოლიკე ქართველებს და მაჰმადიან ქართველებს (აჭარლებს) შორის, ასევე მართლმადიდებელ ქართველებსა და სომეხ გრიგორი-

ანელებს შორის, ტრადიციული რელიგიის მიმდევრებსა და არატრადიციული რელიგიის მიმდევრებს შორის. საჭიროა, რომ ჯერ განვიხილოთ დაძაბულობა ეთნიკურ ნიადაგზე.

დაძაბულობა ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე

სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობა დაძაბულია. ეთნიკური ჯგუფები თვითიზოლაციაში არიან მოქცეული და მათ შორის კონტაქტები შეზღუდულია. თვითიზოლაცია და გაუცხოება არის ეთნიკური დაძაბულობის ერთ-ერთი მთავარი წყარო. როგორც ზემოთ იყო ნახსენები, საბჭოთა მმართველობის პერიოდში სამცხე-ჯავახეთი თურქეთის საზღვრის სიახლოვის გამო იზოლირებული რეგიონი იყო. მას შეზღუდული კავშირები ჰქონდა საქართველოს სხვა რეგიონებთან, რამაც ხელი შეუშალა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში რუსული სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის საკომუნიკაციო ენად ითვლებოდა. რუსული ენა მიღებული იყო როგორც „ლინგვო ფრანკი“ (Lingua Franca) სამცხე-ჯავახეთში, რამაც აღმოფხვრა არაქართველებისათვის ქართული ენის შესწავლის საჭიროება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსულმა ენამ დაკარგა უპირატესი პოზიცია და რუსული ენის ცოდნის დონეც თანდათანობით დაეცა. სახელმწიფო ენა, რუსულის ნაცვლად, ქართული გახდა. მიუხედავად ამისა, ქართული ენა ვერ გადაიქცა ეთნოსთაშორის საკონტაქტო ენად, რაც გამოწვეული იყო ენის კურსების არარსებობისა და ქართული ენის შესწავლის მოტივაციის ნაკლებობის გამო. თუმცა, ქართული საზოგადოება ხაზს უსვამდა ქართული ენის ცოდნის აუცილებლობას, მას თითქმის არაფერი გაუკეთებია, რომ გაეზარდა სახელმწიფო ენის მნიშვნელობა და ეთნიკური უმცირესობების დაინტერესება ქართული ენის შესწავლის მიმართ. ეთნიკური უმცირესობები ქართულ ენას უმნიშვნე-

ლო ენად თვლიან. გლობალური ეკონომიკური კრიზისისა და უმუშევრობის გამო მათ ნაკლებად აინტერესებთ ქართული ენის შესწავლა. მათ უფრო მჭიდრო ეკონომიკური, კულტურული და კომერციული ურთიერთობა აქვთ ისტორიულ სამშობლოსთან, სომხეთთან, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებთან. გარდა ამისა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, განათლების სისტემის გაუარესება, სწავლების შესაფერისი მეთოდოლოგიის არარსებობა, ასევე ფინანსური რესურსების ნაკლებობა გადაიქცა სომხური მოსახლეობისათვის ქართული ენის სწავლების წარუმატებლობის მიზეზად. ჯავახეთის სომხების 90% -ზე მეტი ქართულ ენაზე არ ლაპარაკობს. სატელევიზიო არხებიდან ისინი მხოლოდ სომხურ და რუსულ გადაცემებს უყურებენ. ქართული სატელევიზიო არხები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს მთლიანად ვერ ფარავს. მოსახლეობა ისტორიული სამშობლოდან ღებულობს ინფორმაციას. ადგილობრივი მოსახლეობისათვის სომხური სატელევიზიო არხები და სომხური პრესა არის ინფორმაციის მთავარი წყარო საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე. ქართული სატელევიზიო არხებიდან მხოლოდ „იმედი“ და „აჭარა“ არის ხელმისაწვდომი ადგილობრივი მოსახლეობისათვის, მაგრამ ამ არხებს არავენ უყურებს. სიტუაცია განსაკუთრებით გაართულებულია სასაზღვრო ზონებში. სომხეთის მოსაზღვრე ზოგიერთ სოფელს ხელი მიუწვდება მხოლოდ სომხურ და რუსულ სატელევიზიო არხებზე და არ შეუძლიათ ქართული არხების ყურება. ქართული გაზეთები კი ძალზე შეზღუდული რაოდენობით ვრცელდება სოფლებში¹⁰⁸.

ქართული ენის მნიშვნელობა თანდათანობით კნინდება ჯავახეთში. ახალქალაქის საკრებულოს სომხები მართავენ და საკრებულოს ქართველი წევრები დისკრიმინაციას განიცდიან. შეხვედრები სომხურ ენაზე ტარდება და კანონებიც სომხურ ენაზე ითარგმნება. ეს პრობლემას უქმნის ქართველ დეპუტატებს, ვინაიდან მათ საშუალებას არ აძლევენ კანო-

ნების ქართულ ვერსიაზე იმუშაონ. ახალქალაქის საკრებულოს წევრმა, ემზარ კოჩალიძემ „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში განაცხადა: „როცა აჭარლები გადმოგვასახლეს, სომხებმა ჩხუბი დაგვიწყეს, მაგრამ თანდათან ყველაფერი დალაგდა, თუმც ვერ ვიტყვი, იდეალური ურთიერთობა გვაქვს-მეთქი. ახალქალაქის საკრებულოში 27 სომეხია, 5 – ქართველი. სხდომები სომხურ ენაზე იმართება და კანონებსაც სომხურად თარგმნიან. ვიხვეწები, 5 ქართველი დეპუტატი ქართულენოვან კანონპროექტებზე გვაშუქავთ-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად, ძალით მასწავლეს სომხური ენა“³⁰.

ჯავახეთში ქართული ენის სწავლების მცდელობა მარცხით დამთავრდა. 2004-2005 წლებში შეიქმნა სპეციალური საგანმანათლებლო პროექტი, რომლის მიზანი სომხებისათვის ქართული ენის შესწავლა იყო. სამწუხაროდ, მასწავლებლები ვერ შეეგუენ ჯავახეთის მკაცრი ცხოვრების პირობებს და ამიტომაც გადაწყვიტეს ამ რეგიონის დატოვება. ამას დაემატა ისიც, რომ სომხებმა ქართული ენის შესწავლის არანაირი დაინტერესება არ გამოიჩინეს. ისინი არ არიან მოტივირებული, რომ ისწავლონ ქართული ენა, რადგან ჯავახეთს სომხეთთან უფრო მჭიდრო ეკონომიკური, კულტურული და კომერციული კავშირები აქვს, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებთან. სომეხი მოსახლეობის უმეტესობას ორი ან მეტი პასპორტი აქვს: ქართული, სომხური და რუსული. თუმცა ამას ჯავახი სომხები საგულდაგულოდ მაღავენ, სიმართლის საბუდამოდ დამალვა შეუძლებელია³⁰. ჯავახ სომხებს მჭიდრო კულტურული ურთიერთობები აქვთ სომხეთთან. სომხური თეატრები და სომეხი მომღერლები ხშირად სტუმრობენ ახალქალაქს და ადგილობრივი მოსახლეობისათვის კულტურულ ღონისძიებებს და კონცერტებს აწყობენ. ჯავახ სომხებს ქართული თეატრი და ქართული სიმღერები მაინცდამაინც არ აინტერესებთ, ვინაიდან ისინი მთლიანად მოწყვეტილი არიან ქართულ ცივილიზაციას. სო-

მეხი მოსახლეობა მთლიანად გარიყულია ქართული საზოგადოებისგან და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ აუტოსაიდერად ითვლება.

ქართული მოსახლეობა ჯავახეთში ასევე გარიყულად და მიტოვებულად გრძნობს თავს. ახალქალაქის რაიონში ოთხი ქართული სოფელია, რომელთაც გარს კომპაქტური სომხური დასახლებები აკრავს. მაგალითად, სოფელი კოთელია 37 სომხური სოფლითაა გარშემორტყმული. ქართულ სოფლებში უამრავი პრობლემებია, მაგრამ ამ პრობლემებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაკლებობა. სასკოლო ნაგებობების მდგომარეობა საგანგაშოა. კოთელიას მსგავსად, ბევრ სოფელს არ გააჩნია შესაფერისი სასკოლო ინფრასტრუქტურა. 30 წლის წინ კომუნისტებმა დაიწყეს სკოლის აშენება კოთელიაში, მაგრამ სასკოლო ნაგებობის მშენებლობა დღესაც დაუმთავრებელია. ცუდი სასწავლო გარემო და დაბალი ხელფასები ნეგატიურ გავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე. კოთელიას სკოლის დირექტორმა, ალექსანდრე აჩელაშვილმა განაცხადა: „ვაქცევახეა ამ სოფლიდან ხალხი, მარტო ამ წელს შვიდი ოჯახი დაიკეტა სოფელში... ქართველებს სწავლა უნდათ და ამის საშუალებაც თუ აღარ იქნა, ეს სოფელიც უქართველებოდ დარჩება მალე“³⁰. მან ასევე გამოთქვა უკმაყოფილება ქართული სახელმძღვანელოების ნაკლებობის გამო. მისი აზრით, მხოლოდ მშობლების ხარჯზე ხდება სახელმძღვანელოების შექმნა, მაშინ, როცა სომხური სკოლები უფასოდ მარაგდება სომხეთიდან ჩამოტანილი წიგნებით.

ქართული ენა ვერ გახდა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის საკომუნიკაციო ენა ჯავახეთში. თუმცა, რუსული კვლავ გამოიყენება, როგორც ეთნოსთაშორისი საკონტაქტო ენა, რუსული ენის ცოდნის დონე ეცემა და ბევრ სომეხს რუსულადაც კი უჭირს საუბარი. საშუალო ასაკის მოსახლეობა ახერხებს რუსულად ლაპარაკს, მაგრამ ახალგაზრდა თაობის უმეტესობას რუსულადაც კი არ შეუძლია კონტაქტი დაამყაროს სხვა

ეთნიკურ ჯგუფებთან, რის გამოც ისინი თვითიზოლაციაში რჩებიან. საკომუნიკაციო ენის არარსებობა ხშირად იწვევს გაუგებრობას და უნდობლობას სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის და ხშირად ეთნიკური დაძაბულობის მთავარი წყარო ხდება. კვალიფიცირებული მასწავლებლების ნაკლებობისა და სომხური გარემოცვის გამო, სომეხ ახალგაზრდობას საშუალება არ აქვს კარგად დაეუფლოს ქართულ ენას.

სამცხე-ჯავახეთში დაძაბულობა არსებობს არა მარტო ეთნიკურ ნიადაგზე, არამედ ასევე რელიგიურ ნიადაგზე, რომლის უფრო დეტალურ ანალიზს ქვემოთ შემოგთავაზებთ.

ქრისტიანების არატოლერანტულ დამოკიდებულებას მუსლიმების მიმართ ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია და დაძაბულობა არსებობს ქრისტიან და მაჰმადიან (აჭარელ) მოსახლეობას შორის. აჭარლები ცხოვრობენ მართლმადიდებელი ქრისტიანების, კათოლიკეების და სომეხი გრიგორიანელების გვერდით. თუმცა, აშკარა აგრესია მაჰმადიანი აჭარლების მიმართ არ იგრძნობა, ამ ხალხის სარწმუნოება, ადგილობრივი მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევს. დაძაბულობა უფრო დიდია სომეხ გრიგორიანელებსა და მაჰმადიან აჭარლებს შორის. სომხებსა და აჭარლებს შორის დაპირისპირება განსაკუთრებით დიდი იყო მაშინ, როდესაც აჭარლები ჩამოსახლეს ჯავახეთში. აჭარელ ბავშვებს ხშირად კამათი მოსდიოდათ სომეხ ბავშვებთან და ეს კამათი ხშირად გადაიზრდებოდა უფრო დიდ ჩხუბში და დაძაბულობა ისე მატულობდა, რომ აჭარლებსა და სომხებს შორის თითქმის ეთნიკურ კონფლიქტებამდეც კი მიდიოდა საქმე. აჭარლები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩაასახლეს, როგორც „ეკო-მიგრანტები“ მთიანი აჭარის რეგიონებიდან (ხულო, შუახევი, ქედი), 1990-იან წლებში მომხდარი ბუნებრივი კატასტროფების შემდეგ. ხელისუფლებამ ისინი ჩაასახლა სპეციალურად მათთვის აშენებულ სახლებში, მაგრამ ბევრი მათგანი იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა ეს რეგიონი დისკრიმინაციის, სომხებთან დაძაბული ურთიერთობებისა

და ცუდი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო. ისინი, ვინც დარჩნენ რეგიონში კვლავ ბევრ პრობლემებს აწყდებიან სომხებთან ურთიერთობის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის დაძაბულობამ იკლო, სიტუაცია კვლავ არასტაბილური რჩება¹⁵.

მართლმადიდებელი ქრისტიანები გრიგორიანელებთან კონფლიქტს ერიდებიან, რადგან რელიგიური კონფლიქტი ადვილად შეიძლება გადაიზარდოს ეთნოსთაშორის კონფლიქტში. მიუხედავად ამისა, კონფლიქტი საკულტო ნაგებობების კუთვნილებაზე და მფლობელობაზე მაინც არსებობს. სომხები ძალას არ იშურებენ, რომ ჯავახეთი წარმოაჩინონ, როგორც უძველესი სომხური მიწა. ამ მიზნის მისაღწევად ისინი არ ერიდებიან ქართული ისტორიული მემკვიდრეობის წაშლას და მათ მითვისებას. ქართულ ეკლესია-მონასტრებში ქართული კვალის განადგურების ფაქტები ფართოდ არის გავრცელებული. ქართულ ისტორიულ ძეგლებზე ქართული წარწერები განზრახ ნადგურდება ან იცვლება სომხური წარწერებით. განზრახ ხდება სომხების მიერ ქართული ეკლესიების გადაკეთება სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიებად, რათა „დაამტკიცონ“, რომ ჯავახეთი სომხური მიწაა და უხსოვარი დროიდან ეთნიკური სომხებით იყო დასახლებული. ქართული ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების რესტავრაცია ხშირად სომხური მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს¹⁵. მაგალითად, ფოკაში ქართული მონასტრის რეკონსტრუქციამ სომხების გაღიზიანება გამოიწვია. ხშირი იყო თავდასხმები ფოკის მონასტრის სასულიერო პირებზე.

1978 წელს სამეცნიერო ექსპედიციამ შეისწავლა ისტორიული ძეგლების მდგომარეობა ჯავახეთში. გამოკვლევებმა დაადგინა, რომ ბევრ ისტორიულ ძეგლზე ქართული წარწერები განზრახ და მთლიანად იყო განადგურებული ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის მიერ. ბევრი ქართული ეკლესია სომხურად იყო გადაკეთებული²¹. მიუხედავად დიდი მცდელობისა, რომ აღმოიფხვრას ქართული კვალი ჯავახეთ-

ში, უამრავი ისტორიული ძეგლი და წყარო ამტკიცებს, რომ ეს ტერიტორია უძველესი ქართული მიწაა და ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო.

სამცხე-ჯავახეთის პოლიეთნიკურ საზოგადოებაში არსებობს მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემა. ურთიერთობა ასევე დაძაბულია მესხ რეპატრიანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. ადგილობრივი მოსახლეობა ეჭვის თვალით უყურებს დეპორტირებული მესხი მოსახლეობის დაბრუნებას. დღეისათვის აბასთუმანში მცხოვრებ მესხ რეპატრიანტებს თავდაპირველად არ შეეძლოთ მესხეთში დასახლება ადგილის პოვნა. ახალციხის რაიონის ყველა სოფელი კატეგორიული წინააღმდეგი იყო მათი დაბრუნების და ადგილობრივმა მოსახლეობამ მათ სოფლებში შესვლის და დასახლების უფლება არ მისცა. ერთადერთი გამონაკლისი იყო სოფელი აბასთუმანი. მიუხედავად ამისა, ურთიერთობა ადგილობრივ აბასთუმნელ მოსახლეობასა და მესხებს შორის იდეალური მაინც არ არის. ფარული დაძაბულობა არსებობს მათ შორის არა მარტო ეთნიკურ, არამედ ასევე რელიგიურ ნიადაგზე. 35 წლის ადგილობრივმა ქართველმა რესპონდენტმა გასაუბრების დროს განაცხადა: „თავდაპირველად აბასთუმანში მცხოვრებ მესხ რეპატრიანტებს არ შეეძლოთ სოფელში არსებული მეჩეთის გამოყენება. მეჩეთის სანაცვლოდ აბასთუმნის მოსახლეობამ მესხი რეპატრიანტებისაგან მოითხოვა ადგილობრივი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების პატივისცემა და უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარება ადგილობრივ მოსახლეობასთან“.

სამცხე-ჯავახეთის სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების შესწავლამ გამოაშკარავა, რომ ურთიერთობა მათ შორის უკიდურესად დაძაბულია. თითოეული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფი ცდილობს დომინანტური პოზიციის მოპოვებას ამ რეგიონში. სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაძაბული ურთიერთობა არის ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში მეზობელი სახელმწიფოების ურთიერთსაწი-

ნააღმდეგო გეოპოლიტიკური ინტერესების არსებობის შედეგი. მეზობელი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესები ეჯახება ქართულ ეროვნულ ინტერესებს ამ რეგიონში, რაც უეჭველად იწვევს სხვადასხვა ეთნო-კონფესიურ ჯგუფებს შორის ურთიერთობის გაუარესებას. ისინი ცდილობენ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენონ ეთნიკურად მონათესავე ჯგუფები, როგორც ეს მოხდა 1917-1919 წლებში, როდესაც სხვადასხვა სახელმწიფოების ურთიერთსაწინააღმდეგო გეოპოლიტიკურმა ინტერესებმა გამოიწვია სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიან და ქრისტიან მოსახლეობას შორის კონფლიქტები, ასევე სომხებსა და ქართველებს შორის ომი.

სომეხი სეპარატისტების „მოღვაწეობა“ ამ რეგიონში ართულებს მდგომარეობას. თავდაპირველად სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიები მთელ მესხეთს მოიცავდა, მაგრამ შემდეგ მისი პრეტენზიები შემოიფარგლა მხოლოდ ჯავახეთის რეგიონით. ხმელეთით გარშემორტყმული და ჩაკეტილი სომხეთის პრეტენზიები ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ჯავახეთის რეგიონი არის კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური სომხებით. მაჰმადიან მეზობლებთან დაძაბული ურთიერთობების გამო, სამცხე-ჯავახეთი ითვლება სომხეთისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ზონად, ვინაიდან ის არის ერთადერთი რეგიონი, რომელიც არ არის დასახლებული მუსლიმებით და არის ქრისტიანულ სამყაროსთან დამაკავშირებელი ტერიტორია. იზოლაციის შიშის გამო სომხეთს ყოველთვის ჰქონდა სურვილი თანდათანობით მოეპოვებინა შავი ზღვის სანაპირო ზოლზე გასასვლელი და ამიტომაც, ყოველთვის ცდილობდა გაეძლიერებინა პოზიციები მესხეთში⁷⁵.

თურქეთსაც თავისი ინტერესები გააჩნია ამ რეგიონში. მან ვერ დაივიწყა მესხეთი, ვინაიდან ეს რეგიონი დიდი ხნის განმავლობაში შედიოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. ოსმალეთის იმპერია მესხეთს იყენებდა როგორც პლაცდარმს კავკასიაში ექსპანსიისათვის. ის შესაძლებლობას უქმნიდა თურქეთს დაემყრებინა კონტროლი საქართველს.

ველოს სხვა რეგიონებზე. თურქეთიც მესხეთს მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონად მიიჩნევს, ვინაიდან ის პირდაპირ ესაზღვრება ქართულ მიწებს (ქვემო ქართლს), რომლებიც კომპაქტურად არის დასახლებული ეთნიკური აზერბაიჯანელებით. ის არის მნიშვნელოვანი ზონა, რომლის მეშვეობითაც მყარდება კავშირი თურქულ სამყაროსთან, აზერბაიჯანთან და შუა აზიის რესპუბლიკებთან. თურქეთის ინტერესებში შედის რომ გაზარდოს მაჰმადიანი მოსახლეობის რაოდენობა ამ რეგიონში, რომელიც ლოიალურად იქნება განწყობილი თურქეთის მიმართ.

სომხეთისა და თურქეთისაგან განსხვავებით, საქართველოს ისტორიული საფუძველი გააჩნია რომ ამ რეგიონში თავისი გავლენა განამტკიცოს, ვინაიდან ის არის საქართველოს ისტორიული პროვინცია, რომელიც ყოველთვის საქართველოს განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა⁷⁵. ცარისტული რუსეთის ანტიქართულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ და ქართული მოსახლეობის ხელოვნურმა შემცირებამ ამ რეგიონში, მესხეთი საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე არასაიმედო და არასტაბილურ რეგიონად აქცია. ცარისტულმა რუსეთმა ეს ძირბველი ქართული მხარე სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის საკამათო ტერიტორია გახადა და ხელოვნურად შექმნა მასიური და კომპაქტური სომხური დასახლებები ამ რეგიონში.

მესხეთის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული სხვადასხვა ეთნო-კონფესიურ ჯგუფებს შორის ჰარმონიული ატმოსფეროს შექმნაზე, რისი მიღწევაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება, ვინაიდან ეს არის რეგიონი, სადაც მეზობელი სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ინტერესები ეჯახება ქართულ ეროვნულ ინტერესებს. ხანგრძლივი მშვიდობა და სტაბილურობა მესხეთში დამყარდება იმ შემთხვევაში თუ მოხდება მის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ეფექტური ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში.

თავი 5. რეპაბრიაციისა და რეინტეგრაციის პროცესის მთავარი შედეგადრხეული ფაქტორები

5.1. ნეგატიური საზოგადოებრივი აზრი – რეპაბრიაციის მთავარი შედეგადრხეული ფაქტორი

საზოგადოებრივი აზრის შესწავლას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ცივილიზებული სამყაროს ინტერესებში შედის მესხური პრობლემის ცივილიზებულად გადაჭრა. ამიტომაც გადაწყდა, სამცხე-ჯავახეთში სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარება 2009 წლის აპრილში, რათა მომხდარიყო ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა დეპორტირებული მესხი მოსახლეობის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მეთოდოლოგიას, რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა ქალაქ ახალციხეში და ახალციხისა და ადიგენის რაიონის სოფლებში (აბასთუმანი, უდე, წნისი). გამოკითხვა განხორციელდა შემთხვევითი შერჩევის მეთოდიკის საფუძველზე. რესპონდენტებად შეირჩა 18 წლის და ზევით ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა.

გამოკვლევამ მოიცვა შემდეგი საკითხები:

- საზოგადოებრივი აზრი რეპაბრიაციასთან დაკავშირებით;
- რეპაბრიაციის პროცესის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების მიზეზი;
- რეპაბრიაციის პროცესის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების მიზეზი;
- ადგილობრივ მოსახლეობასა და მესხ რეპაბრიანტებს შორის არსებული ურთიერთობების შეფასება.

1. დეპორტირებული მესხი მოსახლეობის დაბრუნებასთან დაკავშირებული კითხვები

რესპონდენტთა უმრავლესობას (79%-ს) ურთიერთობა არ ჰქონია მესხ რეპატრიანტებთან. დეპორტირებული მოსახლეობის წევრებთან მჭიდრო სოციალური კონტაქტების არარსებობის გამო, სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ მოსახლეობას ბევრი ცრურწმენები და სტერეოტიპები აქვს დეპორტირებული მესხი მოსახლეობის შესახებ. ეს ცრურწმენები და სტერეოტიპები გამყარებულია წარსულის ტრაგიკული მოგონებებით. ხალხს კვლავ ახსოვს მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს შორის კონფლიქტები, რომლებიც ხშირად ხდებოდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პერიოდში. მითები და წარსულის ტრაგიკული მოგონებები გავრცელებულია თითქმის მთელ რეგიონში, რაც უეჭველად გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებაზე რეპატრიაციის მიმართ. კითხვაზე: „ხართ თუ არა მომხრე დეპორტირებული მესხი მოსახლეობის დაბრუნების?“, რესპონდენტთა პასუხები ასე განაწილდა:

ტაბულა 5.1. ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება რეპატრიაციის პროცესის მიმართ

| № | ხართ თუ არა მომხრე დეპორტირებული მესხი მოსახლეობის დაბრუნების? | % |
|---|--|----|
| 1 | დიახ | 3 |
| 2 | არა | 87 |
| 3 | არ ვიცი | 5 |
| 4 | მიჭირს პასუხის გაცემა | 5 |

რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (87%) რეპატრიაციის პროცესის მოწინააღმდეგეა. კვლევამ გამოავლინა, რომ ყველა სომეხი რესპონდენტი დეპორტირებული მესხი მოსახლეობის დაბრუნებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ქართველ რესპონდენტთა უმეტესობაც მათი დაბრუნების წინააღმდეგია, მაგრამ ქართული მოსახლეობა სომხებთან შედარებით უფრო ტოლერანტული და ნაკლებად რადიკალურია. რეპატრიაციის პროცესის მომხრეები მხოლოდ ქართულ მოსახლეობაში გვხვდება. ისინი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენენ. რესპონდენტთა მხოლოდ 3% არის რეპატრიაციის მომხრე. განსაკუთრებით ის რესპონდენტები არიან რეპატრიაციის პროცესის მომხრეები, რომელთაც ჰყავთ ნათესავები დეპორტირებულთა შორის. მაგრამ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, რომ ისინი მხარს არ უჭერენ მთელი დეპორტირებული მოსახლეობის დაბრუნებას და თვლიან, რომ მხოლოდ ის ხალხი უნდა დაბრუნდეს, ვინც ეთნიკური ქართველები არიან და პროქართული ორიენტაცია გააჩნიათ. რეპატრიაციის პროცესის მომხრეები თვლიან, რომ დეპორტირებული მოსახლეობის განსახლება უნდა მოხდეს მთელი საქართველოს მასშტაბით და არ უნდა მოხდეს მათი დასახლება მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში. ისინი ასევე გამოთქვამენ თავიანთ აზრს განსახლების ტიპების შესახებ. ისინი გაფანტული დასახლებების მომხრე არიან და თვლიან, რომ არ უნდა მოხდეს მათი კომპაქტურად დასახლება. ამ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები ემთხვევა ქართულ ეროვნულ ინტერესებს. მესხი რეპატრიანტების მასიურმა მიგრაციამ სამცხე-ჯავახეთში შეიძლება რადიკალურად შეცვალოს ამ რეგიონის ეთნო-კონფესიური შემადგენლობა, რაც შეიძლება ეთნიკური კონფლიქტების წყარო გახდეს.

სომხების რადიკალურად უარყოფითი დამოკიდებულება რეპატრიაციის პროცესის მიმართ შეიძლება აიხსნას წარსულის ნეგატიური მოგონებებით, ასევე პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ნეგატიური გამოცდილებით, როდესაც ასობით ათასი სომეხი დაიღუპა 1915 წელს. სინამდვილეში მაჰმადიან მესხებს არ მიუღიათ 1915 წელს სომხების განადგურებაში მონაწილეობა. პირველი მსოფლიო ომის

დროს ოსმალეთის იმპერიაში არსებულმა დიდმა ეთნიკურმა დაძაბულობამ აიძულა ბევრი სომეხი, რომ გადასახლებულიყო სამცხე-ჯავახეთში. ისინი რეპატრიაციის პროცესის მოწინააღმდეგეები არიან, რადგან ფიქრობენ, რომ დეპორტირებული მესხების დაბრუნება რეგიონის დესტაბილიზაციას გამოიწვევს და ეთნიკური კონფლიქტების პროვოცირებას მოახდენს. მთიანი ყარაბახის კონფლიქტმა გააძლიერა ანტი-მუსლიმური განწყობა სომხებში. ბევრმა ჯავახეთში მცხოვრებმა ახალგაზრდა სომეხმა მიიღო მონაწილეობა მთიანი ყარაბახის კონფლიქტში, რამაც გავლენა იქონია მუსლიმების მიმართ მათ დამოკიდებულებაზე. სომხების შეშფოთებას იწვევს ის, რომ დეპორტირებული მესხების მასიური მიგრაცია ამ რეგიონში გამოიწვევს მათი დომინანტური პოზიციის შესუსტებას სამცხე-ჯავახეთში. 50 წლის სომეხმა რესპონდენტმა (მამაკაცი, 50) განაცხადა: „ახალციხეში დავიბადე და ვთვლი, რომ სამცხე-ჯავახეთი ჩემი სამშობლოა. თუ ისინი მასიურად დაბრუნდებიან, მაშინ ჩვენთვის აქ ადგილი აღარ დარჩება. ისინი ისე სწრაფად მრავლდებიან, რომ რამოდენიმე წელიწადში რიცხოვნობივად ჩვენ გაგვისწრებენ და სამშობლოდან გაგვყრიან“. სომხებს ასევე ეშინიათ საკუთრებისა და მიწების დაკარგვა, რომელიც ადრე მაჰმადიან მესხებს ეკუთვნოდა. ერთმა სომეხმა რესპონდენტმა (ქალი, 26) განაცხადა: „მე კატეგორიული მოწინააღმდეგე ვარ მათი დაბრუნების, რადგან ის სახლები და ადგილები, სადაც ისინი ადრე ცხოვრობდნენ ამჟამად სხვა ხალხს ეკუთვნის. თუ ისინი დაბრუნდებიან, უეჭველად მოითხოვენ თავიანთი მიწებისა და საკუთრების დაბრუნებას“.

2. კითხვები ადგილობრივ მოსახლეობასა და მესხ რეპატრიანტებს შორის ურთიერთობების შესახებ

კითხვაზე: „არსებობს თუ არა ადგილობრივ მოსახლეობასა და მესხ რეპატრიანტებს შორის რაიმე პრობლემები?“ რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

ტაბულა 5.2. ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასა და მესხ რეპატრიანტებს შორის

| № | არის თუ არა ადგილობრივ მოსახლეობასა და მესხ რეპატრიანტებს შორის რაიმე პრობლემა? | % |
|---|---|----|
| 1 | დიახ | 42 |
| 2 | ჯერჯერობით არა, რადგან მესხი რეპატრიანტების რაოდენობა შეზღუდულია სამცხე-ჯავახეთში | 42 |
| 3 | არა | 5 |
| 4 | არ ვიცი | 11 |

რესპონდენტთა უმრავლესობამ, 84%-მა უკმაყოფილება გამოთქვა მესხი რეპატრიანტების რაოდენობის ზრდის გამო სამცხე-ჯავახეთში. იმ ხალხიდან, ვინც ეჭვის თვალით უყურებს მესხი რეპატრიანტების დაბრუნებას, 42% აცხადებს, რომ ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასა და რეპატრიანტებს შორის ჯერჯერობით პრობლემატური არაა, რადგან მესხი რეპატრიანტების რაოდენობა კვლავ შეზღუდული რჩება სამცხე-ჯავახეთში. მაგრამ ისინი თვლიან, რომ თუ მოხდება დეპორტირებული მესხი მოსახლეობის მასიური დაბრუნება ამ რეგიონში, მაშინ პრობლემები გარდაუვალი იქნება. ბევრი რესპონდენტი კონკრეტულ პრობლემებს ასახელებს. 49 წლის სომეხმა რესპონდენტმა (მამაკაცი, 49) განაცხადა: „სამცხე-ჯავახეთში ბევრი შენობა მუსლიმების საფლავებზეა აშენებული. მაგალითად, სამხედრო ბაზა ვალეში აშენებულ იქნა მაჰმადიანთა სასაფლაოზე. თუ დეპორტირებული ხალხი მესხეთში დაბრუნდება, ის უკმაყოფილო დარჩება მათი წინაპრების საფლავების შეურაცხყოფის გამო და შეჭველად დაიწყებს ომს ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ“. ყველაზე ხშირად ნახსენები პრობლემა, რომელმაც შეიძლება ეთნიკური კონფლიქტები გამოიწვიოს, არის იმ მიწებისა და ქონების დაკარგვის შიში, რომელიც ადრე დეპორტირებულ ხალხს ეკუთვნოდა.

კითხვაზე: „როგორი ურთიერთობა არსებობდა მესხეთის ქრისტიან და მაჰმადიან მოსახლეობას შორის 1944 წლის დეპორტაციამდე?“, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადაანაწილდა:

ტაბულა 5.3. ურთიერთობა მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს შორის 1944 წლამდე

| № | როგორი ურთიერთობა არსებობდა მესხეთის ქრისტიან და მაჰმადიან მოსახლეობას შორის 1944 წლის დეპორტაციამდე? | % |
|---|---|----|
| 1 | კარგი | 21 |
| 2 | ცუდი | 58 |
| 3 | არ ვიცი | 21 |

რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა, 58% თვლის, რომ ურთიერთობა ადგილობრივ მაჰმადიან და ქრისტიან მოსახლეობას შორის 1944 წლის დეპორტაციამდე ძალიან დაძაბული იყო. რესპონდენტთა აზრით, მათ შორის კონფლიქტები ხშირად ხდებოდა. წარსულის ტრაგიკული მოვლენები სათავეს იღებს 1917-1919 წლებში მომხდარი მოვლენებიდან. ბევრი რესპონდენტი საუბრობს ამ პერიოდში მაჰმადიანების მიერ ჩადენილ სისასტიკეზე, როდესაც სამცხე-ჯავახეთის ქრისტიან მოსახლეობას დევნიდა და ავიწროებდა ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა. ხალხი იგონებს მხოლოდ ნეგატიურ მოვლენებს წარსულიდან და აღარ ახსოვს მაჰმადიანების გმირული საქციელი: ბევრმა მაჰმადიანმა მესხმა გადაარჩინა და შეიფარა ქრისტიანები, როდესაც მათ განადგურების საფრთხე დაემუქრათ. სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ მოსახლეობას ხანდახან მოჰყავს ისტორიიდან მაგალითები, როცა მაჰმადიანი მოსახლეობა გვერდში ედგა ქრისტიან მოსახლეობას და მონაწილეობდა ქართული ეკლესიების მშენებლობაში. მაგალითად, მესხეთის სამღვდელეობა ხშირად იხსენებს, რომ მაჰმადიანებმა

მონაწილეობა მიიღეს სოფელ უდეს კათოლიკური ეკლესიის მშენებლობაში. მაჰმადიანებმა ასევე იხსნეს ბევრი ქართული ეკლესია-მონასტერი განადგურებისაგან.

ობიექტური ინფორმაცია დეპორტირებული მესხი მოსახლეობის შესახებ აქვს შემონახული მხოლოდ ზოგიერთ ხანდაზმულ ადამიანს, რომელთაც პირადი ურთიერთობა ჰქონდათ დეპორტირებულ ხალხთან. ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ადამიანების უმეტესობას არასოდეს არ ჰქონია ურთიერთობა დეპორტირებულებთან და ამიტომაც კვლავ ბევრი ცრურწმენები აქვთ მათ შესახებ. არასწორმა საბჭოთა აგიტაციამ და პროპაგანდამაც გააძლიერა მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება დეპორტირებულთა მიმართ. საბჭოთა მმართველობის დროს დეპორტირებული ხალხის მისამართით ხშირად გამოიყენებოდა ტერმინები: „ხალხის მტრები“, „ანტისაბჭოური ელემენტები“, „არასანდო ხალხი“ და ა.შ., რამაც უეჭველად გააძლიერა მოსახლეობის ანტაგონისტური დამოკიდებულება დეპორტირებული მესხი მოსახლეობის მიმართ.

სამცხე-ჯავახეთის და მისი მოსახლეობის შესწავლამ გამოავლინა, რომ ამ რეგიონს კონფლიქტისკენ დიდი მიდრეკილება აქვს და დეპორტირებული ხალხის დაურეგულირებელმა მიგრაციამ ის შეიძლება დენტის კასრად აქციოს. რეპატრიაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება დეპორტირებული მესხი ხალხის დაბრუნების მიმართ. სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა დიდი შეშფოთებით აკვირდება მაჰმადიანი მესხების დაბრუნებას ამ რეგიონში. ისინი მესხ რეპატრიანტებს აღიქვამენ როგორც მათ მეტოქეებს და სამცხე-ჯავახეთში დომინანტური პოზიციის დაკარგვის ეშინიათ.

სამცხე-ჯავახეთში დაბრუნება დიდ რისკთანაა დაკავშირებული, რაც გამოწვეულია ადგილობრივ მოსახლეობასა და დეპორტირებულ ხალხს შორის მტრული დამოკიდებულების

არსებობის გამო. ადგილობრივმა მოსახლეობამ საჯაროდ განაცხადა, რომ მესხი რეპატრიანტების დაბრუნება ეთნიკურ კონფლიქტებსა და დაძაბულობას გამოიწვევს. სამცხე-ჯავახეთი დღეისათვის ეთნიკურად და რელიგიურად ჭრელი რეგიონია და ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების გამო, ეთნიკური კონფლიქტების დიდ პოტენციალს შეიცავს. ურთიერთობა სხვადასხვა ეთნოკონფესიურ ჯგუფებს შორის დაძაბულია, ვინაიდან თითოეული ეთნოკონფესიური ჯგუფი ცდილობს თავისი გავლენის გაზრდას ამ რეგიონში, სადაც ცხოვრობენ ქართველი მართლმადიდებლები, ქართველი კათოლიკეები, სომეხი გრიგორიანელები, სომეხი კათოლიკეები, რუსი დუხობორები, მაჰმადიანი ქართველები (აჭარლები). კიდევ ერთი განსხვავებული ეთნო-რელიგიური ჯგუფის ჩამოსახლება აუცილებლად გამოიწვევს ეთნიკურ დაძაბულობას¹¹⁷.

სხვადასხვა ეთნოკონფესიურ ჯგუფებს შორის დაძაბული ურთიერთობისა და დეპორტირებული ხალხის მიმართ მტრული დამოკიდებულების არსებობის გამო, სამცხე-ჯავახეთი შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც პოტენციური ცხელი წერტილი და ამიტომაც მესხი რეპატრიანტების მასიური ჩასახლება ამ რეგიონში არასასურველია. უპირატესობა უნდა მიენიჭოს დისპერსიულ დასახლებებს.

5.2 მესხი რეპატრიანტების ქართულ საზოგადოებაში რეინტეგრაციის პრობლემები

მესხი რეპატრიანტების ქართულ საზოგადოებაში რეინტეგრაციის საკითხს სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება ქართული სახელმწიფოსათვის. ეთნიკური ჯგუფების ინტეგრირებულობის დაბალი დონე საფრთხეს უქმნის ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას და უსაფრთხოებას. ამ თავის მიზანია მკითხველს გააცნოს მესხი რეპატრიანტების ქართულ საზოგადოებაში რეინტეგრაციის პრობლემები. მასში

აღწერილია თუ როგორ მოახერხა ამ ჯგუფმა ახალ პირობებთან და ქართული ცხოვრების სტილთან ადაპტირება. ის ასევე მკითხველს სთავაზობს მესხური პრობლემის გადაჭრის გზებს. პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია, რომ თავდაპირველად მოხდეს მისი დეტექტირება. ამიტომაც ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, ქართლში და გურიაში 2009 წელს, რათა დადგენილიყო მესხი მოსახლეობის ინტეგრირებულობის დონე ქართულ საზოგადოებაში და გამოვლენილიყო ის ფაქტორები, რაც აბრკოლებს მათ ინტეგრაციას და ადაპტაციას ქართულ გარემოსთან.

რაც შეეხება მეთოდოლოგიას, რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევა და პირისპირ ინტერვიუები ჩატარდა თითქმის ყველა რეგიონში, სადაც მესხი რეპატრიანტები ცხოვრობენ: ქართლში (თბილისი, ცხრამუხა), იმერეთში (იანეთი), გურიაში (ნასაკირალი) და სამცხე-ჯავახეთში (ახალციხე, აბასთუმანი). გამოკითხვა ჩატარდა შემთხვევითი შერჩევის მეთოდიკის საფუძველზე. რესპონდენტებად შერჩეულ იქნა სოფლის და ქალაქის მესხური მოსახლეობა 18 წლის და ზევით. იმისათვის, რომ დადგენილიყო მესხი რეპატრიანტების ინტეგრირებულობის დონე ქართულ საზოგადოებაში, შემდეგი საკითხები იქნა გამოკვლეული: ეთნიკური იდენტობა, ქართული ენის ფლობა, სოციალიზაციის პროცესი (საგანმანათლებლო დაწესებულებები), ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის ინტენსივობა, ეკონომიკური ინტეგრაცია (დასაქმების შანსები, კომერციული და ბიზნეს საქმიანობის შესაძლებლობები), პოლიტიკური ინტეგრაცია (პოლიტიკაში მონაწილეობა: პოლიტიკური პარტიის წევრობა, სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობა, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა).

გამოკვლევამ მოიცვა შემდეგი საკითხები:

– მესხი რეპატრიანტების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებულობის დონე;

- ინტეგრაციის პროცესის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორები;
- განსახლების ტიპები და მათი გავლენა ინტეგრირებულობის დონეზე;
- მესხი რეპატრიანტების ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან;
- ეკონომიკური ინტეგრაციის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორები;
- პოლიტიკური ინტეგრაციის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორები;

საქართველოში მცხოვრები მესხი რეპატრიანტების ეთნიკური იდენტობა

თითქმის ყველა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ისინი ეთნიკური ქართველები არიან. ამრიგად, საქართველოში მცხოვრები მესხი რეპატრიანტები, სხვა ქვეყნებში მცხოვრები დეპორტირებული მესხების დიდი უმრავლესობისაგან განსხვავებით, თავს ქართველებად თვლიან. მათ გამოთქვეს უკმაყოფილება ისეთი გამოგონილი ტერმინების გამო, როგორცაა „თურქი მესხები“ ან „ახალციხელი თურქები (აპისკელი თურქები)“. იანეთში მცხოვრებმა 45 წლის მესხმა რეპატრიანტმა განაცხადა: „ჩვენს უკმაყოფილებას იწვევს საზოგადოებაში დამკვიდრებული ტენდენცია გამოიყენონ მესხი რეპატრიანტების მიმართ ტერმინი „თურქი მესხები“. ჩვენ ვთვლით, რომ ეთნიკური ქართველები ვართ და საქართველო ჩვენი სამშობლოა. ჩვენ არ ვეთანხმებით იმ ხალხს, ვინც მიიჩნევს, რომ მესხი რეპატრიანტები ეთნიკური თურქები არიან. ხალხი ჩვენ თურქებს გვეძახის ისტორიის არცოდნის გამო ან ისტორიის განზრახ გაყალბების გამო. ობიექტური ინფორმაციის ნაკლებობის გამო ბევრმა მესხმა არ იცის საკუთარი ჭეშმარიტი იდენტობის შესახებ. როდესაც რუსეთში ვიყავი „ლიტერატურნაია გრუზიას“ ვყიდულობდი

და მესხ ხალხს ვურიგებდი, რათა მათ ცოდნოდან ნამდვილი ისტორია მათი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ“. მესხი რეპატრიანტები თვლიან, რომ ტერმინები „თურქი მესხები“ და „აპისკელი (ახალციხელი) თურქები“ ხელოვნური ტერმინებია, რომლებიც განზრახ შექმნეს პოლიტიკოსებმა. 63 წლის მესხმა რეპატრიანტმა განაცხადა: „მე საქართველოში იმიტომ დავბრუნდი, რომ წარმოშობით ქართველი ვარ და საქართველო ჩემი სამშობლოა. ეთნიკური თურქი რომ ვიყო, აქ არ დავრჩებოდი და თურქეთში წავიდოდი საცხოვრებლად“. ზოგიერთი რეპატრიანტი ისტორიულ წყაროებს და ისტორიულ დოკუმენტებს მოიშველიებს, რათა დაამტკიცონ მათი ქართული წარმომავლობა. იანეთში მცხოვრებმა მესხმა რეპატრიანტმა გვაჩვენა მისი წინაპრების გენეალოგიური ხე. მან განაცხადა: „ჩემი წინაპარი ეთნიკური ქართველი იყო, მას ბექა ერქვა. მისი გამაჰმადიანება მოხდა მე-XIX საუკუნეში და ამ დროიდან მოყოლებული ჩემს წინაპრებს მაჰმადიანური სახელები აქვთ“. 58 წლის მესხმა რეპატრიანტმა განაცხადა: „მესხეთში ბევრი ეკლესიაა, რომლებიც ჩვენი წინაპრების მიერ არის აშენებული. სამცხე-ჯავახეთში ყველა დასახლებას ქართული სახელი აქვს და ტოპონიმიკით დასტურდება, რომ ეს ძირძველი ქართული მიწაა და ამ მიწაზე ჩვენი ქართველი წინაპრები ცხოვრობდნენ“.

ქართული ენის ცოდნა

სოციოლოგიურმა გამოკვლევამ გამოავლინა, რომ მესხი რეპატრიანტების უმრავლესობა, 84% არ ფლობს ქართულ ენას ან ცუდად ლაპარაკობს ამ ენაზე. მესხ რეპატრიანტებს შორის მთავარი საკომუნიკაციო ენა არის თურქული. მიუხედავად ამისა, ქართულ ენაზე მოსაუბრეთა რიცხვი თანდათანობით იზრდება საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციების წყალობით, როგორცაა „ტოლერანტი“. სასკოლო ასაკის ბავშვებს და იმ

ახალგაზრდა თაობას, რომლებმაც საქართველოში მიიღეს განათლება, შეუძლიათ ქართულად საუბარი და წერა-კითხვა ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო დაწესებულებები მესხ ახალგაზრდობას უქმნის შესაძლებლობას, რომ დაეუფლოს ქართულ ენას, წეს-ჩვეულებებს და ასევე ეხმარება მათ ადგილობრივ ქართველ ბავშვებთან კონტაქტების დამყარებაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ახალგაზრდა მესხი რეპატრიანტი, ვინც ღებულობს ან მიიღო განათლება საქართველოში, შესანიშნავად ფლობს ქართულ ენას. ბევრმა სასკოლო ასაკის ბავშვმა არ იცის ლიტერატურული ქართული. ზოგმა მხოლოდ სასაუბრო ქართული იცის, გრამატიკული წესების დაცვის გარეშე. აბასთუმანში მცხოვრებმა 21 წლის მესხმა რეპატრიანტმა განაცხადა, რომ მას განზრახული ჰქონდა იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება, მაგრამ არ მიიღეს უნივერსიტეტში. გამოკვლევამ და დაკვირვებამ გამოავლინა, რომ მან ვერ შეძლო გამოცდების ჩაბარება ქართული ენის არასრულყოფილი ცოდნისა და შესაბამისი განათლების არქონის გამო.

1990-იან წლებში არსებობდა სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანი იყო ხელი შეეწყოთ მესხ რეპატრიანტთათვის, რომ დაუფლებოდნენ ქართულ ენას და ესწავლათ უნივერსიტეტებში გამოცდების ჩაბარების გარეშე. სიტუაცია შეიცვალა 2005 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებით, რამაც გააუქმა პრივილეგიები მესხ რეპატრიანტთათვის. ნებისმიერმა პიროვნებამ, ვისაც სურს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება, უნდა ჩააბაროს ეროვნული გამოცდები ოთხ საგანში. 22 წლის მესხმა რეპატრიანტმა განაცხადა: „ბევრი მესხი ჩამოდის საქართველოში ახერბაიჯანიდან, რათა სწავლა გააგრძელოს ქართულ უნივერსიტეტებში, მაგრამ ისინი ვერ ახერხებენ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას. ისინი პრივილეგიებით აღარ სარგებლობენ, როგორც ეს იყო 1990-იან წლებში“.

(მამაკაცი, 22). მიუხედავად ამ პრობლემებისა სახელმწიფო

მაინც ეხმარება მესხ ბავშვებს სპეციალური მოსამზადებელი კურსების უფასოდ გავლაში, რათა მათ შეძლონ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. მაგრამ ქართული ენის არასრულფასოვანი ცოდნა ამცირებს მესხი რეპატრიანტების შანსებს, რომ ისწავლონ ქართულ უნივერსიტეტებში. საჭიროა ახალი მიდგომა ეროვნული უმცირესობების მიმართ, რათა მოხდეს მათი ინტეგრაცია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში.


ამრიგად, ენა არის მთავარი ფაქტორი, რომელიც ზღუდავს მესხი რეპატრიანტების უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებას. გარდა ამისა, მესხ რეპატრიანტებს ძალიან ტრადიციული მიდგომა აქვთ განათლების მიმართ: ქალებს კარიერაზე ზრუნვა ეკრძალებათ. ამიტომაც შეზღუდულია უმაღლესი განათლების მქონე ქალების რაოდენობა, რაც უეჭველად აბრკოლებს მესხი ქალების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. ტრადიციული მაჰმადიანური კულტურა ხაზს უსვამს კაცის დომინანტურ პოზიციას საზოგადოებაში, რაც გავლენას ახდენს გენდერულ ურთიერთობებზე. გენდერული უთანასწორობა უფრო თვალში საცემია სოფლებში მცხოვრებ მესხ რეპატრიანტებში, სადაც კაცები ქალებთან შედარებით უფრო მეტი პრივილეგიებით სარგებლობენ. მესხი ქალების ინტეგრირებულობისა და განათლების დონე, კაცებთან შედარებით, უფრო დაბალია, რაც გამოწვეულია მათი საზოგადოების ტრადიციული და პატრიარქალური სტრუქტურის გამო, ასევე ნაადრევი ქორწინების, აგრარულ სექტორში დასაქმების და პრიმიტიულ სოფლის მეურნეობაზე აბსოლუტური დამოკიდებულების გამო. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის დაშლამ, რომელსაც თან სდევდა საგანმანათლებლო სისტემის სრული კრახი, შეზღუდა ახალგაზრდა მესხი რეპატრიანტების შანსები მიეღოთ შესაფერისი განათლება და ესწავლათ ლიტერატურული ქართული. ამ პრობლემების მიუხედავად, ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი იზრდება ახალგაზრდა თაობის

ხარჯზე, რომლებიც სწავლობენ ან ისწავლეს ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ამრიგად, ინტეგრირებულობის დონე დამოკიდებულია მესხი რეპატრიანტის ასაკზე და სქესზე. ახალგაზრდა თაობა, განსაკუთრებით ის, ვინც დაიბადა და გაიზარდა საქართველოში და განათლება მიიღო ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ახალ გარემოსთან შეგუების უფრო მეტ უნარს ამჟღავნებს. მათ უფრო უადვილდებათ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია, ვიდრე ხანდაზმულ ხალხს. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ მათ სოციალიზაციის პროცესი გაიარეს საქართველოში და როგორც ცნობილია, სოციალიზაციის აგენტები (საგანმანათლებლო დაწესებულებები, ამხანაგების წრე, თანამშრომელთა წრე, მასმედია და ა.შ.) აჩქარებენ ინტეგრაციის პროცესს და ხელს უწყობენ ტიტულარულ ეთნიკურ ჯგუფთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას. რეპატრიანტების უმრავლესობა, 50%-ზე ცოტა მეტი (298 კაცი) საქართველოში დაიბადა, ხოლო დანარჩენი – ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში: 24% – უზბეკეთში, 15% – აზერბაიჯანში, 2% – ყაზახეთში, 1% – რუსეთში, 1% – ყირგიზეთში და დანარჩენ ქვეყნებში¹³⁶. მესხი რეპატრიანტების განაწილება დაბადების ადგილის მიხედვით ნაჩვენებია (5.1) დიაგრამაში:

რეპატრიანტთა იმ კატეგორიას, რომელიც დაიბადა და გაიზარდა, ან სიცოცხლის უმეტესი ნაწილი გაატარა სხვა ქვეყნებში, უფრო უჭირს ქართული ენის შესწავლა. საშუალო და ხანდაზმული ასაკის ხალხმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა სხვა ქვეყნებში. მათ ნაკლები კონტაქტები ჰქონდათ, ან საერთოდ არ ჰქონდათ ურთიერთობა საქართველოსთან და ქართველ ხალხთან, სოციალიზაციის პროცესი გაიარეს უცხო ქვეყნებში და ამიტომაც უჭირთ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია. ამას ემატება ისიც, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობები არის შეზღუდული იმ სოფლებში,

დაგრამა 5.1. მესხი რეპატრიანტების განაწილება დაბადების ადგილის მიხედვით



წყარო: Union of Georgian Repatriates, 2005, გვ. 8.

სადაც მესხი რეპატრიანტები ცხოვრობენ. წინათ სოფლებში არსებობდა კულტურული დაწესებულებები, როგორც არის, მაგალითად, კლუბები, კინოები, ბიბლიოთეკები და ა.შ. დღეისათვის ეს დაწესებულებები აღარ ფუნქციონირებენ. კლუბები, ბარები, კაფეები, კინოები და ბიბლიოთეკები გვხვდება მხოლოდ ქალაქებში და ქართულ სოფლებს ეს ფუფუნება აკლია. კულტურული ინსტიტუტების ნაკლებობა სერიოზულად ზღუდავს ინტერეთნიკური კავშირებისა და ურთიერთობების შესაძლებლობებს. სკოლა არის ერთადერთი კულტურული ცენტრი და ერთადერთი ადგილი, სადაც ახალგაზრდები ხვდებიან ერთმანეთს და ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტებს ამყარებენ.

ქართული ენის არასრულფასოვანი ცოდნა ასევე ამცირებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობების შესაძლებლობებს. ამასთან დაკავშირებით იანეთში მცხოვრებმა 58 წლის მესხმა რესპონდენტმა გასაუბრებისას განაცხადა: „სკოლაში მასწავლებლად ვმუშაობდი, მაგრამ ქართული

ენის არცოდნის გამო გადავწყვიტე სამსახურისთვის თავი დამენებებია. ენის არცოდნა მოსწავლეებთან ურთიერთობაში მიქმნიდა პრობლემებს“. ამრიგად, ქართული ენის არცოდნა არის ინტეგრაციის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი. გარდა ამისა, დიდი კულტურული სხვაობა ართულებს მესხ რეპატრიანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ინტერეთნიკურ ურთიერთობებს. კულტურული სხვაობა, რომელიც მთავარი ბარიერია მესხურ თემსა და ქართულ საზოგადოებას შორის, გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებით, როგორც არის განსხვავებული რელიგიური ადათ-წესები, ქართული ტრადიციების, ჩვევების, კულტურული ნორმებისა და ღირებულებების არასაკმარისი ცოდნა. მესხი რეპატრიანტების ქართველი მეზობლები თვლიან, რომ მათსა და დეპორტირებულ მესხებს შორის განსხვავება იმდენად დიდია, რომ ძალიან რთული იქნება მათი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში. ამას ემატება ისიც, რომ მესხი რეპატრიანტები კარნაკეტილ ცხოვრებას ეწევიან და ქმნიან ჩაკეტილ, ტრადიციულ საზოგადოებას.

ინტერეთნიკური ქორწინებების არარსებობა ანელებს მესხი რეპატრიანტების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას. მესხი რეპატრიანტები უმეტესწილად ერთმანეთს შორის ქორწინებას ამჯობინებენ და არ ჩვევიათ ოჯახის შექმნა მესხური თემის გარეთ. ისინი თითქმის არასოდეს არ ერწყმიან სხვა ეთნიკურ ჯგუფებს და ამჯობინებენ მჭიდრო კავშირები დაამყარონ საქართველოში მცხოვრებ მესხურ თემებთან. მესხი რეპატრიანტების ოჯახებში უმეტესწილად (83%) ორივე მეუღლე (ცოლ-ქმარი) მესხები არიან. ეს კი თავის მხრივ ნიშნავს მხოლოდ შეზღუდულ და ზედაპირულ ურთიერთობებს მესხ რეპატრიანტებსა და ქართველებს შორის. ვინაიდან მესხი რეპატრიანტები ერთმანეთს შორის ქორწინებას ამჯობინებენ, ამიტომაც თითქმის ყველა მესხი რეპატრიანტი ერთმანეთის ნათესავია ქორწინების საშუალებით. მესხი რეპატრიანტები ქმნიან ჩაკეტილ საზოგადოებას

ძლიერი ტრადიციებითა და ნათესაური კავშირებით. ხშირმა დეპორტაციებმა და გაჭირვებამ გააძლიერა ოჯახური და ნათესაური კავშირები. ინტერეთნიკური ქორწინებების არარსებობა შეიძლება აიხსნას მესხური თემის სურვილით, შეინარჩუნოს მისი განსხვავებული ტრადიციები, ადათ-წესები, კულტურული ნორმები და ღირებულებები. მიუხედავად ამ პრობლემებისა, ხანდაზმულ თაობასთან შედარებით, ახალგაზრდა თაობას უფრო მეტი შანსი აქვს გახდეს ქართული საზოგადოების სრულფასოვანი წევრი.

ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა

საქართველოში დაბრუნება ძალიან რთული პროცესი იყო მესხი რეპატრიანტებისათვის, რადგან ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ლიდერები მტრულად იყვნენ განწყობილი ახალმოსულთა მიმართ. მესხ რეპატრიანტებს კარგად ახსოვთ მძიმე დღეები, რომლის გადატანაც მათ მოუწიათ. მესხ რეპატრიანტებს საზოგადოება აღიქვამდა, როგორც უცხო ეთნიკურ ჯგუფს და მათ დაბრუნებას ხშირად ეჭვის თვალით უყურებდა. სოფელ ცხრამუხაში მცხოვრები 19 წლის მესხი რეპატრიანტი (მამაკაცი, 19) შემდეგ ისტორიას იხსენებს: „თავდაპირველად ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან ცუდი და დაძაბული იყო, მაგრამ შემდეგ სიტუაცია თანდათან დარეგულირდა და ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. დღესდღეობით ჩვენ კეთილმეზობლური ურთიერთობა გვაქვს ქართველებთან“. ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასა და მესხ რეპატრიანტებს შორის გაუარესდა 1989 წელს, როდესაც ფერლანას ტრაგედიის შემდეგ მესხმა ლტოლვილებმა თავმესაფრის ძიება დაიწყეს საქართველოში მცხოვრებ მათ ნათესავებში და ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოვიდნენ. მესხი ლტოლვილების სოფელ ცხრამუხაში ჩასვლამ ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამო-

იწვია. ადგილობრივ მოსახლეობასთან კონფლიქტების გამო ბევრი მესხი რეპატრიანტი იძულებული შეიქმნა საქართველო დაეტოვებინა. 10 მესხური ოჯახიდან მხოლოდ ერთმა შეძლო სოფელში დარჩენა.

მსგავსი ტენდენციები შეინიშნება სამცხე-ჯავახეთში. ახალციხეში მცხოვრები 45 წლის მესხი რეპატრიანტი (მამაკაცი) მსგავს ისტორიას იხსენებს: „თავდაპირველად ადგილობრივი მოსახლეობა მტრულად იყო ჩვენს მიმართ განწყობილი და ჩვენს დაფრთხობას ცდილობდა, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ მათ ჩვენს მიმართ დამოკიდებულება შეიცვალეს და სიტუაცია თანდათანობით ნორმალური გახდა“. მიუხედავად იმისა, რომ შემცირდა კონფლიქტური სიტუაციები, ურთიერთობა სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ მოსახლეობასა და მესხ რეპატრიანტებს შორის არ არის იდეალური და კვლავ დაძაბული რჩება. თუმცა, სოფელ აბასთუმანში მცხოვრებ მესხ რეპატრიანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთობა საკმაოდ მშვიდობიანია, ხალხს ეშინია, რომ თუ მოხდება მესხი რეპატრიანტების ახალი ნაკადის შემოსვლა, სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება. მათ დომინანტური პოზიციების დაკარგვის შიში აქვთ. აბასთუმანში მცხოვრებმა 78 წლის ქართველმა მამაკაცმა განაცხადა: „ამ მომენტში ჩვენ კარგი და მშვიდობიანი ურთიერთობა გვაქვს მესხ რეპატრიანტებთან, რადგან მათი რიცხვი მცირეა, მაგრამ თუ უფრო მეტი დეპორტირებული ხალხი დასახლდება სოფელში, მაშინ ისინი უმრავლესობაში იქნებიან, რამაც შეიძლება სიტუაცია რადიკალურად შეცვალოს“.

კითხვაზე: როგორია ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასა და მესხ რეპატრიანტებს შორის?, მესხი რეპატრიანტების პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

ტაბულა 5.4. ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასა და მესხ რეპატრიანტებს შორის

| № | როგორია ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასა და მესხ რეპატრიანტებს შორის? | % |
|---|---|----|
| 1 | კეთილმეზობლური ურთიერთობები | 25 |
| 2 | ნორმალური ურთიერთობები | 75 |
| 3 | ინდიფერენტული დამოკიდებულება | 0 |
| 4 | ცუდი ურთიერთობები | 0 |

მესხი რეპატრიანტების დიდმა უმრავლესობამ, 75%-მა განაცხადა, რომ მათსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთობები ნორმალურია. მესხი რეპატრიანტების 25% თვლის, რომ მათ კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვთ ადგილობრივ მოსახლეობასთან. თუმცა, არც ერთმა რესპონდენტმა არ განაცხადა, რომ ურთიერთობები მათსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ცუდია, დამატებით კითხვებმა გამოავლინა, რომ დაძაბულობა კვლავ არსებობს და ურთიერთობა არც ისე კარგია, როგორც ამას ბევრი რესპონდენტი აცხადებს. განსაკუთრებით პრობლემატურია ურთიერთობა სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ მოსახლეობასთან.

საქართველოს სხვა რეგიონებში ურთიერთობები ადგილობრივ მოსახლეობასა და მესხ რეპატრიანტებს შორის უფრო ნაკლებად პრობლემატურია. მესხ რეპატრიანტებს უფრო კარგი და მეგობრული ურთიერთობა აქვთ გურიისა და იმერეთის მოსახლეობასთან, ვიდრე სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობასთან. ეს იმ ფაქტით შეიძლება აიხსნას, რომ სამცხე-ჯავახეთი პოლიეთნიკური და მრავალკონფესიური რეგიონია და ურთიერთობა სხვადასხვა ეთნო-კონფესიურ ჯგუფებს შორის საკმაოდ დაძაბულია. ამას ემატება ისიც, რომ ხალხს კვლავ ანსოვს სამცხე-ჯავახეთში მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს შორის კონფლიქტი, მაშინ როდესაც

საქართველოს სხვა რეგიონებში ხალხს არ აქვს ნეგატიური მოგონებები მაჰმადიანი მესხების შესახებ. ამიტომაც სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მესხი რეპატრიანტები უფრო მეტს ლაპარაკობენ დისკრიმინაციის შესახებ და ანტიმესხური განწყობილების შესახებ, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები მესხი რეპატრიანტები. იანეთში და ნასაკირალში მცხოვრები მესხი რეპატრიანტები თვლიან, რომ ურთიერთობა, რომელიც ჩამოყალიბდა მათსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მთლიანობაში დადებითად შეიძლება შეფასდეს.

კითხვაზე: არის თუ არა ანტიმესხური განწყობა ადგილობრივ მოსახლეობაში?, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

ტაბულა 5.5. ადგილობრივ მოსახლეობაში ანტიმესხური განწყობა

| № | არის თუ არა ანტიმესხური განწყობა ადგილობრივ მოსახლეობაში? | % |
|---|---|----|
| 1 | დიახ | 50 |
| 2 | არა | 17 |
| 3 | არ ვიცი | 33 |


რესპონდენტთა ნახევარმა განაცხადა, რომ ანტიმესხური განწყობა ადგილობრივ მოსახლეობაში კვლავ არის გავრცელებული. ზოგიერთ რესპონდენტს კონკრეტული მაგალითები მოჰყავს. ყველაზე უფრო ხშირად დასახელებული პრობლემა არის: სახლის შექმნის სიძნელე, ადგილობრივი მოსახლეობის მცდარი წარმოდგენა დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ, მესხი რეპატრიანტების ნეგატიური იმიჯი საბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის გამო. ბევრ მესხ რეპატრიანტს არ შეუძლია სახლის შექმნა სამცხე-ჯავახეთში, რადგან ადგილობრივ მოსახლეობას არ სურს მათი ამ რეგიონში დასახლება. „ტოლერანტის“

დირექტორმა, ცირა მესხიშვილმა გასაუბრებისას განაცხადა, რომ ზოგიერთი მესხი რეპატრიანტი, რომელმაც მოახერხა სამცხე-ჯავახეთში დაბრუნება, არ იძენს ძვირფას ნივთებს, როგორც არის, მაგალითად, ავეჯი, რადგან არ არის დარწმუნებული, რომ სამუდამოდ დარჩება საქართველოში. 36 წლის მესხმა რეპატრიანტმა (მამაკაცი, 36) განაცხადა: „ადგილობრივი მოსახლეობა კატეგორიულად ეწინააღმდეგება ჩემს მცდელობას, რომ შევიძინო სახლი ახალციხეში“. ახალციხეში მცხოვრებმა 57 წლის მესხმა რეპატრიანტმა განაცხადა: „ანტიმესხური განწყობა განსაკუთრებით გავრცელებულია სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ სომხურ მოსახლეობაში. ისტორიის არცოდნის გამო, ისინი ჩვენ ეთნიკურ თურქებად აღგვიქვამენ. ხალხი ხანდახან რელიგიას უყურებს, როგორც ეროვნული იდენტობის ინდიკატორს. მათი აზრით, მხოლოდ ქრისტიანები შეიძლება იყვნენ ეთნიკური ქართველები. რადგან ჩვენ მაჰმადიანები ვართ, ამიტომაც ჰგონიათ, რომ ჩვენ ქართველები არ ვართ“. ცხრაშვილმა მცხოვრებმა 19 წლის მესხმა რეპატრიანტმა განაცხადა: „ჩვენს მეზობლებს არ სურთ იმის აღიარება, რომ ჩვენ ეთნიკური ქართველები ვართ (მამაკაცი)“. იანეთის სკოლის დირექტორის მოადგილემ განაცხადა: „ანტიმესხური დამოკიდებულება გამოწვეულია ადგილობრივი მოსახლეობის მცდარი შეხედულებით მესხი რეპატრიანტების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. ობიექტური ინფორმაციის არქონის გამო, ისინი ფიქრობენ, რომ მესხი რეპატრიანტები „თათრები“ არიან და ამიტომაც აქვთ ნეგატიური იმიჯი დეპორტირებული მესხი მოსახლეობის შესახებ“. ახალციხეში მცხოვრები 45 წლის მესხი რეპატრიანტი თვლის, რომ მოსახლეობაში ანტიმესხური განწყობა სათავეს იღებს საბჭოთა კავშირის დროიდან, როდესაც საბჭოთა მთავრობამ ხელოვნურად შექმნა მტრის ხატი და მაჰმადიანი მესხების ზიზღი ჩაუნერგა ადგილობრივ მოსახლეობას.

განსახლების ტიპები და ინტეგრირებულობის დონე

ინტეგრირებულობის დონე დამოკიდებულია ასევე საცხოვრებელ ადგილზე და განსახლების ტიპზე. სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი იქნა შერჩეული მესხი რეპატრიანტებისათვის, როდესაც მოხდა მათი რეპატრაცია საქართველოში. რეპატრიანტების პირველი ნაკადი აჭარაში ჩაასახლეს 1950-1960-იან წლებში. მესხმა რეპატრიანტებმა საცხოვრებელ ადგილად აჭარა აირჩიეს, რათა უფრო ახლოს ყოფილიყვნენ თავიანთ ნათესავებთან, რომლებსაც შეეძლოთ ახალ გარემოსთან ადაპტაციის პროცესის დროს მათთვის დახმარების აღმოჩენა¹³⁵. მომდევნო ოცი წლის განმავლობაში მათ ასახლებდნენ ძირითადად იმერეთისა და გურიის რეგიონში და მხოლოდ 1990-იანი წლებიდან იწყება მესხების დასახლება თბილისში, ახალციხეში, აბასთუმანში და გორში. 1997 წელს მესხებმა მოიპოვეს სამცხე-ჯავახეთში საცხოვრებლის შეძენის უფლება. ამ პერიოდიდან დაიწყეს მესხმა რეპატრიანტებმა მესხეთში, ძირითადად ახალციხეში და აბასთუმანში დასახლება. 20 ოჯახი ცხოვრობს ახალციხეში და 14 ოჯახი სოფელ აბასთუმანში. ქალაქის მაცხოვრებლების დიდ უმრავლესობას თავისი საკუთარი ბიზნესი გააჩნია ან ვაჭრობით არის დასაქმებული, ხოლო სოფლის მოსახლეობა აბასთუმანში სოფლის მეურნეობით ირჩენს თავს. ქალაქის მოსახლეობის პრიორიტეტია ბავშვებისათვის კარგი განათლების მიცემა, რის გამოც ისინი ამჯობინებენ ქალაქ ახალციხეში ცხოვრებას. ქალაქში მათი ბავშვებისათვის უკეთესი საგანმანათლებლო შესაძლებლობებია, ვიდრე სოფლებში. ქალაქ თბილისში მცხოვრები მესხი რეპატრიანტების დიდი უმრავლესობა ახალგაზრდა ხალხია, რომლებიც თბილისში ჩამოვიდნენ უმაღლესი განათლების მისაღებად და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტეს თბილისში დარჩენა⁷². ისინი ძირითადად სტუდენტების საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ. მესხ

დიაგრამა 5.2. მესხი რეპატრიანტების განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით



წყარო: Union of Georgian Repatriates, 2005, გვ. 4.

რეპატრიანტებს, ისევე როგორც ქართველების უმეტესობას, უჭირთ მათი პროფესიის მიხედვით სამუშაოს შოვნა და ამიტომაც მათი უმეტესობა ვაჭრობით არის დაკავებული.

მესხი რეპატრიანტების დიდი უმრავლესობა კომპაქტურად ჩაასახლეს სოფლებში. მესხი რეპატრიანტების განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ილუსტრირებულია (5.2) დიაგრამაში.

როგორც (5.2) დიაგრამაშია ნაჩვენები მესხი რეპატრიანტების დიდი ურავლესობა, 447 კაცი (76%) სოფლის მაცხოვრებლები არიან. მხოლოდ 145 კაცი (24%) ცხოვრობს ქალაქში¹³⁶. მესხების ჩამოსახლება საქართველოში დაუგეგმავად მოხდა, რის გამოც არასწორად შეირჩა მათთვის საცხოვრებელი ადგილები (ძირითადად შეირჩა კომპაქტური და იზოლირებული დასახლებები). მესხები კომპაქტურად ჩაასახლეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ამჟამად მესხი რეპატრიანტების უმეტესობა კომპაქტურად ცხოვრობს შემდეგ რეგიონებში: 110-115 კაცი, მათ შორის 30 სტუდენტი ცხოვრობს თბილისში; 174 – სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში; 147 – სოფელ ნასაკირალში და

48 – სოფელ ნარუჯაში, ოზურგეთის რაიონში; 75 – ქალაქ ახალციხეში; 24 – ადიგენის რაიონის სოფელ აბასთუმანში. 2007 წელს 19 მესხი რეპატრიანტი დასახლდა გორის რაიონის სოფელ წითელუბანში. დანარჩენი რეპატრიანტები გაფანტულად არიან დასახლებულნი ქვეყნის 18 დასახლებულ პუნქტში⁷². კომპაქტურმა დასახლებებმა შეანელა მესხი რეპატრიანტების ინტეგრაციის პროცესი. ინტეგრაციის პროცესი განსაკუთრებით შენელებულია იმ ადგილებში, სადაც ქართული მოსახლეობა არ არის და მესხი რეპატრიანტები კომპაქტურად არიან დასახლებულნი. მაგალითად, ინტეგრაციის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს სოფელ იანეთში, სადაც მესხი რეპატრიანტები კომპაქტურად არიან დასახლებულები, ე.წ. მეცხრე უბანში. ამრიგად, კომპაქტური დასახლება სერიოზული დაბრკოლებაა ინტეგრაციის პროცესისათვის, მაგრამ უფრო პრობლემატურია სრულიად იზოლირებული დასახლება ქართული მოსახლეობის გარეშე. ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ სოფელი იანეთი და ნასაკირალი, სადაც მესხი რეპატრიანტები კომპაქტურად ცხოვრობენ. მესხები ნასაკირალში და იანეთში ჩაასახლეს 1980-იან წლებში. თუმცა მათი ჩასახლება ერთდროულად მოხდა, ნასაკირალში მცხოვრები მესხი რეპატრიანტები შედარებით უკეთესად არიან ინტეგრირებულები ქართულ საზოგადოებაში და უკეთესად ფლობენ ქართულ ენას, ვიდრე იანეთში მცხოვრები მესხები. იანეთში მცხოვრებმა ბევრმა მესხმა რეპატრიანტმა ჯერაც ვერ მოახერხა ქართული ენის შესწავლა და ურთიერთობის დამყარება ქართულ მოსახლეობასთან. მათ უჭირთ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია. ეს შეიძლება იმ ფაქტით აიხსნას, რომ იანეთში მესხები მარტო, განცალკევებულად ცხოვრობენ იზოლირებულ გარემოში, სადაც ქართული მოსახლეობა არ არის. ისინი მთავარი სოფლიდან, იანეთიდან საკმაოდ მოშორებულნი არიან და ცხოვრობენ პატარა დასახლებაში, რომელიც „მეცხრე უბნის“ სახელით არის ცნობილი. სოფელი იანეთი ათი უბ-

ნისაგან შედგება. ეს უბნები, მეცხრე უბნის გარდა, სადაც მესხი რეპატრიანტები კომპაქტურად ცხოვრობენ, ერთმანეთთან ახლოსაა და მჭიდრო დასახლებას ქმნიან. მეცხრე უბანი განცალკევებულია დანარჩენი სოფლისაგან და ათი კილომეტრით არის დაშორებული მისგან. მესხური დასახლება იანეთში გამოიყოფა, როგორც პატარა კუნძული, სადაც მესხი რეპატრიანტები იზოლირებულ და წყნარ ატმოსფეროში ცხოვრობენ, გარე სამყაროსთან კავშირების გარეშე. ყველაზე ახლო სოფელი 5 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ამიტომაც მესხ რეპატრიანტებს იშვიათი კონტაქტები აქვთ გარშემო მდებარე სოფლების მაცხოვრებლებთან. ამასთან დაკავშირებით იანეთის სკოლის დირექტორის მოადგილემ განაცხადა: „ერთადერთი გამოსავალი ამ პრობლემიდან არის „ეკო-მიგრანტების“ ჩასახლება მესხი რეპატრიანტების გვერდით. ქართული მოსახლეობის გვერდით ცხოვრება გააადვილებს მესხი რეპატრიანტების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში“.

1980-იანი წლებიდან მოყოლებული ინტეგრაციის პროცესი შენელებული ტემპით მიმდინარეობს. დიდი მანძილი, ასევე განსხვავებული სარწმუნოება და ენობრივი ბარიერი იწვევს მესხების იზოლაციას ქართველი მეზობლებისაგან. ამ მიზეზთა გამო, მესხი რეპატრიანტების უმეტესობა იანეთში არ ლაპარაკობს ქართულად. თუმცა მათმა შვილებმა დაიწყეს ქართულის სწავლა სკოლაში, ისინი მაინც ბევრ პრობლემებს აწყდებიან: მთავარი საკონტაქტო ენა ოჯახში არის თურქული, ამიტომაც ბავშვებს პრობლემები ექმნებათ, როდესაც იწყებენ სკოლაში სიარულს. ქართული ენის არასრულფასოვანი ცოდნა და ენობრივი ბარიერი ართულებს სკოლაში სწავლას. იანეთში მცხოვრებმა მესხმა რეპატრიანტმა აღიარა: „ჩვენ ბავშვებს რომ ურთიერთობა ჰქონდეთ ქართველ ბავშვებთან, მათთვის უფრო ადვილი იქნებოდა სკოლაში სწავლა. იანეთის სკოლაში მხოლოდ მესხი რეპატრიანტის შვილები დადიან, ამიტომაც ჩვენ შეი-

ლებს სკოლაში პრობლემები ექმნებათ და უჭირთ ქართული ენის შესწავლა“. ამრიგად, ქართულ მოსახლეობასთან კონტაქტების არქონა ქართული ენის დაუფლების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია. იანეთის სკოლის დირექტორის მოადგილემ განაცხადა: „იზოლირებული გარემოსა და ქართული მოსახლეობის არარსებობის გამო მესხი რეპატრიანტების ინტეგრაცია იანეთში ნელი და გართულებული პროცესია“. ამას გარდა, შესაფერისი განათლების სისტემისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების (ბალების, სკოლების) არარსებობამ შეაფერხა იანეთელი მესხების ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის არარსებობის გამო იანეთში მცხოვრები მესხი რეპატრიანტის შვილებმა მხოლოდ ახლახან დაიწყეს ქართული ენის შესწავლა. პრეზიდენტ შევარდნაძის ბრძანებით, საშუალო სკოლის აშენება მოხერხდა 2001 წელს. როდესაც მესხები დასახლდნენ იანეთში, იქ არსებობდა მხოლოდ დაწყებითი სკოლა. ამიტომაც უფროსი ასაკის ბავშვებს არ შეეძლოთ ესწავლათ და მოკლებულნი იყვნენ კონსტიტუციურ უფლებას განათლებაზე. იანეთისაგან განსხვავებით ნასაკირალში მესხები ქართულ მოსახლეობასთან ახლოს ცხოვრობენ და ამიტომაც უკეთესად ფლობენ ქართულ ენას, ვიდრე იანეთელი მესხები. ამრიგად, ისინი შედარებით უკეთესად არიან ინტეგრირებულები ქართულ საზოგადოებაში, ვიდრე იანეთში მცხოვრები მესხები. მაგრამ ნასაკირალელი მესხები, ისევე როგორც იანეთელი მესხები, ქმნიან კომპაქტურ დასახლებას და, როგორც ცნობილია, კომპაქტური დასახლება მკვეთრად აფერხებს ინტეგრაციის პროცესს. იანეთის სოფლის ადმინისტრაციის უფროსმა, გია კოპალეიშვილმა აღიარა, რომ შეცდომები იქნა დაშვებული რეპატრიაციის პროცესის დროს. მან განაცხადა: „სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში მაჰმადიანი მესხები ჩამოასახლეს ყოველგვარი წინასწარი დაგეგმვისა და გამოთვლების გარეშე. შედეგად მივიღეთ გარე სამყაროსაგან იზოლირებული და სუსტად ინ-

ტეგირებული გალატაკებული საზოგადოება. რეპატრიაციის პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ ამ ქვეყანაში აღარ არსებობდეს ისეთი ადგილები, როგორცაა იანეთი⁴¹³. ასეთი შეცდომები თავიდან უნდა იქნას აცილებული მომავალში და ქართულმა საზოგადოებამ წინასწარ უნდა დაგეგმოს რეპატრიაციის პროცესი.

ეკონომიკური ინტეგრაცია

გლობალური ეკონომიკური კრიზისი და უმუშევრობა უეჭველად უარყოფითად მოქმედებს მესხნი რეპატრიანტების ეკონომიკურ პირობებზე საქართველოში. სიღარიბე და უმუშევრობა გავრცელებულია მთელ ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში. რესპონდენტების უმრავლესობამ, 75%-მა განაცხადა, რომ ისინი უმუშევრები არიან. მათ არ შეუძლიათ მუშაობა, რადგან როგორც მათ განაცხადეს შესაფერისი სამუშაოს შოვნა ძალიან ძნელია და სამუშაო ადგილები ძალზედ შეზღუდულია მათ ქალაქებში/სოფლებში. კითხვაზე: ხართ თუ არა კმაყოფილი ცხოვრების პირობებით თქვენს სოფელში/ქალაქში?, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

ტაბულა 5.6. ცხოვრების პირობების მიმართ დამოკიდებულება

| № | ხართ თუ არა კმაყოფილი ცხოვრების პირობებით თქვენს სოფელში/ქალაქში? | % |
|---|---|----|
| 1 | დიახ | 75 |
| 2 | არა | 17 |
| 3 | არც ისე კმაყოფილი ვარ | 8 |

თუმცა რესპონდენტთა უმრავლესობამ, 75%-მა განაცხადა, რომ ისინი კმაყოფილი არიან ცხოვრების პირობებით მათ ქალაქში/სოფელში, უფრო საფუძვლიანმა დაკვირვებამ

და გამოკვლევამ დაადგინა, რომ მათ ბევრი მიზეზი აქვთ იმისათვის, რომ არ იყვნენ კმაყოფილნი ცხოვრების პირობებით. დამატებითი კითხვების დასმის შემდეგ რესპონდენტებმა დაასახელეს კონკრეტული მიზეზები თუ რატომ არიან უკმაყოფილო ცხოვრების პირობებით: რესპონდენტთა უმრავლესობამ (64%) უმუშევრობა დაასახელა მათი სოფლის/ქალაქის მთავარ პრობლემად; რესპონდენტთა 50% – ცუდი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა; 46% – უწყლოობა; 14% – გაზით მომარაგება; 7% – ქალაქში ცუდი სანიტარული მდგომარეობა; 7% – მიწის ნაკლებობა. მაგრამ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ უმუშევრობა გლობალური პრობლემაა და არა მარტო მესხი რეპატრიანტები ზარალდებიან ამ პრობლემით, არამედ ასევე ქართული მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. უმაღლესი განათლების მქონე ქართველების უმრავლესობას არ შეუძლია სამუშაოს შოვნა და უმუშევარია. მესხი რეპატრიანტებიც იგივე პრობლემებს აწყდებიან, როგორც ქართული მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. მესხი რეპატრიანტების ეკონომიკური მდგომარეობა არ განსხვავდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობისაგან. ამასთან დაკავშირებით ერთმა მესხმა რეპატრიანტმა განაცხადა: „ჩვენ ისე ვცხოვრობთ, როგორც ყველა ქართველი. მესხი რეპატრიანტების ცხოვრების პირობები არ განსხვავდება ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ცხოვრების პირობებისაგან“ (მამაკაცი, 70).

ეკონომიკური კრიზისისა და უმუშევრობის გამო მესხი რეპატრიანტების დიდი უმრავლესობა თვითდასაქმებულია. თვითდასაქმება გახდა გადარჩენის ერთადერთი საშუალება გლობალური ეკონომიკური კრიზისის პერიოდში. სოფლის მოსახლეობისათვის მთავარი შემოსავლის წყარო არის პრიმიტიული სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა, ხოლო ქალაქის მოსახლეობა უმეტესწილად ვაჭრობით და მცირე ბიზნესით ირჩენს თავს. სამუშაო ადგილების ნაკლებობა და ეკონომიკური კრიზისი ამცირებს მესხ რეპატრიანტებ-

სა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის კავშირებს. თუ ადრე ხალხი ერთად მუშაობდა საბჭოთა მეურნეობებში და ჩაის გადამამუშავებელ ქარხნებში, დღესდღეობით ყველა დაკავებულია საკუთარ მიწაზე, საკუთარი ბიზნესით. მესხი რეპატრიანტების დიდი უმრავლესობა საქართველოში ჩამოსახლეს 1960-იან და 1980-იან წლებში, როდესაც სჭირდებოდათ მუშახელი ჩაის ქარხნებისათვის და საბჭოთა მეურნეობებისათვის. ახალმოსულებს უზრუნველყოფდნენ თავშესაფრით (სპეციალურად მათთვის აშენებდნენ სახლებს) და მიწის ნაკვეთებით. ყველა მათგანი დასაქმებული იყო ჩაის ქარხნებში და საბჭოთა მეურნეობებში და მუდმივი შემოსავალი ჰქონდათ, რაც ზრდიდა ადგილობრივ მოსახლეობასთან სოციალური კონტაქტების შესაძლებლობებს. მაგრამ სიტუაცია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. საბჭოთა მეურნეობები და ქარხნები დაიხურა და ხალხი უმუშევარი დარჩა. მათი უმეტესობა თვითკმარი გახდა და სოფლის მეურნეობითა და მეცხოველეობით დასაქმდა. თვითდასაქმება და თვითუზრუნველყოფა მნიშვნელოვნად ამცირებს სოციალურ კონტაქტებს ადგილობრივ მოსახლეობასთან და აფერხებს მესხი რეპატრიანტების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. ამასთან დაკავშირებით იანეთში მცხოვრებმა მესხმა რეპატრიანტმა განაცხადა: „სამუშაო რომ მქონდეს, უფრო მეტი კონტაქტი მექნებოდა ადგილობრივ მოსახლეობასთან და ქართული ენის დაუფლებაც გამიადვილდებოდა. დროის უმეტესობას სახლში ვატარებ ან ჩემი მიწის ნაკვეთზე ვმუშაობ, რაც სერიოზულად ამცირებს ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობებს“ (მამაკაცი, 45).

უმუშევრობა აიძულებს მესხ რეპატრიანტებს სამუშაო საზღვარგარეთ ეძებონ. თურქული ენის კარგი ცოდნა უადვილებს მათ თურქეთში დასაქმებას. დიდია მიგრაცია თურქეთში და რუსეთში და ბევრი მესხი რეპატრიანტი სეზონურ სამუშაოებს ასრულებს საზღვარგარეთ. 2005 წელს 163

მესხი რეპატრიანტი (მესხური თემის 22%) საქართველო-დან იყო გასული სამუშაოს შოვნის მიზნით. ეკონომიკური კრიზისი და საზღვარგარეთ მიგრაცია აჭიანურებს მესხი რეპატრიანტების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. სამუშაო ადგილების ნაკლებობის გამო მესხ რეპატრიანტებს ძალიან მცირე შანსი აქვთ დაამყარონ კონტაქტები ქართულ მოსახლეობასთან და ვინაიდან პრიმიტიული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების შესრულება არ საჭიროებს ქართული ენის ცოდნას ან უმაღლეს განათლებას, ამიტომაც მათი ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის შანსი მცირეა.

პოლიტიკური ინტეგრაცია

გამოკვლევამ დაადგინა, რომ არც ერთი რესპონდენტი არ ღებულობს მონაწილეობას საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში. მესხი რესპონდენტებიდან მხოლოდ ერთმა განაცხადა, რომ არის პოლიტიკური პარტიის წევრი. მესხი რეპატრიანტების დიდი უმრავლესობა არ არის დასაქმებული სახელმწიფო სტრუქტურებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში და არ ეკუთვნიან რომელიმე პოლიტიკურ პარტიას. პოლიტიკური ინტეგრაციის დაბალი დონე და მესხი რეპატრიანტების პოლიტიკაში მონაწილეობის დაბალი დონე სხვადასხვა ფაქტორით არის გამოწვეული:

- სახელმწიფო ენის არცოდნა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია. ის მნიშვნელოვნად ამცირებს მესხი რეპატრიანტების შანსებს, რომ დასაქმდნენ სახელმწიფო სტრუქტურებში, რადგან ქართული ენის ცოდნა აუცილებელია და კანონით გათვალისწინებული მოთხოვნაა. მესხ რეპატრიანტებს არ ჰყავთ წარმომადგენლები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ასევე პარლამენტში და სახელმწიფო დეპარტამენტებში. (ერთადერთი გამონაკლისია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში მომუშავე ერთი მესხი რეპატ-

რიანტი) თუმცა, არ არსებობს მესხ რეპატრიანტთათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ლეგალური შეზღუდვები, პრიმიტიულ სოფლის მეურნეობაზე აბსოლუტური დამოკიდებულება და ქართული ენის არასრულფასოვანი ცოდნა სერიოზულად ამცირებს პოლიტიკაში მათი მონაწილეობის შესაძლებლობებს. მესხი რეპატრიანტების არმონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცედურებში ასევე არის მათი პოლიტიკური პასივობის შედეგი.

- პოლიტიკური პასივობა – მესხი რეპატრიანტების დიდი უმრავლესობა ნაკლებ ინტერესს იჩენს პოლიტიკის მიმართ. ამასთან დაკავშირებით 50 წლის მესხმა რეპატრიანტმა განაცხადა: „ჩვენი ხალხი მშრომელი ხალხია, მათ პოლიტიკა არ აინტერესებთ. მიეცი მიწა და კმაყოფილი არიან“ (მა-მაკაცი, 50). მესხი რეპატრიანტების დიდი უმრავლესობა სოფლის მეურნეობით არის დასაქმებული და პოლიტიკისთვის დრო არ რჩება. მათთვის უფრო მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები და ფინანსური პრობლემები, რაც სერიოზულად ზღუდავს მათ შესაძლებლობებს, რომ მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკაში. მესხი რეპატრიანტების დიდი უმრავლესობა პოლიტიკურ ინდიფერენტულობას ამჟღავნებს და ნაკლებ ინტერესს იჩენს პოლიტიკის მიმართ. ამას ემატება ისიც, რომ ყველაფერი, რაც პოლიტიკასთან არის დაკავშირებული იწვევს მესხი რეპატრიანტების უნდობლობას, იმიტომ, რომ მათ მრავალჯერ განიცადეს დეპორტაცია, რომლის ორგანიზატორი იყო მთავრობა და სახელმწიფო დეპარტამენტები. პოლიტიკური პასივობა უფრო აღრმავებს ქვეყნის საჯარო და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისაგან მესხი რეპატრიანტების იზოლაციას.

- მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და პროფესიონალების ნაკლებობა მესხ რეპატრიანტებს შორის მნიშვნელოვნად ამცირებს მათი პოლიტიკაში მონაწილეობის შესაძლებლობებს. მათი უმრავლესობა სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული და დრო არ რჩება პოლიტიკისთვის.

● ფინანსური რესურსების ნაკლებობა მნიშვნელოვნად აფერხებს მესხი რეპატრიანტების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. როგორც ცნობილია, პოლიტიკაში მონაწილეობა მოითხოვს დიდ ფინანსურ რესურსებს. მესხ რეპატრიანტებს ასევე აკლიათ კავშირები და კონტაქტები გავლენიან ხალხთან, რაც პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობისათვის არის საჭირო.

ყველა რესპონდენტმა განაცხადა, რომ მათ არ ეძლევათ ადგილობრივ პოლიტიკაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შანსი. კითხვაზე: რომ გქონდათ შესაძლებლობა მიგეღოთ მონაწილეობა ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში, იქნებოდა თუ არა ეს უკეთესი თქვენი სოფლის/ქალაქის განვითარებისათვის?, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

ტაბულა 5.7. ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართულობა

| № | რომ გქონდათ შესაძლებლობა მიგეღოთ მონაწილეობა ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში, იქნებოდა თუ არა ეს უკეთესი თქვენი სოფლის/ქალაქის განვითარებისათვის? | % |
|---|---|----|
| 1 | დიახ | 58 |
| 2 | არა | 17 |
| 3 | არ ვიცი | 25 |

რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა, 58% თვლის, რომ ადგილობრივ პოლიტიკაში მათი მონაწილეობა იქნებოდა უკეთესი მათი რაიონის/სოფლის/ქალაქის განვითარებისათვის. ისინი გამოთქვამენ სურვილს, მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაგრამ ქართული ენის ცუდი და არასრულფასოვანი ცოდნა მნიშვნელოვნად ამცირებს მესხი რეპატრიანტების დასაქმების შანსებს სახელმწიფო სექტორში და აფერხებს მათ მონაწილეობას პოლიტიკაში.

მიუხედავად ზემოთ დასახელებული პრობლემებისა, არსებობს უამრავი ასოციაცია და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც იცავს მესხი რეპატრიანტების ინტერესებს საქართველოში. ეს ორგანიზაციები ასრულებენ ხიდის ფუნქციას მესხ რეპატრიანტებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის. თუმცა, ეს ორგანიზაციები და ასოციაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მათი უფლებების დაცვაში (ისინი აგროვებენ მონაცემებს ადამიანის უფლებების დარღვევებზე, ეხმარებიან მესხ სტუდენტებს, რომლებიც ჩამოდიან საქართველოში უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად და ა.შ.), მათი უძრავლესობა თბილისში მდებარეობს და მესხი რეპატრიანტების დასახლებებისაგან ძალიან დაშორებულია. ამის გამო არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს არ აქვთ ინტენსიური კონტაქტები მესხურ დასახლებებთან და არ შეუძლიათ მათი ყოველდღიური პრობლემების გადაჭრა. მესხი რეპატრიანტების უძრავლესობა არ ენდობა თბილისში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერებს და არ აღიქვამენ მათ, როგორც ჭეშმარიტ წარმომადგენლებს. ისინი უფრო ენდობიან ადგილობრივ უხუცესებს, როგორც მათი თემის მორალურ ლიდერებს¹³⁵.

შედეგები: მესხი რეპატრიანტების ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში შენელებული პროცესია სხვადასხვა მიზეზთა გამო, როგორცაა ქართული ენის არასრულფასოვანი ცოდნა, კომპაქტური და იზოლირებული დასახლებები და ქართულ მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტების ნაკლებობა, დასაქმების შანსების ნაკლებობა და გლობალური ფინანსური კრიზისი, ინტერეთნიკური ქორწინებების ნაკლებობა, პოლიტიკური პასივობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არმონაწილეობა და ა.შ.

სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, გავლენას ახდენენ ინტეგრაციის პროცესზე. ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებულობის დონე დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, როგორც არის, მა-

გალითად, საცხოვრებელი ადგილი და დასახლების ტიპი, საქართველოში გატარებული წლების რაოდენობა, ასაკი და დაბადების ადგილი, საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა, სოციალურ-ეკონომიკური პირობები ქვეყანაში და იმ რეგიონში, სადაც მესხი რეპატრიანტები ცხოვრობენ და ა.შ. ეს ფაქტორები არ იქნა გათვალისწინებული და რეპატრიაციის პროცესის დროს ბევრი შეცდომები იქნა დაშვებული. კომპაქტურმა და იზოლირებულმა დასახლებებმა, მესხი რეპატრიანტებით დასახლებულ ადგილებში შესაფერისი საგანმანათლებლო დაწესებულებების არარსებობამ, მნიშვნელოვნად შეამცირა ამ ხალხის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობა. კვლევამ გამოავლინა, რომ მესხი რეპატრიანტები სუსტად არიან ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში. ცენტრალურ აზიაში ხანგრძლივმა ცხოვრებამ და საუკუნეობრივმა იზოლაციამ მნიშვნელოვნად დააკნინა მათი ქართული იდენტობა და დააჩქარა მათი გათურქების პროცესი. რეპატრიანტთა დიდ უმრავლესობას არ შეუძლია ქართულად წერა-კითხვა, რაც სერიოზულად აბრკოლებს ინტეგრაციის პროცესს. გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საზღვარგარეთ მიგრაცია აქვეითებს მათ ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარს. ეკონომიური პრობლემები და სიღარიბე მნიშვნელოვნად ამცირებს მათ საქართველოში დასაქმების შანსებს, დომინანტურ ეთნიკურ ჯგუფთან კონტაქტების დამყარებისა და ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობებს. მესხი რეპატრიანტების დიდი უმრავლესობა სრულიად გარიყულია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისგან. ერთადერთი გამოწვევისა ახალგაზრდა თაობა, რომელმაც მიიღო განათლება ან ახლა სწავლობს საქართველოში. მათ ეძლევათ საშუალება გახდნენ საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები. თუმცა, საქართველო ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას და ბევრ სოფლებში, სადაც მესხი რეპატრიანტები ცხოვრობენ, საგანმანათლებლო დაწესებულებები სავალალო

მდგომარეობაშია, მესხი ბავშვები, რომლებიც დადიან ამ საგანმანათლებლო ინსტიტუტებში, უფრო ნაკლებ პრობლემებს აწყდებიან ქართული ენის, ტრადიციების და წესჩვეულებების დაუფლების დროს, ვიდრე მათი მშობლები და მესხი რეპატრიანტების ხანდაზმული თაობა. სასკოლო ასაკის ბავშვები ავლენენ ადაპტაციის დიდ უნარს და ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება მათი ადგილობრივი, ქართველი ბავშვებისაგან განსხვავება. ისინი უფრო აქტიურ ურთიერთობებს ამყარებენ ქართულ მოსახლეობასთან და უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ, რომ დაუბრუნდნენ თავიანთ ფესვებს. ამიტომაც, ქართული საზოგადოების ინტერესებში უნდა შედიოდეს, რომ შექმნას შესაფერისი საგანმანათლებლო პირობები იმ ადგილებში, სადაც მესხი რეპატრიანტები ცხოვრობენ. ზოგიერთ სოფლებში სასკოლო ნაგებობები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და საგანმანათლებლო დაწესებულებების რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის გარდაუვალი საჭიროება არსებობს. გარდა ამისა, ძალიან დაბალი ხელფასების გამო, მასწავლებლებიც არ არიან მოტივირებულები, რომ ნორმალურად იმუშაონ, რაც უეჭველად უარყოფითად მოქმედებს სწავლების ხარისხზე. ამიტომაც, ქართულმა საზოგადოებამ შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს, რომ გაზარდოს მასწავლებლების მოტივაცია, რათა დაჩქარდეს მესხი რეპატრიანტების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია.

6. დასკვნა და რეკომენდაციები (მესხური პრობლემის ბალაჰრის გზები)

დეპორტირებული მესხი მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია რთული და ხანგრძლივი პროცესია. საზღვარს მიღმა მრავალწლიანმა ცხოვრებამ და ქართველ ხალხთან ურთიერთობის არქონამ მნიშვნელოვნად შეამცირა მათი პროქართული ორიენტაცია, ეროვნული ცნობიერება და გაართულა მათი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში.

როდესაც ინტეგრაციის პრობლემებზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მეზობელი სახელმწიფოების გავლენა მესხეთზე, ვინაიდან მან გამოიწვია დიდი სოციალური, დემოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები ამ რეგიონში. უცხო უღლის ქვეშ ყოფნის შედეგია საქართველოს სხვა პროვინციებისაგან ამ მხარის იზოლაცია. სხვა ქვეყნის ბატონობამ დიდი გავლენა მოახდინა მესხეთის ეთნოკონფესიურ სტრუქტურაზე. მესხეთი, როგორც სასაზღვრო რეგიონი ხშირად ხდებოდა მისი ძლიერი მეზობლების მსხვერპლი. დემოგრაფიულ პროცესებს ხშირად მართავდნენ და აკონტროლებდნენ მეზობელი სახელმწიფოები, რაც რადიკალურად ცვლიდა მესხეთის დემოგრაფიულ სურათს. ცარისტული რუსეთი ანტიქართულ პოლიტიკას ატარებდა მესხეთში და ეწინააღმდეგებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მცდელობას დაბრუნებოდა ქართულ ფესვებს. რუსებმა სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი თურქეთში გადაასახლეს და მათ, ვინც მოახერხა მესხეთში დარჩენა, დისკრიმინაციას განიცდიდა რუსი მოხელეების მხრიდან. საბჭოთა იმპერიამ გააგრძელა მისი წინამორბედის, მეფის რუსეთის ანტიქართული ქმედებები მესხეთში. საბჭოთა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ხელი შეუწყო მაჰმადიანი მესხების დენაციონალიზაციას და ეს ხალხი დენაციონალიზებულ მასად აქცია. ყველაზე დიდი ზიანი მესხების ეროვნულ ცნობიერებას

მიაყენეს 1920-იან წლებში, როდესაც მაჰმადიანი მესხები „აზერბაიჯანულ ეროვნულ უმცირესობად“ გამოაცხადეს და აზერბაიჯანული სკოლები გაუხსნეს. მესხების ეთნიკური წარმომავლობა ხშირად იცვლებოდა ცარიისტული რუსეთისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად. თავდაპირველად ამ ხალხს მოიხსენიებდნენ „სუნიტ ქართველებად“ ცარიისტული რუსეთის მიერ ჩატარებულ 1870 და 1916 წლის მოსახლეობის აღწერებში. საბჭოთა ხელისუფლებამ მათ თავდაპირველად „თურქების“, ხოლო შემდეგ „აზერბაიჯანელების“ იარლიყი მიაკერა. შუა აზიაში დეპორტაციის შემდეგ, დეპორტირებულებს პასპორტში ჩაუწერეს ეროვნება „თურქი“, „აზერბაიჯანელი“, „მაჰმადიანი“, „კავკასიელი“ ან „უზბეკი“, რამაც კიდევ უფრო გაართულა მათი იდენტიფიკაციის პრობლემა. 1944 წელს განხორციელებულმა დეპორტაციამ დააჩქარა მაჰმადიანი მესხების დენაციონალიზაციის პროცესი. საზღვრებს მიღმა ხანგრძლივმა ცხოვრებამ და შუა აზიის თურქულენოვან მოსახლეობასთან ხანგრძლივმა კონტაქტებმა მნიშვნელოვნად დააქინა მათი ქართული იდენტობა და გაზარდა პროთურქული ორიენტაცია. ამის გამო დეპორტირებული მოსახლეობის ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში რთული პროცესია, რადგან ამ ხალხმა თითქმის მთლიანად დაივიწყა ქართული ტრადიციები და ადათ-წესები.

მესხური პრობლემის გადაჭრა მოითხოვს იმ პრობლემებისა და დაბრკოლებების კომპლექსურ ანალიზს, რომლებიც აფერხებს მესხი რეპატრიანტების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. ამ გამოკვლევის მიზანი იყო, რომ გამოეკვლინა რეპატრიაციისა და რეინტეგრაციის პროცესის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორები, რადგან პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია მისი დეტექტირების გარეშე. მესხი რეპატრიანტების დასახლებების შესწავლამ გამოავლინა, რომ არსებობს სხვადასხვა ფაქტორი (სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, გეოგრაფიული, ლინგვისტური), რაც აფერ-

ხებს მათ ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. ქართული ენის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების არასრულფასოვანი ცოდნა არის ინტეგრაციის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი. დეპორტირებულმა ხალხმა 60 წელი საქართველოს საზღვრებს გარეთ გაატარა, რამაც ძალიან გააუარესა ქართული ადამ-წესებისა და ქართული ენის ცოდნის დონე. ამას დაემატა გეოგრაფიული ფაქტორები, როგორც არის, მაგალითად, თურქულენოვან ტერიტორიაზე ხანგრძლივი ცხოვრება, რამაც დააჩქარა მათი გათურქების პროცესი. გეოგრაფიული ფაქტორებიდან აღსანიშნავია კომპაქტური და იზოლირებული დასახლებები, რამაც ხელი შეუწყო მესხური თემის იზოლაციას და შეამცირა მესხი რეპატრიანტების შანსები, რომ მჭიდრო კონტაქტები დაემყარებინათ ქართულ მოსახლეობასთან. კომპაქტური და იზოლირებული დასახლებები სერიოზული დაბრკოლებაა ინტეგრაციის პროცესისათვის. სოფელში კომპაქტურად ცხოვრება და მხოლოდ მიწის ნაკვეთზე მუშაობა, მათ არ აძლევს საშუალებას, რომ რეგულარული და მჭიდრო კონტაქტები იქონიონ ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაც მესხური თემის გარიყულობას იწვევს. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც გავლენას ახდენს მესხი რეპატრიანტების ინტეგრირებულობის დონეზე. გლობალური ეკონომიკური კრიზისი, სიღარიბე, სამუშაო ადგილების ნაკლებობა და უმუშევრობა სერიოზულად ამცირებს მათ შანსებს, რომ მჭიდრო კონტაქტები დაამყარონ ქართულ მოსახლეობასთან და აჭიანურებს მათ ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში.

ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები და დაბრკოლებები. ინტეგრაციის პოლიტიკის ეფექტური იმპლემენტაცია დამოკიდებულია ქართველი ხალხის უნარზე, რომ შექმნას ეფექტური ინტეგრაციის პროგრამები და ასევე მესხი რეპატრიანტების მზაობაზე და სურვილზე, რომ გახდნენ ქართული სახელმწიფოს სრულფასოვანი მოქალაქეები.

როგორც უკვე ზემოთ იყო ნახსენები, კანონი რეპატრიაციის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 2007 წელს, არ სთავაზობს ფინანსურ დახმარებას რეპატრიანტებს და მასში არაფერია ნათქვამი კომპენსაციის, თავშესაფრის და დასაქმების შესახებ. ამიტომაც დეპორტირებული მესხი მოსახლეობა უნდა დაბრუნდეს საკუთარი სახსრებით ან საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით. არსებობს უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებმაც დააგროვეს ძალიან დიდი ცოდნა და გამოცდილება რეპატრიაციის პროცესის შესახებ და რომლებსაც შეუძლიათ ამ გამოცდილების გამოყენება მესხური პრობლემის გადასაჭრელად. საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა დაეხმარება სახელმწიფოს, რომ ცივილიზებულად გადაჭრას ეს საკითხი: უზრუნველყოს რეპატრიანტთა უსაფრთხოება, დაფაროს რეპატრიაციის ხარჯები და შეიმუშაოს ინტეგრაციის ეფექტური სტრატეგია. რეპატრიაციისა და ინტეგრაციის პროგრამის შემუშავება და განხორციელება საჭიროებს სხვადასხვა სახელმწიფო დეპარტამენტებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას. პირობები წინასწარ უნდა იქნას განსაზღვრული და ნიადაგიც წინასწარ უნდა მომზადდეს დეპორტირებული ხალხის დასაბრუნებლად. წინასწარ უნდა შეირჩეს ის რეგიონები და საცხოვრებელი ადგილები, სადაც დეპორტირებული ხალხის უსაფრთხოება იქნება გარანტირებული. ამასთანავე აუცილებელია ინტეგრაციის სტრატეგიის შემუშავება, რომ მოხდეს მესხი რეპატრიანტების გარდაქმნა საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად. ინტეგრაცია ხანგრძლივი და რთული პროცესია, რომელიც სხვადასხვა კომპონენტებისაგან შედგება, როგორც არის, მაგალითად, სოციალურ-ეკონომიკური, ლეგალურ-პოლიტიკური, ლინგვისტურ-კულტურული და სამოქალაქო ინტეგრაცია. თითოეული ეს ტერმინი ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული.

მაჰმადიანი მესხების დეპორტაცია საბჭოთა კავშირის მიერ ჩადენილი კრიმინალური აქტი იყო. როგორც ცნობილია, რუსეთი არის საბჭოთა კავშირის კანონიერი მემკვიდრე და ამიტომაც, წესით რუსეთმა უნდა აგოს პასუხი საბჭოთა კავშირის მიერ ჩადენილი დანაშაულებებისათვის. თუმცა, საქართველო არ შეიძლება პასუხისმგებელი იყოს საბჭოთა კავშირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო, ის თავის თავზე იღებს მორალურ პასუხისმგებლობას, რომ დააბრუნებს დეპორტირებულ ხალხს საქართველოში. მაგრამ რეპატრიაცია ნებაყოფლობითობის პრინციპის საფუძველზე უნდა განხორციელდეს და უნდა გამოხატავდეს დეპორტირებული ხალხის სურვილს, დაბრუნდეს საქართველოში. მათ, ვინც გამოთქვამს დაბრუნების სურვილს, უნდა მიეცეთ საქართველოში დასახლების საშუალება. რეპატრიაცია არ უნდა იყოს სავალდებულო და იძულებითი პროცესი. ევროპის საბჭო არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ რეპატრიაციის პროცესის დროს ზოგიერთმა ქვეყანამ, მაგალითად, რუსეთის ფედერაციამ შეიძლება ზეწოლა მოახდინოს დეპორტირებულ ხალხზე, რათა აიძულოს ისინი, რომ დატოვონ საკუთარი საცხოვრებელი ადგილები. ამის გამო ევროპის საბჭო მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას, თავი შეიკავოს დეპორტირებულ ხალხზე ნებისმიერი სახის ზეწოლისაგან და მისცეს მათ შესაძლებლობა დარჩნენ რუსეთის ფედერაციის სრულფასოვანი მოქალაქეები. ის ასევე ურჩევს რუსეთის ხელისუფლებას, შეაჩეროს მესხების რეგულარული დისკრიმინაცია, გადაჭრას მათი უფლებრივი მდგომარეობის საკითხი და მიანიჭოს მათ ყველა სამოქალაქო, პოლიტიკური, ლეგალური, ეკონომიკური და სოციალური უფლებები. ევროპის საბჭო ხაზს უსვამს, რომ მომავალში მესხების რეპატრიაცია რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში უნდა განხორციელდეს დეპორტირებული ხალხის თავისუფალი არჩევანის პრინციპის საფუძველზე¹²⁵. ევროპის საბჭოს 1428-ე რეზოლუციის თანახმად, თუ ხალხს სურს, უნდა მიეცეს შესაძ-

ლებლობა დარჩეს იქ, სადაც უკვე ცხოვრობს. ნებისმიერი არჩევანის დროს უნდა იქნას დაცული ადამიანის უფლებები და ღირსება. ამრიგად, ხალხმა თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, დარჩებიან რუსეთის ფედერაციაში თუ დაბრუნდებიან საქართველოში¹³⁷. სასურველია, რომ ეს წესი შეეხოს ყველა ქვეყანას, სადაც დეპორტირებული ხალხი ცხოვრობს. რეპატრიაციის ნებისმიერი აქტი უნდა განხორციელდეს ნებაყოფლობით. საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ადამიანის უფლებების ჯგუფებმა აქტიურად უნდა გააკონტროლონ რეპატრიაციის პროცესი, რათა უზრუნველყოფილი იყოს რეპატრიაციის პროცესის ნებაყოფლობითობის პრინციპზე განხორციელება. ნებისმიერი ზეწოლა დეპორტირებულ ხალხზე, რომ დატოვოს საცხოვრებელი ადგილები და გადასახლდეს საქართველოში, ევროსაბჭოს მიერ უნდა ჩაითვალოს, როგორც დეპორტაცია და უკანონო აქტი.

რეპატრიაციის პროცესი დეტალურად უნდა იყოს დაგეგმილი და უნდა შეიცავდეს სპეციალურ ზომებს, რათა მოხდეს მესხების უსაფრთხო დაბრუნება. ქართული საზოგადოების მთავარი მიზანი უნდა იყოს რეპატრიაციის გეგმის ისეთი შემუშავება, რომ შემცირდეს ეთნიკური პრობლემების რისკი და ნეგატიური შედეგები ქვეყნისათვის. რეპატრიაციის პროცესი უნდა იყოს მომგებიანი ორივე მხარისათვის, როგორც დეპორტირებული მესხი ხალხისათვის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისათვის. რეპატრიაცია არ უნდა გახდეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული აქტი და არ უნდა იყოს საზიანო პროცესი არც დეპორტირებული ხალხისათვის და არც ადგილობრივი მოსახლეობისათვის¹³². მესხმა რეპატრიანტებმა პატივი უნდა სცენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. დეპორტირებული ხალხი არ უნდა გადაიქცეს დესტაბილიზაციის გამომწვევ ძალად საქართველოში, პირიქით, ის უნდა იყოს სტაბილურობისა და წინსვლის გარანტი. რეპატრიაციის პროცესმა არ უნდა მიაყენოს ზიანი საქართველოს

ეროვნულ ინტერესებს და ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოებას. მხოლოდ ეფექტური ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავებით შეიძლება მოხერხდეს ეთნიკური პრობლემების თავიდან აცილება.

ინტეგრაცია ძალზედ რთული და დროში გაწეილი პროცესია, რომლისთვისაც საჭიროა, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური ნება, მოახდინოს ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში, ასევე ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების მზაობა, გახდნენ საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები. ამრიგად, ინტეგრაციის პროცესი შეიძლება წარმატებით განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ორმხრივი თანხმობა და მზაობა, ამ შემთხვევაში დეპორტირებული ხალხის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის მზაობა. სტაბილურობა საქართველოში შეიძლება შენარჩუნდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ინტეგრაციის პოლიტიკის წარმატებით განხორციელება. ინტეგრაციის პოლიტიკა უნდა მოიცავდეს სხვადასხვა პრიორიტეტებს და შემდეგი კომპონენტებისაგან უნდა შედგებოდეს:

ლინგვისტური და კულტურული ინტეგრაცია:

ლინგვისტური და კულტურული ინტეგრაციის მიზანი უნდა იყოს, რომ დეპორტირებულ ხალხს გააცნოს ქართული კულტურა, ტრადიციები, ენა, ადათ-წესები, ნორმები და ღირებულებები. ლინგვისტური და კულტურული ინტეგრაცია შემდეგ ზომებს უნდა მოიცავდეს:

კულტურული ცენტრების შექმნა იმ ქვეყნებში და რეგიონებში, სადაც დეპორტირებული ხალხი ცხოვრობს.

კულტურული ინტეგრაცია ნიშნავს იმას, რომ დეპორტირებულ ხალხს ექნება საშუალება შეინარჩუნოს თავისი

განსხვავებული ეთნიკური იდენტობა და კულტურა, მაგრამ ამავე დროს მათ მიეცემათ შანსი გაიღრმავონ ცოდნა ქართული კულტურის, ისტორიის და ტრადიციების შესახებ. ამ მიზნის მისაღწევად უნდა შეიქმნას სპეციალური კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრები. კულტურული ინტეგრაციის სტიმულირება ძალიან შრომატევადი პროცესია, რომელიც საჭიროებს ხანგრძლივ და სისტემატურ ურთიერთობას ქართველ ერთან.

ათწლეულების მანძილზე დეპორტირებულ ხალხს არ ჰქონდა უფლება, რომ მოენახულებინა საქართველო, რომელიც მიჩნეული იყო სპეციალურ სასაზღვრო ზონად ნატოსა და საბჭოთა კავშირს შორის. საბჭოთა ხელისუფლება მათ უკრძალავდა ყოფილ საცხოვრებელ ადგილებთან კონტაქტებს და ყოველთვის, როცა ისინი საქართველოში გამოჩნდებოდნენ ხოლმე, პოლიცია მათ აპატიმრებდა და ქვეყნიდან აძევებდა. ქართველებთან კონტაქტების ნაკლებობამ, თურქულენოვან ტერიტორიებზე ხანგრძლივმა ცხოვრებამ და შუა აზიის თურქულენოვან მოსახლეობასთან მუდმივმა ურთიერთობამ მნიშვნელოვნად დააქინა მათი ქართული სამოქალაქო ცნობიერება და ასევე შეამცირა ქართული კულტურის, ტრადიციებისა და ადათ-წესების ცოდნა.

პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის, არის მესხურ თემებთან კონტაქტების დამყარება, რომლებიც გაფანტული არიან სხვადასხვა ქვეყნებში. კონტაქტების დამყარება გაზრდის ურთიერთობას დეპორტირებულ ხალხსა და ქართველებს შორის. კულტურული ინტეგრაციის დასაჩქარებლად საჭირო იქნება სპეციალური კულტურული ცენტრების შექმნა იმ ქვეყნებში და რეგიონებში, სადაც მესხები ცხოვრობენ. კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის ეს კულტურული ცენტრები მოაწვობენ სხვადასხვა აქტივობებს დეპორტირებული მესხი მოსახლეობისათვის, როგორც არის, მაგალითად, ქართული ისტორიისა და კულტურის

კურსები, ქართული ხალხური სიმღერები და ფოლკლორი. ინტენსიური კონტაქტები და ურთიერთობა შეამცირებს შუღლს ადგილობრივ მოსახლეობასა და დეპორტირებულ მოსახლეობას შორის და საშუალებას მისცემს ხალხს, რომ მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ ერთმანეთთან. გეოპოლიტიკური და რეგიონული კვლევების ცენტრის გამოკვლევამ დაადგინა, რომ პოზიტიური დამოკიდებულება დეპორტირებულთა მიმართ ქართველების იმ კატეგორიას შეიძლება განუვითარდეს, რომელსაც მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა მესხ რეპატრიანტებთან¹³².

ქართული ენის კურსებისა და ქართული ენის შემსწავლელი ცენტრების შექმნა

ინტეგრაციის პროცესის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი არის ენობრივი ბარიერი. დეპორტირებული მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, ასევე საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები არ ფლობენ ქართულ ენას. რუსული კვლავ გამოიყენება, როგორც ეთნიკურ ჯგუფებს შორის მთავარი საკონტაქტო ენა. ჯერ კიდევ არ მომხდარა მისი ჩანაცვლება ქართული ენით. სახელმწიფო ენის არცოდნა ეთნიკური უმცირესობების გაუცხოებას და იზოლირებას იწვევს. ეს ზღუდავს ეთნიკური უმცირესობების შანსებს, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყოს ქართული მასმედია. ისინი ძირითადად ისტორიული სამშობლოდან მოწოდებულ ინფორმაციას ენდობიან. ამიტომაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები უფრო კარგად არიან ინფორმირებულები მათ ისტორიულ სამშობლოში მიმდინარე პროცესებზე, ვიდრე საქართველოში მომხდარ მოვლენებზე. ქართული ენის არცოდნა არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც აფერხებს ეთნიკური უმცირესობების აქტიურ მონაწილეობას სხვადასხვა სფეროებში, როგორც არის მაგალითად, ბიზნესი, კომერციული საქმიანობა, პოლიტიკა, კულტურა და ა.შ.

ქართული საზოგადოების მოვალეობაა, რომ უზრუნველყოს მესხი რეპატრიანტები შესაძლებლობით, დაეუფლონ ქართულ ენას. დეპორტირებულ ხალხს უნდა მიეცეს საშუალება, რომ შეისწავლოს ქართული ენა და აიმაღლონ სოციალურ-კულტურული კომპეტენტურობა. ამიტომაც მესხი რეპატრიანტების ქართულ საზოგადოებაში ეფექტური ინტეგრაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპეციალური ენის კურსებისა და ენის შემსწავლელი ცენტრების დაარსებას. საქართველოს ხელისუფლება ბოლო დროს უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ეთნიკურ უმცირესობებს. მან შექმნა სპეციალური ენის კურსები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის. მსგავსი პროგრამები შეიძლება შეიქმნას ასევე მესხ რეპატრიანტთათვის. საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა იქნება საჭირო მესხ რეპატრიანტთათვის ენის შემსწავლელი ცენტრების დასაარსებლად, სადაც მათ საშუალება მიეცემათ ქართული ენის, ტრადიციების და ადათ-წესების დაუფლების. ქართული ენის, კულტურისა და ტრადიციების შესწავლის შესაძლებლობა მათ რეპატრიაციის პროცესის დაწყებამდეც უნდა მიეცეთ. ენის შემსწავლელი ცენტრები უნდა დაარსდეს ყველა რეგიონში, სადაც დეპორტირებული ხალხი ცხოვრობს. საქართველოში ჩამოსვლისას მესხ რეპატრიანტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა გააგრძელონ ქართული ენისა და კულტურის შესწავლა და გაიუმჯობესონ კომუნიკაციის უნარი.

ლინგვისტური ინტეგრაციის წარმატებით განხორციელებისათვის საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა იქნება ძალზედ მნიშვნელოვანი. ეს ორგანიზაციები მიიღებენ მონაწილეობას სპეციალური პროექტების განხორციელებაში, რომელთა მიზანი იქნება მესხი რეპატრიანტების ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში. საქართველოს ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნას, რომლებმაც შეიძლება

მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ საგანმანათლებლო სფეროში. უნდა დაარსდეს სპეციალური საინტეგრაციო ცენტრები, რომლებიც დაკავდება მესხი რეპატრიანტების პრობლემებით და დაეხმარება მათ ახალ გარემოსთან შეგუების პროცესში. ზოგიერთი ორგანიზაცია უკვე ახორციელებს მსგავს პროექტებს საქართველოში. ჩვენ შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ პროექტი „რეპატრიაციიდან ინტეგრაციამდე“, რომელიც დაიწყო 2006 წელს სამცხე-ჯავახეთში. პროექტი მოიცავს სხვადასხვა კურსებს მესხი რეპატრიანტებისათვის. ამ პროექტის მთავარი მიზანია იმერეთში და მესხეთში მცხოვრები მესხი რეპატრიანტების ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში. ასოციაცია „ტოლერანტმა“ და „საქართველოს სამეურვეო საბჭოების ასოციაციამ“ შეიმუშავეს ერთობლივი პროექტი „მესხი რეპატრიანტების სოციალური ინტეგრაცია“¹⁰¹. ასეთი პროექტები დაეხმარება მესხ რეპატრიანტებს, რომ დაძლიონ პრობლემები და გახდნენ ქართული საზოგადოების ნაწილი. ამიტომაც საქართველოს ხელისუფლებამ და საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა დააფინანსოს და წაახალისოს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომ განახორციელონ მსგავსი პროექტები.

კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯი ლინგვისტური ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის უნდა იყოს სპეციალური სტიპენდიებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა ახალგაზრდა მესხი რეპატრიანტებისათვის. ამ სპეციალურმა პროგრამებმა შესაძლებლობა უნდა შეუქმნას მესხ ახალგაზრდობას, რომ უფასოდ ისწავლონ ქართულ უნივერსიტეტებში და დაფარონ მათი ყველა საგანმანათლებლო ხარჯები. ამავე დროს ქართულ უნივერსიტეტებში უნდა შეიქმნას სპეციალურად მესხი რეპატრიანტებისათვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამები და კურსები, რომელთა მთავარი მიზანი იქნება ქართული ეროვნული ცნობიერების განვითარება და მესხების რეინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში. სპეციალური სტიპენდიები და საგანმანათლებლო

პროგრამები მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მესხი რეპატრიანტების საქართველოს ნამდვილ მოქალაქეებად გარდაქმნაში. სასურველია შემოღებულ იქნას სპეციალური კვოტების სისტემა მესხებისათვის ქართულ უნივერსიტეტებში.

ლეგალურ-პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაცია

ლეგალურ-პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაცია ნიშნავს მესხი რეპატრიანტების აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და პოლიტიკურ სისტემაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობას; ეს ასევე გულისხმობს ქართული სახელმწიფოს მიმართ ლოიალურად განწყობილი მოსახლეობის ფორმირებას და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის შემცირებას. იმისათვის, რომ მოხერხდეს მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირება, ქართული მოქალაქეობისა და გვარების მიღების პროცედურა უნდა გამარტივდეს. იმისათვის, რომ გაიზარდოს ქართული სახელმწიფოს მიმართ ლოიალური დამოკიდებულება უპირატესობა უნდა მიენიჭოს სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარებას. ამრიგად, ლეგალურ-პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაცია შემდეგ საკითხებს უნდა მოიცავდეს: უმცირესობების წარმომადგენლობა პოლიტიკურ სისტემაში, სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარება, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების პროცედურების გამარტივება. ეს საკითხები ქვემოთ უფრო დეტალურად არის გაანალიზებული.

უმცირესობების წარმომადგენლობა პოლიტიკურ სისტემაში

თუმცა საქართველოს ხელისუფლება მზადყოფნას გამოთქვამს, რომ უზრუნველყოფს ეროვნული უმცირესობების ჩართულობას პოლიტიკურ პროცესებში, სახელმწიფო ენის არცოდნა საშუალებას არ აძლევს მესხ რეპატრიანტებს და

სხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მესხური თემის ერთი წარმომადგენელიც კი არ არის საქართველოს პარლამენტში, სახელმწიფო სტრუქტურებში, ადგილობრივ ხელისუფლებაში და ეს ფაქტი მოწმობს მესხი რეპატრიანტების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებულობის დაბალ დონეს. მესხი რეპატრიანტების ხმა იკარგება და მათ არ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა. ქართული ენის არცოდნა ქმნის მათთვის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მთავარ ბარიერს. მაგრამ მათ რომ ჰქონოდათ ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად მონაწილეობის შესაძლებლობა, ქართული ენის შესწავლისა და ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის უფრო მეტი სტიმული და მოტივაცია ექნებოდათ. მესხი რეპატრიანტების ჩართულობა ადგილობრივ და გლობალურ პოლიტიკურ პროცესებში დააჩქარებდა დეპორტირებული ხალხის ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში.

ქართულმა საზოგადოებამ უნდა მიიღოს ზომები, რომელიც ხელს შეუწყობს მესხების მონაწილეობას პოლიტიკურ სფეროში. მან უნდა მისცეს მესხ რეპატრიანტებს საშუალება, რომ მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე.

სახელმწიფომ უნდა გამოთქვას ასევე მზაობა, რომ დაასაქმოს სახელმწიფო ენის მცოდნე მესხი რეპატრიანტები საჯარო სექტორში. ამ სექტორში დასაქმება სტიმულს მისცემს სხვა რეპატრიანტებსაც, რომ დაეუფლონ ქართულ ენას. იმისათვის, რომ გაზარდოს საჯარო სექტორში დასაქმებული მესხების რაოდენობა, სახელმწიფომ მათ უნდა შეუქმნას სპეციალური მოსამზადებელი კურსები. ამ ძალისხმევით სახელმწიფომ უნდა გაზარდოს მათი პროფესიონალიზმი და პოლიტიკური კულტურა.

სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარება

შუა საუკუნეებში რელიგია ეთნიკური იდენტობის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა. პიროვნება მანამდე ითვლებოდა ქართველად, სანამ ის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი იყო, მაგრამ თუ ის გამაჰმადიანდებოდა, ის ქართველად აღარ ითვლებოდა და საზოგადოება მას „თურქს“ ან „თათარს“ ეძახდა. მაჰმადიანი ქართველები მოიხსენიებოდნენ როგორც „თათრები“ და არა როგორც „ქართველები“. ეს შუასაუკუნეობრივი მენტალობა კვლავ არის შემორჩენილი ზოგიერთი ინდივიდის შეხედულებებსა და წარმოდგენებში.

ენაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ეთნიკური იდენტობის განსაზღვრების დროს. თვითიდენტიფიკაცია საქართველოში ძირითადად კვლავ ლინგვისტურ ტრადიციას ეფუძნება და მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა ეთნო-ლინგვისტურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან საქართველოს მოქალაქეებად არ აღიქვამენ საკუთარ თავს. ქართული საზოგადოება კვლავ ეთნიკური ნიშნითაა დაყოფილი. ინდივიდები გარკვეული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებად აღიქვამენ თავიანთ თავს და არა როგორც საერთო სახელმწიფოს წარმომადგენლებად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს სამოქალაქო და პოლიტიკური იდენტიფიკაციის დაბალი დონე და საზოგადოება კვლავ დაყოფილია ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. საქართველომ უნდა მოახდინოს სახელმწიფოებრიობის ეთნიკური აღქმის ჩანაცვლება უფრო სამოქალაქო და ინკლუზიური კონცეფციით. თვითიდენტიფიკაცია უნდა იყოს დაფუძნებული არა ეთნიკურ, ლინგვისტურ და რელიგიურ კუთვნილებაზე, არამედ ტერიტორიაზე და მის ისტორიაზე. ეთნიკური ნაციონალიზმის ნაცვლად უპირატესობა უნდა მიენიჭოს სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარებას. ყველა ადამიანი, რომელიც საქართველოშია დაბადებული, მიუხედავად მისი

ეთნიკური, ლინგვისტური და რელიგიური წარმომავლობისა, უნდა მოიხსენიებოდნენ როგორც „ქართველები“ და ქართულმა საზოგადოებამ თავისი საინტეგრაციო პოლიტიკით ხელი უნდა შეუწყოს სამოქალაქო ცნობიერების დამკვიდრებას და ქართული სახელმწიფოს მიმართ ლოიალური დამოკიდებულების განვითარებას. მან უნდა შექმნას სოციალური კუთვნილების განცდა და საერთო ღირებულებები და ნორმები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისათვის. ქვეყნის ნებისმიერ მცხოვრებს, მიუხედავად ეთნიკური და რელიგიური განსხვავებებისა, უნდა ჰქონდეს განცდა, რომ ის არის საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქე.

საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების პროცედურების გამარტივება

ბევრი მესხი რეპატრიანტი აწყდება პრობლემებს, როდესაც ისინი ცდილობენ ცხოვრების უფლების/მუშაობის უფლების, საქართველოს მოქალაქეობის და ქართული გვარების მიღებას. ეს აფერხებს მესხების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. სამოქალაქო უფლებებისა და საცხოვრებელი ადგილის დოკუმენტების მოპოვების პროცედურები ათწლეულების მანძილზე ძალზედ გართულებული იყო საქართველოში მესხი რეპატრიანტებისთვის. მესხების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დაბრუნდა საქართველოში, დიდი ხნის მანძილზე მოქალაქეობის არმქონე პირად რჩებოდა და მათი უფლებრივი მდგომარეობა გაურკვეველი იყო. 644 მესხი რეპატრიანტიდან, რომლებიც დაბრუნდნენ საქართველოში ბოლო ათწლეულებში, 32 კაცს არანაირი უფლებრივი მდგომარეობა არ გააჩნდა 2001 წელს¹²⁶. ადგილობრივი ხელისუფლება განზრახ უქმნიდა მათ ფორმალურ და იურიდიულ დაბრკოლებებს, რომ გაეჭიანურებინათ ცხოვრების/მუშაობის უფლების, მოქალაქეობის და ქართული გვარების მინიჭება. მაგალითად, იანეთში (სამტრედიის რაიონში)

მცხოვრებმა მესხებმა მოითხოვეს მათი ქართული გვარების აღდგენა, მაგრამ ძალიან გართულებულმა ბიუროკრატიულმა პროცედურებმა (სულ 8 სხვადასხვა დაწესებულება არის ჩაბმული ამ პროცესში) და ძალიან ხარჯებმა (დაახლოებით ხუთი თვის ხელფასია საჭირო) შეუძლებელი გახადა ამ ჩანაფიქრის განხორციელება¹⁰³. ქართული გვარების აღდგენა გართულებული პროცედურაა, ამისათვის ბევრი დოკუმენტია საჭირო, რომელთა მოპოვება ძალიან რთული ან შეუძლებელია. თუმცა მესხ რეპატრიანტებს ახსოვთ მათი ქართული გვარები, მხოლოდ ცოტამ მოახერხა ქართული გვარების აღდგენა. უმეტესწილად ახალგაზრდა თაობა, რომელიც საქართველოში დაიბადა, ატარებს ქართულ გვარს. ასევე გვხვდება შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ოჯახის წარმომადგენლები სხვადასხვა გვარებს ატარებენ. ზოგიერთ მესხურ ოჯახში ძველ თაობას აქვს არაქართული გვარი, ხოლო ახალ თაობას ქართული გვარი. ქართული გვარების აღდგენა ძალზედ მნიშვნელოვანი პროცესია მესხი რეპატრიანტებისათვის, ვინაიდან ეს პროცესი ზრდის ქართულ საზოგადოებასთან სიახლოვის განცდას.

